

48/3



მნათობი



114
1948/ე

77

1

თბილისი

მნათობი



სკულიად-სამკათვლოს საბჭოთა მწიგნობის
ქაპშირის შოკოლთვიუკი სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საკოლიტიკო
შუკნალი

წილიწადი ოცღამეხუთე

1





შინაარსი

ლეო ქიჩილი — ჯოტოს შამა, რომანი	85
კალე ბრეზობინძე — სიმღერა ლენინზე, ლექსი	32
დემანა შენგულიანი — წითელი ყაყაჩო, რომანი	33
კავლე ანტროპოვსკი — შეილი, პოემა, თარგმანი კარლო კლავდიასი	54
ელიზბარ ჯიღბინიძე — შენე მშენებელი ხარ, მოთხრობა	63
რევაზ მარბიანი — მულახი-ჩემი სოფელი, ლექსი	77
ვლადიმერ სულაბერიძე — შთის ყვავილები, ლექსი	79
იაკინთე ლისაშვილი — ჩემი სოფელი, ნარკვევი	81
გონდო ქუშელავა — გიორგი ქუჩიშვილს, ლექსი	89
ანდრო ლომიძე — სიტყვათაღიანი, მოთხრობა	90
ნარ-დოსი — შავი ფულების სარგებელი, მოთხრობა, თარგმანი ა. ბ. დავითაშვილისა	91

† სერგო ბილაია — ბალატიონს ტაბიძე, წერილი	101
აკაკი ბაყრაძე — მსალები ქართული ევროპეისტიკის კვლევას ისტორიისათვის, წერილი	116
† ანა ლვინიაშვილი — ცქვიტი — ანა ხაბუტაშვილი, წერილი	147

† ვლადიმერ ჯიბუტი — გიორგი ნატროშვილი — „ლიტერატურული ვტიულები“, მხლოგრავა	158
--	-----

„მნათობის“ 1947 წლის ნომრების შინაარსი 166

მსუხმსმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშიძე, ნიკოლოზ აბიაშვილი (მსუხმსმგებელი მდიანი), იოსებ ბერიშვილი, კავლე ინგოროვსკა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მსუხმსმგებელი), მესარიონ ქლდიაშვილი, ბალატიონს ტაბიძე, სანდრო შენგულიანი, დემანა შენგულიანი.

ბელმოწერილია დსაბეჭდად 26/1-48 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 3/4 ფ. შმ 00825. შეფ. № 1889. ტირაჟი 5-300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომპონატი. თბილისი, შარჯანიშვილის ქ. № 5. რედაქციის მისამართი: მანაშლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.

ლო ქიანელი

ჯოჯოს მამა

★

რომანი

შესავალი

ვინ დასთვლის, რამდენი სოფელია ქვეყანაზე?

რა თქმა უნდა, ბევრთა ბევრი და კიდევ მეტი. სავალდებულოც რომ იყოს, შეუძლებელია ყველას სახელის დამახსოვრება.

რამდენი ადამიანი სცხოვრობს ქვეყნად, მაგრამ რა მცირეა იმათი რიცხვი, ვისაც ჩვენ ვიცნობთ ან ვისი სახელი გაგვიგონია.

ასეა სოფელიც.

ხოლო არიან ადამიანები, რომლებიც ცნობა აუცილებელიც არის და სავალდებულოც.

ასეთი სოფლებიც არსებობენ.

დრო-დრო ისე ხდება ხოლმე, რომ გარემოება ისტორიის მორევის ზედაპირზე რომელსამე სახელს ამოატივტივებს — სულ ერთია სოფლის იწეება იგი, დაბის, ქალაქის თუ ადამიანის — და, მანამდე გაუგონარი, უცნობი, — უცერად საყოველთაო ყურადღების საგნად იქცევა. შემოივლის კუთხით კუთხემდე რადიოს ქსელებს, გაზეთების ფურცლებს, კლუბებს, ქუჩებს და საერთო ცნობისმოყვარეობის კორიანტელს დააყენებს.

მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ყველა სოფელს, ვინც ქალაქს, ან ყველა ადამიანს, ასე ვთქვათ,

რიგრიგობით კი არ სწყალობს ბედი, — ვითომ დღეს რომ ერთი გაითქვამს სახელს, ხვალ — მეორე, მერე — მესამე და ასე ბოლომდის.

რასაკვირველია, არა.

მეტად იშვიათი გამოჩაქლისის სახით და ძუნწად ხდება ხოლმე სახელის გამოჩენა ისტორიაში.

•
•

საქართველოს ზეობათა შორის ბზიფის ზეობა ყველაზე უფრო უგზო და უდაბურია.

ამ ზეობის განაპირას, ჩრდილოეთის მხრით, დასავლეთი კავკასიონის პირაქეთ გადმოშვებული კალთების მიჯნაზე, სადაც სანჯაროს უღელტეხილის მისადგომი იწყება, ტრთად ერთი პატარა სოფელი მდებარეობს, სახელად სოფ.

დანამდელებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სოფლის არსებობა ჩვენს დროში, უკანასკნელი მეორე მსოფლიო ომამდე, იშვიათად თუ ვინმემ იცოდა, მისი სახელი იშვიათად თუ ვისმე გაეგონა ბზიფის ზეობის გარეთ.

მაგრამ დაღვა ათასცხრასა ორმოცდა ერთი წელი. ფაშისტური გერმანია

მუხანათურად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

ორმოცდარს იგი დასაყრდენი კავკასიონს მოადგა. დაიკავა ურჯულის მთაგრეხილი და სანჭაროს უღელტეხილით ბზიფის ზეობაში გადმოვიდა.

აქ სოფელი სოუ აიღო.

უეცრად საყოველთაოდ აშკარა გახდა, რომ აქამდე უცნობი, ცხრამთაჩით გადაკარგული სოუს დაპყრობა მტრის მიერ უდიდეს უბედურებას ნიშნავდა:

სოუს სახით მტრის ხელში უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული კვანძი გადავიდა, რომელშიაც თავს იყრიან დასაყრდენი კავკასიონის უღელტეხილების დამცველი ბუნებრივი სტრატეგიული ხაზები.

დამპყრობს ვა ეხსენებოდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსკენ, ვიდრე ლიხამდე.

მდგომარეობა მძაფრი და ფიცხელი სამხედრო ღონისძიების მიღებას მოითხოვდა.

ხანმოკლე, მაგრამ მით უფრო დაძაბული და სამედრო-სასიცოცხლო იყო ბრძოლა, რომელიც სახელოვანი წითელი ჯარის გმირულმა ნაწილებმა მომხდურ მტერს სოფელ სოუსთან გაუმართეს.

მტერი უკოიქცა.

ელის უსწრაფოსად მოედო ეს ამბავი მთელ ქვეყანას.

სად იყო. სად არა, ბზიფისა და კავკასიონის მიყოალი მთების ორწოხებში მიჩქმალული სოუს სახელი მოულოდნელად გვირდოდა ამოოდგა კავობრიობის ოახოკის ისტორიის გარდატეხაში მონაწილე სახელებს.

„სოუს ბრძოლა“, — იუწყებოდნენ ყველა ქვეყნის ინფორმაციები.

„სოუ“, — გაპყვიროდა რადიო კუთხით კუთხემდე.

„სოუ“, — იცნობებოდნენ დეპეშები ქალაქად.

„სოუ“, — გადასაძახოდნენ ერთმანეთს ორლობები სოფლად. *მარქსეული* ხოლო ესოდენი საბჭოთა სოუს მეტად ძვირად დაუჯდა. მტრის წინააღმდეგ მიტანილ იერიშებს საუკეთესო სოფელი ვაკეები შეეწირნენ, რომლებიც წითელი ჯარის მეომრებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ.

საუკუნო იყოს ხსენება გმირების, რომლებმაც თავისუფლებისათვის ბრძოლაში ვაკეკუთრი სიკვდილი ჰპოვეს და სამშობლოს სახელი დიდებით შემოსეს.

დიდება გმირებს.

თავი პირველი

ომის წინაღულე იყო, მაგრამ არაერთარი ნიშანი არ სჩანდა იმისა, რომ ომი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივი თვლით იგი არსად დაინახებოდა. არ დაინახებოდა განსაკუთრებულად სოფელ სოუსში, რომელიც მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი იყო. მიუხედავად ამისა, სოუსში მაინც ხმა ირხეოდა, ომი იქნებოდა.

ყველაზე მეტად ეს გარემოება სოუს მცხოვრებ ბათუ ქარდლას აკვირებდა, რომელიც ბზიფში უფრო მთის კაცის სახელწოდებით იყო ცნობილი, ვინც ნამდვილი სახელითა და გვარით.

იგი ვერ მიმხედარიყო, საიდან და რა გზით ვრცელდებოდა ასეთი ხმა გაღვალი ტყეებით დაბურულ და მიუდგომელი მთებით გარშემორტყმულ პატარა სოფელში. მისხ ანგარიშით, თუ შეიძლებოდა აქ ვისმე რამე სცოდნოდა ომზე, ეს თვითონ იყო უწინარესად ყოვლისა.

გარდა იმისა, რომ მას გაზეთები მოდიოდა, ხშირად სოხუმშიაც უხდებოდა ყოფნა, სადაც მისი ვაჟი სწავლობდა.

მთის კაცად წოდებული ბათუ ქარდლა ნამწყემსარი იყო და ნამეჯოგარი. ბევრგან ნამყოფი, ბევრის მნახვე-



ლი. მას სწორუპოვარი მონადირის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ვაჟაკობასა და ცხეხოსობაშიაც ბადალი არ ჰყავდა მთაში, თუმცა სამოცი წელი უსრულდებოდა.

ის უთუოდ ამაყობდა ხალხის მიერ შერქმეული იშვიათი და საპატიო სახელწოდებით. მაგრამ მის გულს უფრო ის უხაროდა, რომ შინაურები და მეგობრები ჯოტოს მამას ეძახდნენ, ისე მოსწონდა თავი ერთად ერთი მისწრებელი და სახელოვანი ვაჟით, რომელსაც ჯოტო ერქვა.

ჯოტო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი იყო და კომკავშირის საოლქო ორგანიზაციის ერთ-ერთ სახელმძღვანელო მუშაკად ითვლებოდა.

მთის კაცი მიუხედავად უსწავლულობისა, ცოდნის მოყვარული იყო და ნასწავლ შვილთან პოლიტიკურ საკითხებზე გასაუბრება უყვარდა.

ჯოტოს, მამის დიდი პატივისცემა ჰქონდა. იცოდა მისი ცოდნისმოყვარეობის ამბავი და ყოველ შეხვედრაზე წვრილად ესაუბრებოდა მისთვის საინტერესო საგნებზე. ამის გარდა შინ უწყვეტად უგზავნიდა სოხუმიდან გაზეთებს და მისთვის გასაგებ საკითხავ წიგნებს.

საგულისხმეოა აქ ის იყო, რომ თუმცა თვითონ მთის კაცმა წერა-კითხვა არ იცოდა და ხელის მოწერას ძლიერ ახერხებდა, მაინც არც ერთი ცნობა, ჯოტოს გამოგზავნილ გაზეთში დაბეჭდილი, მას არ გამოჩებოდა.

მაგრამ ეს სასწაული არ იყო.

მთის კაცს შინ გაზეთის ჩინებული წამკითხველი ჰყავდა: წიგნის დიდი მოყვარული და მცოდნე, მისი ნათლული და გაზრდილი მანუჩა-მწყემსი, რომელიც პატარაობიდან მას ერთგვარ მდივნობას უწევდა.

მთის კაცს ჩაჯორც შვილის, ისე მისი გაზრდილი ნათლულის დიდი დაჯერება ჰქონდა, ხოლო ეს ხელს არ უშ-

ლიდა ზოგიერთ საკითხებზე, თავისი აზრიც ჰქოხოდა და ახალგაზრდებსაც მკაცრი კამათიც კი ეტყობოდა, მეტად უყვარდა.

— ერთიც ვნახოთ, ჩემო მწიგნობარო, — მიმართავდა იგი ბოლო დროს სოფლად ომზე ძოარიული ქორების შესამოწმებლად მანუჩას, — ერთიც ვნახოთ და, ძართლაც, ჩვენ მიერ შეიუღლებული ის კაციათა კაპიტალისტები, ახლა რომ ევროპაში ერთმანეთს ებრძვიან, შერიგდნენ, შეერთდნენ და თავს დაგვესხენენ! მაშინ რაა შევებით ბოლშევიკები?

— ვიომებთ, ჯოტოს მამა! ვიომებთ და მერე როგორ? — ან რატომ არ უნდა ვიომოთ? იარაღი არ გვაქვს და წითელი ჯარი არ გვყავს თუ? ჯაფრი ნუ გვაქვს, გავიმარჯვებთ!

— ჯოტოც ამას ამბობს გავიმარჯვებთო. მაგრამ რა იცით, რომ უთუოდ გავიმარჯვებთ? წინასწარ ამის თქმა ძნელია, ჩემო მანუჩა.

— რატომ? განა ოდესმე დაემარცხებულვართ? ჩვენ სულ სხვა ვარსკვლავზე დაბადებული ხალხი ვართ, მთის კაცო! დამარცხება არ გვიწერია!

ეს მანუჩა მწყემსი ოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. მეტად საინტერესო და ახირებელი კაცი იყო. მას ორი ნიშნით იცნობდნენ ბზიფის ხეობაში. ერთი იყო გარეგნული, შესახედაობითი, მეორე — შინაგანი, სულიერ-გონებრივი.

გარეგნულად მანუჩა ჩია კაცი სჩანდა. ბეჭში კუზიანივით იყო წახრილი. წვრილი წიპწოპა პირისახე, გარდა თვალებისა და ცხვირისა, შავი ბალნით ჰქონდა დაფარული. თუ არა საკვირველად გონიერი, სანდო და უღრესად კეთილი დიდრონი შავი თვალები, უცნობი პირველ შეხედვაზე უფრო ტყეურს მიაშვავებდა.

მხარბეჭის ნაკლი რომ დაეფარა, მანუჩას ზურგზე მუდამეამ მოსხმული ჰქონდა ხზოს წითურბეწვიანი ტყავის ქურთუკი, თამისაგან გამონასკენილი

მომსხობილი ღილილით მკერდზე ერთგან შეკრული. ევოთუქს ზუივის მხრით, შუა ადგილია, დაღვიით აჯდა ტყავს ბუნებრივად დაყოლებული, ქათვითა თეთრი ფერის ადამიანის ხელის გაშლილი მტყვანი, ხუთივე თითის უსწორესი გამოსახულებით. მეორე ასეთი ნიშნისი ქურთუკი არაგის ეცვა მთაწი, და მახუია-მწყემსს ამის წყალობით შორიდანაც კი ადვილად სცნობდნენ, როგორც ადამიანები, ისე ნახიროც.

მაგრამ მანუჩას იშვიათი შინაგანი თვისებებითაც იცნობდნენ ყველგან. მისი ნათლია ტყუილად არ უწოდებდა მან მწიგნობარს. თუმცა მანუჩა სკოლაში ნასწავლი არ იყო, ბავშვობიდან სულ ჯოჯში იზრდებოდა და ახლაც სოუს კოლმეურნეობის მესაქონლეობის ფერმაში მწყემსად მსახურობდა, მაგრამ მისი წრისა და ხელობის კაცი-სათვის უჩვეულო გონებაგახსნილობას ამჟღავნებდა. საცა უნდა ყოფილიყო ან რა საქმეც კქონოდა, ის უწიგნოდ არასოდეს რჩებოდა. მისი მწყემსური აზგის ერთ თვალში რომ საგზალი ელაგა, მეორე საყვარელი წიგნებით სავეს დაქონდა.

გარეგნობა ხელს არ უშლიდა მანუჩას მიმზიდველი, საყვარელი და გაელენიანი ყოფილიყო იმ წრეში, რომელშიაც ტრიალებდა, — კოლმეურნეობამ და მისმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ ადრევე დაუფასეს მანუჩას მისი ღირსება. მოწინავე მწყემსის საპატიო სახელწოდება მიანიჭეს და ფერმის პარტიულ ორგანიზაციისთან ჩამოყალიბებული მწყემსთა კულტურულ-განმანათლებელი წრის ხელმძღვანელობა მიანდეს, რასაც იგი იშვიათი გულმოდგინებით ასრულებდა.

მთის კაცის საყვარელი ვაჟი ჯოჯო კი განსაკუთრებულად იყო დავლებული მანუჩას წინაშე. გარდა იმისა, რომ სკოლაში მიბარებამდე მისი პირველი

მასწავლებელი მანუჩა იყო, წიგნის კითხვია სიყვარული დამატებული მანუჩასთვის დიდ დასახულებად მიიჩნდა და ამაყობდა კიდევაც, რომ მისი შეგირდი ჩინებული და მთელ კუთხეში სახელმძღვანელი კაცი დადგა.

მაღლიერი ჯოჯო იმით უხდოდა სამაგიეროს თავის ძეგობარსა და ყოფილ მასწავლებელს, რომ მაისის ამინათში ყოველთვის სდებდა მანუჩასთვის გახკუთხვილ და მისთვის საინტერესო ლიტერატურასაც, პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი, თუ რევოლუციური-ისტორიული ხასიათისა.

მაგრამ მანუჩასათვის არც ის იყო უცხო და უგულვებელი, რასაც შვილი საკუთრივ მამას უგზავნიდა.

ჯოჯომ კი კარგად იცოდა, რომ მამამისი გულისყურს ამ ხანდაზმულობისას ყველაზე უფრო ორი დიდი საგანი იტაცებდა, რომლებიც ერთმანეთისაგან ისე იყვნენ დამორებულნი, როგორც ცა და დედამიწა.

ერთი იყო პოლიტიკა, ხოლო მეორე ასტრონომია, — ე. ი. ის, თუ რანაირი იყო საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო მდგომარეობა, პირისპირ სხვა სახელმწიფოებისა, და რას წარმოადგენდა სამყარო, განსაკუთრებით კი დედამიწა, რომელზედაც იგი სტხოვრობდა.

თამი მიორა

წარმოშობით მთის კაცი ლაკადელი მეგრელი გლეხი იყო, ღარიბი მწყემსის ოჯახში დაბადებული. ბავშვობაში ადრე დაობლების შემდეგ იგი ნათესავეებმა, შეძლებულმა მეჯოგეებმა, აიყვანეს გასაზრდელად.

ეს ის დრო იყო, როცა მეგრულ მწყემსებს გზა უკვე გაკვლეული ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროდან ზზიფისა და დასავლეთ კავკასიონის მდიდარი იალაღებისკენ.

პატარა ბათუ მეტწილად აჭავჭავის უღელტეხილზე იხოდეოდა ძაღვში. იგი ხივიერი აღმოჩნდა და თავისი კეთილის მყოფელი ხათესავეიის, მეაქიალოეთის ცხოვრილი ოსტატეის, ხლოდა და სიყვარული ადრევე დაიძახუნოა. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როცა ჯოგს დამოუკიდებლად აუღვებოდა როგოც ბნიფის ძიდაძოეძი, ისე კავკასიონის პირიქითაც — ყუბანის და სოვის მხარის საყიშლალოში.

აღმზრდელმა დაეაქაცებული ბათუ ძალე თავიანთი დიდი მეურნეობის მოზიარედ გაიხადეს. ხოლო შემდეგში კი საერთო საქმის ზრდასა და განხეთარებას ის მოჰყვა, რომ ბათუ ქარდუა სრულიად გამოეყო მათ და საყუთარი ჯოგი გაიჩინა.

მუდმივმა მისვლა-მოსვლამ, ზამთარ-ზაფხულ სამყოფელი ადგილების ცელამ, ბათუს მრავალი ნაცნობი, მოყვარე და მოკეთე შესძინა მთავარი მთაგრეხილის ამიერ-იმიერ მხარეებში.

იგი თავისუფლად ლაპარაკობდა ყველა იმ ადგილის ენაზე, სადაც ყოფნა უხდებოდა. წარმოშობითაც მთიელს, ზედმიწევნით ჰქონდა შეთვისებული მთაში ესოდენ პატივდებული ზრდილობისა, ვაჟკაცობისა და სხვა კეთილჩვევათა წესები, რომლებსაც შინ თუ გარედ ყოველთვის მტკიცედ იცავდა.

იგი შუახანს გადაცილებული იყო, როცა ხალხმა მთის კაცის საპატიო სახელი შეარქვა მისი პიროვნებისადმი განსაკუთრებული პატივისცემისა და სიყვარულის აღსანიშნავად.

გარნა ასეთ სახელწოდებას მთის კაცი თავისი იშვიათი გარეგნობითაც იმსახურებდა, რომელიც მთიელთა მიერ ვაჟკაცობის ერთ-ერთ გამოსახულებად არის მიჩნეული.

იგი მალალი, წარმოსადეგი კაცი იყო. ურყევი სიღინჯითა და ამაყი სიმშვიდით ამეტყველებული, მოგრობ, მზისა და ქარისაგან აღნაშულ რკინისდერ პირისახეს ოდნავ მოყვითალო

დართო თვალები და ზომიერად მოხსენილი მაღალი ცხვირი, შემყვნილსენ. ქვედა ყბაზე მგოგულად მიხუტუვიოდა ძაღვი, და მოკლე წვერი, აქა-იქ თეთრგარეული. თავზე ახალგაზრდობაშივე გათეთრებული თოვლივით სპეტაკი თმა დაქათქათებდა, კრაველის ბოზობივით გრუხა, შინ თუ გოვით ზამთარ-ზაფხულ ქუდის მაგიერობის გამწევი.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხანში იყო შესული, სწორი და მკვირივი, ყველა ნაწილში ერთმანეთს შეფარდებული მაღალი ტანის აღნაგობა ახალგაზრდული შერჩენოდა. ჩოხაში ჩამჯდარ წელს ზემოთ ლარივით გამართული ბეჭები ფართოდ გაშლილი მხრების ფრთებს შებჯინებოდნენ, რომელთა რხევა ტანის ყოველი მოძრაობის დროს პატრონის საკვირველ ღონეს ააშკარავებდა, ძალაუნებური მორიდებისა და მოკრძალების შთამგონებელს.

საბჭოთა ხელისუფლების ახალმა ღონისძიებამ სასოფლო მეურნეობაში — კოლექტივიზაციამ — მთის კაცის ცხოვრებაშიც გარდატეხა გამოიწვია. მისი ჯოგი კოლმეურნეობაში გაერთიანდა.

ახალ კანონს მთის კაცი უყოყმანოდ დაემორჩილა.

— კერძოდ ჯოგი ახლა ვისა ჰყავს, რომ მე მყავდესო, ამბობდა იგი.

მხოლოდ ერთ რამეს მისი გული მაინც ვერ შეელია:

რაკი საქონელში ყოფნა და მისთვის ზრუნვა მეორე ბუნებად გადაქცეოდა, შეუძლებლად ეჩვენებოდა მასთან კავშირის გაწყვეტა. თვალყურის დევნების საშუალება რომ ჰქონოდა, სოფელი სოუ აირჩია მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. ამ სოფელს მთის კაცის მიზ-

ნისათვის მეტად მოხდენილი მდებარეობა ჰქონდა. სოფლან სულ ახლოს იყო ბზიფისა და კავკასიონის იალადები, ჯოგის საზაფხულო სამყოფელი, ხოლო არც საზამთრო საძოვრები იყო მისგან მაინც დაძაინც დაშორებული: ქედს გადაღმა იქვე სოჭისა და ყუბანის მიდამოები იშლებოდნენ.

სოუს არჩევა კიდევ იმითაც იყო გამოწვეული, რომ მთის კაცს ამ სოფელში საკაოიდიამო ადგილი ჰქონდა წინად შექმნილი, გაკაფული და შემოზღუდული. შიგ ერთი ფაცხა ედგა მიწით შელესილი, რომელიც მის მიერ მწყემსად გამოზრდილ ერთგულ მანუჩას მუდმივ საცხოვრებლად ჰქონდა განკუთვნილი.

მთის კაცს არასოდეს მოსვლია ახრად, რომ მას ამ ფაცხაში ცხოვრება მოუხდებოდა. ნადირობის დროს ხანდახან სტუმარივით თუ ეწვეოდა მანუჩას შესასვენებლად, ან ნანადირევს დროებით თუ დააბინავებდა მის ფაცხაში.

რაკი სოუსი გადაწყვიტა ცხოვრება, მთის კაცმა სულ მოკლე ხანში ფაცხა ორთვალ სახლად გადააკეთა, სასამზადისოდ ჯარგვალი მიუშენა და გვერდით ფარდული მიუდგა. ეზოში სხვა აუცილებელი შენობაც ჩადგა სახელდახელოდ.

შესაფერისი სახლკარი, მამაპაველ ნაფუძვარზე გამართული, მთის კაცს სამეგრელოში ჰქონდა მოწყობილი, უმცროსი ძმის საზიარო, სადაც ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავდა დაბინავებული. ეს სახლკარი მან ძმას დაუსაკუთრა მთლიანად, ცოლი და შვილი ძიძითურთ თავისთან სოუსი გადამოიყვანა.

როცა პატარა ჯოტომ სასკოლო ასაკს მიაღწია, სოხუმის სასწავლებელში მიამარა და ბინა იქაური მცხოვრებნი ძველი მოყვრის ოჯახში გაუჩინა.

ეროვნული
გზისმოძრაობა

სოუს კოლმეურნეობის შემოსავლის მთავარ წყაროს მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და ნაწილობრივად ნადირობა შეადგენდა, როგორც მთის სოფელს შეეფერება.

რაკი ნადირობა მთის კაცის საყვარელი საქმე იყო სიყრმიდანვე, მან დიდი გასაქანი მისცა მას კოლმეურნეობის პირობებში: საზოგადო და შემოსავლიან საქმედ აქცია. მისი წყალობით მთის კაცს არც შრომადღე აკლდა და არც ნადირის ხორცი, რომელსაც იგი მიუკლებლად უზიარებდა მისი ვაჟის ხელმოკლე სოხუმელ მასპინძელს.

მაგრამ ის, რითაც მთის კაცს სახელოვანი ვაჟის შემდეგ ყველაზე უფრო მოჰქონდა თავი მთელ ბზიფის ხეობაში და დაუფარაველ ამყობდა, ეს იყო მისი საყვარელი ცხენი, რომელსაც ვაჟის სახელის მიბაძულობით ჯონდოს ეძახდა. იგი მთის კაცის ჯოგში იყო დაბადებული და ათი წლით ჯოტოზე უმცროსი იქნებოდა.

ჯონდოს დედა ლაკადელი ჰაკი იყო, ხოლო მამა ნამდვილი ყაბარდოელი ულაცი. მთის კაცმა შვილივით გაზარდა იგი სოუსი და იქვე გახედნა მეგრულ-აფხაზურ წესზე, რომლის დიდ მცოდნედ ითვლებოდა.

ასე ვაეიდნენ წლები, ვიდრე ფაშისტური გერმანიის ვერაგული თავდასხმის ამბავი საბჭოთა კავშირზე მოულოდნელი ქარიშხალივით ბზიფის ხეობაშიც გაიქროლებდა.

ამ დროს მთის კაცის ვაჟს ჯოტოს ოცი წელი უსრულდებოდა.

თამი მესამე

ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივი ლოდინი დასჭირდა იენისის, თვეში სოუს შორივი ფოსტის მოსვლას, რო-

მელიც უგზობის გამო მთელი კვირითაც იგვიანებდა.

ამ ხნის განთავლობაში მთის კაცს სოფლიდან ფეხი არსად გადაედგა და შვილის ამანათის დაგვიანება ძალზე აწუხებდა. აწუხებდა მით უფრო, რომ ომზე კორი და მითქმა-მოთქმა სოფლად არ სწყუდებოდა. ამ მითქმა-მოთქმისთვის რომ კაცს დაეჯერებინა, ომი თუ უკვე არ იყო გამოცხადებული, დღე-დღეზე უფროდ უნდა ამტყუარაყო.

თუმცა მთის კაცს კორების არაფერი სწამდა და მათგან თავი შორს ეკირა, მაგრამ იმას კი ვერ ახერხებდა, რომ მისთვის ცალი ყური მაინც არ ეთხოვებინა. თავადაც ხშირად ეჩვენებოდა, რომ ომის ხანძარი, რომელიც ევროპაში მძვინვარებდა, ადვილად შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირსაც მოსდებოდა.

შვილის ამანათს მოუთმენლად იმიტომ ელოდა, რომ ახალი გაზეთების საარწმუნო ცნობის მიხედვით შეემოწმებინა როგორც სოფლად. გავრცელებული ხმების, ისე თავისი ექვების საფუძვლიანობა.

სოფლის საბჭოში ამ კვალობაზე ფოსტას მანუჩა-მწყემსი უცდიდა.

მოკვრა თუ არა მან თვალი ჯოტოს ამანათს, მაშინვე ილიაში ამოიხარა და დაუყონებლივ შინისაკენ მოჰკურცხლა.

სალამო იყო. დღის სინათლე ჯერ კიდევ განაგრძობდა ზეეზიდან დამძრული ბინდის ლანდებთან ბრძოლას. სოფლად ლამფის შუქი არსად ბეუტადა. მაგრამ მთის კაცმა, როგორც კი დაინახა ჰიშკარს მომდგარი ამანათიანი მანუჩა, ცოლს სასწრაფოდ ლამუა აანთებინა და თავად მაგიდას ფართოდ მიუჯდა. ჩოხის სახელოები იდაყეს ზემოთ აიხვეტა და მკლავები წინ დაიწყო. ზედ მალა აწურული მხრებით დაეყრდნო, როგორც ეს სჩვეოდა ხოლმე, როცა გაზეთის კითხ-

ვას უსმენდა. ცოლს წინადადება მისცა ჯოტოს მოხუცებულური ჩაქმსაჟღერდანიც მოეყვანა, მისი ზეეზიდანი მკლავდარიყვენ და ნამდვილ ახალ ამბები-სათვის ყური დაეგდოთ.

— კარგია ახლა, ჯოტოს მამავე, ახირებული ნუ ხარ. რუსულანი რას გაიგებს, ყურიც რომ დაუგდოს... ვახშამს ამზადებს, შე კაცო.—უთხრა მაკინემ.

— აი, ახლა გავიგებთ მართალს, ჩემო თვალის ჩინო, ჩვენს ჯოტოს ნამდვილად მოელის საფრთხე თუ არა. ხომ იცი: თუ ომი ატყდა, ჩვენ შვილს გაწვევა არ ასცდება. განა არ გესმის, რას არ ამბობენ? ქვეყანას დაუჩემებია, ომი უფროდ იქნებაო. რუსულანიც ამას ამბობს. ამიტომ მინდოდა მასაც მოესმინა გაზეთი.

— ღმერთმა გეაშოროს ასეთი უბედურება... რამდენ რას ამბობდნენ აქამდისაც, მაგრამ არ ვამართლებულა. ახლაც ასე იქნება.

— შენს პირს შექარი.

— ერთი შვილი ლა გეყავს... ვინ გაიწვევს? რატომ გეშინია?

— შენ ასე ფიქრობ? მე კი მგონია, ჯოტოს ამბავი რომ ვიცი, რომც არ ვაიწვიონ, იგი თვითონ წაა.

— რატომ ამბობ ამას, შე კაცო? ჯოტო ამისთანა რომ არ არის?

მაკინე მალალი, ნაზი აგებულობის ქალი იყო, ხმელი, ქმარზე უმცროსი ხნოვანობით. გადასული სილამაზისა და ახალგაზრდობის ნიშნები მის გამხდარ სახეზე უდროვო კუნობის ღარებს დაეფარათ. მხოლოდ სპეტაკი, ლაგვარდით ლურჯი და გამსჭვირვალე თვალები თუ ამქლავებდნენ მათ.

იგი მორჩილად დაეშვა მითითებულ სკამზე და ქმარს უსაყვედურა:

— ჯოტოს ენაცვალოს დედამისი: დედ-მამის ურჩი არასოდეს ყოფილა! ცოდვია, ცილს რომ სწამებ. ომში რა უნდა, კიდევაც რამ ატყდეს.

ამასობაში მანუჩაც შემოიჭრა ოთახში მალლა შემართული ამანათით. მთის კაცმა უსიტყვოდ, თავის დაქნევით ანიშნა, მის პირდაპირ ლამფასთან ახლოს დამჯდარიყო და თავის საქმეს ფიცხლად შესდგომოდა.

მანუჩამ ხელის ერთი დაკერით ვახსნა მოტანილი ამანათი ნათლიას თვალწინ. გაზეთები და ორი პატარა ზომის წიგნი ამოალაგა. წიგნები განზე გადასდო, უახლესი გაზეთი ამოარჩია, გაშალა და ცოლქმარის პირდაპირ შექთან ახლოს სკამზე მოთავსდა.

მთის კაცს ასეთი წესი ჰქონდა შემოღებული: მანუჩას კითხვა გაზეთის პირველი გვერდის პირველი წერილიდან უნდა დაეწყო. მაგრამ ამ შემთხვევაში მან ხელის გულის შემწეებით შეაყენა თავისი მდივანი.

— მოდი, ჯერ თვალი გადაავლე თავიდან ბოლომდე, თუ სადმე სწერია, რომ ომი დაიწყო, ან მისი საშიშროება თუ არის მოახლოვებული. პირველად ეს ამბავი წამიკითხე, თუ სადმეა აღნიშნული.

ჩაიციანა ამაზე მანუჩამ. წიბწოპა პირისახე წაიგრძელა და დამცინავე მცდელო თვალეებით შეხედა მთის კაცს.

— კორს ხომ არ შეურყევიხარ, შემოგველე? განა არ იცი, რომ ჩვენს გაზეთებში კორს არ ბეჭდავენ. თუმცა იყოს ნება შენი: ახლავე ენახავ, თუ ეს სადმე სწერია.—უთხრა მანუჩამ და გაშლილი გაზეთის ჩასწვრივ და ასწვრივ მომსხოდ დაბეჭდილი სათაურები გადაიკითხა.

იმის ნიშანიც არსად აღმოჩნდა, რისი გვეციც მთის კაცს აწუხებდა.

— მადლობა ღმერთს! — შევბით წარმოსთქვა მთის კაცმა და აქამდე დაძაბული სახე გაეხსნა. — ახლა შეგიძლია თავიდან დაიწყო.

— დამაცა, დამაცა... მგონია, გამომრჩია. აქ წერილად რაღაცა განცხადებაა... ძლივს შეენიშნე... მთავრობისაგან არის.

— აბა, წაიკითხე, რა არის? — მოთმინება მოიკრიბა მთის კაცმა და სმენა გაიმახვილა. მალალი გულმკერდით მანუჩას დასაშუალებად გადმოაწვა.

განცხადებაში საიყოთა სააგენტო მთავრობის დავალებით გადაქრით უარყოფდა ფაშისტური გაზეთების თავიდან ბოლომდე გამოგონებულ, ყალბ ცნობას იმის შესახებ, თითქოს წითელი ჯარის სარდლობა დასავლეთის საზღვარზე დღიდან დღე თავს უყრიდა სხვადასხვა სახის შეიარაღებულ ძალებს, რაც გერმანიის მიმართ ვითომ უდავო მუქარას წარმოადგენდა.

— აბა, აქაური კორების სათავე თურმე სად ყოფილა დამარხული! — წამოიძახა მანუჩამ, როცა განცხადების კითხვა დაასრულა.

— მაშ ტყუილი ყოფილა, რასაც ამბობენ! — გაუხარდა მთის კაცს.

— მტრების ოინებია, სხვა კი არაფერი! — დაუდასტურა მანუჩამ და დასძინა: — საკვირველი კი არის, საიდან სად მოდის ეს კორი! სად სოუ და სად ფაშისტური გაზეთები!

— აბა, — გაიზიარა მისი გაკვირვება მთის კაცმა. — ჰაერით თუ გადადის ის წყეული ადგილიდან ადგილზე. ფრთები უნდა ესხას.

— ჰაერისა და ფრთების რა მოგახსენო, მაგრამ მტერი რომ ბევრი გეყავს, ეს უეჭველია... თუმცა დავანებოთ ამას თავი, ჯოტოს მამავ. წაეიკითხოთ და დავიჯეროთ ისევ ის, რაც ქვეყანაზე ნამდვილად ხდება.

გაზეთის კითხვა ვახშმის დრომდე გაგრძელდა, მაგრამ ვახშამზედაც არ შეწყვეტილა მთის კაცსა და მანუჩას შორის საუბარი. ზოლო მისი საგანი ახლა კორი კი არ იყო. ის შეეხებოდა ინგლის-გერმანიის ომს, განსაკუთრებულად საპაერო ბრძოლის საკვირველებზე, რომლებსაც მეომარი სა-



ხელმწიფოების დებეშათა სააგენტოებში დაწერილებით აღწერდნენ.

მთიანეთის კაცის გონიერებასა და მისი მისი იყო, რაც მასზემ გახეთქი ამოიქითხა. გერმანიის საპაეო გუნდების მიერ ინგლისზე მიტანილი იერიშები მას უფრო საოცარ და დაუჯერებელ ზღაპარად წარმოედგინა, ვინემ სინამდვილედ.

მაგონად რაკი ამისთანა ამბავი მინც სინამდვილეში ხდებოდა და არა ზღაპარში, თავისთვის ჩუქად ისე სჯიდა, რომ შეუძლებელი იყო ასეთი მოსისხლე ძტოების შერიგება და შერეუება. მაშასადამე მათი ერთობლივი გამოლაშქრებაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მართლაც, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ჭორი უნდა ყოფილიყო და სხვა არაფერი.

ასე სჯიდა თავისთვის მოხუცი კაცი და გულში უხაროდა, რომ მისი საყვარელი ჯოტოს ბედი და მომავალი ამ ხანად უზრუნველყოფილი ეჩვენებოდა.

როცა ჯერი ჯოტოს მიერ გამოგზავნილ განზე გადადებულ წიგნაკებზე მიდგა, მანუჩამ ისინი ხელში აიღო და ნათლიას გამოუტყვავდა:

— ხვალ დილით აჭევეპარაზე მივდივარ ჯოგში, რადგანაც საღამოს წრის მეცადინეობა მაქვს დანიშნული. ამ წიგნებს ამალამ წინასწარ თვალს გადავაელებ, გაეარჩევ, და თუ შენთვის საინტერესო გამოდგა, როცა დაებრუნდები, მაშინ წაგიკითხავო.

მანუჩას განცხადებამ მთის კაცის მოულოდნელი აღტაცება გამოიწვია. იგი ისე ფიცხლად წამოდგა ზეზე, თითქოს საშური, მაგრამ დაეიწყებული საქმე მოაგონდაო.

— კარგი ამბავი მომავლენე, ჩემო მანუჩა. მეც შენთან ერთად მოვდივარ. ერთი ხანია აჭევეპარაზე არ მინადირნია და ჯოტოს მასპინძლებისათვის მოსაკითხი არ ჩამიტანია! მოვდივარ! დილით ადრე ვზას ერთად ვავუდგეთ.

მაკინე ამ დროს სუფრას ალაგებდა. გაუხარდა ქმრის სიტყვებზე და წაიხარებოდა.

— აქამდისაც უნდა მოგვეგონებოდა, შე კაცო. — უთხოა ქმარს. — რას იფიქრებს ის ხალხი, რომ შვილი ასე მიუხედავად გეყავს.

— სააგვიროდ მთელ ჯიხვს ჩავუტან ძღვნად... მაგის ჯავრი ნუ გაქვს... შენ ოღონდ საგზალი არ დაგვიგვიანო! — უპასუხა მთის კაცმა, ზურგსუკან ხელები შემოიწყო და თავის გადაწყვეტილებით კმაყოფილმა ოთახში გაიარა-გამოიარა.

მანუჩაც გახარებული იყო. უკეთესი თანამგზავრი ვინ ეყოლებოდა?

— უთენია კარზე დაგიკაკუნებ და მზად იყავი, შემოგველეო, — დაუბარა ნათლიას, ღამეშვიდობისა უსურვა ცოლ-ქმარს და წიგნებიანად თავის ოთახში გავიდა.

თავი მეოთხე

გათენებული ჯერ კიდევ არ იყო, როცა მთის კაცს უცერად გამოეღვიძა. ისეთი შთაბეჭდილება აჰყვა, თითქოს ძილში მაგარი მუჯღუტუნი ჰქრესო.

სწრაფად წამოჯდა ლოგინზე და მიმოიხედა. ოთახში ბნელოდა. მიხურულ დარბაზშიაც სინათლის ნასახი არსად ატანდა.

სასთუმალთან ახლოს მიდგმულ სკამზე ხელი გაათათურა, სადაც ასანთი ეგულეოდა. გაჰკრა. ღამეა აანთო. მის გარდა სხვა არაფერ იყო ოთახში. მაკინეს ლოგინიც ცარიელი აღმოჩნდა.

— ვინ უნდა ყოფილიყო! — გაუკვირდა.

მიაყურა. ჯარგელის სამზადისიდან ყრულ მომავალი ფრთხილი კაკუნის ხმა მოესმა. მოისაზრა, რომ მაკინე საგზალს ამზადებდა.

— არც ისე ადრე ყოფილა! — გაიფიქრა და წამოდგა. ფეხები ჩაჰყო დაწოლის წინ მომზადებულ სანადიროდ სატარებელ ქალამნებში და შარვალს ხე-

ლი წაატანა. ჩაიცვა, მაგრამ უცბად უცნაურად გარიხდდა. ცოტა ხნის შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არა, მუჯღღუგენი რა შუაშია? სიზმარი იყო, რომ გამომადლიძაო! — ისევ დაფიქრდა და თქმულს ხმამაღლა დასძინა:

— ჰო, სიზმარი იყო ნამდვილად! თანდათან გამოდიოდა გარინდებიდან.

მოგვიანოდ იგრძნო, რომ ტკივილივით მუცეზე წუხილი გულზე ლოდვივით დასწოლოდა, და სული გაურკვეველ ჩემ ფორიაქს მოეცვა.

ერთიც და მეორეც იმავე სიზმარს დააბრაღა.

როგორც მთიელსა და მონადირეს დიდად სწამდა წინაგრძნობა, რომლის ერთ-ერთ სახედ სიზმარი მიიჩნდა.

ხოლო ის, რაც ძილში ეზმანა, მისი ფიქრით უძველესად ცუდის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რასაც მისგან აყოლილი წუხილი ამტკიცებდა.

და პირველი, რაც აქედან უყოყმანოდ დაასვენა, იყო ის, რომ სანადიროდ მისი წასვლა ასეთი ნიშნის სიზმრის შემდეგ დაუსვენებელი იყო.

როცა თვითონ სიზმრის შინაარსის მოგონება სცადა, აღმოჩნდა, რომ იგი არ დამახსოვრებოდა. ამან მეტად გააკვირვა.

უცნაური ის იყო, რომ ამავე დროს ეჩვენებოდა, თითქოს ახსოვდა კიდევ.

კარგა ხანს ეცადა მოეგონებია იგი, მაგრამ ამაოდ. სულ კი ეჩვენებოდა, აი ახლა მომავონდება, აი, ახლა ვიტყვი, ზოგიერთ შემთხვევებისა არ იყოს, როცა ადამიანს სათქმელი სიტყვა უნაზღ ადგია, მაგრამ ვერ უთქვამს კი.

თავს მაინც ძალას ატანდა. მის მეზსიერებაში დროგამოშვებით ცალკეული შუქებივით უცნაური სახეები აინთებოდნენ, გაივლებდნენ და ისევ ჩაქრებოდნენ. საოცარი იყო, რომ ზოგიერთები თითქოს შინაურებს თუ მახლობლებს ჰგავდნენ. თვითონ მასაც კი.

მაგრამ ეს უცნაური წარმოქმნილი უმაღლე იცვლებოდნენ და უჩინარდებოდნენ. მთავარი კი რაც იყო, სახელდობრ, მათ თავს რა მოხდა, რა ამბავი დატრიალდა, ამისთვის ვერ მიეგნო.

ამის წუხილში იყო, როცა მანუჩა-მწყემსმა კარი შემოაღო, ოთახში შემოაღაჯა. აბგვიან-ქურთუქიანი წინ დაუდგა. თავი დაუკრა და დილაშვიდობიაა უსურვა.

თითქოს თავად მანუჩა არც კი დაუნახავს და მისი სალამი არც კი გაუგონიაო, ისე მიაშტერდა მთის კაცი მის ქურთუქს.

— ერთი მიბრუნდი, თუ გიყვარდე! სთხოვა შემდეგ, როცა მანუჩამ ზურგი უჩვენა, ერთხანს თვალი არ მოუშორებია მისი ქურთუქის დაღისათვის.

ამ ქურთუქისებური რაღაცა კი უნდა ყოფილიყო, რომ ეზმანა. იმას არც ვეღვა მართლა ჰგავს სიზმარში მოღანდებულს, თუ არაო. მაგრამ გაიგივება ვერ გაბედა.

— არა, ის მაინც სხვანაირი იყო! — ჩაითქვა გულში.

ამასობაში გაოცებული მანუჩა ისევ პირით მიბრუნდა ნათლიასკენ. ცდით შეხედა, ვითომ ასე რატომ მითვალთვალეზო. მაგრამ სიტყვით არაფერი უთქვამს.

მერე ის ახარა, რისთვისაც იყო მოსული:

— საგზალი მზად არის, ჯოტოს მამავ. მაკინე უკვე ჩანთაში ალაგებს. დილაც ისეთი თენდება, რომ უკეთესს მონადირე ვერ ინატრებს!

— არა, მანუჩა, — უბასუხა ცივად მთის კაცმა. — ჩემი ნადირობა სხვა დროისთვის გადაიდო, ვერ წამოვალ ჩემო კეთილო.

არ მოელოდა ამას მანუჩა. მთის კაცს ერთხელ დათქმულის შეცვლა არ სჩვეოდა. მიზეზი ჰკითხა.



როცა გაიგო, ხელი ხელს შემოჰკრა უკიდურესი ვაკვირების ნიშნად.

— ეს რა ვაგიგონე, ჯოტოს მამავ! სიზმარის მიხედულობით ვინ დადის ამ ზენს დროში, რომ შენ იარო?—უსაყვედურა ნათლიას. — ჯოტოს მამას ცრუმორწმუნოების აყოლა არამც და არამც არ შეეფერება!

მაგრამ მთის კაცმა პასუხად შეუვალა და მტკიცე სახე უჩვენა მანუჩას, ისიც მიხვდა, რომ ნათლია მისი არ ზემოზნადა.

მაშინ მანუჩამ ჯოტოს გამოგზავნილი წიგნაკი ამოიღო აბჯიდან. მის გარეყდაზე დახატული სურათი დაანახა, რომელიც მზესა და მის გარშემო მბრუნავ ღედამიწას გამოსახავდა.

— ეს ჯოტოს გამოგზავნილი წიგნია, ღედამიწის გაჩენის ამბავია შიგ ალწერილი, ბავშვიც კი გაიგებს ისე უბრალოდ. ძალიან გულმოდგინედ წავეითებე წოხლად, რათა გზა-გზა მისი შინაარსი შინთვის მიამბნა და გამერთე. ვერც კი შეგიტყობდით, ისე ავიღოდი აქაუჭარაზე, დამერწმუნე.

— როცა დაბრუნდები, მაშინ მიამბე, ჩემო მანუჩა!—მოუბრა მთის კაცი.

ამითაც რომ ვერას ვახდა, მანუჩა წამით დაფიქრდა იმაზე, თუ რა საშუალებით გადაიჯერებინა თავისი ნათლია. ალბათ, მოიაზრა, რომ ერთი ხნის შემდეგ ღბილად, თანაგრძნობით შეეკითხა:

— კი, მაგრამ, ჯოტოს მამავ. მე ისე ვაგიგე, თითქოს სიზმარი არ დაგამახსოვრდა, ასე არ არის?

— აბა, წარმოიდგინე, ჩემო ნასწავლო ბიჭო, ვერათრით ვერ მოვიგონე!—აპყვა მანუჩას მთის კაცი, რომელსაც ამჟამად მოიწონა ნათლულის ხმის თანაგრძნობიანი კილო.

— მაშ, თუ ვერ მოვიგონე და არ იცი რა დაგისიზმრა, საიდან სჩანს, რომ იგი ცუდის მანიშნებელია?

— პრო, საიდან სჩანს? — წამით დაფიქრდა მთის კაცი.—იცი საიდან? იმ

წუხილისაგან, გულს რომ მაწვა, როცა გამომეღვიძა.

— რა ნახე იმისთანაში? — როგორ გითხრა?

— მიამბე თავიდან... რუსუდანზე ნაკლებ კი არ ვიცი სიზმრის ახსნა, საღლაც წიგნშიც კი წამიკითხავს.

— აკი გითხარი, რამდენი ვეწვალე, მაგრამ ვერ მოვიგონე მეტი! რა გიამბო, როცა არ დამამახსოვრდა, თითქოს მახსოვს და არც მახსოვს. უცნაური!

აქ მანუჩამ დინჯად ჩამოართვა სიტყვა და ჩამგონებელი ხმით უთხრა:

— ჩემზე უკეთ უნდა იცოდე, ჯოტოს მამავ, რომ, თუ სიზმარზე საერთოდ ლაპარაკი დასაშუებია, არ-დამახსოვრებულ სიზმარს არც ძალა აქვს და არც მნიშვნელობა. თუ ეს ჩემი სიტყვა არ გჯერა, ვისაც გინდა, იმას ჰკითხე...

მთის კაცს სახის გამომეტყველება შეეცვალა, თითქოს მანუჩას გონიერმა სიტყვამ გარინდებიდან გამოიყვანაო.

მანუჩა მიხვდა, რომ მისმა ნათქვამმა ზეგავლენა მოახდინა მთის კაცზე, და უფრო თამამად განაგრძობს:

— ასე წარმოიდგინე: ვინმემ რომ სთქვას, რალაცა დამუსიზმრა და, ნეტავი, რას ნიშნავსო, ხოლო ის კი ვერ სთქვას, რა დაესიზმრა, უთუოდ დასცინებენ. ყველამ იცის, რომ ამისთანა სიზმარი არაფერს ნიშნავს... ამას რუსუდანაც გეტყვის! შენგან მიკვირს, რა დაგიმალო.

ამ მოსაზრებამ სასწაულისებრ იმოქმედა მთის კაცზე.

— მე კი ეს არ მომაგონდა! როგორ მოხდა, ნეტავი? მართალი ხარ! რუსუდანი რათ მიწდა! მეც კარგად ვიცი, შე კაცო! სთქვი ერთხელ კიდევ, რაც მითხარი: მიწდა კიდევ მოვისმინო. მომეწონა.

მანუჩამ გაიმეორა თავისი აზრის დასაბუთება.

— ფუი ეშმაკს, ეს ხომ მართლა ქვე-

ყანამ იცის—წამოიძახა მთის კაცმა და თავში ხელი შემოიკრა.

გუნება გამოეცვალა. ერთი ხნის შემდეგ გაეცინა კიდევაც, როცა განსაჯა:

— თუ სიზმარი არ დამახსოვრებია, მართლაც, რას უნდა ვაფრთხილებოდა, რომ უფრთხილდებოდა, ან რა უნდა აცხადებოდა, რომ არ იცოდა, რა ნახა.

ისევ ნადირობის გუნებაზე დადგა. არც კი შეეყოყმანებულა, ისე უთხრა მანუჩას:

— აბა, მომეხმარე, არ დაგვაგვიანდეს! თვალის დახამხამებაში ჩაქმული ვარ, შენ ოღონდ სანადირო საქურველი მომეწოდე!

დატრიალდა.

თოფის მიწოდების დროც მოვიდა. კედელზე ორი სანადირო თოფი ეკიდა. როცა მანუჩამ ჰკითხა, რომელი მათგანი მიეწოდებინა, მთის კაცმა ფიცხლად უპასუხა:

— დიდი კაცის ნაჩუქარი, შე კაცო, ირმის ტყავის ბუღიანი რომ ჰკიდა!

სამზადისში მათ დამზადებული საუბზე და საგზალი ელოდებოდა...

თავი მესამე

ბილიკიდან ბილიკზე გადადიოდნენ. მანძილის შესამოკლებლად ზოგან ბილიკებსაც გვერდს უხვევდნენ. საღ ანაზღეულად თვალმოკრულ ქაშანს მიჰყავებოდნენ. საღ კიდევ ადგილის ცოდნაზე დამყარებულები აღმართიდან აღმართზე პირდაპირ ადიოდნენ.

ასე მიიწოდნენ წინ სულ მაღლა და მაღლა. სანამ აჭევიარის ზორაზე გადაჰყვანილი ვრცელი სამოვრების არეს მიაღწევდნენ.

მზე უკვე მზარბგაშლილი მონარევედა ცის კაბადონს. მაგრამ მაღალი მთების მწივრეალებს აერს კიდევ ვერ გასწორებოდა. მისი სხივები ბზითის თოვლიან ჩიობს ჩივიდან აღმაცურაო მისდგომოდნენ ბრწყინალოთ. მათი ანარეკლი მთებს შორის ზურამუხტის თვალის

ვით ჩამჯდარ აჭევიარის ილაღებს თვალწარმტაცი ციმციმეფე კედელქვეშადა. ჩველი ბაეშის უმეტესად ყველგან ხამხამს გაედა ამ დილით მწვანე ბალახის ბიბინი მაღალ მინდვრებზე.

ღამის საფარველ-შემოხსნილი შორი-ახლო გამდგარი მთის გოლიათები მათ თავზე დაშვებულ ცის ლაქვარდს კრძალვით ეხუტებოდნენ. ქვევით კიდევ შორეულ ზღვას ისე გადასცქეროდნენ, თითქოს მისი თვალშეუსწრები ლივლივით იხიბლებიანო.

მგზავრების გარშემო დამატყვევებელი დუმილით მოცული სივრცეები გადაშლილიყვნენ. მათ პირისპირ, აჭევიარის ზორგით მიმავალთაც ძალაუნებურად ხმა გაეკმინდათ.

მანუჩას ცალ ხელში ლაბაშა ეჭირა, კომბალივით თავმოკაუჭებული, მეორეში—ჯოტოს ასტრონომიული წიგნაკი, რომლის შინაარსი მთის კაცისათვის გზა-გზა უკვე ეამბნა.

იგი ხან წინ უსწრებდა ზომიერი, მაგრამ ფართო ნაბიჯით მიმავალ თავის ნათლის, ხან ჩამორჩებოდა და ხან კიდევ მისი გვერდით მიცუნცულებდა. ისე უტრიალებდა გარშემო, როგორც მისი წიგნაკის გარე-ყდაზე დახატული ნამცეცა დედამიწა ვეება მზეს.

მთის კაცს მოკლე ტყავაში ემოსა, ჩოხისნაირად წელში გამოყვანილი. ქამრის გარშემო სავაზნე ჰქონდა შამოკრული. წინ მსხვილკარხანი თურქული ბანჯალი ერტყა. სანადიროდ საჭარებელი. გვერდებზე — მარცხნივ ჩანთა, მარჯვნივ — დურბინი, ტყავის მათარა დან დახეიული თოკი ეკიდა. საამაყო თოფი, ორლულიანი და ჩახმხიანი, მზარივლივ გადაგდებულ ღვეღზე კონდახით ჩამოკიდებული მიჰქონდა, პირით ძირს დაშვებული. ფეხებზე თასმით ძირგამობანდული, მესტივით მორგებულ ქალამნები ეცვა, ბალთიანი სარკათულებით გადაჭერილი პაიჭების პაჭანაკ-გამოდებული.



აქვეყარაზე ასულ მთის კაცს სულაც კი დაეწიებოდა, რაც ამ დილით შფოთი და წუხილი გადაწყდა უცნაური სიზმრის წყალობით. მისი თვალები ვერ ძლებოდნენ მათ წინაშე გადაშლილი დიადი სანახაობით, რომლის გარემოცვაში მთის კაცს თავისი ბავშვობა, სიყრმე და ნახევარკაცობა გაეტარებინა. თითქოს პირველად ხედავს ათასჯერ ნახულს. ისე იყო მისი მიუწვდომელი მშვენიერებით აღტაცებული და გაკვირებული.

ბუნების სიდიადით მოხიბლული მთის კაცი დღეს მაინცაღამინც განწყობილი არ იყო იმისთვის, რომ მანუჩას მიერ გზა-გზა დაწერილებით ნაამბობი ჯოტოს პატარა წიგნის საკვირველი შინაარსი გაეზიარებინა, რაც მისი საყვარელი დედამიწის გაჩენას შეეხებოდა.

ის დედამიწა, რომელზედაც მანუჩა ელაპარაკებოდა და რომელიც იმ წიგნშიაც ეხატა, უთუოდ სხვა იყო და არაფრით ჰგავდა ნამდვილს, მთის კაცის ნაერობს. ვერ წარმოედგინა, რომ ამ ნამდვილის გაჩენა შემთხვევით და უღვთოდ შეიძლებოდა მომხდარიყო.

მისი გონებისათვის განსაკუთრებულად მიუწვდომელი აღმოჩნდა მანუჩას მტკიცება, თითქოს დედამიწა, რომლის სოლ მკირიოდენ ნაწილს იგი ახლა ესოდენი მოჯადოებული და ხმაჩამუნდილი სჭირებდა, სამყაროს უსაზღვროებაში შეტყობრილ უმნიშვნელო რასში ნამკიცს წარმოადგენდა.

ყოფრო თავის აონების დახშულობას მიაწირდა, რომ წიგნის მტკიცება ვერ გაეზიარებინა. მანუჩას თუმცა ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ერჩივნა ამ საგანზე ისევე თავისი ძველი შეხედულობა ჰქონოდა, რაც მის მარტივ ქვეყნის შეგრძნობას უფრო შეესაბამებოდა.

მაგრამ, რადგანაც დაბეჭდილი წიგნებისადმი პატივისცემა ჩვევად გადატეოდა და როგორც ნასწავლი შეილი-

სა, ისე ნათლულის დიდი ბათიცი ჰქონდა ყოველთვის, თავისი ქვეყნის მანუჩას არ უმცლავნებდა. მისი წიგნი შეუფერებლად მიაჩნდა.

მხოლოდ ახალი სწავლისადმი დაფარული უნდობლობის გამომხატველი დიმილი ცალ-უღვაშქვეშ, ტუჩების კუთხეში, მაინც ძალაუწებურად ჩასდგომოდა, რასაც თვითონვე გრძნობდა. რომ იგი მანუჩასაც არ შეეგმნია და არ სწყენოდა, თავის დევეური ნაბიჯის დგმა მის გულმოდგინე ცუნცულთან თავაზიანად შეეწყო და მისი ვითომდა შემცდარი შეხედულებისადმი ლმობიერი დამოკიდებულების ნიშნად კუხივით წაბრილ მხარზე თათუნით ხელი ჩამოედო, თავისთან ახლოს მოფერებით მოეზიდნა.

ასე მიდიოდნენ, სანამ ნახირისა და მწყემსების მიერ მალალ ბალახში გატეპნილ ბილიკს შეამჩნივედნენ. აქედან უკვე დაინახებოდა იალალის ერთ მხარეს ჯგრო-ჯგრო შეფენილი ნახირი და მისგან მოშორებით ზეგანის დაცემულ ადგილას ჩადგმული ფერმის დიდი კარავი, რომლის თავზე დიდი წითელი დროშა იყო ამართული.

აქ მთის კაცი შესდგა, მანუჩას წინადადება მისცა გზა განეგრძო კარვებისაკენ და თავის საქმეს სწეოდა.

— მე კი ახლა კარვებში რა მესაქმება, ჩემო მანუჩა. ღამის გასათევად თუ გეწვევი საღამოს. მანამდე ნაცნობ სანადირო ადგილებს მოვივლი, იქნება სათოფეს რამეს წაეაწყდეთ.

ამ სიტყვებით მარჯვენა ხელი მეკობრულად შორიდან მოიქნია და ჩამოსართმევად გაუწოდა. მანუჩამაც ორივე ხელით ჩაბლუჯა იგი, გამარჯვება უსურვა ნადირობაში, გამოემშვიდობა და გაეცალა.

მათი ერთად მგზავრობაც დღეს ამით დასრულდა.

სანამ სანადირო ადგილებსკენ გზას გაუდგებოდა, მარტო დარჩენილმა მთის კაცმა მონადირის ჩვეული გულჩათხრობილობით ჯერ შორიდან შეათვალიერა ისინი. არც ისე შორს იყო მათგან. იცოდა, რომ ჯიხვი და არჩვი ბზიფის მთავრეხილს კვარცხლბეკივით შებუგენილ ქარაფიან მისადგომებს ეტანებოდნენ, რომლებს ძირში აქავე-ქარის ჩამუქებული იალაღები გაწოლილიყვნენ.

ამ სიშორიდან ღურბინდში გახედვა არც კი დასჭირვებია მთის კაცს, ისე ნათლად წარმოედგინა კლდის ნაბრალეებზე თოკივით დაკიდებული ნადირის ნაცნობი სავალი ბილიკები, რომლებითაც ჯიხვები ჩვეულებრივად ღამის პირზე დღის მიოვალი სამყოფელიდან საძოვრიბზე ჩამოდისოდნენ.

ამ ბილიკების არე საჯიხვე ადგილებად ითვლებოდა ბზიფში, და ნადირობაც იქ იმართებოდა.

მთის კაცმა ამ ნაცნობ ადგილებს მიაშურა.

თავი მეთხმე

არც ისე ადვილი აღმოჩნდა ტანაყრილ, მზის სხივებით დაეარცხნილ, სრიალა და გაუთვლავ ბალახში გზის გაყოფვა. მოალა ბალახი ზოგან წყლამდე სწვდებოდა. მოალე ტყაპოჭის ჩობასა და პაიჭებზე ეხვოდა, თიხებს ქვეშ იგებოდა და მის ძირგამობანდულ ქალამნისაც ცივასაით აცოვებდა.

ასე მიდიოდა, სანამ ანაზღაოლად ნეხე-მოთინილ საქონლის ნაფხურებსა და ნაწოლ ადგილებს წააწყდებოდა, ვეება ბუღიარის ოღენა კვლებად ბალახში დარჩენილებს.

აქ მიწიდან ნიაგით აშლილი ნეხვისა და საქონლის მსუყე სუნი ეცა და

ყნოსვა ისე საამოდ გაუღიზიანა, მითქოს უამესი სურნელი შეეჭვებოდა. მაშინვე შესდგა ნასამუხვე მისთვის პირველი ნაკადის ღრმად შესუნთქვა ვერც კი მოესწრო, რომ მეორეს ეძებდა პაერში დასაწყაფებლად, ხოლო იმითაც ვერ გამძღარიყო დახარბებული.

— აქვე უნდა იყვნენ ახლოს დალოცვილები! — სთქვა და სწრაფად დაწინაურდა. მიმოიხედა. ცოტა მოშორებით ჩაზნექილი და ჩრდილმიმდგარი საქონლის საყარი შენიშნა. საძოვრის დაქანებულ კიდეს მიფარებული.

ჯოჯისაგან განამირებული რამდენიმე წიქარა ძროხა და ხარი დაღანდა ბალახში. მისმა თვალებმა დანახვისთანავე გაარჩიეს პირნათელა, ირემივით ტანმოქნილი, ზქაფსიტა ძროხები და მხარმაღალი, თეთრ-რქიანი ლომა ხარები.

მისი საყვარელი და ნაამაგარი სანელგანთქმოლი მეგრული ჯიშის საუკეთესო წარმომადგენლები სჩანდნენ. ზოგი ძოვდა, ზოგი საქოვრის კიდურზე ვადამდგარიყო ხარირემივით თავალერილი, ზოგი იწვა, ვეშაპივით ვეება, და იცოხნიდა.

გზასაც მათკენ მიყავდა, და ახლოს მისვლა მოუნდა.

სად იყო, სად არა, როგორც კი ვადადგა ნაბიჯი, კისერთაფარიანი, ლომისოდენა ძოლოები შემკვეი ღრენით წინ გათაოღინენ. მაგრამ მაოო ისე დასცხრნენ, როგორც კი იცნეს ხშირი სტუმარი, განზე ვადგნენ.

მთის კაციც შესდგა, მათი მოქცევით კმაყოფილი. სახელი უწოდა რომელსამე, სიფხიზლე შეუქო. მოსაფერებლად მიახლოვება სცადა. მაგრამ ჯოჯის ერთგულმა გუშაგებმა დარაჯობის წესი მტკიცედ დაიცვეს, თავი შორს დაიჭირეს.

ვინც უნდა ყოფილიყო მოსული, მაინც სტუმარი იყო.

მოლოიარე ხარობმა ყმალოი ცოხნა შესწყვიტეს, სწრაფად ზე წამოიშალ-



ნენ. მძოვრებმა ძოვას თავი ანებეს, ხოლო კიდევ გადამდგარნი მთელი ტანით მთის კაცისკენ ერთბაშად შემოტრიალდნენ. შთანხმებულბევით ნესტოების აფრები დასკიმეს და ნაიალადარი, ცეცხლის მფრქვევი თვალებით შემფოთებული მზერა დაუწყეს, თითქოს ფარულ განზრახვას უსინჯავენო.

— მაამოჰ!— შეეხმიანა მთის კაცი მშვიდი მოალერსე ბოხი ხმით და, მათი შესახედობით კმაყოფილმა, ჯერ ყველას ერთად მოავლო თვალი, მერე თვითებული ცალკე შეათვალიერა.

სიანდა, მისი შეძახილის კილო ეამათ ხარებს. ვაგონებისთანავე დაწყნარდნენ, ერთხანს კიდევ ცდიდნენ უცქირეს და შემდეგ, თითქოს სტუმრის ზორბა ტანი და მორკმულობა მოეწონათო, მისი ხმის კილოს მიბაძვით მოკლე ჩაბლუვილებით უბასუხეს.

სიამაყის გრძობამ გული აუტოკა მათ შემყურე მთის კაცს.

მოაგონდა ამ ზაფხულს აკავებარაზე გამართული დიდი საზეიმო შეკრება, — იქ, სადაც ახლა მესაქონლეობის ფერმის კარები იყო გამართული.

სოუს კოლმეურნეობას იმ შეკრებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშა გადასცა მთავრობამ. ზეიმს დაასწრეს საჩვენებლად ასეთივე ძროხები და ხარები, რომლებსაც ახლა ასე ალტაცებული უცქერდა. შეიძლება თავად ესენი ყოფილიყვნენ იმ შეკრებაზე წარმოდგენილნი.

ზეიმზე ჯოტომაც წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც მთის კაცი მისდამი მადლობის გრძობით აღავსო. საამაყო იყო მაშისათვის შვილის გონიერი და ლამაზი სიტყვის მოსმენა. გარდა იმისა, რომ მან თავისი მშობელი მიწის მკვიდრი ჯიშის ღირსებანი სწორად აღნიშნა, არც ის ხალხი დაივიწყა, რომელმაც მის მოშენებას არა ერთი თაო-

ბის სიმხმე და შრომა შეაღწია, დიდ სახალხო საქმის წამოშენებაში მისი ძლიერი გვარიც დაასახელა. სხვა მოამბენიც არ გამორჩენია ერთის გარდა.

ჯოტო მაშისაგან ვაგონილს ამბობდა, თავით ბოლომდე მართალს და უტყუარს.

გამორჩენილი მოამბე კი ქარღუას გვარი იყო.

ჯოტომ იგი უთუოდ განზრახ გამოტოვა და არა გულნაიფყოებით. ალბათ, მორცხეობამ არ დაანება მისი დასახელება, რადგანაც თვითონაც ქარღუაა. უკადრისობითა და ქედმაღლობით, რა თქმა უნდა, არ მოუედიოდა. მთის კაცს გული მაინც დასწყდა. მიუხედავად ამისა, შვილს გვარის ამავის მოუგონაობა აბატია, რადგანაც დანარჩენი რაც სთქვა, კარგად სთქვა. კერძოდ კი მისი, ბათუ ქარღუას, ამბავი ისედაც ვინ არ იცის?

შემთხვევით კი არ მომხდარა, რომ ზეიმზე მას ადგილი დაუთმეს საპატიოდ მოწვეულთა შორის, იქ, სადაც სახელოვანი გარდამავალი წითელი დროშა იყო გაშლილი.

ამას რომ იგონებდა, თვალს არ აშორებდა მის წინ მოშორებით მდგარ ძროხებს და ხარებს, თითქოს მოვლისა და პატივის მზრივ რაიმე ნაკლის შემწინევას სცდილობსო თავისი ამაყური გრძობის დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამის ნაცვლად ძალაუზნებური შური იპყრობდა, რომ მის ხელშეუვლებლად ისინი კარგები იყვნენ და მათ ახალ მომწველებს მთავრობის ჯილდო დამსახურებულად ჰქონდათ მიღებული.

დრო რომ ჰქონოდა, კიდევ დარჩებოდა აქ, ფიქრითა და მოგონებით ვართული.

ძლიეს აიდგა ისევ ფეხი.

ამ ხნის განმავლობაში ძროხების წინ ბალახში ფეხის მოუცვლელად ჩამდგა-

რი ძაღლებს ხათრით თავი შორს დაიპირა ნახირისაგან. ახლო მისვლის განზრახვა არ დამწამონო. და ისე განავრძო ვზა საჯიხზე ადგილებისკენ.



სანამ მთაში საღამოს ბინდი ჩამოწოლას არ დაპირებდნა, მთის კაცს არ შოუსვენებია. აკიაფდნენ თუ არა მწერრვალეებზე მზის უკანასკნელი სხივები, თავი ანაბა საჯიხე ადგილებს და პირი კარვეებისკენ იბრუნა.

სად არ ეძია ნადირის კვალი, სად არ სდია მიგნებოლს! არც თავი დაზოგა, არც ძაღა, მაგრამ ნადირმა. თითქოს გაფრთხილებული ყოფილიყო, სათოფეზე არ გაიქარა.

თავის დღეში ამისთანა მარცხი არ შემთხვევია.

— მგონია, დაებრთო!—ფიქრობდა გულში და იმ დროს შენატროდა, როცა არც კი იცოდა, თუ რა იყო მარცხი.

ახლა თავს იმით ღა ინუგეშებდა, რომ ნაჭები თოფი ერთხელაც არ გაოსროლია და ძვირფას იარაღისთვის შეინც სირცხვილი არ უჭმევია. ზოლო ის კი არ იცოდა, ხელკარიელი რა პირით გამოცხადებოლიყო თერმანში, სადაც. ალბათ, მანუჩა და მისი ამხანაგები, როგორც ყოველთვის, ახლაც ნანადირევით დაჭირთულს მოელოდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი წართყანით ერთი დღის ვაიოდენა. გინდ ორისა და მეტისაც. ბევრს არაფერს ნიშნავს აჯიხებზე ნადირობის დროს. ამ შემთხვევაშიაც არ ექნებოდა ამას მნიშვნელობა, რომ მთის კაცი ჩვეულებრივი მონადირე ყოფილიყო და სწორობოვარის სახელი გავარდნილი არ ჰქონოდა.

დაოლილი და უჯუნებო იმავე მართულებით მიიკვლიდა ბალახში გზას, რომლითაც აქეთ მოდიოდა დილით. გულში ზეალის იმედი ჰქონდა, რომ დღეიანდელ მარცხს ორმავად

აინაზოაურებდა. მაგრამ ეს იმედი გულს შემოწოლილ წუხილს მანქანის უმარწყვლებდა.

ამ წუხილში გზა-გზა ამდილანდელი შფოთივ მოავონდა, უცნაური სიზმრიდან აყოლილი, რომელიც მთელი დღე ნაქმდე არც კი გახსენებია. თავში უნებლიედ გაუეღვა:

— იქნება, სიბერე არაფერ შუაშია,—ის სიზმარი ხომ არ ამიცხადდაო.

ერთთავად გაუხარდა კიდევაც ამისი გაფიქრება.

— თუ წუხელ ეს მარცხი მენიშნა და სზეა არაფერი, კიდევ არა უშვავ რაო!— შეიმსუბუჩა ვითომ დარდი. თუმცა გაშბილებაზე უარესი რა უნდა დამართნოდა ისეთ მონადირეს, რომელსაც არც ერთი გაცდანილი დღე არ ახსოვდა თავის სიცოცხლეში.

რაკი წოხანდელი სიზმარი მოავონდა, მასზე ფიქრი აეკვიტა: იქნება, ახლა შეინც ვახსენებოდა მისი მოუგონარი შინაარსი, რომელიც ენაზე ადგა, მაგრამ ვერ კი ეთქვა.

სწე ფიქრიანი განავრძობდა გზას, ნივით თარწიული მღალაი ბალახის ტალღებში გახვეული.

თავი მისმინო

თავის დასავალს მიწაინოლ მზეს ზოვის მზრის მთები აფარებოდნენ და ამაღარის ჩაზნაქილ. უღივრბილიზე საღამოს ჩრდილები კილით კილიმდე მომოთანტათ. მწაღლ თხიშობზე ასტლირილი სხივის ნაკადები შორს ჰაერში შიპრილიყენენ და, ცის ლაყიარდს შეთინილები, უკანასკნელი თავშესაფარისკენ—კავკასიონის მწერრვალეებისკენ პირდაპირი ზაზით წარმართულიყენენ.

ბევრს მათგანს სივრცესთან ჰიდილისთვის ვერ გაეძლო, დაღწილიყონ და ბრჭყვილა ნამსხვრევით მოეკირწყულა განვლილი გზა, რომელიც ირმის ნახტომის ზოლივით ზეცას ციმციმით



გართხმობდა. მისი ნაბერტყი მტერის მოციმციმე შეხედები მზინვარე ფერთა ჩქარობად ქცეულიყვნენ და, მალლიდან დაქანებულნი, დედამიწას ჩხრიალით თავს გათათრქვეოდნენ,—ძირს ჯურღმულეებში ჩასათრებული ღამის ლაშქრისთვის უკანასკნელად შიშის ზარი დაეცათ.

ცაც და დედამიწაც დღე-ღამის მოახლოებოლი შეყრის მოლოდინში იმყოფებოდნენ. ერთიც და მეორეც ისეთ თრთოლვას აეტანა, თითქოს სამკლროს სასიკოცხლო ომის საცქერად ემზადებინათ.

ჭიღობის სიმშალოს თავშითარებოლი სინათლის ხმლის ქნევას შუილი გაქონდა სიერციდან სიერციში, მაგრამ ყოველი მხრიდან შემოწოლილი ბინდისთვის გზა მაინც ვერ გადაიჭრა.

თავის ფიქრებში გართულს მთის კაცს თითქოს არც კი ეცალა იმისთვის, რაც მის გარშემო, ძირს თუ მაღლა, ბუნებაში ხდებოდა. მაგრამ მისდა უნებურად საოამოს მოახლოებით გამოწვეულმა სახიების და ფერების საკვირველმა მოძრაობამ მთიდან მთაში მისი ყურადღება მალე მიიპყრო და მერე კიდევაც გაიტაცა.

მზის ამოსვლაზე არანაკლებ მომხიბლავად მიაჩნდა დღისა და ოამის საოცარი ზითილის სურათები მზის ჩასვლისას აჟაჟარაზე.

— აქაც ოამით, — ამბობდა იგი და გოლით ენანებოდა დღე, რომეოსაც ერთი სნათის სიცოცხლე და დაჩენოდა აღსასრულამდე.

როგორც გაზითის მოტანილი დიდი თუ წარილი ამბები ეეროპაში მიმოინარი ოამის შესახებ მის ყურადღებას არ გამოიპარებოდა ზოლმე, ასევე აქაც არც ერთი ჩქამი, მაოლა ჰაერში თუ ძირს მიწაზე გახმინებული, მის ყორთასმინას არ ასკოინოდა. არც ერთი ფერი თუ სახე, შორს თუ ახლოს გალიეოიერბული, მის თვალთახედვას შეუშინეველი არ დარჩენოდა.

ბინაში მისელა არ ეჩქარებოდა. ნელი ნაბიჯით მიჰყებოდა მზის მთაქნიქ დარჩენილ თავისავე დილის ნაკვლევს.

ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა ანაზდუულად შენიშნა, რომ საძოვრის ერთი კუთხე, საიდანაც ბზიფის მთების მიღმა კავკასიონის მაღალი მწვერვალების ხედი უფრო ფართოდ იშლებოდა, უცებ ცეცხლის აღმა დაფარა.

ვერ მოასწრო იმის გარჩევა, თუ რა იყო ის უცნაური მოვლენა. რომ იცეკასიონის მხრიდან ქარიშხალივით უცებ მოვარდნილმა ცეცხლმა ჯერ ის არე ჩანთქა გურგორით და მერე საძოვრის მთელ სიერცეს ისეთი თქრიალით მოედვა, თითქოს ზოდ ათასმა ზღაპროლმა წითელმა რაშმა ქიხვინით გაიჯირითათ.

მთის კაცის გახედვა კავკასიონისაკენ და გაოცება ერთი იყო.

მთავარი მთავრბილის გაყოლებახე ისეთი ხანძარი ანთიბოლიყო, რომ იცვი თვალს ვერ გაუწწორებდა. ოთრო სასწაულს ჰაედა, ვინემ სინამდიეოლეს. ბეერის მნახველს მთის კაცსაც არ სჯეროდა, რასაც ომზერდა:

ჩამავალი მზის სხივების ოაიქმისა და უოქრეისაგან მის ნაცნობ მწვერვალებს ნამდიელი ციციხლი წაპიიებოდა. ერთი მეორის მიყოლებით ისინი წამთაოწომ აღის ოწყვირ ბურბოშელებს ამოისროდნენ, რომელთა ბზინვარება შუადღის სინათლესაც კი დაჩრდილავდა.

კიღით კიღემდე ზოკას შეფინილ ციციხლის ანარაკლს ზესკნელის სიღრმეებიც კი გაენათიბინა. სიერცის თვალგაუწუდენილი მანძილები გავარჯერბოლი დეღეფისა და კაშკაშა ნაპერწკლების კორიანჩაგლს შოიევა.

ჰაერში მიმოჰქროდნენ ციციხლის ფრთიანი ვიება მოგუზოები. რომლეებიც თაეზარდამეცემი ზუზუნით მახლობელი მთების კედლებს ეჯახებოდნენ,

მათ ძირში ჩაფენილი ტყეების თავზე ნაკვერცხლდებოდნენ და უფსკრულში შხვილ-სივილით ინთებოდნენ. იქოდან წამოშლილი ბნელეთის სახეები ვეება ლანდებივით დედამიწის კიდურებს შემზარავი ქანობით შეჰფენოდნენ.

გაკვირებული მთის კაცი ეჭვმა შეიპყრო:

— იქნება, მეჩვენებაო.—ხელის გული თვალეზე ჩამოისვა. მერე ისევ გაიხედა.

ახლა თვალწინ უარესი უცნაურება გადაეშალა:

კავკასიონზე ატეხილ ორომბრიალში ვახვეული უცხო ლანდები და სახეები უცებ ისე წამოესახნენ, თითქოს სადღაც ენახა ისინი. საკვირველი ის იყო, რომ მათ შორის ვითომ თავისი აონ-ლოც შეიცნო, ზღაპრულ რაშივით ფრთებშესხმული და ჰაერში შეფრინილი. ხოლო ანთებულ სივრცეში მჭროლავი მოგუზღები ახლა ისე ელანდობოდნენ, თითქოს ნამდვილად ცეცხლის მტრქვევი თვითმფრინავები ყოფილიყვნენ.

შეიძლება, იმას, რაც სინამდვილეში კავკასიონზე და მის გარშემო ბუნების ჩვეულობრივი წესით ხდებოდა მზის ჩასვლისას, მთის კაცი სადღაც ნახოლში, თუ მოჩვენებულსა და გავანილში ურედა.

იქნება, ვაზეთებიდან მანუჩას მიერ ამოკითხული საჰაერო ბრძოლის ამბები აგონდობოდა, და მისი უცხო შეუსაბამო წარმოდგენებიც აქედან იყო წარმოშობილი!

შარამ აქამდე გაკვირვებისაგან სულ-განაბოლი, უძრავად მდგარი მთის კაცი უკებ რაყიანაკრავივით შეჰქანდა და წინ ჩიმიკენ წასდგა ნაბიჯი, რათა მოჩვენებათ ვითომ უფრო აბლოდან დაიკრიბოთა.

ამ ეკლობაზე ისე მოჩვენა, თითქოს ერთ-ერთ მოლანდებულ თვითმფრინავზე მისი ვაგი იჯდა, შარავანდელის

მსგავსი ნათელით მოსილი და ხანძრის კამარაში გაბედულად შექცობოდა.

ამ ხილვით შეკრულნი სულს გურო მოეთქვა, რომ შორეულ კიდურებზე მიფენილ უცხაურ ლანდთა შორის მანუჩას ხეთ-თისა ქურთუკი წარმოესახა, უმანუჩოდ. — ვეება, გაბერილი, ცოცხალივით მჭმინავი...

ამის მოლანდება და მთის კაცის გამორკვევა ერთი იყო.

მიხედა, რომ სინამდვილეში კი არ ხდებოდა. რასაც ჰხედავდა,—უხეხანდელი სიზმარი ახსენდებოდა.

— სიზმარი! — ისეთი ათრთოლებული ხმით წამოიძახა, თითქოს ამდენი ხნის მოუგონარი სიზმრის გახსენებით გამოწვეული სიხარული და მისით შოაგონიბული შიშქუნებაც ერთსა და იმავე იროს გამოხატაო.

და ამ დროს ხანძარი ისევე მოულოდნლოდ ჩაჰქრა მთაგრიბოლზე, როგორც დაინთო. მხოლოდ ბეწვისოდენა მისი ნაწური, ცის მაღალ კიდურზე გართხმული, აერ კიდევ განაგრძობდა ციმციმს. ხანძართან ერთად გაჰქრნენ მოჩვენებებიც.

არც მთის კაცის წარმოდგენაშე დარჩენილან ისინი, გარდა ერთისა. რომელიც შორაოლ რაბნობზე გართხმულ ხანძრის ნაწურის მზგაესად მის განცვიფრებულ გონებას შიკითებოდა.

ეს იყო ირეზლის კამარაში მოლანდებული. შარავანდელით მოსილი სახე რაინთი მფრინავისა, მის მიერ შეილად შეცნობილი.

• •

მთის კაცი შთაბეჭდილებისაგან აერ კიდევ არ იყო გამორკვეული, რომ ზურგს უკან ცხენის თქართქური გაიგონა. ვერ მოასწრო მისკენ მობრუნება, რომ უმაღლე ძახილიც მოესმა:

— ქეეაუუ, ჯოოოტოს მამაე!

ხმისკენ მიბრუნებულმა მთის კაცმა

თვალი მოჰკრა მხედარს, რომელსაც მიათვის გვეოდი აველო. უცნობა, ალბათ, იგი ვერ შეუხიფხავს და, მთის კაციკეზ ზურგაქვეული, ცხვის ახლა სხვა მთარეს მიაქევიდა.

მთის კაცმა ხათლად დაინახა, რომ მხედარს, ზოგზე ხუთ-თითიანი თეთრი ნიშანი აჯდა.

— ნუ თუ მანუჩაა? — სთქვა გაოცებულმა. ხოლო უძალე ისიც გაიფიქრა:

— შორეული მოჩვენებები ხომ არ დამიახლოვდნენო. მაგრამ მხედარი იოჩვენებას არ ჰგავდა.

მათინვე შესძახა:

— ჰეი, აქეთ? აქა ვარი—და მისკენ გაიქცა.

არ გასულა ხანი, რომ ცხენიდან გადმოსული, აქმინებელი მანუჩა იღვა მის წინ:

— ჯოტოს მამავ, ომია, ომი!

— არა, მოჩვენებაა უთუოდ!—ფიქრობდა მინც მთის კაცი და თვალს არ აშორებდა თავის ნათლულს, თითქოს ვერ სცნობსო.

— ომიო... — განაგრძო სუნთქვასა და სუნთქვას შორის მანუჩამ.

— ეს არის სოხუმიდან ამოსულმა აგიტატორმა სთქვა... მიტინგია კარვის წინ... ძლივს გიპოვნე... ჰა, ცხენი... იჩქარე, მოუსწრებ.

მთის კაცი გამოერკვა, მაგრამ ერთ ხანს ხმა არ ამოუღია.

— ჰო, ომიო! ესეც არის, მიტინგზე გამოაცხადეს! იჩქარე, წადი.

ამის შემდეგ აღარ დაუყოვნებია მთის კაცს. მანუჩას სადავე ხელიდან გამოსტაცა, აბეანდისათვის ფეხი არ წაუკარებია, ისე ადგილიდან ზედ მოეკცა უნაგირს.

— უკან მომიჯექ! — შესძახა მანუჩას, ცხენიდან დასწვდა, ხელი წაატანა, ნაფოტივით აიტაცა და ზურგსუკან მოისვა.

გაქუსლული ცხენი მინდორს ოთხ-ახმით თავს გადაავლო.

— ბუბუტ ამბაა კომიტეტიდან რომ გვეწვია, ჯოტოს მეგობარე... რომ აოის...—ძლივს გააგონა მანუჩას ნათლიას ცხვის კენებით აწივლებულ ქარში.

— ჰო, — თითქოს კიდევ სთქვი, რაც იციო, მოკლედ წააქეზა იგი მთის კაცმა, რომელსაც, სჩახდა, ხმის ამოღება უძძიძდა.

— ნამდვილი ამბავია! გერმანია დაგესხმია თავს, ომის გამოუცხადებლად...

— გერმანია... — თითქოს თავისთვის გაიმეორა მთის კაცმა.

— ომი დაწყებულა... ორი დღეაო, თუ არ ვცდები. ბუბუტი წუხელ გამოსულა სოხუმიდან. სოუში ჯერ არ ყოფილა, მგონია... დიდი მობილიზაცია მიდისო...

ქარი სიტყვას პირიდან აცლიდა მანუჩას, სუნთქვას უკრავდა. ის მაინც განაგრძობდა:

— ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს იმი-სა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ასე უთქვამს ბელადს: ჩვენ გავიმარჯვებთო...

ამბობდა იგი, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რომ მისი სიტყვები მოპირდაპირე ქარის ზღუღნში მთის კაცის ყურამდე აღწევდა, რადგანაც იგი ღუმლის დარღვევას არ აპირებდა...

სიამის მმრამე

საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ბუბუტ ამბა მაგიდაზე იღვა კოლმეურნეობის ფერმის მთავარი კარვის წინ, მზრებზე მოკლე ნაბადი მოეგდო. თავზე კეფისკენ გადაადებული დაბალი ფაფახის ქუდი ეხურა.— მაღალი, ტანხმელი ახალგაზრდა სჩანდა.

გაშლილი ვაზეთი ეჭირა ხელში.

მისი გვერდით ფერმის გამგე, მიტინგის თავმჯდომარე სამსონ ლარაქე იღვა, ზორბა, სქელი ტანის შუახნის ვა-

ყაცი, წითური წვერულვამიანი, მახარის პალტოში გახვეული.

დღის სინათლე ჯერ კიდევ არ გამქრალიყო აქვეყარის მაღალ ზეგანზე, მაგრამ ღირეკტორს მაინც ანთებული ცეკარი ეჭირა ხელში და აშბას უნათებდა.

მაგიდას გარშემო ასამდე კაცი შემოხვეოდა, ეინც კი კოლმეურნეობის ჯოგს მომსახურეობას უწევდა მთაში, აქვეყარის ყველა საძოვრიდან და ბანაკიდან თავმოყრილი—დაწყებული მწველულებით და გათავებული ბეითლებით.

ერთი კაცივით სულგანაბული კრებული ბუბუტ აშბას მისჩერებოდა.

არავის შეუმჩნევია მთის კაციაა და მანუჩას მოსულა. ისინი ცხენიდან მოშორებით ჩამომხტარიყვენ და ფეხაკრეფილები მაგიდას მოახლოებოდნენ.

ბუბუტ აშბა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ხელმძღვანელის ვ. მ. მოლოტოვის განცხადებას კითხულობდა.

გაზეთის კითხვის მოსმენას დაჩვეულ მთის კაცს არც ერთი სიტყვა აუთვისებელი არ ჩნებოდა.

— „საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ამხანაგმა სტალინმა დამავალეს, გამოვიდე შემდეგი განცხადებით: დღეს დილის ოთხ საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარმოუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. იერიში მოიტანეს ჩვენს საზღვარზე და თვითმფრინავებიდან ჩვენს ქალაქებს ყუმბარები დაუშინეს“.

სახე-მოლუშული მთის კაცი ისე შესცქეროდა მაგიდაზე მდგარ აშბას, თითქოს თვალთ ხედავსო სიტყვებს, რომლებსაც იგი ამბობდა. ზოგიერთს მათგანს შეუგნებლად, ჩუმად თავისთვის იმეორებდა უცნაური სიბეჯითით:

— „იერიში მოიტანეს ჩვენს საზღვრებზე“...

„ჩვენს ქალაქებს ყუმბარები დაუშინეს“.

ამ დროს ჩამოწოლილ სველ წარბებს ფრთებივით შლიდა და ისევ ჰკეცავდა, პირისახის კუნთებთან ერთად. უძრავი ტანი კი გაქვეებოდა.

აშბა კი კითხვას განაგრძობდა:

„მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირზე ამ ყაჩაღური თავდასხმისათვის მთლიანად და სავსებით ეკისრება გერმანიის ფაშისტ მმართველებს...“

ახლა, როდესაც ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა, საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ჯარებს უბრძანა უკუაგდოს ყაჩაღური თავდასხმა და გერმანიის ჯარები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან განდევნოს.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ჩვენი მამაცი არმია, ფლოტი და საბჭოთა ავიაციის უშიშარი შევარდნები ღირსეულად მოიხდიან ვალს სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე და მომხდურ მტერს გამანადგურებელ ლაზარს ჩასცემენ“...

ავიაციის ხსენებაზე მთის კაცის წარმოდგენაში კავკასიონის თავზე ამას წინად მოჩვენებულმა ცეცხლის მფრქვევმა თვითმფრინავმა ელვის გაკრთომასავით გაინეარდა უშიშარი მფრინავითურთ, რომელიც ახლაც ჯოტოდ შეიცნო.

„საბჭოთა მთავრობა, — კითხულობდა ბუბუტ აშბა, — მოგიწოდებთ თქვენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქეო, კიდევ უფრო შეამკიდროვოთ თქვენი რიგები, თქვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.“

„ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

მიტინგი გრძელდებოდა.

ბუბუტ აშბა ფერმის ორატორებს შეეცვალა მაგიდაზე, რომლებიც დამსწრეთ სამშობლოსათვის სიცოცხლის გასაწირავად მზადყოფნისაკენ მოუწოდებდნენ.

მთის კაცი ამ რიგობაზე იმაზე ფიქრობდა, რომ ბუბუტ აშბას როგორმე პირისპირ შეხვედროდა და ჯოტოს ამბავი გამოეკითხნა. დროს არჩევდა, რომ უხერხული არ გამომდგარიყო მასთან მისვლა და შვილის შეგობარს თვალს არ აშორებდა.

სამწუხაროდ, მაშინ შენიშნა კარვის სვეტზე პაპიროსის ბოლებით მიყრდნობილი აშბა, როცა თავმჯდომარემ სიტყვა მანუჩას მიაკუთვნა. მთის კაცს დაენანა, რომ თავისი გაზრდილის სიტყვას ვერ მოისმენდა, მაგრამ მაინც შეეღია:

— მერე, იქნება, აშბასთან სალაპარაკოდ ასეთი მომარგებელი დრო ვერც კი ვიპოვნო! — გაიფიქრა და ჯიქურ მიიჭრა მასთან.

გაუკვირდა აშბას მთის კაცის დანახვა.

— ჯოტოს მამავ, აქ საიდან გაჩნდით? — ჰკითხა და ხელი მაგრად ჩამოართვა. მთის კაცმა პასუხად თავისი თოფი დაანახვა უსიტყვოდ, ვითომ სანადიროდ ამოვედიო. მერე უთხრა ნალელიანად:

— ცუდი ამბავი გვაუწყე, ბუბუტ!

— ცუდი, მაგრამ არაფერია, მთის კაცო! ჩვენ გავიმარჯვებთ. მთავრობის განცხადება ხომ მოისმინეთ?

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, შვილო! — ლოცვის კილოზე წარმოსთქვა მთის კაცმა და თვალები ცისკენ აღაპყრო, — მოლაღატეს დიდხნის წარმატება არ უწერია, ბუბუტ.

— ნამდვილი სიტყვაა! მტერი ორმაგად ზღაპს სამაგიეროს, მთის კაცო.

მომი არ გვაქვს: წინ ჩვენი სიმაართლე და ჩვენი სტალინი გავგეჟღერებოდა.

— როგორც ყოველთვის, მაგრამ გამარჯვებული გვეხახოს ჩვენი დიდი კაცი, ჩემო შვილო!

მთის კაცს მაინც ის აზრი უტრიალებდა თავში, თუ როდის ეკითხნა აშბასთვის შვილის ამბავი. უხერხულად მიაჩნდა ასეთ დროს კერძო საქმეზე გასაუბრება. მაგრამ თვითონ ბუბუტი შეეშველა...

— ჯოტო კარგად არის, — უთხრა, მაგრამ იქვე გამოცვლილი ხმით შეეკითხა: — სოუში ხომ არ ამოსულა?

— დღეს უთენია წამოვედი აქეთ... მაინც როდის უნდა ამოსულიყო?

— გუშინწინ ენახე სალაშოს, ომის ამბავი რომ მოგვივიდა.

— მერე? — მოუთმენლად შეეკითხა მთის კაცი. ფრთხილად და მორიდებულად ნაბაღში ხელი შეუყო და, თითქოს ცნობისათვის მადლობა გაამოუტყადაო, მკლავზე ღბილად წაუთათუნა. შეკითხვის პასუხს არ დალოდებია, კვლავ ჰკითხა წაბორძიკებით:

— ჯარში გაწვევა თუ მოელის ჩემს ჯოტოსაც, შემოგველე? — შეეტყუო, რომ ნათქვამი ეუხერხულა. გაუღიმა საბოდიშოდ.

— ჩვენ ხომ გაწვევა არ გვჭირია, ჯოტოს მამავ. გაუწვევლადაც ყველამ უნდა ვიბრძოლოთ! — იყო აშბას პასუხი.

— მაშ, რაკი ომია, სხვანაირად არ იქნება, განა არ ვიცი? — გაასწორა ვითომ სიტყვა მთის კაცმა. — მაინც რას აპირებს ჩემი ვაჟი, გეცოდინება, ბუბუტ.

— ასე მითხრა, დედ-მამის უნახველი არსად წავალო, ამიტომ გკითხე სახლში ხომ არ ამოსულა მეთქი.

მიხვდა მთის კაცი, რასაც ნიშნავდა მიღებული პასუხი. შვილს კარგად იცნობდა, რომ ასეთ დროს გულზე ხელდაკრეფილი არ დაჩებოდა.

„დღეს თუ სოუში ამოვიდა, შინ

რომ არ დაეხედო, იქნება, უკან გაბრუნდესო". გაიფიქრა და ძყისვე ვულსი გადასწყვიტა სოუში დაუყოვნებლივ დაბრუნებია, რომ ჯოტოსათვის მიესწრო.

ბუბუტ ამბამაც ამ დროს ბოდში მოიხადა მის წინაშე, საუბარი შესწყვიტა და სწრაფად ისევ ძაგდისკენ გაემართა.

მხრებაწურული მთის კაციც არ დარჩენილა იმ ადგილას.

როგორც შეუახვეელი მოვიდა, ასევე დაუნახავი გაჰყვა ჯერ კაოვის ჩრდილს, შემდეგ კი ფელურად აიდგა ფეხი და იქით გაემართა, სადაც პირდაპირი ჩასაყალი ეგულებოდა სოუს მიმართულეით.

თავი მმცხრამ

იგი ტყით დაბურულ, უგზო, ციკამ ფერდობზე ჩაღიოდა. ჩქარ სვლას ღამის სიბნელე და უსწორმასწორო დაღმართი არ ანებებდნენ. მაგრამ ნელი შაინც არ იყო მისი მძიმე ნაბიჯის ღგმა.

გარშემორტყმულ ვეება ფიჭვებს წინ გაწვდენილი მარჯვენა ხელით წამდაუწუმ ეტოტებოდა, რათა ნაბიჯს წასწრებული ზორბა ტანის დაქანება შეეჩერებინა, ან ძირს დაფენილი ღრაქუნა წიწვის ნაყარის სრიალა ზედაპირზე ფეხის დაეცრება დროზე შეეკავებინა.

ერთიც და მეორეც დიდი ხიფათით ემუქრებოდა: თუმცა თვალთ ვერ ხედავდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ გარშემო ჩასაფრებული ნაბრალეები მის ყოველ ნაბიჯს პირდაღებულები უთვალთვალებდნენ.

ადგილის ზედმიწევნით ცოდნა იმდენად არ შეელოდა, რამდენადაც განსაკუთრებული ალლო გაგნებისა, რომელიც ახლა ნადირზე უმეტესად გამახვილებოდა. იგი სხვა ნიჭიერებასთან შედარებით ახლა ყველაზე უფრო

სარწმუნოდ და საიმედოდ ეჩვენებოდა.

როცა ჩამოსვლა დაიწყო, ტყეში სინათლის ნასახი ჯერ კიდევ აღინაბედზე, ფერდის ჩასწვრივ, ხეებს შორის ნაყარზე თოკივით გავლებული ნადირის ნავალი ქაშანი შეინიშნა.

მხეცის ნაკვლევი ზოგან ლარივით სწორად მიიმართებოდა, ზოგან მიხეველ-მოხვეული სჩანდა. მაგრამ მიმართება სულ ერთი და იგივე ჰქონდა. ძალე დარწმუნდა, რომ იგი სოუს უპირისპირებდა, საითაც თვითონ თავგანწირვით მიიჩქაროდა.

დაცდილი ჰქონდა ნადირთა უცდომელობა გზის გაკვლევაში. ეს ქაშანიც დაქანებასთან ზედმიწევნით შეფარდებული ეჩვენებოდა. გასასვლელი მანძილის შესაძლებელი შემოკლების მხრითაც იგი საკვირველად ჯამოზომილს ჰგავდა.

თამამად გაჰყვა.

როცა დაბნელდა, ქაშანის ხაზს ველარ ჰხედავდა, მაგრამ ახლა წარმოღვენაში გადაეტანა იგი და ამ სახითაც საიმედოდ მიიჩნდა.



სოუსი მხოლოდ ორგან ბუტბავდა სინათლე, როცა მთის კაცი უკანასკნელ მთის ფერლზე დაეშვა და ახლოხელ კორდიდან თავის სოფელს თვალი შეავლო.

ეჭვი არ იყო, სინათლე ერთგან მისი სახლის სარკმლიდან აშუქებდა, რომელიც პატარა ხევის გაღმა იდგა, ცოტა მოშორებით. მეორეგან სოფლის საბჭოსა და კოლმეურნეობის საერთო სადგომის ფანჯრები იყო განათებული, — ხევის გამოღმა, მისგან უფრო ახლოს.

პირველის დანახვაზე მთის კაცს უცებ გულზე მოეშვა. მაშინვე გაიფიქრა:

— ალბათ, ჯობია ჩამოსული, და შინ ამიტომ არ სძინავთ! უთუოდ მე-ზობლები ჰყავს სტუმრად, ომის ამბის გასაგებად მოსულები!

დამშვიდდა. დადგა. თითქოს სული ატეპქარიდან დაწყებული მხოლოდ ახლა მოითქვაო, ღრმად და შევებით ამოისუნთქა:

რაკი შინ მოსულ შეიღს მოუსწრო, ახლა სხვა სადარდელი ვითომ არც კი ჰქონდა.

ცას ახედა. ვარსკვლავები შუალამის მოწვენას უჩვენებდნენ ძველს ნამწყვესარს.

— ადრე ყოფილა. სტუმრები რომც არ ჰყავდეს, შუალამმდე დაძინება მაინც არ სჩვევიაო, — გაესაუბრა თავის თავს.

თითქოს ეყო წუთიერი შესვენება. ხევის გასწვრივ ჩამავალ სოფლის შეკაზე გავიდა.

გზა-გზა საბჭოს შენობასთან უნდა გაეელო. ჩაელისას გულმა არ უქნა, რომ ნაბიჯი არ შეენელებინა და შეკაზე გამოძავალი დაბალი სახლის გაშუქებულ ფანჯარაში არ შეეპერიტა.

— რატომ ანთია სინათლე და ამ შუალამეს რას აკეთებენო.

ფანჯარა სოუს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთახს ეკუთვნოდა.

აქ შეჩერებას არ აპირებდა, მაგრამ ოთახში თვალმოკრულმა სურათმა ძალაუნებურად ცნობისმოყვარეობა აღუძრა და შეაყენა.

ლაფის შუქით განათებულ მაგიდას ერთი მეორის პირდაპირ ორი თავმჯდომარე უჯდა, — სოუს სოფლის საბჭოსი და კოლმეურნეობის. წინ გაშლილი დავთარი ედგათ. ერთი კითხულობდა და წიგნში ნიშნებს სვამდა, მეორე თავის ქნევით უსმენდა. ის, რომელიც კითხულობდა და ნიშ-

ნებს სვამდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, კირილე გორაკოვი! თავის ქნევით მსმენელს კი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, მატი ზურუბაია.

— ალბათ, მობილიზაციის თადარიგს იტერენო, გაიფიქრა მთის კაცმა. ვერ მოითმინა და დააკაკუნა.

— ჰეი, — მყისვე გაეხმაურა ფიცხი კირილე გორაკოვი. მაგიდის ქიშხე მიყრდნობილ თოფს ხელი სტაცა და წამოდგა. ფანჯარას მიაშურა.

— ნეტავი, ვინ უნდა იყოს ასეთ დროს? — დინჯად ჩაილაპარაკა ზურუბაიამ და ისიც წამოდგა.

მთის კაცმა თავის ვინაობა აცნობა. გაუცვირდა. ოთახში მიიწვიეს.

— ოშია, ომი, მთის კაცო! — მიადახა კირილემ ოთახში შესულს.

— გავიგე, ამხანაგო კირილე! — მიუგო მთის კაცმა და ორთავეს საღამო მისცა.

— მითხრეს, სანადიროდ წავიდაო! მერე მთებში ვინ შეგატყობინა?

— ფერამში მიტინგს დავესწარი ატეპქარაზე. ბუბუტ აშბა იყო...

— ჰო, სოხუმიდან გუშინ საღამოს ერთად წამოვედით. აქაც გვეწვევა. ატეპქარის უღელტეხილზე გავიყარენით: ის იქით, მე აქეთ. მოლოტოვის განცხადება თუ წაგიკითხათ?

— თავით ბოლომდე.

— მაშ, კისერს მოუგრებთ მათ არამზადებს. დაბადების დღეს ვაწყველინებთ... აი, ახლა მე და მატი ვანგარი-შობლით... იცი, მარტო ჩვენს ციკქნა სოუს რამდენი მეომრის გამოყვანა შეუძლია? მერე სოუ რა არის? წარმოიდგინე მთლიანად რუსეთი, მთელი კავშირი და შენ თვითონ გასაუგე, რა ძალის პატრონია ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. მტერმა, იქნება, არც კი იცის, თორემ თავდასხმას ვერც გაბედავდა ვერაგი!

თოფი ისევ მაგიდას მიაყუდა. სკამი აიღო, მთის კაცს მიაწოდა.

— დაბრძანდი — მიმართა მთის კაცს გორაკოვის მაგიერ ზურუბაიამ, რომელიც აფხაზური ზრდილობის წესით სტუპარზე ადრე დაჯდომას არ აპირებდა.

იგი გორაკოვზე უფრო ხნიერი სჩანდა. ძალიან კაცი იყო, ამოლტილი. წმინდად გაპაოსულ თავზე მელონი ულაპლაპებდა. გამხდარ სახეზე ყველა ნაკეთი უჩნდა. გრძელი, ოდნავ კალარამერეული წაბლისფერი უღვაშები ფართოდ და სწორად ჰქონდა ყურებამდე გაწვდილი რაც კუზიანის ცხვირის სიმაღლეს ანელებდა. წინააღმდეგ კირილე გორაკოვისა, მწეიდი და ნელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

— შენ ის მითხარი, მთის კაცი, ჯოტოსი რა იცი?— შეეკითხა მთის კაცს გორაკოვი, სანამ ის მიწოდებულ სკამზე დაჯდებოდა.

— ეს არის, ახლა დავეშვი აჭავეპარიდან და შეილის ჯერ არაფერი ვიცი. მგონია, ახლა შინ უნდა იყოს!— უბასუხა მთის კაცმა და თვალუბრით ცდით შეხედა, ჯოტოს მოსვლის ამბავი ნუთუ არ გაუგიაო.

მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს გაოცება გამოიწვიეს თავმჯდომარეებში. გორაკოვმა და ზურუბაიამ ერთმანეთს ვითომ ფარულად გადახედეს, და წამით გაჩუმდნენ. მერე, თითქოს ჯოტოს შინ ყოფნის ამბავი არც კი გაუგონიაო, გორაკოვმა სიტყვის ბანზე აგდებით წარმოსთქვა:

— წარმოიდგინე, ძალიან მინდოდა შენი ვაჟი სოხუმში მენახა, ვერ მოვიცალე.. ამის დრო არ იყო...

მთის კაცს არ გამოპარვია მათი წამიერი ურთიერთი გადახედვა. არც ის, რომ გორაკოვმა უყურადღებოდ დასტოვა მისი სიტყვები:

„მგონია ახლა შინ უნდა იყოს“.

უცებ დაეჭვდა თავისი წინამძღოლი ვარაუდის სისწორეში.

— ჯოტო რომ სოხუმიდან ამოსულიყო, ესენი უთუოდ გაიგებდნენო. უნდოდა ამის შესახებ შეეკითხებოდა, მაგრამ მაცი ზურუბაიამ დაასწრო:

— მამა ვარო შენ გეტქმის, მთის კაცი, ისეთი შვილი გყავს!

ამას კირილე გამოეხმაურა:

— მამა! ის ბეცები კი ფიქრობენ, ბოლშევიკებს დავაპარცებთო. მერე ჯოტოსთანაა რამდენი შვილი ჰყავს ჩვენს სამშობლოს გამოზრდილი ათასი! მილიონი! ვერც კი დასთვლი! ფრთხილად, ფრთხილად, ვერაგებო. დაიმოკლეთ ხელი, ის გირჩევენიათ!..

კირილე გორაკოვი ყუბანელი ყაზახი იყო, ახალგაზრდობიდან სოფში დასახლებული. თუმცა იგი ზურუბაიების გვარს ჰყავდა ჩამოსიძებული, მაგრამ მთელ სოფელს მთლიანად თავის საამაყო სიძედ მიაჩნდა. კირილე გორაკოვი დამაარსებელი იყო სოფს კოლმეურნეობისა და მისი საქმიანობის სულის ჩამდგმელიც. დაუღალავი, მარჯვე და გაბედული, ქვისაგანაც კი წყალს გამოადენდა, როცა ამას მისი კოლმეურნეობის ინტერესი მოითხოვდა.

თავად დიდი მცოდნე იყო მეფუტკრეობისა და მერქეობის, რაც სოფს კოლმეურნეობის შემოსავლის ორ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. მისი მეცადინეობით სოფს კოლმეურნეობის თავის მეტოქე არ ჰყავდა ბაზარზე, ხოლო მის მიერ გაშენებული და მოწყობილი მესაქონლეობის ფერმა პირველთაგანი იყო მთელს კუთხეში.

მაგრამ კირილე გორაკოვის თაოსნობას ორი გადაულახავი დაბრკოლება ელოებოდა წინ. ეს იყო უსაშველო უგზოობა და სოფს მდებარეობის ბუნებრივი შეზღუდულობა.

კირილე გორაკოვი ძველი მებრძოლი იყო, მრდილოეთ კავკასიის უმთავრესი სამოქალაქო ომების სახელგანთქპული მონაწილე თავის დროზე.

იგი ამაყობდა თავის გმირული წარსულით და მკერდზე მოუშორებლად ატარებდა რევოლუციონერი-პარტიზანის საბატონო ნიშანს.

სამშობლოდან მას დიდი ვაჟაკისა, სამაგალითო მონადირისა და ცხენოსნის სახელ მოჰყვა სოუში. მაგრამ გორაკოვმა რაინდული პირდაპირობით, მთის კაცის გაცნობისთანავე, ნადირობასა და ცხენოსნობაში პირველობა მას დაუთმო უყოყმანოდ, ხოლო ვაჟაკობის შესახებ იუქნა. ალბათ, ვაჟაკობაში პირველობის დათმობა ენანებოდა, მაგრამ ისიც შეუფერებლად მიიჩნდა, რომ ამ ბუმბერაზ მთიელს ამ მხრივ შედავებოდა.

გაჩუქება არჩია.

ბზის ხის ნამორივით მკვრივი და სწორად მოკვეთილი საშუალო ტანის, ვერცხლის წყალივით დაუდგარი, კირილე გორაკოვი მუდამ გამოიწვევად შეპართული დადიოდა, — იმიტომ კი არა, რომ ეს შეეფერებოდა მდგომარეობითა და დამსახურებით, — იგი ბუნებით იყო ასეთი.

წითურ, ხეშემ უღვაშებს ქვეშ, უცხოოდ მოხაზული ნიშანივით, უცნაური ღიმილი უციალებდა ჩვეულებრივად. ახლო მეგობრისათვის, შეიძლება, იგი სანდო და მიმზიდველი ყოფილიყო. მაგრამ იმისთვის კი, ვისაც გორაკოვი რაიმე მოსახრებით არ ენდობოდა, ან ცუდი საქციელის, დაუდევრობის და ცუდლუტობისთვის იწუნებდა მწარე დაცინვასთან ერთად სასტიკ და მოურიდებელ გაფრთხილებასაც გამოხატავდა.

შეუშინეველი არ რჩებოდა ისიც, რომ ეს ღიმილი ზედმიწევნით შეეწყობოდა მისი ქალაი, წერილი და მომხუნსხველი თვალების შეუპოვარ გამო-

ხედვას, რომელიც გაღესილი ფოლადის ბრჭყეილისა ჰგავდა, ღრუხუჭებს უფრო სკრიდა და ჰკვებდა მკანამ საიქერად ნიშანში იღებდა.

მაგრამ სოუში იყო ერთი კაცი, რომლის მიმართ გორაკოვის ღიმილს დაცინვა ან მოურიდებლობა არასოდეს გამოუხატავს, ხოლო მის თვალებს შეუპოვრობა არ გაუმელავნებია. ეს იყო მთის კაცი.

და უთუოდ გორაკოვის მთის კაცისადმი განსაკუთრებული პატივისცემასა და სათუთ დაძოკედებულეიას მოწმობდა ის გარემოებაც, რომ მთის კაცის ნათქვამს „ჯორჯო ახლა შინ უნდა იყოსო“, იგი ჯერ სინუმიტ და ფარული გაცეებით შეხვდა, ხოლო შემდეგ სიტყვა ბანზე აუგდო, — ჯორჯოს ნამდვილი ამავე, სოხუში გაგებული, მამას უეცრად არ აუწყა, მოერიდა.

თავი მათე

თავის ეზოს ჭიშკარს მიახლოვებულ მთის კაცი ნაგაზებმა დალანდეს. ღრენით და ყეფით მისკენ გამოქანდნენ.

ძაღლების ყეფაზე სახლის წინა კარი გაიღო, და ფარდულში მაკინე გამოვიდა, რომელსაც უკან რუსულანი მოყვებოდა.

კარით გამოსხლეტილი სინათლის შუქი მისასვლელ გზაზე სვეტივით გაწვა ეზოში.

— ვინ ხარ? — მაღალი ხმით შესაბაა შუქს გარიდებულმა მაკინემ.

ნაგაზები ჭიშკართან უცხად დასცხრენ და ლეკვებივით აწკაეწკავდნენ.

მაკინე მიხვდა, რომ მომსვლელი გარეშე არ უნდა ყოფილიყო.

— ღმერთო ჩემო, ვინ უნდა იყოს? — სთქვა შეშინებულმა. დილით სანადიროდ წასული ქმრის ასე მალე დაბრუნებას არამც და არამც არ მოელოდა.

ეზოში შემოსული მთის კაცის თეთრი თავი მალე სინათლის შუქზე გამოჩნდა. გახარებული ძაღლები ხტუნვითა და თამაშით ადევნებოდნენ პატრონს.

გულზე მოეშვა მაკინეს.

— ჯოტოს მამაა!— გადასჩურჩულა მან რუსუდანს. ის-იყო, შესაგებებლად ფარდულიდან გასვლა დააპირა, რომ მთის კაცმა ფარდულში შემოალაჯა.

— ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ჯოტო—ლოცვის კილოზე წარმოსთქვა რუსუდანმა და პირჯვარი გადაიწერა.

— ადრე დაბრუნდი. არ მოგელოდი, — მისალმების მაგიერ მიმართა ქმარს მაკინემ.

— ჯოტო არ ჩამოსულა? — იკითხა მთის კაცმა.

მაკინეს ხმა არ ამოუღია.

— არა, მისი ჭირი შემეყაროს, — მოგვიანოდ უპასუხა რუსუდანმა.

მთის კაცი უხმოდ ოთახში შევიდა. დადგა. კუთხით კუთხემდე თვალი შეაგლო თავის სადგომს.

ბუხარში ნელი ცეცხლი ენთო. იქვე კედელზე მიდგმულ ტახტზე ფერადი ხურჯინი იდო, ორივე მხრით გატენილი, თავმოკრული.

გაუკვირდა, როცა იცნო, რომ მაკინესი იყო. მაგრამ არაფერი უკითხავს, თითქოს დანახვისთანავე დაავიწყდაო.

— მამ, ჯერ კიდევ არ ჩამოსულა! — თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა და ფიქრში განაგრძო: — რატომ უნდა ჩამოსულიყო, თუ ომში წასვლას არ აპირებს.

შერა ცეცხლზე გადაიტანა. არ სციოდა, მაგრამ ხელი მაინც უნებურად მიუშვია, ვითომ მოითბო.

მერე უცებ ქალებს ეღვასავით სწრაფი თვალებით გადახედა. მათი

ურღვევი დუმილი უსიამოვნო შიშის პაგვით გრძობას უღმრთებლად უცებ თოფი ჩამოხსნა. მისი უსიტყვოდ გაუწოდა.

სანამ მაკინე იარაღს ჩამოართმევდა, ჩანთაც გადაიძრო და თოფს გააყოლა.

მათი დასაბინავებლად წასულ მაკინეს მობრუნებამდე სავახვც შეიხსნა ქამარ-ხანჯლიან და ხურჯინის ბევრდით ტახტზე დააგდო.

როცა მაკინე ასაღებად ტახტთან მივიდა, ხურჯინი თვალში ეცა. ქმარს ხურჯი შეაქცია, ხურჯინს ხელი წააგლო და ქამარ-ხანჯლითურთ კუთხეში გააქანა.

— რა ხურჯინია? — იკითხა მთის კაცმა.

— არაფერი, — მოკლედ უპასუხა მაკინემ. საჭურველი კედელზე ჩამოჰკიდა, ხურჯინი კი კუთხეში მიაყუდა.

რუსუდანმა ამ დროს ბუხართან ახლოს სკამი მიუტანა მთის კაცს.

— დაჯექი, შემოგველე. დაღლილი იქნები.

მთის კაცი დაჯდა.

მაკინე საშინაო ჩოხა მოუტანა. სახის წინ ბიფარა გაშლილი და ჩასაცმელად ქმარს მიაწოდა.

მთის კაცი სანადირო მორთულობის გახდას შეუდგა.

უცებ ხმამალა სთქვა:

— კარგია, რომ ჯოტო არ ჩამოსულა! რომ გაეწვიათ ან წასვლა განეძრახა, გამოსამშვიდობებლად ჩამოვიდოდა!

ქალებმა მაინც დუმილი განაგრძეს.

— თქვენ რას იტყვით ამაზე? — გახდილი ტყაბუჭი ტახტზე მიაგდო და მაკინეს ჩოხა ჩამოართვა.

მაკინემ პირისახის არიდება სცადა.

— პო? — საპასუხოდ გამოიწვია იგი ქმარმა და დააკვირდა.

მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ცოლს პირისახე ნამტირალევი ჰქონდა. შეკა-

ვებული ცრემლი ახლაც თვალეზში უბრწყვიალებდა.

— რა ამბავია? — ახლა კი იყვირა მთის კაცმა. ბუნებით მშვიდი თვალეზი უცებ მკაცრი და საშიში გაუხდნენ.

მაკინეს ქვითინი აუვარდა, როგორც კი ხმის ამოღება დააპირა. მთის კაცმა რუსუდანს გადახიდა. ძიძას ხელი თვალეზზე აეფარებინა, ცრემლს იწმენდდა.

— სთქვით მეთქი, რაც იცით! — ხმა ასწია მოთმინებიდან გამოსულმა მთის კაცმა.

შეშმა ენა აადგმევინა მაკინეს.

— ჯოტოს ომში წასვლა გადაუწყვეტილია... მეტი რა იქნება. ეს არის! შენ შინ არ იყავი, არც მანუჩა. რა უნდა მკენა? ხვალ დლით სოხუმში ვაპირებდი წასვლას, ექნება მივოსწრო და საჯხალი მაინც გაეატანო მოთქი. ის იყო. ხურჯინში ჩავაწყვე, და შენც დაბრუნდი. იქნება, ტყუილია... არაფერი ვაგვიგია?

— ეინ მოგიტანა ამბავი?

— ხოტას ვაემა თადეშ, აქაური ახალგაზრდობის თავი რომ არის... სოხუმში ყოფილა. ჯოტოს ამხანაგების კრიბას დასწრებია... იმ კრიბაზე ჯოტო ამდგარა და უთქვამს: მე ომში მორინაოდ მივდივარ, ვინც ვაეკაცია მოწყვიოს! პირველი თემური აპყოლია. ჩვენი იულონის ვაეი... როცა ჯოტოს თადე კრებაზე დაუნახავს, მასთან მისულა და უთქვამს: სოხუმი რომ დაბრუნდები, ეს ამბავი ჩემს დედ-მამას არ უთხრა: ბებრების ამბავი ხომ იცი, დამიშლიან. მე თვითონ მოვეწერ წერილს იქიდან სადაც ვიქნებიო.

— ჰო, შემოგველე, აქ იყო ის ყმაწვილი. სწორედ ასე ილაპარაკა, — დამოწმებასავეთ დაურთო რუსუდანმა მაკინეს სიტყვებს.

და უცბად ისევ სიჩუმე ჩამოეკარდა ოთახში.

მთის კაცი ცეცხლს მიხედავდა ბუხარში. ახალუხამარა იყო. საშინაო ჩოხა მაკინესთვის ჩამოერთმია, მაგრამ ჩაცმა ვერ მოესწრო... ხელში უძრავად ეჭირა.

ერთი ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს ანაზღად რაღაც მნიშვნელოვანი გაახსენდაო. მთის კაცმა უცბაო თავი აიღო. წამოდგა. ტანში გაიმართა. თითქოს იმ ანაზღაო გახსინებულს ვახსნაორო, ყრუ ხმით თავისთვის წარმოსთქვა:

— ჰო, მფრინავადო იტყოდა... მართალი უთქვამს თადეს.

თავი მეთერთმეტი

მთელი ღამე არ მოუსვენებია. თუმცა დალილი იყო და მოქანცული, ძილი მაინც არ ეკარებოდა. უთენია მძიმე გზა მოელოდა სოხუმამდე. გრძნობდა, რომ მოსვენება სჭიროდა, მაგრამ შით უფრო ვერ ისვენებდა.

— შეიძლება, უკვე წასულიც არის, — ფიქრობდა ძილგატეხილი და შეილის ბედისა და მომავლის განპერირებას სცდილობდა.

წუხანდელი უცნაური სიზმრის აცხადებას ჰგავდა მთელი მისი დღევანდელი დღე. ახლა დარწმუნებული იყო, რომ კავკასიონზე დანთებულ ხანძარში მოღანდებული მფრინავი ნამდვილად ჯოტო იყო და სხვა არაფერი.

— რატომ მფრინავი მაინცადა-მაინც? ნუ თუ მყარ ხმელეთზე აღვილი არ ეყო?

მოავონდა, რომ მისი ვაეი თემურთან ერთად ბავშობიდანვე სულ იმას ოცნებობდა, რომ მფრინავი გამხდარიყო. ერთ დროს მფრინავთა სკოლაშიც სწავლობდა თემურთან ერთად.

მართალია, ზრდასთან ერთად გადაუარა ბავშვობა გატაცებამ, სხვა ინტერესი გაოჩნდა. მაგრამ დახე, ისევე საღ მოგონებია იგი!

შაინებით მთის კაცს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ახალმა დრომ ახალი თაობა გამოიყვანა საზოგადოებაში. ეს იყო ჯოჯოხის და მისი ტოლები. ეს უნდა დაეცვა ქვეყანა მტარბისაგან, თუ არა მათ თავად? როგორ უნდა განთავსობოდა მისი სახელობრივი შვილი თავის დროს და ბრძოლაზე ხელი აიღო? რა თქმა უნდა, ჯოჯოხის მოვალეობას ვერ ულოაობოდა, სამშობლოს დაცვაზე უარს ვერ იტყოდა, მაგრამ...

შამის გული კიდევ სხვას ეოზნებოდა მთის კაცს და თვითონვე გრძობდა, რომ წინააღმდეგობაში ვარდებოდა.

ლიხანს მსჯელობდა ასე თავის თავთან.

თავი ილოვოვ, როცა ბოლოს უცვრალ ჩასთვლიდა.

თითო დრო არ გასოლა, რომ თითქოს მის ოთახში გაისმოა. ყოჩაღი ცხენის ბორჯე და ფრთხილი ჩასწვია.

— ჯოჯოხ თუ ჩამოვიდა? — გაოვიძობისთანავე გაუღელა თავში ბედნიერმა აზრმა.

ჯერ კიდევ ღამე ეგონა.

წამოვარდა, კარს მიაშურა, გააღო და გაიხედა.

რძისფერი სქელი ნისლი ჰბურავდა ქვეყანას. მისგან არც ცა სჩანდა, არც დედამიწა. თუმცა ეტყობოდა, რომ გათენებული იყო.

ნისლი კომლივით მოაწვა ღია კარს, ოთახში შესწლტა.

ფარდელის სვეტთან მიბმული ცხენი დალანდა.

თრთოლვამ აიტაცა.

— ჰეი! — შესძახა მედგარი, მაგრამ მზიარული ხმით და შვილის პასუხის ვაგონების მოლოდინში გაინაბა...

— კარგა ხანია გათენდა, უკლებს მამა, მეშინია, რომ დამეცინება ეს მაინე იყო.

ცოლი ჯერ ხმით შეიცნო, მაგრამ შალე თვალითაც დაინახა. იგი ფარდოლოში იდგა. სვეტზე მიბმული შეკავშული ჯონდოს წინ, რომელსაც რუსოდანი თათარს უსწორებოდა.

— გათენებულია შემოგველე, ინქარი! — ესმა რუსუდანის ხმავე.

უხმოდ, უსიტყვოდ ისევე ოთახში მიიქცა.

მაშინვე მაინეც მიჰყვან.

— დროზე რატომ არ გამოვიდი?

— მთელი ღამე ბორჯავიდი, არ დავიძინია, შემეცოდე, შე კაცო.

მაინემ დარაბა გააღო. ქმარს ჩაცმაში შეეშველა.

ათამიანსავეთ გაოზარდა ჯონდოს სამაზაროდ გამოშადებული პატრონის დანახვა. ხაიზინითა და ფეხების ათამაშებით შეიკება. მოწილი, მკრივი ტანის ამყური ავთამანებით წინ განდაგან დაუდგა. თითქოს შესაჯლომად ზურგი შესთავაზო.

მოეფერა საყვარელ ცხენს მთის კაცი, სააღერსო სიტყვები უთხრა. ხელი გათაჟსევ დათარზი, კისირში წაუთათონა. არ ენლო ჭალები ბილს: აიხმულობა შეუშოწმა, საწყევტზე მიბმული ჯოჯოხის სააზლით საიხე ზურჯინი გასინჯა. მაგრამ გასასწორებელი ვერადერი ნახა.

მაინე შეიშველა ამხედრებისას: ამენდი დაუქირა.

— ჯოჯოხის ძიძა საღ არის, რომ ვერ ვხედავ? — იკითხა მთის კაცმა, როცა უნაგირზე მჯდარმა საღვე ხელში მოიმარჯვა.

— კართან დავიხედება, გზას დაგილოცავს. — უპასუხა ვანზე გამდგარმა ცოლმ და მათრახი გაუწოდა.

მაკინეს ჩვეულებად ჰქონდა: მთის კაცის სახლიდან ყოველ გამგზავრებისას მის მიერ პირველად მოკლული შვილის წვივის ტარიანი მათრახი თავის ხელით გადაეცა ამხდარებულისათვის და მშვიდობით მგზავრობა ესურვებინა.

ახლაც ასე მოიქცა.

ფართოდ გაღებულ ქიშკართან მთის კაცს რუსუდანი დახვდა. ძიძას ორივე ხილი ცისკენ აღიპყრო და ლოცვის კილოზე ბუტბოჭებდა.

— კარგი ფეხის ვარ, ჩემი ვაზრდის მამავ! ცისა და ქვეყნის გამჩენი ომირთი იყოს ჩემი ჯოტოს შიმწე და მთარგლი... მშვიდობით იმგზავრე, შემოგველოს რუსუდანი.

მთის კაცმა მადლობა უთხრა და ეწოდან გავიდა

ხევი განვლო. სოფლის შუკაზე გავიდა.

აქ ანაზღად წინ ვილაცა ქვეითი შემოეყარა. ვერ იცნო ნისლში გახვეული.

უნდოდა ვინაობა ეკითხნა, სანამ გვეროს აუღლიდა, მაგრამ მგზავრმა დაასწრო:

— ჯოტოს მამავ, საით? მე მანუჩა ვარ!

ორივენი შესდგნენ პირისპირ.

— აქ როგორ გაჩნდი, მანუჩა?— ჰკითხა გაკვირებულმა მთის კაცმა.

— ჯოტოს სანახაოდ დაეგედი...

— კი, მაგრამ რომ არ ჩამოსულა?

— ბუბუტიმ მოთხრა...

— აქ კიდევ სხვანაირი ამბავი გავიგეთ, მანუჩა.

— ჯოტოს მამავ, შიში ნუ გაქვს!

შენს მარე ბუბუტიმ კიდევ ილაპარაკა. თურმე ინალისს გაგვეუცხადებია, საბჭოთა კავშირთან მჭიდროდ ვართ შეკავშირებულნი. ამერიკაც ჩვენს მხარეზე იქნება და დღეს თუ ხვალ გერმანიას ომს გამოუცხადებდნენ... მტერს სულ მალე გავანადგურებთ...

— ომირთა ჰქნას, ჩემო მანუჩა.

— შინ საით?

— სოხუმს. თუ მართლა წამსვლელია, უნდა ენახო ის ბიჭი.

— კი, მაგრამ რატომ დაგაგვიანდა?.. ახლა რიგით აპაჯირის ოჯახში რიგით უნდა გადადიოდა.— შიშობდა მანუჩა.— ჩართობთან რომ შემოვალდი, დაღწა, თორემ დაიმკვრივე. შემოგვევლე, ღამე საღამე გზაზე გაათიე.

— ჯონოზე ჰკითხა ყვილათარი... ინახოთ... ახლა ნუღარ მთავრებ. მანუჩა, შინ წაიღი.— ოთხრა მთის კაცმა და ჯონო წინ დასძრა.

აღვიანა გერდით მანუჩა.

— შინ აღწარ წავალ, არ მცალია... ჯოტოს თვალს შეეგელოვ და დაგებრუნდები მეთქი, ვიფიქრე... გამოპარული ვარ, ჯოტოს მამავ! ახლავე უნდა დაებრუნდი ჯოტოში: ბიჭებს გაწვივა უწევთ, საქმი ბევრი რჩება მისახრდავი... ეს ოხერი კლუბი რომ არ შეადოს, მეც მათთან ვიქნებოდი... მაგრამ არათარია: აქაც საბრძოლო და სამოშაო ბევრია.

მანუჩას უკანასკნელი სიტყვები მთის კაცს არც გაუგონია: ისინი დნობილებული ჯონდოს თქარათქურს დაეფარა.

(გაგრძელება იქნება)

სიმღერა ლენინზე

✱

შენი სახე თავს დაგვენათის
ბრძენთა-ბრძენო, გმირთა-გმირო,
შენ, აზრების ვრცელი ზღვა ხარ
უსაზღვრო და უნაპირო!

შენ, სიცოცხლე მარადისი
ჩვენს გულებში დაიმკვიდრე
და გადიდებთ სიყვარულით
ქვეყანაზე ვცოცხლობთ ვიდრე!

შენ ბრძოლაში ჩვენთან იყავ
ბნელ ურდოთა ზარდამცემად,
შენ რწმენა ხარ უკვდავების
და სიცოცხლის აღტაცება!

სასტიკ ომში გავიმარჯვეთ,
დავარბიეთ ღამე ბნელი
და დღეს. დროშა სიმართლისა
დაფრიალებს ძლეულ ბერლინს!

შენი აზრი, შენი ფიქრი,
მთელს ხმალეთზე აკიათდა,
ის სტალინის ნათელ სიბრძნით
კიდევ უფრო გადიადდა!

ხარ უსაზღვრო ოკეანე
დაუშრეტელ ახალ აზრთა,
გაგვითენე განთიადი
ნათელი და ახალგაზრდა!

უკვდავება თავს დაგვენათის
ბრძენთა-ბრძენო, გმირთა-გმირო,
შენ, აზრების ვრცელი ზღვა ხარ
უსაზღვრო და უნაპირო!

შენ, სიცოცხლო მარადისი
ჩვენს გულებში დაიმკვიდრე
და გადიდებთ სიყვარულით
ქვეყანაზე ვცოცხლობთ ვიდრე!..

წითელი ყაყაღი



თავი პირველი

1

კვირადღე იყო. ივლისში ჩაყოლილ-
მა გაზაფხულის ტკბილმა ამინდმა ჭა-
დრის ხეივნებითა და ბაღნარებით
დაჩრდილულ მტკვრის სანაპიროზე დი-
ლიდანვე გამოჰიტყუა. ხდება, — სა-
განს ან მოვლენას რასმე თანდათან ისე
შეეჩევეო, რომ შემდეგ თითქმის ვეღარ
ამჩნევ. მაგრამ ერთ დღეს, თვითონაც
არ იცო რატომ, — გონება ერთბაშად
გაგეხსნება. ყველაფერი აქამდე უჩინა-
რი რამ აზრით ისე მოულოდნელად
აივსება, თითქოს მართლაც პირველად
ხედავდე ყოველივეს. მეც ეგრე ვიყავ-
თბილისს, მტკვარსა და გამჭვირვალე
ცაწ, რომელთაც თითქმის ბაღობი-
დანვე შეეზრდოდი, — მისი ჰაერი შე-
სუნთქა, მისი წყალი მესვა და მის ლაყ-
ვარდში ოცნებით მეფრინა, თითქოს
მართლაც პირველად ვხედავდი. ყოვე-
ლი ბუჩქი მახარებდა, ყოველი სახლი
მიციზნოდა, მაგრამ მათგანვე გამოწვე-
ული შინაგანი მღელვარებისაგან აზ-
რი მაინც მეფანტებოდა. კუდმაკრა-
ტელა მერცხლები ფრთათა წურვით,
ვლურტულით მელამუნებოდნენ, ხან
მტკვრის სადინელს და ხან მტკვარი-
ვითვე გაქნეულ ასფალტს, ირაოდ წა-
სულნი და მერე ერთბაშად მოწყვე-

ტილნი, თეთრი მყერდით თითქოს ეხ-
ლებოდნენ.

სანაპირო ქუჩას ნელა გავყევ. ზედა-
ზნის იისფერ ნისლივით გაწოლილ
ქედსა და ცაღ აპართულ თეთრ მყინ-
ვარს, ლოტკის გორასა და მახათას ოც-
ნებად წასული თვალებით გავცქერო-
დი. გადაქარზებული არ იქნება, თუ
ვიტყვი, რომ ამ დილით თავს ბედნიე-
რად ვგრძნობდი. ის დაჟინებული
მჩხრეკელობა გონებისა, მე რომ მჩვე-
ოდა, ალბათ ამიტომაც გაქრა, ყურად-
ღებას ერთ საგანზე დიდხანს ვერ ვაჩე-
რებდი. კლდის ნაყონით ჩამოშტირალ
კბოღებზე ფათალოს, უსურვაზისა
და ძალღყოჩმენას დაკიდებული ბუჩ-
ქნარები მშობლიურ ოდიშს ისე ცოც-
ხლად მომაგონებდნენ, რომ გულმა
იქით გამწია. სოფელი, სადაც ბავშვო-
ბა გამეტარებინა, ცხენისწყლის პირად
მეოცნება, — მომენატრა.

გუშინ გამომცემლობას ახალი მოთ-
ხრობები ჩავაბარე. სამი წელიწადი ვი-
მუშავე ამ წიგნზე, სამი წელიწადი
ვებრძოდი სქემებს, რომელთათვის
სული უნდა ჩამედგა, ვერკინებოდი
ქართული ენის სტიქიონს, რომლის
სიღრმეს ზაინც ვერ ჩაეწვდი და ალბათ
ისე მოეცდებო, რომ იგი ჩემთვის მი-
უღწეველადღი დარჩება. ბინ მოსთელის
ამ სამ წელიწადში რამდენჯერ გავ-

ფრენილვარ, დაეცემულვარ, რომ ისევ ლაღად გავფრენილიყავ. ჩემგანვე შექმნილი გმირები ხანდახან ჩემი ნების გარეშე ირჯებოდნენ და მათი საქციელი ხშირად ჩემთვისვე იყო მოულოდნელი. არ ვიცოდი მკითხველი როგორ მიიღებდა მას, მაგრამ ჩემივე წიგნიდან გამოყოლილ შინაგან მღელვარებას ჯერ ისევ მძლავრად განვიცდიდი. ვიცოდი ისიც, რომ ჩემი აზღენი ხნის ნაშრომი, ჩვეულებისამებრ, დაბეჭდვამდე შემძაგდებოდა, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებდი, რომ მუდმივი კმაყოფილება შედეგია აზრისა და ოცნების განსაზღვრულობისა, მაგრამ ახლა ჩემივე ნაშრომისადმი მძულვარების ეს გრძნობა ჯერ არ აღძრულიყო.

ხვალ დედაჩემთან ერთად სოფელში დასასვენებლად მეც მივდიოდი. ჩემი მოხუცი ძიძა ორთავეს მოუთმენრად გველოდა. ჩვენს მოლოდინში ახლა ალბათ ეზოს გვიდა; ლურჯად აბიზინებულ კოლინდარში სარეველა ბალახებს თხრიდა; ჩვენთვის დაზრდილ ქათმების დასაპურებლად ჯერ ისევ ლეგა ალიონზე ეზოში გაშოსული სიმინდით სავსე გობს ახაჟუნებდა და თან „არტუ-უუ, მეჩჩი მეჩჩი!“ გაიძახოდა. ხეზე დაბუღებული დედლები, ვარიები და ყვინჩილები გულგახიტილი და თან ხალისიანი კრიახით ძირს ფრთათა ბათქუნით მოფრინავდნენ და მათ ინდაურები, ბატები და იხვები ქოთქოთით უერთდებოდნენ.

ამ სამ წელიწადში ჩემთან ერთად დედაჩემიც გამწარდა. ყოველი მოთხრობის თითო გვერდს უთვალავჯერ ვწერდი, უთვალავჯერ ვუკითხავდი და მით ჩემ ნაწერს მერე ვაოწმობდი. ახლა დაღლილი გამგზავრების წინ აქაურობას დროებით ვეთხოვებოდი. ეგრე ახლებურად ყველაფერი ალბათ იმიტომაც შეჩვენებოდა.

ნესტით გაელენთილი ტინი აქა-იქ ხავსა და ჯინჯარს დაეფარა. წითელი

ყაყაჩო, თეთრი გვირილა, ოქროსფერი ბაია და ნორჩი, ჯერ კარგად მოხლებული მოლნარი თვალს სიმწეობით სიწყნარებოდა. მრავალსართულიანი სახლები და კოტეჯები ქალაქს ცისფერი სურაიანი აივნებით გადასცქეროდნენ. ძველთაძველი, ეგრეთწოდებული ლურჯი საყდრის გუმბათი მზის სხივებში ზართლაც რომ ბანაობდა...

თბილისის ჯერ ისევ მზემოუძალე-ბელი შუადღე თავს შეუმჩნევლად წამომადგა. ოთხსართულიანი სახლი, სადაც მე ვცხოვრობდი, ვერის ზღთან ამართულ თეთრბალუსტრადიან-მომივსევტებიან წიგნის სასახლის პირდაპირ იდგა. მის არც თუ ისე ვრცელ ეზოში საზაფხლოდ დათხოვილი, მაგრამ ჯერ კიდევ აგარაკებზე გაუგზავნელი ბავშვები ხალისიანად ფრიამულებდნენ. მათ ორთმარიალში ავტოების პიპინი, მავთულებზე ტროლიბუსის გორგოლაჭების სრიალი, ხალხმრავალი ქუჩის ხმაური თითქმის არ მოისმოდა. ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ. გოგოები თავისივე ირგვლივ დატრიალებულ თოკზე ასკინკოლა ხტოდნენ, ხოლო სულ პატარანი ონკანთან ჭყუმპალაობდნენ,—თუნუქის კოლოფებში წყალს ფრთხილად აგროვებდნენ, ოვრიდნენ, ისევ აგროვებდნენ და თან შიშველი წვივები, ზიზია ფეხსაცმელები რომ ეწუწებოდათ, ვერ ამჩნევდნენ.

უქმე დღის გამო სამსახურისაგან მოცილილი და გვიან ამღვარი მამაკაცები მოაჯირებზე პერანგის ამარა გადმოყრდნობილიყვნენ. დიასახლისებს მათი შინ ყოფნით საქმე თითქოს მომატებოდათ. ლოგინებს, ფარდაგ-ნოხებს აივნებზე გასამზებურებლად ფენდნენ და თან მიზეზზე იყვნენ,—ყოველ შემთხვევისათვის გაგულისებით ბუზლუნებდნენ. მათ უქმყოფილებას შაინივე ნახეიარნი არად აგდებდნენ, ეზოში გალაღებულ ბავშვებს თვალყურს ოდნავ შესამჩნევი ღიმილით ადევნებდ-



ნენ. აქ ვილაც კავარადოსის არიას ხმა-
ჩაწყვეტილი გაჰკიოდა. იქ ნარდს ვენე-
ბიანად აქაუნებდნენ, საღლაც ალბათ
ნაცემი ფინია ყურთასმენის წამლებად,
საცოდავად წკაფწკაფებდა, საიდანაც
გრამოფონის სულშეპირებული ხრო-
ტინი უსიამოვნოდ მოისმოდა. მის
პატრონს ეს შქისე ხმა, როგორც სჩან-
და, სიამოვნებდა, — არ აჩუქებდა.

მთელი სახლი სიცოცხლით, ხალი-
სით აესებულებოდა. ყურადღებას სიწყინ-
რით მხოლოდ დარაშელოძიანთ მესამე
სართულის აივანი იქცევდა. მისგან
ლამფის ფიცრულით გატახტულ ჩემ
აივნიდან საკერავი მანქანის რახრახი
ისეე მოისმოდა. დედაჩემი ვაჟთა ზეცხ-
რამეტე სკოლაში ქართულ ენას და
ლიტერატურას ასწავლიდა. ახლა სა-
ზაფხულო არდადეგების გამო ორი
თვით თავისუფალი იყო და ჩემთან
ერთად ჩემს ძიძასთან სოფელში წასას-
ვლილად ისიც ემზადებოდა. დილი-
დანვე საკერავს უჯრა და, როგორც
იტყვიან, თვალი ნემსზე ჰქონდა აცმუ-
ლი.

მალა ავიხედი, — დარაშელოძიანთ,
უჩვეულოდ მიყობილი აივნი ალაქა-
ჯი და თვალცივიზიმა პატრონი, პატარა
მაიკო, არსად სჩანდა. ვამიყვირდა, რომ
ის, ჯერ ერთი, თავის ტოლებთან ერ-
თად ეზოში არ დაცქრილებოდა, მეო-
რეც, იმ თავის აივანზე თავისებურად,
გვიმეფურად არ დანაჯარობოდა, თავი-
სიდე თოჯინების წყალში ნაპოჰან
პროლაპროლა კაბებსა და კომბინიებს
საქმიან თიხასხლისივით მზიზე დასაშ-
რ-ბო არ კიდებდა და თან ეზოში მო-
თამაშე ტოლსწორებს მოსწრობოლოდ
შერქმეოლო ზოიმეტ სახელობს მალი-
დან მოურჩიებოლოდ არ გაიშოსძანოდა.
არათრით ის თავის აოლოზაბოლოსა და
ოდნაე აბირბოლო მამას არ გაედა. არც
თავის ძმასთან. მოთამ ოინასა თა აოჩ-
ქარბოლო არჩიოთან, ჰქონოთ მას ბე-
რი რამ საართო. სიცოცხლის ზაოისით,
შშენიერებით იგი თურმე თავისი დე-

დის ასლი იყო, რომელიც მის შემობი-
რებას გადაჰყოლოდა, ამბობდნენ მანჩე-
ნილი სანახევროდ დედაჩემის სხვატ-
რონოდ გადაქცეულიყო.

მე და არჩილი ტოლნი ვიყავით, სიყრ-
მითვანვე ერთურთს შეზრდილნი. სკო-
ლაში ერთად დავდიოდით, კომკავშირ-
შიც ერთად შეველით. ესწავლობდით,
მომავალზე ერთად ვოცნებობდით. სიმ-
ფონიურ კონცერტებს ვესწრებოდით,
მტკვარზე საბანოდ ერთად მივიპარე-
ბოდით, საშუალო სასწავლებელი ერ-
თად დავასრულებთ. საქმემ ბოლოს ისე
მოიტანა, რომ ერთურთს თითქოს მაინც
დავშორდით. თუ საგნის სიყვარულით
მე დედაჩემის კვალს გავეყე და, ფი-
ლოლოგიური ფაკულტეტის დასრუ-
ლების შემდეგ, მწერლობას დავეწაფე,
არჩილმა თავისი მამის, საქართველოს
წარსულის დიდი მკვლევარის, სოლო-
მონ დარაშელოძის, გზას აუხვია, ფიზი-
კა-მათემატიკამ გაიტაცა. დღედაღამ
სპეკტროს ანალიზები, მძიმე წყლის ქი-
მიური თვისებები და კოსმიური სხივე-
ბი ელანდებოდა. მისი საგნისადმი „ლა-
ლატით“ უკმაყოფილო მამა თავისი
კულრაქა და თავქეიფა მაიკოს მოიმე-
დელა დარჩა. ჩვენი ქვეყნის წარსუ-
ლისადმი სიყვარულს გულში აქედან-
ვე უნერგავდა, მაგრამ მას ჯერ ცამე-
ტი წელიც არ შესრულებოდა და ქარ-
თუოი ელინიზმი, რენესანსი არაფრად
ეკაშნიცებოდა, თავისი თოჯინებისა,
მუსიკისა და ვალტერ სკოტის საჩაინ-
ლო რომანებს გარდა, არა ავონდებო-
და რა.

მაიკო ჩვენ ზელში გაიზარდა. ჩვენს
ოჯახში სიცოცხლე იმას შემოჰქონდა,
რაც მე და არჩილს კიდევ უფრო გვაბ-
ლოებდა. ზიზია კაბებს დედაჩემი უკე-
რავდა. ვაკვეთილების მომზადებაშიც
ის ეხმარებოდა. სანამ პატარა იყო, ზო-
გიერთ ასოს სწორედ ვერ გამოსთქვამ-
და, მაგრამ ყველაზე სასაცილოდ მაინც
ყავართს ლექსს კითხულობდა.

— ყაყაოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებიაო,—ენის მოკიდებით რომ იტყოდა, თვითონაც წითელ ყაყაოსავით სათუთი იყო და ალერსიანი. მის ტიტინზე მე და არჩილი თავს სიცილისაგან ძლივს ვიკაევდით, მასთან ერთად ჩვენც ვბავშვდებოდით, — ვანებიერებდით, ვაწვალებდით, მისი წივილ-კივილი და ჩვენი სიცილ-ხარხარი მთელ სახლს აყრუებდა.

ახლაც ბარგი შეკრული მქონდა. მატარებელი დილით ადრე გადიოდა და მე არჩილის უნახვად, მასთან ერთად მაიკოს ერთხელ კიდევ გაუწვალებლად სოფელში წასვლა როგორღაც ვერ წარმომიდგინა. შინ არ შევსულვარ. ჩემი ბინის პირდაპირ დარაშელიძიანთ ზარის ხრახნი ისე მოუზომავად გადავატრიალე, რომ ჩემგან გამოწვეულმა წკრიალმა მევე შემაკრათო.

ნახევრად თმადაწწულმა მაიკომ კარი აღქაჯურად, თავისებური ცქრიალით ერთბაშად გამოიღო. ჩემს დანახვანზე ცისფერი თვალები გაუბრწყინდა, ოღნავ ჭორფლიან ნაზ სახეზე სიხარული ისე გულახდილად გამოეხატა, რომ მისი ბავშვური ლაზათით მოხიბლული დასაქვრად როგორღაც ჩემდა უნებლიედ წავეტანე. მინდოდა ხელი ზის ჯერ ისევე ბიჭურად გამხდარ მხრებზე მომეხვია, მაგრამ ის აშარი და ფაფხაქელა სააღირსოდ ივრე ადვილად როდი დამნებდა. ერთი ჩიტვით შეფრთხილადა და გონს მოსვლაც ვერ მოვასწარ, რომ ხელში მარჯვიდ გამისხლტა.

— არჩილ, არჩილ, ბეჟანი მოვიდა! — იმნაირად დაიძახა, თითქოს მე დიდი ხნის უნახავი ვინმე ვყოფილიყავი. კუნტრუშით, შორღანდური წითელი კუმბოკრული კაბის ფრიალით, ძმის ოთახისაკენ გაქანდა.

— არჩილ, ჩვენი ბეჟანი მოვიდა! — გაისმა მისი ნმა ახლა ოთახში და მეც, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც ვანზრახ ვაგვებით მივიძახე:

— მოიცა შე ანცო, სად გარბიხარ! სულერთია, ვერსად წახიხარ! სიცილით ვემუქრებოდი, ტყუილს ხუმრობით ვუცაცხანებდი, მაგრამ დასაქვრად არ დაედევნებოდა. ვიწრო ოღნავ ბინდიან დერეფნიდან უღიასახლისო ოჯახისათვის დამახასიათებელ უთავბოლობით დალაგებულსა და სუფთად დაგვილ ოთახში წყნარად შეველ. მაიკოსთან ხუმრობით ვართულს ბინის კარი დაუკეტავად როგორ დამჩჩა არ გამიგია.

საგანთა და ნივთთა ნაირობით კაცს დარაშელიძიანთ სახლში თვალი მართლაც აუპრელდებოდა. კედელზე გაკრულ უძველეს ნაგებობათა სურათები და არქიტექტურული ჩანახაზები, ქართული ფრესკების ასლები და მენდელეევის ქიმიურ ელემენტების ცხრილი, რუკები და დიაგრამები, საქსისა და სევრის ლიფურთან ერთად უძველესი კერამიკის ქართული ნიმუშები, ქართულივე განიერ ტახტი და მეჩვიდმეტე საუკუნის ბულა ხათაბანდური საწერი მაგიდა, ძველებური ნივთები და ფიზიკური ბილსაწყობები და თვით ეს პერამდე ამართული წიგნის თაროები მართლაც რომ დომხალს წარმოადგინდნენ. ფიზიკისა და ქიმიის დარგის წიგნებს ისტორიული შინაარსის მანუსკრიპტები და საბავშვო ლიტერატორა შერეოდა. ხელოსონისა და ბორის შრომებს ნიკო მარისა და ტაციტის თხზულებანი გვერდში ამოდგომოდნენ, ხოლო მათ თავის მხრივ რაიდერ ჰაგარდისა და მაინ რიდის სათაჯადასავალო რომანები ინაჯვობოდნენ. შამისა და ძმის ნივთებს შორის მაიკოს ნოკებსა და თოჯინებს თავისი ადვილი მტკიცედ დაემკიდრებინათ. ერთი სიტყვით, ეს ბინა ერთსა და იმავე დროს ლაბორატორიაც იყო, მეცნიერის კაბინეტიცა და ბავშვის ოთახიც.

არჩილი ნოხვალადენილ ქართულ ტახტზე პერანგის ამარა იჯდა. ზურგივთ დორს მიყრდნობილი რალაცას კითხუ-

ლობდა. ამ ოჯახისათვის მე იმდენად ახლოელი ვიყავე, რომ ჩემი მისვლა მას დიდ რაჲედ არ ჩაუვლიდა. ყუთადღება არც თავისი გიქმედი დის ქოიამელი-სათვის მიუტყვევია. ეტყობოდა რაღაც ახრს ამოიყვებით აღეყვებოდა და, სახამ ბოლომდე ან ამზაცამდე არ ჩაყვებოდა, თავს ძალდა არ აიღებდა.

სოლომონ დაიამელიძე, ჩვეულები-სამებრ, შინ არც დღეს იყო. მცხეთაში უძველეს სამარხთა გათხრებზე დილა-ადროიანადვე გამგზავრებულყო და მოსამხარეც საგზლით თან წაყვანა. თავნება და ძილისგუდა მაიყო გვიან ამ-დგარიყო და ეზოში სათამაშოდ ჩასვლა ამიტომაც დაგვიანებოდა. ახლა სარ-კესთან საჩქაროდ მიიბრინა და ლილის აყოლილ ტანის რხევით წაბლისფერ თამში წითელ ბაფთას იზნაირად ისე-ხიდა, თითქოს თავისი ლაზათით თვი-თონვე ტყებოდა.

არჩილმა წიგნი უტბად დაკეცა. კითხვით გაოგნებული ნაცრისფერი დიდ-რონი თვალებით უსაგნოდ მომანერდა. ფიქრისაგან ოდნავ გაფითრებული ტუჩებით უსაგნოდვე, მაგრამ სანდომიანად გაიღიმა. წიგნით აღძრული რაღაც ახრი ხუტუქი თმებით დაჩრდილულ მის მალალ შუბლსა და გახსნილ სახეს შუქივით ისევ დაპნათოდა.

— რა ქნა, რა დაგიშავა მაგ კუდიან-მა? — შეშეკითხა ისეთი ღიმილით, რომ შევატყე, — ერთს ფიქრობდა და სხვას ლაპარაკობდა.

— როგორ თუ რა დამიშავა! — წამოვიძახე ვითომც აღშფოთებით და სარკის წინ მდგომარე მაიკოს ვანზრახ მრისხანედ გადავხედე. — კარში თითი კინალამ მომაწეწკა.

— ეს რა მესმის! — ამოხდა არჩილს ვანზრახ გადაჭარბებული მრისხანებით და ფეხზე წამოიჭრა. — მაშ ევრეა საქმე არა? მაინც არ ისვენებს, არა? დამაცადოს მაგ ახტაჯანამ და მე დიცი ზურგს როგორც ავუჭრელებ.

ის იყო მისკენ გაქანებას და ვითომც ზურგის მართლა აჭრელვხმს ამხმრებდა, რომ მაიკოზ მოასწრო, უნებლად და აივანზე სიცილით გავარდა. თან შიშით, რომ ერთბაშად საიდანმე არ წამოვბარებოდი, თვალს აქეთ-იქით ოინბა-ზურად აცეცევიდა და თან ერთ ადგილას გიქმეყოფად ზტოდა, ენას გამოსა-ჯავრებლად გვიყოფდა. მეტის ატანა მართლაც არ იქნებოდა. როცა შევატყეთ, რომ მას ხელში ევრე ადვილად ველარ ვიგდებდით, გადაეწყვიტეთ. შური ისევ მის თოჯინებზე გვეძია. მისგან შეკერილ ჭრელ კაბას მალდა ვუწევდით და ნახერხით გატიკნილ ვარდისფერ ტანზე ვცეზდით, თმებს მის დასანახავად სათითაოდ ვაწიწნიდით და თან ნიშნის მოგებით გავიძახოდით:

— ეგეც შენ, აჰა! ეგეც შენ!

მაიკო ბარტყმოტაცებულ ჩიტვივით ზედ გააწყდებოდა, თავისი თოჯინების დაცეკას თავგანწირული წივილ-კივილით ლაპობდა, მაგრამ საჭირო გონიერებას მაინც იჩენდა, ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა. ბოლოს იმდენად გამწარდა, რომ სიფრთხილის გრძნობა დაჰკარგა. ჩვენც დრო როდი დაგვიკარგავს, — ხელთ, როგორც იქნა, ვივდეთ და, რაც მის თოჯინებს დავაკელით, ის ახლა იმას მოეუთავეთ. თმას ახლა მას ვუწიწნიდით და საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ მისი ღრიალი მთელ სახლში გაისმა, მე და არჩილი სახტად დავრჩით. მივხვდით რომ ნამეტანი მოგვივიდა. სხვა გზა არ იყო. ჩვენი დანაშაული ჩვენვე უნდა გამოგვესყიდა, გული მისთვის ისევ ჩვენვე უნდა დაგვეამბინა.

— არა, მაიკო! გვაპატიე, მაიკო! საწყალი გოგო! ჩვენი გოგო! — ხან ვეაღერებოდით, ხან ვემუდარებოდით და თან მისი ევრე უსამართლოდ დაჩაგვრას ერთმანეთს თავშეკავებული სიცილით ვაბრალებდით. თოჯინებს დაგლეჯილ ბუწუწს წებოთი თავზე ისევ გულდაგულ ვაწებებდით და მერე ვითომც ჩვენივე დანაშაულის უღრმესი

შეგნებით წებოთი დათითხნილ ხელებს მაიკოს წაილისფერ თმებზე ალუოაით ვუსვამდით, თავს სიცილისაგან ძლივს ვიკაფებდით.

— საწყალი გოგო! ჩენი გოგო! — ისევ ვეალერსებოდით, ველოლიავებოდით და ციოლით ადუღებულ გულს მით ვუაფებდით. ბოლოს ყოველივე ეს იმითი დასოულდა, რომ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო. მაიკო ისევ აღრიალდა. ძერე ისევ ალერსი, ისევ ხუგემი და ვინ მოსთვლის რამდენჯერ გახმეორდებოდა ეს ამბავი, ღიად დარჩებოდა კაოში დედაჩემი ტაქახით რომ არ შემოქრილიყო.

— რას სჩადიხართ, თქვე საძაგლებო, თქვენა, პა? ჩემ გოგოს რად აწვალბოთ? მითხარით, ერთი ეს მითხარით, მისი ატირება ვინ გაბედა? — ლანძღვა-თრევით საწყალი მაიკო ხელში გაკაპასეებით გამოგველიჯა, გულში ალერსით ჩაიკრა.

— არა, ჩემო გოგონავ! ნუ ტირი, შენ შემოგვევლოს შენი დედა! ნუ ტირი, ჩემო წითელო ყაყაოვ, და მე შენ გაყურებინებ მაგათ სეირს. — თავს ევლებოდა დედაჩემი და თან გეტუქსავდა, ლანძღვა-თრევით მიწასთან გვასწორებდა. ის კუდიანი, საქმეში მართლა შევიდა, გული ტირილით კიდევ უფრო ამოუჯდა.

— სულ ეგრე ვარ... ეგრე მაწვალბენ... მეტი აღარ შემიძლია... — სლუკუნებდა იგი და ლოყებზე ლაპალუბით ჩამოდენილ ცრემლებს კაბის კალთით რომ იშმრალებდა, ჩვენ, მისი მტარვალები, სიცილით ვიხოცებოდით. მისდამი სიბრალულის გრძნობა ჩვენს გაკერპებულ გულს ახლოც არ ეკარებოდა. ბოლოს თავს სულ რომ გაგვივიდა, დედაჩემმა მოთმინება დაკარგა.

— დაიკარგეთ აქედან, თქვე გასაწყვეტლებო, თქვენა! დაიკარგეთ, არცერთი ჩემმა. თვალებმა არ დაგინახოთ! — ცუდად დაფარული ღიმილით დაგვიტატანა მან და ატირებულ ბავშვს

ცრემლით დალტობილი ფოფოა ფვალები სათითოოდ დაუკონტაქტუნულნი

— წამო, ჩემთახ წამო! შეგეჩქარებ რემ ეგენი, ეგ გასაწყვეტლები, სისხლს სულ გაგიშრობენ.

ხელი მხარზე მოხვია და საალერსო აბდაუბდის ტიტინით თავის ოთახში წაიყვანა, კარი ვითომ გაგულისებით მოგვაკეტა.

2

მე და არჩილი მარტო დავრჩით. იმ ხალისიანი ალიაქოთისა და წივილ-კივილის შემდეგ, ამ რაბდენიძე წუთის წინ აქ რომ გაისმოდა, უეცრად ჩამოვარდნილი მყუდროება ყურს თითქოს ეხამუშებოდა.

— რას კითხულობ? — ეთქვი და ტახტზე მიგდებულ წიგნს ირიბულად გავხედე.

— არაფერს. — ზომიქრა სიტყვა არჩილმა იმნაირად, თითქოს ჩემი თავიდან მოშორება უნდოდა. მერე ნაცრისფერი მშვიდი თვალები, რომელიც მე მუდამ მხიბლავდა, ერთბაშად ისე გაუბრწყინდა, თითქოს მოაგონდა, რომ ჩემს ყურადღებას ყველაფერი, მაშასადამე, მისი საგანიც იქცეოდა. ტუნები მლეღვარების გამო, ჩვეულებისამებრ ისევ ოდნავ გაუფითრდა. მას, როგორც ყოველ ახალბედს და ამასთანავე ახალგაზრდას, თავისი საგნის გამო მშვიდად ლაპარაკი არ ეხერხებოდა, მაგრამ შინაგან მძლავრ მლეღვარებას გარეგნულად არცთუ ისე აშკარად გამოხატავდა. წიგნს ხელი როგორღაც მისდა უნებლიედ დაავლო, თითქოს გადაშლა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ტახტზე მიხეზიანად მიავლო. მალე წიგნით აღძრულ აზრებს ისეთი გატაცებით მიზიარებდა, რომ ისედაც მიღზიდველი, ეშხიანი სახე თითქოს კიდევ უფრო დაუმშვენდა. ბევრი რამ მისი ნათქვამისაგან, რა თქმა უნდა არ მესმოდა, მაგრამ თავისი მშვიდი და თან ღრმა მგზნება-



ოებით აღსავეს სატბრის კილოთი მაინც გაძიტაცა; საყათისა, როცაელიც მისთვის ეგზოზ საყულოდღებო იყო, გულდასით მიხსნიდა, ცდილობდა კარგად გაძეგო. მაშინ გავიგე, რომ ყოველ მხეხილს თუროზე თავისი კრისტალური ძეარის დაძახასიათებელი წყობა ჰქონია და ყოველივე ეს ატოთა აღნაგობასთან რაღაც კავშირში ყოფილა, მიუხედავად იმ დიდი ყურადღებისა, რომელსაც მე საუბრისადმი ვიჩეხდი, ბევრი რამ ჩემთვის მაინც გაუგებარი დაიჩა, რაც ალბათ სახეზე შეტყობოდა, რადგან მან სიტყვა უცებ წოსწყვიტა და ხმის დაწყევით შეყვითხა:

— თავი გაგაბეზრე, არა?

— არა, რატომ? — წამოვიძახე იმნაირად, რომ ზედვე შეტყობოდა, დანაშაულში დამიტირეს. — სწორედ ვითხრა, შენი ნათქვამიდან ძალიან ცოტა რამ გამოვიტანე, მაგრამ ერთი მთავარი რამ, მგონი, მაინც გავიწყვდება.

— მაინც რა?

მე არ ვჩქარობდი. იქვე, მაგიდაზე, მიგდებულ ვეფხვის ბრინჯაოს ქანდაკს დავწყვდი. ეს საკვირველი ნაქმარი ძველთა-ძველი ქართველი ოსტატისა სოლომონ დარაშელიძეს საძთავროს ერთერთ სამარეში ეპოვა და შინ შესასწავლად მოეტანა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ხშირად მენახა და მისი ყოველი მოძრაობა ზედმიწევნით მქონდა შესწავლილი, ამ ორიოდე ათასი წლის წინათ შექმნილ ნივთს თვალიერება ზაინც დავუწყე. ზომით იგი ერთი ციდა თუ იქნებოდა კბილდარქენილი ხახა განრისხებით დაელო ცალი ტორი მალა ისე აეწია, თითქოს დასარტყმელად ემზადებოდა, სიცოცხლის დაცვის სურვილით პირგამეხებულს კუდი უკანა ტორზე მოუთმენლად დავხვია.

ვეფხვის ქანდაკე მაგიდაზე მივაგდე.

— ნუ გეწყინება, არჩილ, და ერთ ანეკდოტს გიამბობ. შენმა სიტყვებმა მე მოლა მასრადინას ერთი ამბავი მომაგონა და არ შემძლია არ გაგიზიარო.

არჩილმა გაკვირვებით შემომხედა. მე განვაგოე:

— ცოლმა მოლას ერთი ქილა მაწირნი შეუუთა და კატას დააბრალა. იძასაც ბევრი როდი უყოყმანია, კატა მაშინვე დაიჭირა და სასწოროზე შეავდო. როცა კატა ერთი ქილა მაწვნის წონა მოვიდა, წამოიძახა: ეს მაწონი! კატა რაღა იქნაო? მეც ისევე გვეითხები: ეს მატერიია, მაგრამ სიცოცხლე? სიცოცხლის საიდუმლოება სადღა იფარება?

არჩილმა შრები გაცხუნებულად აიჩეჩა. ოთახში მოუთმენრად გაიარა. შედგა. ერთხანს ჩუმად იყო.

— ადამიანის ტრავედია, — სთქვა მან წყნარად, — ჩემო ბეჯან, იმაში მდგომარეობს, რომ მის შეგნებასა და შეძლებას შორის უზარმაზარი უფსკრულია ჩაწოლილი. მისი შეგნება განუსაზღვრელია, ხოლო შესაძლებლობა ზღვრული, ან ძველებურად რომ ვთქვათ, ადამიანის სული უკვდავია, ხოლო ხორცი მოკვდავი.

— ჰოდა, სიცოცხლის აზრიც სწორედ ამ წინააღმდეგობაში იფარება! — წამოვიძახე ხმამალა და არჩილს სიტყვა აღარ დავანებე, განვაგრძე: — უნდა მოგახსენო, რომ უკვდავება ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას. ძვეყნად ყველაფერი ცვალებადია და, ვფიქრობ, რომ სიკვდილიც ამ ცვალებადობის ერთი სახეთაგანია. რა თქმა უნდა, სიკვდილი ბუნებრივი. ადამიანი უკვდავებას მუდმივ სიცოცხლეში როდი უნდა ეძებდეს. სიკვდილი ჩეალოვისა, ჩიპაევისა, ივანე ჯავახიშვილისა განა უარყოფა არ არის სიკვდილისა? განმტკიცება არ არის სიცოცხლისა? განა ის ოსტატი, რომელმაც ეს ჯიჩი ვგეთის ზელოვნებით ჩამოაქანდაკა და რომელიც საფლავეში ორიათასი წელი ცოცხლობდა, უკვდავი არ არის?...

სიტყვა დასრულებული არ მქონდა, რომ ეზოში ვიღაცამ ცივად შეჰკვივლა და მას დედაკაცების წიოკი მოჰყვა. აივნებზე ხალხი ხზაურით გადმოეფინა.

ის იყო მე და არჩილიც ვარეთ უნდა გავცეხნილიყავით, რომ ამ დროს ოთახში ძაიკო შემოიქრა.

— არჩილ! ბეჟან! ომი დაიწყო!

მე და არჩილი გავშრიით. ვაოცებულნი თვალებით ერთმანეთს შევსცქეროდით. მიუხედავად იმისა, რომ ოძი ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, გაკვირვებისაგან ხმა ძაინც ვერ ამომვლო.

— რაო? რა სიტყვი, ძაიკო? — ეი არ იკითხა, კენესით სიტყვა არჩილმა.

— ეს-ეს არის რადიომ გადმოსცა, რომ გერმანიამ ჩვენი საზღვრები გადმოლახა. — სიტყვა მან გადმოცემიდან დამახსოვრებული სიტყვები.

ოთახში დედაჩემიც შემოვიდა. კერვის დროს გადადებული ლამზის თეთრი ძაფები თმაზე ისევ ეკიდა.

— ბეჟან! არჩილ! — სიტყვა და დევანში მოწყვეტით ჩაეშვა.

3

ორმა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო. ჩვენი ჯარები მტრის ვერაგული თავდასხმის გამო უკან ბრძოლით იხევდნენ, დროებით წარმატებით თავბრუდასხმულ მოწინააღმდეგეს ნელნელა ქანცავდნენ. ფრონტის ხაზი ქვეყნის შუაგულისკენ თანდათან მოიწევდა, საბჭოთა ქალაქები იბომბებოდა, მშვიდობიანი მცხოვრებლები იყლიტებოდა. სხვა საბჭოთა ქალაქებთან ერთად თბილისიც თავის სახალხო ლაშქარს, ადგენდა, ზოქალაქენი ბაღებსა და ეზოებში დაბომბვის შემთხვევისათვის თავშესაფრებს წინასწარვე თხრიდნენ, მტკვრიდან სათადარიგო წყალსადენი გამოჰყავდათ. ქალაქის ირგვლივ მალლობებსა და მრავალსართულიან სახლთა სახურავებზე საზენიტო ქვემეხები აიპართნენ. პროექტორები ცაში გათენებამდე ფათურობდნენ. აირწინაღიანი ქალები თავის სახლთა ჩაზნელებულ ალყაფებს მთელი ღამე გუშავობდნენ. თბილისის მუდამ ხალხსავსე,

მუდამ ხალხისანი ქუჩები მიეჭუნდნენ. სახლებიდან სალამობათი წარმოდიდა. მოდა ახალგაზრდობის მსოფლიო ქაზაფხულო კინოებში ტკბილად აღარ კენესოდნენ ვიოლინოები. ვისაც იარაღის ტარება შეეძლო, ფრონტისაკენ მიეშურებოდა. ქალაქი სამხედრო პირებით აივსო. კედლებზე გაკრულ სალაშქრო ცნობებს ხალხი სულგანაბული კითხულობდა, რადიოგადმომცემებს უბრად ისმენდა და სათითაოდ უბრადვე იშლუბოდა, მაგრამ მათი რიცხვი მაინც არ კლებულობდა. ყველა ჩაფიქრებული იყო, სახზე ზრუნვა და მტკიცე რწმენა გამარჯვებისა გამოხატვოდათ. სექტემბერმაც შეუძმნევლად მოატანა. ზაფხულის პაპანაქებას ნირი ჯერ მაინც არ ეცვალა. საშემოდგომოდ გადაყვითლებულ მთა-გორებიდან ქვემეხების საეარჯიშო სროლა ყრუდ მოისზოდა. საბჭოთა ქვეყნის ვაჟაყვები მშობლიურ მიწა-წყლის დასაცავად ემზადებოდნენ. მშემოკიდებულებსა და ოფლად გაღვრილებს მოლისფერი გიმნასტურები გასაწურავად მოქცეოდათ. მობილიზაციით გაწვეული და ჯერ კიდევ სამოქალაქო ტანისამოსგამოუცვლელი მებრძოლები სამხედრო კოზისარიატებიდან ათასეულებში გამოსაცხადებლად გუნდ-გუნდად მიემართებოდნენ. ქალ-ბაღანი, რომელთა დასაცავადაც ისინი ომში მიდიოდნენ, ფეხდაფეხ უხმოდ მისდევდნენ, ქმარ-შვილს, მამებს უხმოდვე ეთხოვებოდნენ.

სამხედრო განწყება მე და არჩილმა მხოლოდ დღეს მივიღეთ. მე სააარმოს გაზეთის რედაქციაში ვიგზავნებოდი, ის მესანგრეთა ნაწილში მიდიოდა. არმიის შტაბი, სადაც ჩვენ უნდა გამოცხადებულიყავით, ქუთაისში იმყოფებოდა. დანიშნულებისამებრ ჩვენ დღესვე უნდა წავსულიყავით. ჩვენთვისვე მოულოდნელი გამგზავრების გამო სადგურზე მხოლოდ შინაურებმა გაგვაციოლეს.



ცხელდა, სუნთქვა ხეატისაგან ნამეტურ ხალხით ვატეხილ ბაქანზე ჭირდა. ფრონტისპირა ქალაქებიდან გამოვზავნილ ქარხანათა აგრეგატებით და არმატურებით დატვირთული მატარებლები სამარქაფო ლიანდაგებზე უძრავად იდგნენ. ჩიხები ნაირნაირ სერიის ორთქლმავლებითა და საკლასო და საქონლის ვაგონებით ავსებულიყო. ამიერკავკასიის ერთადერთი საუღელტეხილო ხაზი ფრონტისაკენ გაფრენილ ეშელონებით ისე გადატვირთულიყო, რომ თბილძსიდან მხოლოდ ერთადერთი სამგზავრო მატარებელი გადიოდა.

ბაქანზე ხალხისაგან ტევა არ იყო. ყველა ჩქარობდა. ყველა წესრიგს ამყარებდა და მით წესრიგი კიდევ უფრო ირღვეოდა. ზოუთმენრობისაგან თავგზააბნეულთა უსაბაზო ყიფინი, უთავბოლო სირბილი და ფაციფუცი გულში მოუსვენრობის გრძნობას იწვევდა. ლიანდაგის პირაპირებზე გადაბრენილ მატარებელთა ბორბლების თანაზომიერი გრიალი, ჩაქროლებულ მებრძოლთა შეწყობილი სიმღერა და ელმავალ-ორთქლმავალთა ზუზუნ-კივილი ისედაც აფორიაქებულ გულს კიდევ უფრო აფორიაქებდა.

ბაქანზე სამგზავრო მატარებელიც ჩამოაყენეს. მის დანახვაზე ხალხი, ჩემოდნები, ბარგი ბარხანა დომხალივით აირია. ვინ ჯახრიდებს შორის ეწყობოდა, ვინ სახურავზე მიფროთხავდა და ვინ სარკმელში მიძვრებოდა, ძალი პატრონს მართლაც ვერ იცნობდა. მე და არჩილმა იმდენი მაინც მოვახერხეთ, რომ მესამე კლასის ვაგონში ერთნი პირველთაგანნი აღმოვჩნდით. ბაქნის მხარეს, სარკმელთან, საუკეთესო ადგილი დავიჭირეთ. ბრძოლით მოპოვებული მდგომარეობა რომ არ დაგვეკარგა, მშობლებთან გამოსათხოვრად ძირს არ ჩავსულვართ. დაბლა დაწეულ ვიწრო სარკმელის თხელ ჩარჩოზე ცალ-ცალი იდაყვით ჩამოყრდნობილნი ძლივს ვთავსდებოდით. ვაგონში შემოდენილ

ოდნაც ნიაცს ვეფარებოდით და მით ისედაც დახუთულ პაერტისაგან უსწორ ვხუთავდით.

არჩილის მამისა და დის შორის მდგომ დედას საერთო ფაციფუციტ აგზნებული ზემოდან უსაგნო ღიმილით დავცქეროდი. სათქველი თითქოს ბევრი, ძალიან ბევრი მქონდა. ის აქ რჩებოდა, მე მივდიოდი. ვინ იცის როდის ენახავდით, ან ენახავდით კი ოდესმე ერთერთს? და აი საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყველაფერი ერთმანეთისათვის რომ უნდა გვეთქვა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერი თურმე ნათქვამი იყო. მაგრამ მე გაჩუმება მაინც არ შემეძლო, რაღაც აბლაუბდას სულმოუთქმელად ვლაპარაკობდი. დედაჩემი ყურს ჩუმიად, დარღიანი ღიმილით მივღებდა. ის დედა იყო, მე მისი შვილი და გრძნობდა, რის თქმაც მინდოდა. შავი ქუდით, შავით მოსილი ბაქანზე, უძრავად იდგა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი მაინც მოხდენილი, მაინც კოხტად ტანდადგმული ქალი იყო. ახალგაზრდული ეშვი მის ნაოჭიან სახესა და მთელ გარეგნობას ჯერ კიდევ საკმაოდ შერჩენოდა, რითაც მე თავი დიდად მომწონდა. აღრე დაქვრივებულს მთელი თავისი ყმაწვილქალობა ჩემთვის შემოეწირა და მე მივდიოდი... შავი მალმერთებელი თვალებით ნალვლიანად შემომცქეროდა და ვგრძნობდი, შორიდან როგორ უსიტყვოდ მელამუნებოდა. ვგრძნობდი როგორ უზმოდ, უდრტყინველად ზეთხოვეპოდა და ჩემივე დასაზოგავად თავს ცრემლებისაგან როგორ იკავებდა.

შუატანის, მუდამ პიჯაკდათელილი და თმა-წვერვაბურძგენილი სოლომონ დარაშელიძე კეხიან ცხვირზე ოქროს სათვალეს მღელვარებისაგან წარამარა ისწორებდა, ერთსა და იმავეს ათასჯერ გვაბარებდა. მამაკაცურად ტლანქსა და მოუხერხებელს გრძნობა სიტყვით რომ ვერ გამოეხატა, თავის თავზე გული მოსდიოდა და ჯავრს ჩენზე იყრი-

და. ხან გვიჯავრდებოდა ხან გვიყვავებდა და ხან ისევ გვიწყობოდა. ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და ხან ბუფეტისა და ხან საეაქო ფარდულისაკენ რაიმეს სასყიდლად გარბოდა.

— მამა! — ეძახდა მას ენინანი და თან გაუბედავი საყვედურით მაიკო. — მამა, ძატარებელმა არ გაგასწროს!

მაგრამ სოლომონი შვილს ყურადღებას არ აქცევდა. ცისფრად ძეღვბილ კიოსკისაკენ უკან მოუხედავად მაინც გარბოდა. ცოტახანს შემდეგ ააპიროსებით დატვირთული ისევ გააოჩნდა. კოლოფები რომ არ დაფაიტვოდა, გულში ორთავ ხელით ჩაეკრა და ოდნავ უკან გადაქანებული როგორღაც სასაცილო სიფრთხილით მოაბიჯებდა.

მე თუთუნს არ ვეწეოდი, ხოლო არჩილს იგი საკმაოდ მოემარაგებინა, მაგრამ მოხუცი მაინც არ გაეაწბილეთ. ვიცოდით, ამ გამოგონილი საქმიანობითა და ფაციფუცით იგი თავის მღელვარებას ფარავდა და სარკმელში მოწოდებულ პაპიროსებს ჩვენც გამოგონილო სიცილით სათითაოდ ვართმევდით. მაგრამ ის როდი იცინოდა. პირიქით, გული მოსდიოდა და, კოლოფებს რომ გააწვდიდა, თან ისევ გვიჯავრდებოდა:

— გამომართვით! გამომართვით, დოყლაბიებო! ეგეთნი ხართ... სულ საპატრონო, სულ უთაურნი სანამ უნდა იყოთ... თქვენი ომი ვის გაუგონია... ცეცხლის პირას უნდა ისხდეთ და ნაცარს ქეჭავდეთ...

ნიაღვარი ლანძღვა-თრევისა უცებ შეწყდა.

— წყალი! — წამოიძახა მან გაზეილებული აღშფოთებით. — გზაში რომ მოგწყურდეთ?

და ახლა ბორჯომის წყლისათვის ბუფეთისაკენ გაქანდა.

— მამა! — გასძახა ისევ მაიკომ, მაგრამ სოლომონს მისი ხმა არ გაუგონია, ხალხში მიიმალა. ბუფეტამდე მისვლამოსვლას, სულ ცოტა, ათი წუთი მაინც

დასჭირდებოდა. ძატარებელი მის მობრუნებაზე იქნებ ძართლაც უმჯობესობდა ძაიკოს მოუთმენარებას. მაგრამ სწავლულ ფუძველს როდი იყო მოკლებული. დღეს ისიც როგორღაც სხვახაირი იყო. ისედაც თეთრგვრემანი სახე კიდევ უფრო გაფითრებოდა. მდგომარეობის მთელ სირთულეს ისიც გრძნობდა, მაგრამ თითქოს არ სჯეროდა. უსაბაზოდ მიზეზიანობდა, უკმაყოფილოდ ბუზღუებდა და რატომღაც, თითონაც არ იცოდა რატომ, — იბუტებოდა. მის აშოლტილსა და ჯერ ისევ ბიჭურად ხმელ ტანს, ჯერ კიდევ ქალურად მოუქნელსა და წვეტიან იდაყვებს კრებულ შინის წითელი კაბა კარგად ვერ ფარავდა. დაფიქრებული, ოცნებით სავსე თვალებს ისე ეშხიანად აფოფინებდა, რომ ეტყობოდა, — თავისსავე მოხდენილობას თვითონვე გრძნობდა. ახლა იგი ის აბტაჯანა და ოინბაზი მაიკო როდი იყო. სეველისაგან ლურჯად ჩამუქებულ ცისფერ ქუთუნა თვალებით ხან მე და ხან თავის ძმას იმნაირად შემოგვეცქეროდა, რომ სახზე ხე ეწერა, — ჩვენით თავი დიდად მოსწონდა. მართლაცდა, ხუმრობა საქმე როდი იყო! მის თვალში ჩვენ გმირები ვიყავით, სამშობლოს დასაცავად მივდიოდით და, მართალია, ის თავის მამასავით აქეთ-იქით მოუსვენრად არსად დარბოდა, მაგრამ ერთ ადგილას ზაინც ვერ ისვენებდა. ხტოდა, ცმუტავდა, ხან ერთ ფეხს დაეყრდნობოდა, ხან მეორეს და თავისი მოხდენილობით ხალხის ყურადღებას ძალაუვნებურად იქცევდა, მაგრამ თავი მას იმნაირად ეჭირა თითქოს ყოველივე ამას არად აგდებდა. როგორღაც ვიგრძენ, რომ დღეს მის არსებაში რაღაც გარდატეხა ხდებოდა. ამ გარდატეხას იგი მთელი თავისი გარეგნობით, ალერსიანი სინაზითა და გულთიადობით ამკლავებდა. მე ვაგონის სარკმელიდან დავცქეროდი მას და მიკვირდა, ნუთუ ეს მაიკო, ის ალქაჯი მაიკო იყო, ყურთასმენის წამლები წივილი რომ იცოდა, მთელ

გვეთხოვებოდა. მატარებელი სად-
გურს თანდათან შორდებოდა. ხალხი
თანდათან უკან რჩებოდა. დედაჩემი
ბაქანზე ისევ უძრავად იდგა. ცხვირ-
სახოცი ახლა პირზე აეფარებინა და
წელზე შემოხვეულ მაიკოს მხარზე
დაყრდნობილი შუბლქვეშოდან ისევ
ნალელიანად გამოგვეკვიროდა. არ და-
მინახავს როგორ მოხდა, მაიკო დედა-
ჩემს როდის მოსწყდა, ჩვენკენ გიჟუ-
რი სიბილით როდის გამოქანდა. წუ-
თით შედგა. დედაჩემისკენ ისე მიიხე-
და, თითქოს ეკითხებოდა,—ეს რა
ხდებაო და მერე ერთბაშად, გულის
გამგვირავედ დაიკივლა:

— არჩი-ილ! ბეკა-ან! — ისევ გამოქან-
და. ფეხი მატარებლის სელას წუთით
შეუსწორა, მაგრამ მაინც ვერ დაგვე-
წია.

— არჩი-ილ! ბეკა-ან! — მისი ხმა მა-
ტარებლის გრიალმა დააყრუა, თანდა-
თან ჩამოგვრჩა. სიბილიისაგან გულა-
მოვარდნილმა ხელი უიმედოდ ჩაიქნია.
შედგა. ცალი ხელით თვალები მოიჩრ-
დილა, მეორე ხელი გამოთხოვების ნიშ-
ნად დაგვიქნია. მერე თანდათან დაბატა-
რავდა. წითელი კაბა, ნაწნავში ჩასკე-
ნილი აბრეშუმის წითელივე ბაფთა
შორს ყაყაჩოსფრად ერთხანს ისევ ენ-
თო, თანდათან ქრებოდა.

4

ბარენცის ყინულოვანი ზღვიდან შავ
ზღვამდე განზიდულმა ფრონტმა მე და
არჩილი თავის ზეიმირში ერთბაშად
მოგვიქცია, — ერთმანერთი უცებ დავ-
კარგეთ. მისი ნაწილი სადღაც სოფელ
ბროწეულაში იდგა და ალბათ ჩემსაკენ
აქემმ ისიც წაიღო, ერთურთის ნახვა
ერთხელაც ვერ მოვახერხეთ. ფრონტ-
ზეც ისე მოულოდნელად გაემგზავრა,
რომ არ გავიცილებია.

საარმიო გაზეთის რედაქცია, სადაც
მე სამხედრო კორესპონდენტად ვირიც-
ხებოდი, თავისი სტამბითა და ასოთ-

საამწყობროთი არმიის პოლიტგანყო-
ფილებას ეკუთვნოდა. მიწაქვეშა პი-
რად ყოფილ მუსიკატორებს მსახურე-
ლის ძველთაძველ შენობაში იყო მო-
თავსებული. ჩვენი ბედნიერი ახალგაზ-
რდობა ერთ დროს აქ უკრავდა, მღე-
როდა, რიონის ხმაურს ხალისიანი
ტრიამულით აყრუებდა. ახლა ჩვენი
ქვეყნის სამხედრო პრესის საუკეთესო
წარმომადგენლებს თავი აქ მოეყარათ,
სიწყნარე იყო და ამ სიწყნარეს მხო-
ლოდ რიონის ისევ ის გიჟური ღრიან-
ცელი, საღამურო სტამბის თანაზომიერ-
ი ხმაური და თანაზომიერადვე გად-
მოფურცლული ანაბეჭდების შმაშური
არღვევდა. მართალია, რუსული თით-
ქოს საკმაოდ ვიცოდი, მაგრამ იგი ჩემ-
თვის მშობლიური მაინც არ იყო, და
ამ ენაზე საგაზეთო მუშაობაში ჯერ გა-
მოწალდული არ ვიყავ და ცოტა არ
იყოს, ჩემი ბედი მევე მაფიქრებდა. საბ-
რძოლო განყოფილებაში ხუთი კაცი
ვმუშაობდით. ორი მწერალი და სამი
ჟურნალისტი. ახმახსა და ცხვირინისკარ-
ტა ხომენკოს, როგორც მწერალს, ჯერ
კიდევ ომამდე ვიცნობდი, მაგრამ პირა-
დად მხოლოდ აქ ვაეციანი. ფრონტის
შტაბმა ორთავეს ბათალიონის კომის-
რის ზარისხი მოგვანიჭა. სამხედრო ფი-
ციც სასწავლებლის ყოფილ საკონ-
ცერტო დარბაზში ზეიმით მივიღეთ.
საერთო საცხოვრებელშიც ერთად
ვეცხოვრობდით, მაგრამ ერთმანერთს
მაინც იშვიათად ვნახულობდით. მუდამ
მივილინებებში ვიმყოფებოდით, საგაზე-
თო ზასალებს ნაწილებში ვეგროვებ-
დით. ჯარებს სავარჯიშო აღლუმებზე
დაყვებოდით და მე ხან ფეხით, ხან
ცხენითა და ხან მანქანით მაშინ მოვი-
არე ახალციხისა და ახალქალაქის სააღ-
ლუმო სანგრებით დათხრილი ღარდა-
ღრეები. სოფელ ფონასა და წიფის
მთა-გორები, ანარიისა და კახაბრის
კალთებზე გაშენებულ ჩაისა და ციტ-
რუსების პლანტაციებში გაშლილი სა-
ვარჯიშო ბრძოლები, გორისა და დუ-



შეთის მიდამოები, სოხუმისა და ოჩამ-ჩირეს ზღვისპირები, ტუაფსე და გელენჯიკი, სადაც გერმანელთა დაბომბვამ რამდენიმეჯერ მომიწრო და როგორ გადავრჩი, თვითონაც არ ვიცი.

მე და ხომენკო თვეში ერთხელ ან ორხელ, ისიც ერთი ან ორი დღით, ხან რამდენიმე საათითაც, თუ შევიყრებოდით. ბაგრატიის დიდებული ტაძრის ნანგრევებს შორის შემოდგომის მზეზე ვთბებოდით, ანდა საერთო საცხოვრებლის ეზოში მხატვარ ბიოკლინისებურად შავად ამართულ გუნდის ხის ძირას მთვარიან ღამეში წყნარად ვისხედით, ლღვს, ყურძენს წყნარადვე შევექცეოდით და თან ერთმანერთს სამხედრო ნაწილებიდან ჩამოტანილ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით, ახალ წაგნზე, რომელსაც ომის შემდეგ დავეწერდით, შუალამემდე გატაცებით ვსაუბრობდით. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ჯერ-ჯერობით ისევ წინ მოიწევდა, გვჯეროდა, რომ გამარჯვება ჩვენი იქნებოდა. ხომენკო კიეველი იყო და ჩვენ ვოცნებობდით, როგორ გავდენილით მტერს საბჭოეთის წმინდა მიწა-წყლიდან, როგორ ამაყად გავივლიდით ხომენკოს მშობლიურ კრემლიკზე, როგორ გადავხედავდით ვლადიმირის გორიდან ზეადად გამწლილ დნებრს. ჩემს უკრაინელ მეგობარს იჭითან თავისი შინის შაურჩიანივით ბრტყელი ფრანგული გასაღები ჩამოპოლოდა. მიოხნდავად იმისა, რომ იქ ახლა გერმანელები თარიშობდნენ, რატომაც სჯეროდა, რომ მისი სახლი და საწყერი მაგიდის უპრასში შენახული და ჯერ დაუშთავრებელი დისერტაცია „პოეტური ფუნქცია სიტყვისა“ იქ დახობოდა და მას უსათუოდ წამაკთხებოდა.

ჩიანი თინება მართლაც ახლა. სკალინაროთან დამარცხებული მარჩი თან იხიოდა. თუ აჩამიე ჩიან სამხიორო მომზაობათა საკითხის გამო იწერდით ნარკვევებს, ახლა ჩემ მშობლიურ

ტხუსა და ხაიშში, სადაც მტერი შემოჭრილიყო, ხშირად ავიწყლებოდა ჩვენი გაზეთი ახლა ნამდვილად სახეობით გაზეთად იქცა. მალე ჩვენი რედაქციაც ფრონტისაკენ გაემართა. შენიღბულ ექვსთვლიან საბარგო მანქანაზე გაპართულ სტამბითა და ასოთსაამწყობროთი. სტანიცები: შაფსულსკაია, როგოვსკაია, ილსკაია და კოლოპატკა ბრძოლით გაეიარეთ. კრასნოდაროიდან როსტოვამდე, როსტოვიდან ხარკოვამდე მტერს კვალდაკვალ მივდევდით და ეგრე სალაშქრო ცხოვრებაში თითქმის სამი წელიწადი გავლიეთ. შინიდან დელაჩემის წერილს ხანდახან ვიღებდი, ხოლო არჩილ დარაშელიძის კარგახანია რაც არაფერი არ ვიცოდი. და აი ზამთრის ერთ ღამეს რაღაც ბრმა შემთხვევამ, რაც ომში ეგრე ხშირია, ერთერთს მაინც შეგეყარა, რომ ერთმანერთს სამუდამოდ გამოვთხოვებოდით.

ჩვენი სამხედრო ნაწილების წინსვლა ვერც ჩრდილოეთის მაკრმა ზამთარმა და ვერც დალოლობამ შეაფერხა. უკანდახეულ მოწინააღმდეგისათვის გონს მოსაღის საშუალება რომ არ მიეცათ, წინ შეუსვენებლად მიიწევდნენ. მტერს დროებით დაკვიზოლო ქალაქებს, სოფლებს ატოვებინებდნენ. ასეთ დროს ზურგში, მისამე ეშლონში, უმოქმედოდ უდომა, რა თქმა უნდა, ძნელია. ჩიანი რედაქციის მოშაკებთან ერთად მოწინავე ხაზზე მეც ვიმყოფებოდი. ომის ორიანიცლით დაყრუბოლოს სად დამიღამდებოდა, ან სად დამათინობოდა, თვითონაც არ ვიცოდი. თრონტის სხედასხვა უბანზე ხშირათ ჩიმთვისეე მოულოდნელათ აღმოაჩნდებოდი. ყოალით, უძილობით დაქანიცოლი თიხზე ძლიეს ვიღიქ, მაგრამ კალმის მნიშვნელობა კარგად მესმოდა, მისი ძალა აქ კიდევ უფრო ნათლად ვიგრძენ და გაზეთს მასალას მაინც შეუფერხებლად ვაწვდიდი.

იმ დღეს ქალაქ ჩენსტოხოვას მისად-

ვამებთან ვიდრე. შეტყვისათვის ვეზადებოდით, მაგრამ მოწინააღმდეგემ დაგვასწრო და იერიშზე პირაქეთ გადამოვიდა. ყველაზე სუსტ უბანს ჩვენი მარცხენა ფრთა წარმოადგენდა. სერჟანტ ბასანიძის მამაც ტყვიისმფრქვეველთა გუნდს აქ ამ მიდამოებზე გაბატონებული მალლობი ეჭირა, შეტყვის დროს ჩვენი მთავარი ძალებისათვის მხარი მას თავისი ცეცხლით აქედან უნდა დაეჭირა. როგორც აღმოჩნდა, მოწინააღმდეგეს ეს ჩვენი განზრახვა დროზე გაეგო. მთავარი ძალებით სწორედ ამ ადგილს მოაწვა. ბასანიძემ იგი ახლოს მოუშვა და მერე ცეცხლი უცებ გაუხსნა. ცოტაც და მას ჩვენი მეორე გუნდიც ჩაეშველა. გერმანელები ხანჯალურ ცეცხლ ქვეშ ბალახივით ითიბებოდნენ, მაგრამ წინ მაინც მიიწევედნენ. ბასანიძის ქება წინადაც გამეგონა. თოვლიან სანგარში თეთრ მოსახამით შენიღბული მისკენ ფრთხილად მივფრთხავდი. ტყვიები ირგვლივ ცივა ქარივით წიწინებდნენ. დაღლილი ყურშუმი ხანდახან ყურთან გზადახეულ კალიასავით გაიფრთქილებდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ნაღმები მაწუხებდნენ. დედამიწას ფრუტუნით, ელრიალით ასკდებოდნენ, გულს შავად უბრუნებდნენ. სულ ახლოს რაღაცამ დაიღწავლა, ქვაზე ასხლეტილ ცულივით ერთბაშად დაიწვილა. ფეხი გამიერუვდა. სახსრის ძარღვში თითქოს ტუკი გამარტყეს. მივხვდი, — ნაღმის ნამსხვრევი მომხვდა. ტკივილი არ მიგრძენია. არ მახსოვს ბარძაყში ხელი როდის ვიტაცე. თქაფუნით ასხმულ ცხელ სისხლს ვერ ვაჩერებდი, თოვლი წითლად იღებებოდა, ორთქლი ოდნავ იკვამლებოდა. პრილობის შესახვევი პაკეტი არ მომგონებია. რომ მომგონებოდა კიდეც, სულერთია, ვერ მოვიხმარდი. ფეხში ჩაჭიდებული ხელი თანდათან მისუსტდებოდა. აზრი ტკივილის გრძნობამდე დაეკარგე. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავე ეგრე. თვალი გავახილე, —

საზრისში ვერ მოველ. ირგვლივ სიწყინარე იყო, წამლის სუნმა მთელი მთავრავდა. მივხვდი, — გოსპიტალიში ვიყავი. განიერ ფანჯარაში ვარსკვლავები ჭიატებდნენ. ოდნავ შეღებულ კარის ღრიტოში სინათლე ზოლად ატანდა, ყველას ეძინა. პირველი სიხარული ამ მყუდროებაში მაგრძნობინა. გაუთავებელი ღრიალივით ომისა აღარ მესმოდა. არაფერი მებრძოლისათვის ფრონტზე ისე სანატრელი არ არის, როგორც სუფთა ლოგინში ტანგახდილი გამოძინება. თვალი ძილმა ისევე მომპარა. მეძინა და მევე ვგრძნობდი როგორ მეძინა, როგორ ელამუნებოდა ჩემ ტანს ლოგინი. არ ვიცი თბილისში როგორ გავჩნდი. რაღაც რბილმა, უზარმაზარმა ბნელად ჩამიხვია. დედაჩემს ვერ ვხედავდი, მაგრამ ჩემთან მაინც იყო, ბურანივით მეხვეოდა. „ყაყაჩოსა სიწითლითა...“ ეილაცა ყურში ჩამჩურჩულებდა და საღდაც შორს წითალი ყაყაჩო სანთელივით ენთო. ნემსივით წერილსა და გრძელ ღეროზე სისხლი ჩამოსტროდა, თოქლი წითლად იღებებოდა. „მაიკო! მაიკო!“ ამოდ ვეძახდი. ყაყაჩო წითლად იღვრებოდა. ერთსა და იმავე დროს ის პატარაც იყო, დიდიც იყო და ტანთ თოვლზე დაღრილი ჩემი სისხლის ფერი კრებდომინის კაბა იცოდა. თითქმის ქალურ თიხებზე აბრეშუმის პირისფერი თხალი წინთიბი მზესავით მოჭკიდებოდნენ. „არჩილ! ბეჟან!“ — შორბოდა ყვირილით. ჩვენ კი. მე ია არჩილი. საღდაც მიეჭროლით. მისი ძახილი თანდათან ყრუო მესმოდა. ტბილი სიზმარი რომ არ გამიფრთხო, თაოლი წყნარად გავახილე. პირველი გრძნობა განუსაზღვრელი სიჩუმის გრძნობა იყო. დაჭრილების მორიდებული ჩორჩული, დარეფანში ვიოაციის ფხაჩივით სიაროლი ამ დღეილს თითქოს ფრთას ასხამდა. შემდეგ გაიგო, — ეს სიჩუმე ჩემს ირგვლივ თურმე რვა დღის გრძელდებოდა, თურმე რვა დღე უგონოდ ვიყავ.

— ეგ, ამხანავო, ამხანავო! — სთქვა თვალციმციმამ ოხუნჯური საყვედურით. — ეგრე როგორ იქნება! თქვენ არ იცით და ჩემდათავათ მოგახსენებთ, რომ ამ საქმეში საკმაო გამოცდილება მაქვს. ერთხელ სევასტოპოლთან გემი ჩასძირეს, რალაც საშაროდ მეც ზედ ვიყავ და ვიხრჩობოდი, მაგრამ გადავრჩი. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, გადამარჩინეს. მეორედ ლენინგრადის მისადგომებთან დაგვბომბეს და მეც, როგორც ყველაზე სულწასოლი, მიწაში ცოცხლად დავიმარხე. მაგრამ იქაც გადავრჩი. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაშიც გადამარჩინეს. მისამედ... მისამედ, თქვენ თვითონაც ხეოთ, რომ უფროდ კინაოძი დავრჩი, მაგრამ, როგორც ხედავთ, აქაც გადავრჩი. ასე რომ სტაჟი საკმაო მაქვს და, უნდა მოგახსენოთ, რომ კარს საიჭიოს არასოდეს არ უნდა იწაჩებოდეს. თქვენ რაოს იტყვიან, ამხანავებო?

ამხანავებმა პასუხის მაგიერ გაიღიმეს. მე არ შევიძინებოდა, მაგრამ ხათრით მაინც გავიღიმე.

— რაა დოია, რაც ეგრე ხართ და ხედავთ, სიცოცხლომ ბოლოს თავისი მაინც გაიტანა. რომ იცოდეთ, ეს ამბავი ჩვენ მაშინას როგორ გაოხარდება!

და ამ სიტყვებით ღია კარისკენ ერთბაშად შეტრიალდა, ვილაც მაშენკას ხმაშალოა გასძახა:

— მაშა-ა, მაშენკა-ა!

მერე ისევ ჩემი მობრუნდა, ისევ სხაპასხუპით განავრძო:

— ჰო, მართლა! თქვენ არ იცნობთ ჩვენ მაშენკას. ან საიდან გეცნობებთ! რომ იცოდეთ, რა მშვენიერი გოგონაა!

სიტყვა აღარ დაასრულა, ისევ ხმაშალოა, ოდნავ მოუთმენრად დაიძახა:

— მაშა-ა! მაშენკა-ა!

— რა იყო, რა გაყვირებს, ამხანავო კაპიტანო? ავადმყოფს მაინც მოერიდეთ. — მოისმა ღერეფნიდან ახალგაზრდა გოგონას ხმა ვაგულისებით.

— არაფერსაც არ მოვერიდები! — მაინც თავისებურად, *სტაჟი ვერცხვით*, ტლანქადაც გასძახა ისევ *სტაჟი ვერცხვით* — სანამ აქ არ მოხვალთ, არაფერსაც არ მოვერიდები.

თვალი ამხანავებს ღიმილით ორავრავანად არ შესმოდა რატომ ჩაუკრა.

— მოვდივარ! მოვდივარ! — მოისმა ისევ ღერეფნიდან და ფეხის ხმაური ჩვენ პალატას თანდათან მოუახლოვდა. ღია კარში თეთრი ცახოცი თაქვა-რული, სახელოდამკლავებული თეთრ ხალათიანი გოგონაც გამოჩნდა. თავისი გარეგნობით კაპიტნის ხოტბას იგი მართლაც ადასტურებდა. სარტყლის მაგიერ წელზე თოკის მსგავსად დახვეული ბლონდის ნაჭერი შემოერთყა და მისი ისედაც მოხდენილი ტანი და ოდნავ მაღალი თქოები კიდევ უფრო მოხდენილად მოჩანდა. ცახოც ქვემოდან მოუსვენრად წამოშლილ თავთავისფერ ბუწუწებს, ცისფერ თვალებს, სისხლნაღებობისაგან მიმქრქალეზულ ნახ სახეს, მიუხედავად იმისა, რომ თავს სუსტად ეგარძნობდი, თვალი ახალგაზრდული სიხარბით მაინც შევავლე. ის ისე უმძრახი და სალუქი იყო, რომ ჩემი წადიერების მევე შემრცხვა, კაპიტნისაგან დამნაშავესაგით მოვიხედე, რომელსაც ისედაც ციმციმა თვალები კიდევ უფრო კვიმატიანად აციმციმებოდა, მედიცინის დას ეშმაკორათ უღიმოდა. არ ვიცი რატომ, თქენობითა და შენობით საუბრის წესი მას ერთიმეორეში აკრია:

— ხედავ, დაიავ, ამ თქენმა ძილისგულა რაინდმა იმდენი ჰქნა, რომ ბოლოს მაინც გაიღვიძა.

მაშენკამ მას ერთი მრისხანედ და თან უნდობლად გაოხებდა. მერე მე შემოხედა. თვალახელილი რომ დამინახა, სახე ერთბაშად გაუბრწყინდა, — ბავშვს კიდევ უფრო დაემსგავსა. ოდნავ ლაბაზიანი, ოდნავ დაბურცული ტუჩები და რუსული პაჭუა ცხვირი მთელ სახესთან ერთად იმნაირად დაეკმუხ-



ნა, თითქოს მზემ თვალეში შეაშუქაო.

— გლვიძეთ? — სთქვა მან დაუფარავი სიხარულით და ჩემკენ გამოქანდა. ყურადღება არავისთვის არ მიუტყევია, ჩემს მიხლობლად სკამზე ჩამოჯდა, სახე თითქმის სახესთან მოიტანა და ქრუსანტელის მომგვრელი ალერსით, რუსულში ქართული საფერებელი სიტყვის „გენაცვალეს“ გამორევიტ შემეკითხა:

— როგორა ხარ, გენაცვალე?

მის სუნთქვასთან ერთად მისი თმის სანამო სუნიც ვიგრძენ. ენა დამება. პასუხი ვერ ვავეც. ის კი თავისას ისევ ვანაგრძობდა:

— აბა ხელი მომეცით.

სანამ ხელს მივაწოდებდი, მომასწრო, ხელი ხელში ჩამჭიდა, მაჯა გამისინჯა.

— უკეთ ხარო, არა? — იმნაირად შემეკითხა, — მომაკვდავიც რომ ვყოფილიყავ, ცუდად ვარო, ველარ ვეტყობი.

— კარგად. რა უშავს.

იმასაც ეს უნდოდა.

— ხედავთ? — წამოიძახა ზან ნიშნის მოგებით და დაჭრილებს როგორღაც თავგამოდებით გადახედა. — აკი ვამბობდი!

მე არ ვიცოდი რას ამბობდა იგი აქამდე. არც ის ვიცოდი ნიშნის ვის უგებდა, მაგრამ მათი საუბრის მიხედვით მივხვდი, რომ მე თურმე სისხლისაგან ვიყავ დაცლილი. ექიმებს ჩემზე ხელი აეღოთ და თურმე მომაკვდავთა ოთახში გაყვანას მოიპრებდნენ, მაგრამ მაშას არ ექნა. ჩემი გადარჩენა სისხლის გადასხმით თუ მოხერხდებოდა და მაშენკასაც თურმე თავისი სისხლით ავეცეს. ახლა მივხვდი, რად იყო იგი ეგრე ფერმკრთალი. გული მისდამი მაღლიერების გრძნობით ამევსო, რაც მან მაშინვე იგრძნო. გაწითლდა, თითქოს მად-
4. „მნათობი“, № 1.

ლობის თქმის შეეშინდა, ფეხზე გაწაზრახ ცქრაღით წამოგდგა.

— იწეკით. იწეკით არ გაინძრეთ და მე სეკმელს ახლავე მოგიტანთ. — სთქვა და გაიქცა. კარს რომ მიეფარა, გული დამწყდა. რატომღაც მინდოდა, რომ ჩემთან ისევ ყოფილიყო.

მეძინა. ძილში ყრუდ ჩამესმოდა, როგორ ალაგებდა პალატას ჩვენი ლალა, როგორ ფათურობდა ჩემ საწოლს ქვემოთ მის გრძელტარიან ჯაგარისზე წამოცმული იატაკის საწმენდი მაუდი და ნავთის სუნს ირგვლივ როგორ ავრცელებდა. ტკბილ სიზმარს, რომელიც არ მახსოვდა და ძილს მაინც შიამებდა, აღარ ვხედავდი. სიცივემ ლოგინშივე ამიტანა. რულს თავს მაინც ვერ ვართმევდი. თვითონვე ვგრძნობდი, როგორ მეძინა. ამ გრძნობამ გამაღვიძა. სპეტაკი თოვლის ელვარებით გაბრწყინებული ცამოწმენდილი სისხამი დილის ნათელმა თვალი ერთბაშად მომჭრა, — დაეხუტე, ისევ გამოვახილე.

ბუნარში ცეცხლი ტკბილად ღუღუნებდა. ჩინჩხლებს მალლა ტკაცუნით ისროდა, მაგრამ სიცივეს მაინც ვერ ერეოდა. მიძინარეთა ნასუნთქითა და ნავთიანი მაუდის სუნით დამძიმებული პაერის გასაწმენდად ვრცლად გაღებულ სარკმელში შემოჭრილი ცივი ნიავი სახეზე სველ ტილოსავით მეტლამუნებოდა. ვაზაფხული მაინც იგრძნობოდა. მიტკლის სარჩულამოფენილი რუხი მაუდის თხელი საბანი ნიკაპამდე ამოვიწიე. ხელები მის ქვეშ ჩავშალე. კირით შეფუთილი პალატის თეთრი კედლები, თეთრადვე შეღებილ ზამბარიანი რკინის ვიწრო საწოლები, სასთუმალებთან დადგმული თეთრივე პატარა მაგიდები სიცივის გრძნობას თითქოს კიდევ უფრო აძლიერებდნენ. ჩვენი მუდამ ბუზღუნა და თან კეთილი აყული-

ნა ივანოვნა პალატაში აღარ იყო. მისი ნათესაინი მათდის იატაკზე ფათური დე-რეფენიდან მოისმოდა.

ოთახში, რომელსაც ოფიცერთა პა-ლატა ეწოდებოდა, ოთხი კაცი ძლივს ვთავსდებოდით. ომის ცეცხლსა და ქა-რიშხალში გამოვლილი, ნოტიო ბლინ-დაეებსა და ძელშიწურებში წლობით ნამყოფი მებრძოლები ერთერთს მალე შევეთვისეთ, სივიწროვეს თითქმის არ ვგრძნობდით. სასთუმალთი კედელთან მიდგმული ჩემი რკინის ვიწრო საწოლი სანგვინიკურად სახეწამოკარბლებულ, თავგაპარსულ და თავპრიალა ციმიბი-რელ პოლკოვნიკის, საეგაჩოვისა, და მხარბეჭჩასკინილ შეეთვალწარბა ქართ-ველი ლიტენანტის მატახერიას ლო-გინებს შორის იყო ჩადგმული; ხო-ლო პირდაპირ, კარსა და ბუნარს შუა, ჩვენი განთქმული ზოქადრაკის, თვალ-ციმიციმა და ოდნავ მოყბედო, მაგრამ გამპრიახი უკრაინელი კაპიტნის, დობ-როხოტოვის, რკინისავე ვიწრო საწოლი კედლის გასწვრივ განცალკევებით იდგა.

ორ წელიწადზე მეტი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც მე რუსეთს ვიმყოფებოდი. ამ ხნის მანძილზე აქაურს თითქმის ყვე-ლაფერს შევეჩვიე, — ცხოვრებას, ხალხსა და თვით ბუნებასაც, მაგრამ რუსულ ლიბრსა და გრძელ საღამოებს მაინც ვერასგზით ვერ შევეთვისე. ეს დრო, როცა არც დღე არის და არც ღამე, შინაც მეჯავრებოდა, მაგრამ ჩე-მი ქვეყნის საღამოები თავისი სიმოკლის გამო ეგრერიგად როდი მაწვალებდა. აქ კი ღამის თორმეტ საათზეც არ ღამ-დებოდა. ქართულ ღამეთა აღმწერი რუსი მწერლების თქმა, — უცებ და-ღამდაო, ვასაგები ჩემთვის მხოლოდ აქ ვახდა. მხოლოდ აქ გავიგე, რომ ჩემ სამშობლოში თურმე მართლაც ერთბა-შად ღამდებოდა, რომ მოწმენდილ ცა-ში ვარსკვლავები მართლაც ერთბაშად ინთებოდნენ. ფრონტზე ამგვარ დაკ-ვირებებათათვის არ ზეცალა, მაგრამ აქ,

გოსპიტალში, ისედაც ძილვატეხილსა და ცხრამეტი დღის განმავლობაში წო-ლით განაწამებს, ეს გრძელი ბაცი სა-ღამოები მოთმინებას მაკარგვინებდნენ. ვერაფრით იმ აზრს, რომ მე თოფის გა-უსროლელად დაეიქერ, ვერ შევერიგე-ბოდი. არც არაფრის წერა, არც კითხვა და, ასე ვასინჯეთ, ჩემი მუდამ საყვა-რელი ჰადრაკიც აღარ მართობდა. შით უფრო, რომ ჩვენს ქინკასაით გამ-პრიახსა და გონიერ დობროხოტოვს ვერცერთ ხელს ვერ ვუგებდი. ჩემი წარმოდგენა, რომ მე კარგი მოქადრაკე ვიყავ, მან რალაც ორიოდ დღეში გაა-ცამატერა. სამშობლოზე ფიქრითა და ჩრდილოეთის ჰკრთალი საღამოებით გატანჯული პალატაში ყველაზე გვიან მე ვიძინებდი. ბრძოლების შთაბეჭდი-ლებანი, მშობლიური კერა, დღდაჩემი, ძიძა და ჩემივე სიყრმის მეგობარი, არ-ჩილ დარაშელიძე, თითქმის ყოველდამ მესიზმრებოდნენ, დილით მაიკოს კის-კისი მალეიძებდა.

ჩვენი თურმე ოდისოაც თერთად შე-ლებილი და ახლა მწუანედ შენიღბული სამსართულიანი გოსპიტლის შენობა შუა ტყეში განმარტოებით იდგა. ცხრა-მეტი დღე ვიწვიე აქ და ამ ცხრამეტ დღეში ჩვენი მყოლობა ერთბელაც არ დარღვეულა. ამ ხნის მანძილზე ჩვე-ნი აარები მტერს ისეთი გამეტრებით უტევენდენ, ფრონტი წინ იმდენად წაი-წია, რომ ჩვენ ახლა ღრმა ზურგში ვი-ყავით ზოქეუული. სანიტარული მატა-რებლები ველარ გეწულებოდნენ და დაქრილები ამ სიშორეზე ალბათ ამი-ტომაც ველარ მოჰყავდით. ხოლო ისი-ნი, ჩემთან ერთად დაქრილნი და აქ ჩემთან ერთადვე მოყვანილნი, თანდა-თან იკურნებოდნენ. მათი კენესის ხმა თანდათან მიწყდა, პალატებიდან მათი გმინვა აღარ მოისმოდა.

თუ იქ, ფრონტის დამაყრუებელ ღრინცულში, დრო ომის გარეშე ფიქ-რისათვის აღარ გვრჩებოდა, ახლა აქ თოვლით დაბურული ტყის სიჩუმესა



და წამლეულის სუნით გაელენთილი პალატების მყუდროებაში აბეზარად აკვიატებული ფიქრები თავს კიდევ გვაბეზრებდა. ეს ცხრაშვიტი დღე სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩვენ, ერთ პალატაში ეგრე მჭიდროდ მოთავსებულ დაჭრილებს, ერთმანერთი ახლო გაგვეცნო. ამ ცხრაშვიტ დღეში გავუზიარეთ ჩვენ ერთმანერთს ჩვენი გულის ნაღები. ვთქვით, რაც სათქმელად გვემეტებოდა. დაწვრილებით ვიცოდით, ვინ საიდან იყო, სად ებრძოლა და სად, ან როგორ დაჭრილიყო. ამ საუბრების დროს ჩვენთვისვე მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ყოველი ჩვენგანის ცხოვრება თურმე ორ ხანად იყოფოდა. — ომამდელ ხანად, რომელიც ახლა ჩვენთვის შორეული იყო არა დროის მიხედვით, არამედ განცდათა სიმრავლით და მეორე ხანა, ხანა აღსაესე გამირობითა და თავგანწირულებით. ჩვენი ეს მეორე ხანის ცხოვრება იმდენად ნაცნობი იყო, ახალს იმდენად არას შეიცავდა, რომ ლაყბობას უჩვევე მამაკაცთა წესისამებრ, საუბრის საფანელი მალე გამოგველია.

ღილა ძალაში თანდათან შედიოდა. ხმაური გოსპიტალში თანდათან მატულობდა. დაჭრილები ნელნელა იღვიძებდნენ. საიდანღაც ონკანმოშვებული წყლის ტრიშინი მოისმოდა. მეზობელ პალატაში ვილაცა ხრინწიანად აბელებდა, ნახველს ვერ იღებდა. დერეფანში ჩვენ ზოხტვ ლალას მამუნკა რაღაცის გამო უჯავრდებოდა, ის კი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა. მის ვაჯავრებას, როგორც ბავშვისას, თავილობდა. სადღაც ვილაცა კოვზით ჭიქას აწკარუნებდა, მომვლელს ეძახდა, მაგრამ მის ძახილს ყურადღებას არაუფერ არ აქცევდა. იქ, ალბათ დერეფნის ბოლოში, შუშის რაღაც ჭურჭელი იატაკზე სხრილით დავარდა. მსხვერვის ხმამ მთელი გოსპიტალი დააყრუა.

— რა მოხდა? ზანდ რა გატეხეთ? — მოისმა აქულინა ივანოვნას ხმა განრის-

ხებით და მისი ფაჩუნების ყურთასმენამდე მოღწეულ ფრატურის მკვლელები, რომ ის ამბის გასაგებად, ავალმასალის ასატეხად იქით გაემართა.

ჩვენს პალატაში სიწყნარე იყო. კედელზე გაკრული რუკის წინ კაპიტანი დობროხოტოვი შემდგარიყო. ყავარჯნებზე იღლიებით დაკიდებულს შეცივნოდა. ხელები ბაზბაზის ყავისფერი ხალათის განიერ სამაჯეგებში ღრმად შეეყო. ეტყობოდა მაინც ციოდა. დაჭრილი ფეხი მალა აკაკუქებიანა და ჯანსად ფეხზე მთელ ტანით როგორღაც ირიბულად დაყრდნობილს ხალათი ზურგზე იმნაირად ასჩაჩვოდა, რომ კუზიანს გაედა. საინფორმაციო ბიუროს უკანასკნელი გადმოცემის მოლოდინში შავი და წითელი ქალაღის დროშებიანი ჭინძისთაგებით აღნიშნულ ფრონტებს რუკაზე ერთხელ კიდევ ზიდმერად ამოწმებდა, ვარაუდობდა ჩვენები წინ რომელ ადგილას წაიწვიდნენ.

მსოქანი და სისხლქარბი სავგაჩოვი ბუხართან იჯდა. უჩვეულოდ სქელი ტექნიკური ცნობარი Hütte მუხლზე ფრთხილად გადაეშალა და რაღაც ფორმოლას გულმოდგინედ იწერდა.

ომამდე მას ციმბირის რომელიღაც სამარწვილო ტრესტში ბოხპალატად ემსახურა და თავისი გარეგნობით იგი თუ თავისივე ხელობას სავსებით შეეფერებოდა. შინაგანად ზესთან არაფერი საერთო არ ჰქონდა. ნანობდა, რომ განათლებული ინჟინერი არ იყო. თავის შეცდომას ახლა ასწორებდა. მთელი დღეები ტექნიკურ წიგნებს თავაულებლად ჩაპირკიტებდა, ახლა იგი ბორბლებზე მოძრაობის ცალკეულად გადამცეში დიფერენციალური კოლოფისა და ძრავის ნახაზებს ყურადღებით სინჯავდა.

იქვე, მის გვერდით, ღია სარკმლის რაფაზე ჩამოყრდნობილ ლიტიგანტ ასტამურ მატახერიას თაბაშირითა და ბლონდით გაკრული დაჭრილი ხელი უძრავად ეჭირა, თოშინი ნიავის ქროლ-

ვას არად აგდებდა. ჩრდილოეთის დილის მკრთალი მზით განათებულ გოსპიტლის შენობის ნაწილს თოვლით დაბურულ არყის ტყის სიხშოებს უბრად გასცქეროდა. თავის მშობლიურ ოდიშზე, ზარად მწვანე მთა-გორებზე, ანდა სვანეთის მოსაზღვრე უღრან ტყეთა ნაჩვევ დუმილზე თუ ოცნებობდა, დუმილზე, როცა ხეებისა და ბალახბულახის ზრდით გამოწყვეული შმაშური გესმის? მატახერიას საეგავოვის დილიხორი აინუნშიაც არ მოსდიოდა. ხანდახან, ათასში ერთხელ თუ მობრუნდებოდა, მის ნახაზებსა და ინტერალებით აპრელებულ ფორმულებს ამრეზილად დახედავდა, მერე ისევ ტყეს ოცნებით გასცქეროდა.

გარეგნობით, ახალგაზრდული ლაზათით იგი დიდად ვერ დაიკვევნიდა. თვალის ერთი შეველებით, პირიქით. თითქოს ართვალი კაცის შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ ონაერულად მოქნილი ტანით, გრძელი, ოდნავ მოსალტული ცხენოსნური კანკებით, რალაც ნადირისებური და თან სევედიანი, კეთილშობილი შემოხედვით კაცის გულს მაინც იგებდა. მიუხედავად ამისა პოლკოვნიკ საეგავოვის გული მან მაინც ვერ მოიგო, ერთურთს ვერაფრით ვერ ეგუებოდნენ.

კუშტსა და გაუცინარ ასტამურ მატახერიას გაბმული, მიდებ-მოღებულ საუბარი პირივით ეგავრებოდა. მთელი დღეები ჩუმად იყო და, თუ პოლკოვნიკი საეგავოვი თავს თავისი ტექნიკურ საკითხებზე გაუთავებელი ლაპარაკით გვაპერებდა, ლეიტენანტი მატახერია თავისი სინჯით ნაკლებ გამაბეზრებელი როდი იყო. ყველა ამჩნევდა, რომ მას, ეგრე ახალგაზრდასა და სიცოცხლით საესეს, გულს რალაც დარდი უღრღნიდა, მაგრამ არავის არ უმხელდა. იგი სადღაც ცხენოსანთა რომელიღაც პოლკის ოფიცერი ყოფილიყო, ცხენისთვის გიჟდებოდა, ცხადსა თუ სიზმარში მისი ჭიხინი ელანდებოდა;

გულს ის უქლავდა, რომ ახლა, ტანკებისა და თვითმფრინავების ცხენის საყვარელ ცხოველს ოქში ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გული მოსდიოდა, რომ მის მერცხალა მერანს ლექსიკონიდან აღფაბეტის მიხედვით შერჩეულ სათაკილო სახელს „შარაბანს“ ეძახდნენ. ერთი იმისი გაქვენება, მამა-პაპური შეკვივლება „პაპაიტ მარჯაო“, ყველაფერს ერჩია. სული იქ მოსდიოდა. ეშინოდა, რომ ომი უმისოდ არ გათავებულებოდა. ჩვენი ჯარების წინსვლას რუკაზე თვალყურს ყოველდღე ადევნებდა, ექიმების რჩევას გულმოდგინედ ასრულებდა. მუდამ თავაზიანი და მორიდებული, მედიცინის დებს უსაფუძვლოდ ეჩხუბებოდა, ლანძღავდა, რომ კარგად ვერ უვლიდნენ და ამიტომაც ამღენხანს ვერ იკურნებოდა. იმუქრებოდა, რომ ყოველ მათგანს, სადაც ჯერ არს, პასუხს მოსთხოვდა, მაგრამ მუქარა მუქარადვე რჩებოდა.

სარკმელთან ეგრე დაღონებული ახლაც ალბათ იმიტომ იდგა. დარღს მთელი თავისი გარეგნობით ისე შეტყვევლად გამოხატავდა, რომ გული მისდამი თანაგრძნობით უნებლიედ ამეცსო.

— მატახერია! აშხანაგო მატახერია! — გავეხშიანე ფრთხილად.

წყინარად მოიხედა. თავისი ნადირისებური სევედიანი თვლებით ერთხანს უსავნოდ, ხმის ამოუღებლად მიცქეროდა. მერე ისევ შებრუნდა, ტყის სიხშოებს ისევ უბრად გახედა. დიდხანს ეგრე არ დარჩენილა. სარკმელს მოშორდა. პალატაში გაიარ-გამოიარა. თავის ჯერ მიულაგებელ ლოგინთან მისდა შეუმჩნევლად რომ აღმოჩნდა, ზედ მოწყვეტით დაეშვა, რკინის საწოლმა ზამბარეჭმა ელრიალი მოიღეს. თავი ბილიში ჩარგო. არ განძრეულა. მივხედი, ხმის გაცემა არ იქნებოდა. ჩუმად, ისე, რომ არ ეგრანო, ვუცქეროდი. ვერ გამეგო, ფიქრობდა ისევ თავისთვის რასმე, თუ მართლა ეძინა. ცოტახანს შემდეგ, მჭინარე რომ მეგონა, ფეხზე

სწორედ მაშინ წამოიჭრა, ლოგინზე ჩამოჯდა. დაკრილი ხელი საღი ხელით ქურდულად მოსინჯა, მაგრამ ჩემს მიჩერებულ თვალებს თვალი მოჰკრა თუ არა, შერცხვა, სახე წამოუწითლდა.

— გავგოტლები, ბეჟან, გავგოტლები! — წამოიძახა მან ქართულად და ქართულადვე განაგრძო: — ეგრე სანაშუნდა ვიყო?

პასუხის გაცემა ვერ მოვასწარ. გარეთ გაიჭრა.

— რაო? რა უნდა? — შემეკითხა სავგაჩოვი.

— არაფერი. — ვთქვი მე. მინდოდა სიტყვა განმეგრძო, მაგრამ ამ დროს დერეფნიდან მატახერიას ყვირილი მომესმა. მაშენკასა და მომვლელ ლალას ეჩხუბებოდა, რომ ექიმისაგან დაწინაღობა რაღაც პროცედურა სისრულეში აქამდე არ მოჰყავდათ. მაშენკა ტბილი ხმით უყვავებდა, ეხეწებოდა, რომ დაშვებულყო და ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მაგრამ გაცეცხლებულ ვაშაკაზე არაფერი არ მოქმედებდა.

დობროხოტოვმა ჩხუბს მიიყურა.

— აი კაცი. — სთქვა მან ღიმილით — ვაი იმ ქალს, რომელსაც ეგ შეიყვარებს და ვაი იმას, ვისაც ეგ შეიძულებს.

ხმა უცებ ჩაიწყვიტა. პალატაში მატახერია გაგულსებით შემოვიდა. საწოლებს შორის ყაფაზაში მომწყვდეულ ნადირივით აქეთ-იქით სიარული ისევ დაიწყო. მერე შედგა. გოსპიტლის ყავისფერი ხალათის კალთები ზუზღებზე ჩოხასავით ხელდახელ გადაიკეცა. ჩემ ლოგინთან სკამზე მძიმედ დაეშვა. მაშინვე შევატყე, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა. არ იცოდა, სიტყვა საიდან დაეწყო.

ხმას არც მე ვიღებდი. ვუცდიდი, რას მტყუოდა.

მატახერიამ ჯიბიდან ქალაქის ნახევზე ფანქრით ნაწერი სანაშუნდაცო ბიუროს გუშინდელი ცხობა უსიტყვოდ ამოიღო, უსიტყვოდვე გამომიწოდა.

— წამიკითხეთ.

მისმა თხოვნამ გამაკვირვა. კითხვა თვითონაც კარგად იცოდა. ვერ გამეგო ცნობები მისთვის მე რათ უნდა წამეკითხა. მატახერიამ ჩემს გაკვირვებაზე ოდნავი ღიმილით წყნარად სთქვა:

— მინდა მოვისმინო. სხვა რომ კითხულობს, მაინც სხვაა.

მეც რა მექნა? ხათრი აღარ გავუტეხე. გუშინ წაკითხულ ცნობას ისევ რომ ვკითხულობდი, — იღიმოდა, ოხრავდა, რომ ბრძოლებში ისიც არ იყო.

კითხვას მოვრჩი. მატახერიამ ქალაქი გამომართვა. სათუთად დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

— ხედავთ? — სთქვა მან როგორღაც ბავშვური თავგამოდებით. — გარბიან... კაცისმკამელებმა კუდი ამოიძუეს... ჩვენი ბიჭები წინ მიდიან...

მერე ჩემკენ გადმოიხარა ყურში იღუმალად ჩამწერჩულა:

— ეეს, ერთი ბერლინში იმ ჩემი მერცხალათი შემაქროლა... სხვა არა მინდა რა. — შუბლი კუშტად შეიკრა. ბუხართან მჯდომ პოლკოვნიკ სავგაჩოვს ამრეზილად გახედა. — ეეს, ჩვენი დრო გათავდა! ცხენოსნების დრო მიდის... ახლა იმათი დროა... ტანკისტების... ტექნიკის.

წამოღგა. ისევ სარკმლისაკენ გაეშურა.

სავგაჩოვს მისი სიტყვები არ გაუგონია. თავისი Hütte, მუხლზე ისევ ფრთხილად ედო, გულდასმით კითხულობდა

შვილი



უმცროს ლეიტენანტის ვლ. პაპლეს-ძე ან-
ტოპოლსკის ხსოვნას, რომელიც დაეცა გმირუ-
ლად სიკვდილით მტერთან ბრძოლაში 1942
წლის 6 ივნისს.

I

შვილო! არ გესმის? დავიგვიანე?..
დავიგვიანა დღეს შენმა ხმაზე.
რაა რომ უკვე ბარათს არა სწერ
არც დედას, არც დას და აღარც მამას!

შვილო! ძახილზე თავს ვერ ამართავ
და შენს თვალბეჭივ მხოლოდ ნისლია,
გაყინულ ხელით ცრემლს ვერ მოიწმენდ,
მკერდგაშლით სუნთქვა არ შეგიძლია!

ო, რატომ დარჩათ თვალთ საუკუნოდ
მხოლოდ სილურჯე, სილურჯე ცივი, —
ნუ თუ ამომწეარ თვალთა გუგებში
აღარ იფეთქებს სიცოცხლის სხივი?

ხედავ? აგერ ის სახლი, ბაღნარი,—
შენც მათი ჩრდილი მინდა იჩრდილო!
აგერ ის რკინის ხიდიც ნაპრაღზე
შენ რომ ნატრობდი აგეგო, შვილო...

ხედავ? აქ შენი ყმაწვილ-კაცობის
დილის შუქივით ანთებულ წარსულს? —
აგერ ის გოგოც ოქროსთმიანი
ვისი სახელის გამხელაც არ მსურს!

გესმის კიეინის ხმა დასაღვლეთით?
აღფრთოვნებული მტკიცე ფიციითა, —
ეს ჩვენი ჯარის შეტევა არის,
მამ, კვლავ წამოდექ სოველ მიწიდან!

გესმის?—ვეძახი... და შორით, ამ დროს
 ეხლად-ლა ისძის გრგვინვა მთებური, —
 ძოკლული შვილის ხუტუქი თავი
 მე თაბაბუნების აღმოადებული:

— ო, ნუ შეძახი ნურც ერთი წუთით,
 ეხლა სულისთქმის წუთი არც არი
 მეც სხვერთან ერთად ვისწრაფი მამავ,
 გავცურო სისხლი, გავწვა ხანძარი...

ჩვენ თუმცა ტყვიით ვართ გაგმირულნი,—
 წინ ისწრაფიან ჩვენი გუნდებიც...
 ვართ გაგმირულნი და მაინც ვიბრძვით,
 ძახილზე უკან ვერ დავბრუნდებით!

მეც გამარჯვების წამყვა სურვილი,—
 ვიცი რომ ისევ მძვინვარებს ომი...
 და აწ ამ ქვეყნად ვერსად შეგზვდები
 სიყვარულის და სიმშვიდის მდომი.

II

შვილი ნამიკლეს! ო, ჩემი შვილი
 გულადი იყო, მშვიდი, კეთილი...
 ეხლა იქ მხოლოდ ქარბუქი დაძრწის
 იქ, სადაც ის წევს გულგაფლეთილი
 ქარბუქი დაძრწის!—

ნანგრევთა შორის

მისი ხმა გულისთქმად ახმიანდა
 რომ ჩახლეჩილი ხმით მიკარნახოს
 ყოფნა-არყოფნა აღამიანთა...
 და მე ვიგონებ იმ პირველ წუთებს
 სიყვარულით რომ მწვედენ წინათაც—
 როცა პირველად მისმა თვალებმა
 ნაპერწკლებივით ბნელში ინათა!
 აი, მას სძინავს. იმართავს კუნთებს
 ჯერ კიდევ ჩვილი, კიდევ პატარა.
 დედამ აღურსით ჩაიკრა მკერდში
 აივნის კიდე შემოატარა.
 აი, მან უკვე აიდგა ფეხი,
 ბაღში ზარივით გაიწყრიალა,
 შექხარის თავის უღარდელ დილას
 მისი დუღუქი, მისი ბზრიალა!



ო, როგორ მშვიდად ვიღოდა მაშინ
ჩვენი დრო-ჟამის დიდი მღინარე,
მზეც მხოლოდ ჩვენდა სინათლისათვის
ამოდიოდა პირ-მომცინარე!

მაგრამ, ო, არა! განა სიცოცხლეს
აქვს დასასრული ან დასაწყისი?
მხოლოდ წინასწარ არ მაწუხებდნენ
სჩანს, მომავალი დღეები მისი.

და ვიდრე შვილი ტანს აიყრიდა
იმედით საეხე იყო ცხოვრებაც,—
ოცნებით საეხე ვით გაზაფხული,
ზამთრის სუსხითაც მემახსოვრება!

დიახ, ის მხოლოდ ვაჟკაცდებოდა,
ცას შესცინოდა კვლავ სიბარულით,—
ხან თხილამურით ხედებოდა ზამთარს
და ხან ზღვის ტალღებს სჭრიდა მხარულით!
უყვარდა მეტად მუსიკა.

მუდამ

როცა გაკვეთილს უჯდა მღუმარი
ოთახში ჰქუხდა რადიო-ტალღა
ქარიშხალივით ხმა-იდუმალი!
ყოველის მხრიდან იქ თავს იყრიდა
უცხო საკრავთა ხმები ციური,—
იქ ბაიანიც ისმოდა ჩვენი
და დაფა-ზურნა კავკასიური...

იგი შრომისთვის ემზადებოდა,
უყვარდა ხაზვა, ძერწვა, შენება...
და როცა ჯგახსნა სკოლის კარები
ეს იყო ახალ დღის გათენება!

იგი თან აჰყვა აფრთოვნებული
ისეთ ოცნებას და ისეთ სურვილს
რომ ეყოფოდა სამ საუკუნეს
სამი სიცოცხლის დაუშრეტ წყურვილს!

მასაც უყვარდა დიდი მოსკოვის
ცად ამართული ხარაჩოები!
ზედ შეჰხაროდა ყოველ შენობას
გულის ფართქალით და სასოებით.

უყვარდა როცა თავისი „ფედით“
გადაიღებდა სურათს ტოლებთან.
ველოსიპედის ზარის წკრიალით
ქუჩებს რომ უცებ ჩაუჭროლებდა!

გაიღვიძებდა თუ არა დილით
გრძნობდა რომ ქვეყნად არ იყო მარტო.
ხოლო კვირა-დღით კი სხვებთან ერთად
დასეირნობდა უმისამართოდ!

ცის ქვეშ უჭულოდ გავლა უყვარდა,
რა ვქნა, არ იყო წესის მორჩილი —
მღელვარე ქუჩებს შინაურვით
შემოივლიდა თმა-აქოჩრილი!

იმ წელს პირველად იყო ყირიმში:
იყო... მღელვარე ზღვას გაპყურებდა.
ზაფხული იდგა და სანაპიროს
დიდი შუა-დღის მზე ახურებდა.

მზის ნაპერწკლებით დიდი ნაპირი
იწვოდა როგორც ჭიკოკონა...
და მას პირველად ეჩვენა მაშინ
მომხიბვლელ ქალად ტოლი გოგონა!

გოგონა უცებ თვალთ მიეფარა,
და უკვე გრძნობდა გულის კანკალით:
რომ ხმა-წკრიალა მისმა სიცილმა
როგორ აღუნთო ცეცხლი ახალი.

ის არც ბავშვია და არც ვაჟკაცი,
მაგრამ ეს ჯაერი რას მოასწავებს?“
გოგოებს რისთვის ხედება უხეშად,
ხელით რად სწვდება თმათა ნაწნავებს?!

ზღვის პირად მარტო ასე რად დადის?
თან რად დაჰყვება ტურფა ზმანება?
წინ ხომ ცხოვრების დიდი გზა უძევს
მამ რატომ სტანჯაეს აფრთოვანება?!

პირველად მაშინ მიხვდა ოცნებებს
მისი გულისთქმა ახალგაზრდული...
და გაჰქრა კვალად... ასეთი არის
ზღვით, მღელვარე შენი დასტურიც!

ეხლმ ზღვის პირად აღარ არიან
არც ჩემი ბიჭი და არც გოგონა...



ესლა ზღვის პირად მზე არ ანათებს, —
ანთია სულსხვა ჭიკოკონა!

იავარ-ქმნილი არის ყირიმიც.
და ჯარტეხილებს ხმა აღზუნებიათ!..
დღეს ჩემი შვილის მკრთალ ნაკვადვეზე
ომით დათხრილი ბნელი გზებია!

მხოლოდ ცრემლები აჩნდება ლოყას
და იკუმშება გული სიმძიმით —
მისი პატარა ფოტო-სურათი
როცა გვიცქერის თვალთა ციმციმით!

და ყოველდამით როცა ქარ-ბუქი
ამღერებული დადის მთაბარად, —
აქ შეყვარებულ ქაბუქს უმღერის
აქვე რომ თვითონ დაასამარა...

აი, სასტუმროც. ალბად იმ ღამით
უკანასკნელად მას აქ ეძინა...
აი, იმისი ვიწრო საწოლიც
გაცივებულია და გაცრეცილა!

ამ დერეფანში ალბათ ღიმილით
გაეხშიანა დილით ამხანაგს.
აქ დაიბანა პირი საჩქაროდ
და გულრტყენით გახედა ქალაქს.

გახედა ალბად გადამწვარ სახლებს,
იენისის მზე რომ თავს დასცქეროდა...
და ძველთაძველი რუსთა ქალაქის
განადგურება არა სჯეროდა.

ხოლო ძახილი იგრძნო მწუხარე
შორი ორთქლმავლის საყვირის ხმაში, —
მოსკოვი—მისი ოცნების ბუდე
შემაფიქრებლად შორს იყო მაშინ.

შორს იყო... მაგრამ ჰყვეთდა სივრცეებს
ისევ ორთქლმავლის სუნთქვა გულადი!..
და ბრძოლისველით მოჰქონდა ჩვენკენ
ლეიტენანტის ფოტო-სურათი.

ამით დასრულდა სულ ყველაფერი.
ექვსი თვე არის ვწუხვარ, დავეძებ.
ბნელში მოვაწყდი დღეს ამ სასტუმროს,
მის ნაკვალევზე მინდა დავეცე!



აქ თითო წამით ცხოვრობენ ეხლა,
სძინავთ, დგებიან, მიიჩქარიან, —
ზოგი ფრონტზე და ზოგი მოსკოვში...
მკვიდრი კი
მხოლოდ
ყინვა-ქარია!

ის დაჰქრის, როგორც ჯაერით შეშლილი
როგორც გოდება თმა-გაშლილისა...
მასაც სანგრებში უნდა მოსძებნოს
სჩანს, დაფლეთილი მკერდი შეილისა...

III.

ენახეთ ჩვენ ძალა აფეთქებათა,
აფრთოცნებული სიკვდილი ენახეთ...
ჩემი მოთხოვნაც ამით იწყება,
ჩემ შეილსაც იგი დაეგო მახედ!

ის როგორც მცირე პიროკსილინი
აღმოაჩინა მაცდურმა თვალმა,
გარს შემოაქდო ქერქად ფოლადი
რომ მეტის ძალით იქექოს აღმა!

იგი ბანკირთა სეიფებს ჰქონდათ
მტრულად განაბულ სიკვდილის სახედ,
შემდეგ მიწაში ჩაფლეს გველივით
და აი, ჩემ შეილს დაეგო მახედ!

აჩანს, ჩემი შეილის გაჩენის დღესვე,
ოცდასამ წელში, სიშშვიდის წამსაც, —
უკვე ჩვენს შეილებს უთვალთვალებდა
და გერმანულად იკრებდა შხამსა!

მინახავს მისი ქალაქი ჰრელი
ცრუ რეკლამების ფერ-უმარილით!
ბამბით ნატენი ამპარტაუნები
გაბოხილები მყრალ მარგარინით...

მე იქ ვხედავდი სიკვდილ-სიცოცხლით
მხოლოდ აღზნებას უმწვევრვალესსა!
სურდათ არ სურდათ გაიმღეროდნენ:
„Deutschland, Deutschland über alles“-ა.
როგორ გადიწვა ცხოვრება!

გვადგას
შავი კვამლის და ღრუბლების ჩერო...
სიძვირის ნუსხა, სიძვირის ნიხრი
ცარცი არ მყოფნის რომ ჩამოეწერო...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ დროს-კი ჩვენი შვილების მკვლევებს
განცხრომით სძინავთ, პირს ეტკბურებათ!
ხოლო ჩადენილ სიავის ხვედრი
ეხლა სიზმრადაც არ ეყურებათ...

ოი, შენ, ჩვენო ძველო მტარვალო,
თუმც ხარ ქვასავით უხეში სახის, —
თუმც ხარ ქალებზე დახარბებული, —
შენც ვილაც ბავშვი მამას გეძახის!

შენც მამა გახდი იმ წელს, ვერაგო
შენ, ბერლინელო, ნუთუ არ გჯერა
რომ ზიგფრიდია შენი მემკვიდრე
მასავით თვალეზ-ცისფერი, ქერა!

დაეაქაცდება საროსკიპოში
მთელი ევროპის ცოცხლად მკამელი!
რა საჭიროა მისი დახატვა,
ვიცნობთ რომ არის ის გერმანელი!

გერმანელია იგი! და ბედმა
ისროლა ბნელში ვით შერისხული...
ასეთი შვილი გსურდა?
— ჰო, მსურდა.

გულით ელოდი?
— ჰო, მთელი გულით!

მაშ ის აქ არის... აქ, შენი ფრიცი
თოვლში ტანკივით გდია გულალმა, —
დაღრჰენილი აქვს კბილები ისევ...
ქარყინვამ გული აქ აულაგმა!

მისთვის უდროო სიკვდილი გსურდა?
გსურდა თუ არა, ხომ ჩაგაშხამეს!
არა. ცუდ ამბავს მე როდი გწერდი,
მე მხოლოდ ფიქრით გიტეხავ ღამეს!

მძიმედ რად გიცემს ეგ საფეთქელი,
ფანჯრის ჩარჩოში ვისი ლანდია? —
ეს მე ვარ. შენს წინ დგას ჩემი ლანდი,
და შორს სიკვდილის სუსხი ანთია!

აღეჭ, მოხუცო!

და შენი შვილის
ცხოვრება თვალთ წარმოვიდგინოთ, —
აენტოს მცელავ სიკვდილის შუქით
და ვრცელ ეკრანზე გვეჩვენოს კინო!



ჩვენს ზემოდ ცაა ღრუბელთა სრბოლვით,
სჩანს ვარსკვლავებით ათას წარწერად!
ჩვენს ქვევით ჰყუფენ ნალმტყორცნელები
და დედა-მიწა დგას აღმაცერად...

დგას კვამლი,

დამწყდარ აღამიანთა
ძალით აშლილი საბუდარების!
სჩანს დანთოვლილი მკვდარი მიდამო
უბედურების და მწუხარების...

სოფლად კი სოფლად გადამწყვარ ღამის
საშინელება უფრო დიდია—
ყოველ ტოტგაშლილ ხეზე, ბოროტად
ჩამოხრჩობილის გვამი ჰკიდია!

სთქვი, ორმოები რად არის სავსე
ჩველი ბიჭებით, გოგონებითა,
ვინ ხერხეტდა იმანთ? ასე თვალლიად
ჩისთვის გვიცქერენ ორმოებიდან!

ვინ იყო? სოფლის პატიოსნება
ვინ გააშიშვლა და ვინ შელაზა?
ვინ იყო მკვლელი?—შენი მემკვიდრე.
მაშასადამე მკვლელი შენა ხარ!..

შენ არ აღზარდე ეგ ძაღლისშვილი?
შენ შეამზადე სწათდარიგოდ,—
გულს ამოთხარე სიკეთის ფესვი
რომ ბოლოს კაცად არ გამხდარიყო!

სიყრმით აღუძარ ვნებათა-ლეღვა,
სიყრმით სიავის ცეცხლი აჩაღე,
ყაზარმის საყვირს მიანდე შვილი,—
გააპირუტყვე, გააყაჩაღე!

ისე მოგწონდა ყიალი მისი,
რომ თვალებს ეხლაც სიამით ნაბაე!..
შენ ამაყობდი ასეთი შვილით,
შენ, სისხლიანო კაენის მამაე!

შენ უკრძალავდი მას აინშტაინს,
ჰაინეს ლექსებს უბათილებდი,
ჩხრეკდი ყმაწვილურ იმის ზმანებებს,
იდუმალ გრძნობებს უპატიმრებდი!



მარქსსა და რუსსოს თუმც ჩემი შეილიც
ჯერ არ იცნობდა,—ეტრფოდა მხოლოდ!
შენი კი წიგნებს კოცონზე ჰყრიდა,
გაიძახოდა:—დაეწვათ, ჩაეჭოლოთ!

ჩემი რომ შკოლის კურსს ამთავრებდა
ნათელი, მშვიდი, ხალისიანი,
ჩვენ იმ დღეს სწორედ შენი მეგვედრე
კარზე მოგვიხტა თვალსისხლიანი!

და ის რაც ჩემ შეილს მიაჩნდა წმინდად,
ადამიანის თვალთა ნათელად,—
მან აღვირ-ახსნილ ჭიხვინით, უცებ
ძირს. დანარცხა, ქუსლით გათელა!

დგას კვამლი

ჩაკლულ ადამიანთა
ძალით ამლილი საბუღარების
სჩანს დათოვლილი მკედარი მიდამო
უბედურების და მწუხარების!..

დგანან ქარები აღმოსავლეთით
ვეროპის მკერდზე ფრთებაშლილები...
აი, ადგილი სადაც ერთმანეთს
პირისპირ შეხედნენ ჩვენი შეილები.

ჩვენც ბრძოლის-ველზე ვდგებით პირისპირ
ორი ჭაბუკის ორი მშობელი,—
ეგრ. გაეჭევი ცრემლით სამსჯავროს:
ჩვენში მტრობაა ჩაუქრობელი!

ჩემი შეილია კომკავშირელი.
შენი: ფაშისტი და მუხანათი.
ჩემი შეილია ადამიანი.
შენი შეილი კი არის ჯალათი.
ღე მთელი ქვეყნის ველურ ხანძარში
ჩემი ვაჟკაცის გულიც იწვოდეს!—
ასჯერ რომ მოჰკლა,—ასჯერ აღსდგება
და პასუხს მაინც მოგთხოვს, იცოდე!

თარგმანი კარლო კალაძისა

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პლიზაარ ზელგინიძე

შენს მშენებელი ხარი

★

განთიადზე, მზის პირველ სხივებში
მიაბიჯებდა ალექსანდრე რუსთავეის
ჯერ კიდევ დაუშთაერებელ ქუჩაზე.
მის თვალებს იტაცებდნენ მაღალი
საამქროები, რომელთა სახურავეებიც
მზისაგან სარკესავით კრიალებდნენ. ის
მიაბიჯებდა პალტოვახსნილი. ნიაფი
უშრიალებდა მსუბუქ კალთებს. გზა-
ზე ხშირად უხდებოდა წყლის გუბეებ-
ზე გადახტომა, კირისა და ლორღის
გროვილებზე გადასვლა. ერიდებოდა
ტალახს, რომელიც წინა დღის წვიმას
დაეტოვებინა.

ალექსანდრე იცქირებოდა შუბლ-
შეკრული. სახის მკვეთრი ნოხაზულო-
ბა, დიდრონი ყავისფერი თვალები,
თხელი, ფერმკრთალი ტუჩები და
თითქმის მუდამ მტკიცედ მოკუმული
ბაგეები, უგულო ადამიანის იერს აძ-
ლევდნენ. მეტადრე მაშინ, თუ რაღე
ფიქრი შეიპყრობდა, მიუკარებელს
ჰგავდა, თითქოს საკუთარ გრძნობებში
ჩაიკეტა და გარემო ქვეყანასთან ყვე-
ლაფერი გასწყვიტაო. ახლაც რაღაც
ფიქრი აწუხებდა.

სადგურზე მატარებელმა იკივლა.
რამდენიმე წუთის შემდეგ ფართო ქუ-
ჩებში, სადაც მხოლოდ თითო-ორიოლა
სახლი იდგა, შემოიჭრნენ მატარებ-
ლიდან გადმოსული მუშები. ისინი
საამქროებისაკენ მიეშურებოდნენ.

მალე საყვირის ხმაც გაისმა და ახ-
მაურდა კიდევ ქალაქი-ქარბანა.

ალექსანდრე შეჩერდა და დაუმთავ-
რებელ შენობებს გახედა. ხარაჩოებზე
აღიოდნენ მუშები. სახურავეებიდან
ძირს დაშვებული თოკებით მაღლა
ეზიდებოდნენ საამშენებლო მასალას.

ამ დროს კოტეჯის სადარბაზო კარი-
დან ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა შუა
ხნის ქალი და სწრაფად გადაიბრინა გა-
ზონებს შორის გაყვანილ ტროტუარ-
ზე.

— ქეთევან! — გასძახა ალექსანდ-
რემ.

ქეთევანმა მიიხედა, მიესალმა;

— მიიჩქარი? — შეეკითხა ალექსან-
დრე.

— ძალიანი მტკვარი აღიდებულა,
ნაბირები გადაულახავს, ვაი, თუ წყალ-
მიმღებთან რამე წალეკოს! უპასუხა
ქეთევანმა. ის ისე ემდურებოდა და
ჰკიცხავდა მტკვარს, თითქოს იგი, მდი-
ნარე კი არა, ადაზიანი ყოფილიყოს.

ალექსანდრე ხმაამოუღებლივ გაა-
ყვა ქეთევანს.

ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ. მერმე
ალექსანდრე შეეკითხა:

— როღის აღიღდა მტკვარი?

— ამ დღიას.

ალექსანდრეს ღიმილი დაეტყო სა-
ხეზე. ქეთევანმა გამომწვევად შეხედა

2ას, მაგრამ ალექსანდრეს ხმა არ ამო-
ულია.

ახლად დამთავრებული კოტეჯების
წინ ქვაფენილების სიგანეს ზომად-
ნენ. ქუჩაზე დაყრილ ქვის ნამსხვრე-
ვებს ფართო ბორბლებიანი მძიმე და
ტლანქი მანქანა გუგუნით სტეკნიდა.
უფრო შორს კი, ქუჩის ნაპირებზე,
ორმოებს სთხრიდნენ. ძირს ეწყო დას-
ტად შეკრული ნერგები, რომლებსაც
ხსნიდა და სათითაოდ სინჯავდა ქალა-
ჩით მოსილი კაცი.

— ბაწუა მერაბ, ნერგები მზად
არის? — მოუახლოვდა და ბავშვური
საამური ხმით შეეკითხა საშუალო ტა-
ნის, სუსტი აგებულობის ფერმკრთალი
ქალი. მას არც კი ვაუღიმიო, მაგრამ
ბრწყინვალე ცისფერი თვალები, მარ-
წყვივით ფაქიზ ტუჩებს შორის სადა-
ფის მძივებივით ჩაწყობილი თეთრი
კბილები სიხარულს ჰფენდნენ ქალის
სახეს.

— გადავარჩიე, ჩემო რუსუდან,
წაილე, გოგონი. — უბასუხა მოხუცმა
და ერთი ნერგი მიაწოდა.

რუსუდანი ახლადამოთხრილ ორმო-
საკენ გაეშურა. მოხუციც წამოდგა და
თან გაჰყვა. რამდენიმე წუთის შემდეგ
ნერგი უკვე მიწაში იყო ჩარგული.

ალექსანდრე რუსუდანს მიუახლოვ-
და.

— ეს რის ნერგია? — ისე შეეკით-
ხა, რომ მისთვის საზეზე არც კი შე-
უხედავს.

— ვერჩვისა გახლავთ! — უბასუხა
რუსუდანმა, — კაკლის ნერგებმა ვერ
გაიხარეს და გადაეწყვიტეთ ვერხვი და
აკაცია დაერგათ.

— რატომ ვერ გაიხარეს? — გაი-
კვირვა ალექსანდრემ და ქალიშვილს
თვალებში ჩააქერდა.

რუსუდანს საზე აელეწა. მოწოლილ-
მა ფერმა უფრო დაამშვენა, თითქოს
მზის სხივებმა მოქარგესო იგი.

ალექსანდრემ თვალი აუხრწა და
სივრცისაკენ გაიხედა, უსივრცო მუხ-
ბული ხეხილნარი მოჩანდა. გაზაფხუ-
ლი დაეხატა თვალწინ. რუსუდანიც
გაზაფხულს ჰგავდა. ის იყო ცხრამეტი
წლის. თვალებშიც, ბაგეებზეც, ლო-
ყებზეც გაზაფხულის სხივი უთამაშებ-
და. მის გამოხედვაში მოჩანდა გამო-
უცდელი გულის უბრალოება, რომე-
ლიც მუდამ სითამამით სავსეა.

— მტკვარზე არ მოდიოდით? —
ნერვიულად შეეკითხა ქეთევანი.

— როგორ არა, ეხლავე წავალთ...
ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს... ამ
ნერგებს.. უნდა გაიხარდონ, უნდა გაა-
ლამაზონ რუსთავი — წაილაპარაკა
ალექსანდრემ და გაეშურა. ერთი წუ-
თის შემდეგ უკან მიიხედა და რუსუ-
დანს ხმამაღლა უთხრა:

— ვნახავთ მერე!...

ნაბიჯს აუჩქარეს. თითქოს დაკარ-
გული წუთების ანაზღაურებამს ცდი-
ლობდნენო.

მტკვარს მიუახლოვდნენ. სიამოვნებ-
და ალექსანდრეს აზვირთებული მდი-
ნარის ცქერა... ის გრძობდა რომ ილ-
ვიძებდა ქვეყანა... იღვიძებდა რო-
გორც ყოველ გაზაფხულზე. იღვიძებ-
და ზამთრის ძილისაგან. თვალწინ დაე-
ხატა კავკასიონის მწვერვალები, რო-
მელნიც თავიანთ გულმკერდზე გად-
მოხეთქილი ნიაღვრებით ავსებდნენ
ხევებს. დაქანებულ ფერდობებზე უთ-
ვალავ ნაკადულებად მოდიოდნენ გამ-
დნარი თოვლის ცივი ჩანჩქერები. მოჰ-
ქონდათ მთაში მოტაცებული, შირფეს-
ვიანად ამოთხრილი ბუჩქები და ხეები.
აღიღდნენ მთიური ზღინარეები, მალ-
ლობებიდან ზათქითა და ქუხილით წა-
მოვიდნენ ხევისა და ფშაეის არაგვი,
დიდი და პატარა ლიახვი. მათ თავიან-
თი კალაპოტები განზე გასწიეს, გაა-
ფართოვეს, გულმკერდი თავისუფლად
გადაშალეს და მოისწრაფვიან დედა
მდინარისაკენ. მტკვარიც იღებს მათ,

ჩვეულო, დედობრივი სიყვარულით, იხუტებს გულში და აი, ისიც აღძვრებულა, აღუმალღებია ხმა, აღვიძებს ქალებს, ველ-მინდვრებს, მთებს...

ლიახვი და არაგვი!..
ნიყვარხართ, მშვენიერო მდინარეებო!...

ძვირფასი ხარ, ლიახვო!..

მრავალ საუკუნეთა წინათ მაღალ მთებიდან შენ მოიკვლევდი გზას ბარისაკენ. დაეტყნა დედა-მდინარეს. გზადაგზა ბევრგან შევიხვევია. გადაგიხედავს ნაპირალებისაკენ, გამოგივლია კლდეკარები, შეგივლია ამწვანებულ ქალებისაკენ, ბევრჯერ და ბევრგან გზაც კი დაგკარგავია, ცრემლის გუბებზე დაგიტოვებია გულიდან მოწყვეტილი რუბები, მაგრამ მაინც არა სცბრებოდი, ეტებდი დედა-მდინარეს...

და შენ იბოვე იგი... იბოვე ქართლის გულთან-გორთან. აქ შენ დამშვიდდი, დაწყნარდი, და როგორც ორი ხელი, ბედნიერი კმაყოფილებით ორი ტოტი გაშალე და შეიჭერი მკაცარში. შენი ძაღლონი და მთელი შენი სიცოცხლე მიანდე მას...

ძვირფასი ხარ, ლიახვო!..

შენს ნაპირებთან, შენს ზვირთებთან თამაშობდა ქვეყნის გულის გამღვიძებელი... ეს შენ ეჩურობოდი მას მქუხარე ამბებზე, დაუღაროველ სიცოცხლეზე, შეუპოვარ წინსვლაზე!..

შენც ძვირფასი ხარ, არაგვო!

ცივი არხოტის ფერდობებიდან მოისწრაფოდი დედა — მდინარისაკენ და იქ მიაგენ მას, სადაც გაშენდა მცხეთა, საჩართველოს ძველთაძველი დედაქალაქი...

ლიახვო და არაგვო, გაზაფხულობით ბუნება რომ გაიღვიძებდა, მწვერვალებიდან პირველად გამდნარი თოვლის ჩანჩქერები რომ დაიძვროდა, თქვენ მოგქონდათ სავაზაფხულო ამბავი... აღიღებოდი, ახმაურდებო-

დათ, მოქუხდით და გზადაგზა მთებიდან ყველას და ევერღებოდა — ტყეს, მთას, ქალებს, მთელს ქვეყანას. თქვენ განა მარტო რწყავდით ბაღებსა და ვენახებს, ყანებსა და სანახებს, — მქუხარედაც გასძახოდით: — გაზაფხულია, ქვეყანამ გაიღვიძა, წამოდექით, გამოფხიზლდით, მტერი ხომ არ შემოიჭრა მშობლიურ მიწა-წყალზე?!.. და ძალიან ხშირად, თქვენ, ლიახვო და არაგვო, მტკვართან ერთად მტრისთვის გზა გადაგილობავით, დავითარაეთ ქართლის გული, ქართლის დედაქალაქი...

გასცქეროდა ალექსანდრე მტკვარს... ეს მისი განცდები სხვა ფიქრმა შესცვალეს; მტკვარი მარჯვნივ გადახრილყო. თვალი გააყოლა მარცხენა ნაპირს. ყურადღებით დააცქერდა ქვეთკირის ჯებირს, რომელსაც სწრაფი ზვირთები ეხეთქებოდნენ, მერე მზერა გადაიტანა წყალმიმღების კედლებზე და უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— არა, ამ ჯებირს ვერაფერს დააკლებს! ვერც წყალმიმღებს დააზიანებს! — გამოელაპარაკა ინჟინერი თთარიშვილი, რომელიც აქამდე ხმაამოუღებლივ იდგა, რადგან ამჩნევდა, რომ ალექსანდრე საკუთარ გრძნობებში იყო ჩაკეტილი.

— მე ეგ არ მაფიქრებს! — უბასუხა ალექსანდრემ. — მტკვარი კალაპოტს შეიცვლის. ხედავ, საით მიექანება? ..

თთარიშვილი კარგა ხანს შესცქეროდა ორივე ნაპირს. მტკვარი მართლაც მარჯვნივ იყო დაქანებული. საგონებელში ჩავარდა. მესამე წელიწადია წყალმიმღებს აშენებს და ნუ თუ ახლა, როდესაც უკვე ამთავრებს, მტკვარი გზას შეიცვლის, გვერდში აღარ ჩაუვლის ამ ქვებს, რომ ქარხანას წყალი მიაწოდოს?!..

— რამ ჩავაფიქრა?!— გამამხნევებლად მიმართა ალექსანდრემ, — ჩვენ მაგას ერთხელ და სამუდამოდ ისეთ კალაპოტს გავუყუთებთ, როგორიც გეინდა. დროზე გვაჩვენა თვითნება და ჯიუტი ხსიათი. არაფერია, მოვეუღლით!..

ქეთევანიც მხოლოდ ახლა მიხვდა თუ რა შედეგი მოჰყვებოდა წყალდილობას.

სამივენი წყალმიმღების დაუხურავ კედლებზე შედგნენ.

— წუხელის ზომ არაფერი მომხდარა?— იკითხა ალექსანდრემ.

ქეთევანმა განცვიდრებით შეხედა. მიხვდა რომ ალექსანდრეს მტკერის აღიდება ღამით გაეგო და ნანახიც ჰქონდა. თურმე იმიტომ არა ჩქარობდა და არც აღიღებდა ეს ამბავი.

— არაფერი! — უპასუხა ოთარიშვილმა.

მათ დაათვალიერეს შეიდივე ქა და შეიდივე ტომბო, რომელთა კედლებიც მტკერის ფსკერიდან იყო ამოყვანილი.

ჭიბის პირში მოვრიე წყალი იღვა. დაათვალიერეს ახლად დამთავრებული წყლის ვანმანაწლებელი გალარეა და წყალმიმობიდან გადმოვიდნენ.

ალექსანდრემ ოთარიშვილს მკლავი მკლავში გაუყარა და დაბალი, მაგრამ შთამაგონებელი ხმით უთხრა:

— თქვენი მდგომარეობა ძლიერ მაფიქრებს!

ოთარიშვილი წამით შეშფოთდა. გაიკრიბებით შიხოდა. არათორი უკითხავს. მაგრამ ის შეხეოდა ნიშნავდა:— ცუდი ზომ არათორი მოხდაო?!..

— ილიჩარო ცენტრალის მშენებლებს გათაწყვეტილი აქვთ ერთი თვით აღრე დაამთავრონ მშენებლობა. ამ დროისათვის წყალმიმღები თუ მზად არ იქნა. შირკხეებით!

ეს სიტყვები ოთარიშვილის თავმოყვარიობას შიხო. იწყინა, თითქოს შიგ ათოშა ჩაქოჩი ჩაარჩავს... ჩიონს ჩამორჩენაზე ლამაზაყის საბაბს არავინ

მიეცემთო! — გაიფიქრა და გადაქვით უთხოვა:

— განა ჩვენ კი ეტყევიან მტკერებზე? ჩვენც ერთი თვით აღრე დამთავრებთ სამუშაოებს!..

ალექსანდრემ წყალმიმღების მთლიან კორპუსს თვალი გადაავლო, გონებაში წარმოიდგინა ყველა ის სამუშაო, რომელიც აქ უნდა შესრულებულიყო და დინჯი და დამაჯერებელი კილოთი სთქვა:

— ამის მიღწევა შეიძლება!..

ალექსანდრემ მტკერის მდინარეებისაკენ გაიხედა. ნავეებზე შემდგარი ჯაჭვის ფართო ხიდი ორივე ნაპირს აერთებდა. ცოტა ქვევით კვ გოლიათებით ჩამდგარიყვენ ქვის ბურჯები, რომლებზეც სულ მალე რკინის უზარმაზარი ხიდი უნდა შეედგათ. მან თვალი ააყოლა იალღუჯის შთის კალთებსა და ფერდობებს, რომლის ძირშიც რუსთაყის მეორე ნაწილი უნდა გაშენდეს. მხოლოდ ერთი წამით თვალწინ წარმოუდგა ახალი ქალაქი თავისი ფართო და სწორი ქუჩებით, საგულისგულოდ დახატული მოედნებით, წალკოტოვით მშვენიერი ბაღით, სასახლის მსგავსი შენობებით, ავტოებითა და ტროლეიბუსებით ახმავრებული.

ის გამოარჩევს ტყვიამფრქვევის სისწრაფით ახმავრებულმა შექანიკური ჩაქუჩის დარტყმებმა და ელექტროშედულების შხოილმა. შემოტრილდა და უსწორმასწორო გზით ამ ხმავრისაკენ გაეშურა. ჰკრავდნენ უზარმაზარ რკინის ხიდს, რომელსაც ბურჯებზე შესადგმელად ამზადებდნენ.

ელექტროსადგურისაკენ გაეშურა. ის მოდიოდა ფრთებშიცხმულივით. თითქოს ოცნებასავით ტკბილი თიჩრი მიაროლებდაო. გზადაგზა განათხარებზე ხტომა და ხე-ტყეზე გადასვლა უხდაბოთა.

სამანაწინო დანადგართა კორპოსის ლითონის სვეტები ასი მეტრის სიმაღ-

ლზე იყო აწვდილი. მაღლა, სხვადასხვა სართულების რკინის კიბეებზე, ხიდებზე და თვით სახურავზე შემდგარი ხელოსნები გამალებით მუშაობდნენ. ლითონის დაწნული მავთულებით მაღლა ეზიდებოდნენ სხვადასხვა მოწყობილობას, სახურავის ბეტონის ფიქალს. მავთულბაგირებზე ეკიდა უზარმაზარი კონსტრუქციები. ოსტატები მათ მორგებასა და დამაგრებაზე ზრუნავდნენ.

— ხუციშვილი! — ასძახა ალექსანდრემ მაღლა.

პასუხი არ მიუღია.

— სად არის ხუციშვილი?! — დაიძახა ხელმეორედ.

— აქა ვარ! — ჰერის ერთ-ერთი კუთხიდან დაიძახა კაცმა, რომელიც შორიდან მხოლოდ საერთო მოხაზულობით ჰგავდა ადამიანს. მისი სახე, შავი ტანსაცმელის ფონზე პატარა ნათელ წრედ მოჩანდა.

სამუშაოთა მწარმოებელი ჰერზე ასულიყო. ამოწმებდა, როგორ მიმდინარეობდა ახლად აზიდული კონსტრუქციების დამონტაჟება და ჰერის დახურვა.

— ჩამოვიდე? — იკითხა ხუციშვილმა მაღლიდან.

— იყავი. მე ბევრთონ ამოვალ! — უბასუხა ალექსანდრემ და ხელითაც ანიშნა არ ჩამოსულიყო.

ლითონის კოქებზე დაკიდებულ რკინის მოძრავ კიბეზე ფრთხილი ნაბიჯით გაემართა ზევით. მეორე სართულზე ასეღის შემდეგ ოდნავ მოიხარა და ისე გაიარა გარდი-გარდმო გადებულ ხიდზე. მესამე სართულზე კვლავ ვიწრო კიბით მოუხდა ასელა. გზაში ეღობებოდნენ დამონტაჟებაზე ზომუშავე ოსტატები. ისინი გზას უთმობდნენ, ცალი ფეხი ლითონის კოქებზე ედგათ, მეორე ჰაერში ჰქონდათ გაკიდებულნი.

— ფრთხილად, ფრთხილად! —

ეუბნებოდა ალექსანდრე ყველა შემხვედრს.

— არაფერია, ამხანაგო! — მიჩვეული ვართ! — უბასუხებდნენ მას.

ალექსანდრე სულ მაღლა და მაღლა მიიწეოდა. ის თანდათან პატარავდებოდა. ბოლოს, როდესაც ჰერს მიუახლოვდა, ისიც ისე მოჩანდა, როგორც ადამიანის მოხაზულობა.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ხომ არაფერი გიშლის ხელს? — შეეკითხა მისეღისთანავე.

— როგორ არ გიშლის, ბევრი რამ, ძალიან ბევრი რამ გიშლის! — მაშინვე სამდურავით უთხრა ხუციშვილმა.

ეს ისეთი კაცი იყო, აკლდა რამე თუ არ აკლდა, რამე ხელს უშლიდა თუ არა, გეგმების შესრულებაში წარმატებაც რომ ჰქონოდა, მაინც განგაშსა სტეხდა, მაინც რაღაცას მოითხოვდა, რამეზე გულნაკლული იყო. მხოლოდ თვის ბოლოს შეიძლებოდა მასთან მშვიდი ლაპარაკი, რადგან უკვე გულარზენიად იყო, ას პროცენტს უსათუოდ გადააპარბებდა. ზალი თვის დასაწყისიდან თავიდან იწყებოდა მისი შფოთვა, სამდურავები და განგაში.

— როგორ? — გაიკვირვა ალექსანდრემ, — ბევრი რამ ხელს გიშლის და ჩვენ კი არ ვიცით?!

— პირველყოელისა ხელს გიშლის ის გარემოება, რომ მოწყობილობათა დამონტაჟება ქვევით. მიწაზე სწარმოებს. მართალია დამზადებული ამოაქეთ მაღლა, მაგრამ მათი დაყინება და მორაგება ძნელოდება, რთოლოება, მერ დროს მოითხოვს. ჩიპის აზრით მოწყობილობათა ნაწილ-ნაწილად ამოტანა აუობობს, უფრო ნაკლები დრო დაიკარგება...!

ხუციშვილი ფრთხილად დაიხარა და ლითონის ფართო კოქზე ობობგადაკიდებული ჩამოყდა. ალექსანდრემაც წაპაძა მას. ხუციშვილი დრო-

დადრო მალა იხედებოდა მღშებისაკენ, რომელნიც სახურავზე ბეტონის უზარმაზარ ფიქალს აწყობდნენ.

შე დასცქეროდა მალა კორპუსს. აკრიალებდა ლითონის სვეტებს და კონსტრუქციებს, ორივეს სახეს უნათებდა და ოდნავ იკბინებოდა, როგორც ეს ადრე გაზაფხულზე იცის ხოლმე.

— კიდევ რა გიშლის ხელს? — კვლავ იკითხა ალექსანდრემ.

— ჩვენს მოედნამდე რკინიგზის ლიანდაგი არ არის გამოყვანილი. ავეიანებენ არმატურის მოტანას. როდის გამოიყვანენ რკინიგზას?

მართლაც რა არის, ასე რომ გრძელდება ლიანდაგის გამოყვანა?! კონებაში აღებუდა ეს საკითხი ალექსანდრეს.

— კონსტრუქციების დაბლიდან გამზადებულის ამოტანა ნუ გაღელვებს. ეს დიდი გამოცდილების შედეგია, მოსკოვის ფოლად-კონსტრუქციის ოსტატები აშენებენ. მათ კარგად იციან. იმათ აღადგინეს ჩვენი ქვეყნის დანგრეული ქარხნები სტალინგრადში, დონბასში, ზაპაროჟიეში. რაც შეეხება რკინიგზას, ზომებს მივიღებთ!

ამ დროს, სწორედ მათ ზევით სახურავზე ფიქალი დასდეს. შხის სხივებს გზა გადაეღობათ. ორივემ უნებლიეთ მალა აიხედა... კარგა ხანს ჩუმად იყვნენ.

ალექსანდრე წამოღგა. ფრთხილად ჩავიდა დაბლა. დროდადრო ჩერდებოდა და შემხედრ ოსტატებს თითო ოროლა შეკითხვას აძლევდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ძირს, მოედანზე იყო.

გზად გავლისას ექსკავატორთან შეჩერდა. მანქანაში ახალგაზრდა ოსტატი იჯდა. ეს მანქანა თავის გრძელ ხორთუმს დაბლა ხრიდა და

რკინის დინგით მიწას ხევეტივდა მერე მართლაც ხორთუმს დასაწყობებდა ხოლმე მალა და რევე ნამომდგარ ავტო-მანქანაში ჰყრიდა.

ალექსანდრე ერთი წამით შეჩერდა.

— როგორ მუშაობს ეს შენი რკინის სპილო? — რატომღაც მხიარულად შეეკითხა ახალგაზრდა ოსტატს.

— ეხლა კარგად, მაგრამ გუშინ საღამოდან გაჩერებული იყო!

— მიზეზი?

ალექსანდრე ასეთ პასუხს არ მოელოდა. თითქოს ინანა, რატომ გავილიმეო, და კვლავ შუბლი შეიკრა.

— ხრახნი გასტეხია.

— მერე, ხრახნის გამო მთელი დამე იდგა?

ამ დროს მოულოდნელად გაჩნდა უფროსი მექანიკოსი დიასამიძე. მან არც კი იცოდა, თუ როდის დაზიანდა და როდის შეაკეთეს ექსკავატორი.

— ამხანაგო დიასამიძე, ეს როგორ მოხდა, რომ ერთი უბრალო ხრახნის გამო ექსკავატორს ორი ცვლა არ უმუშავენია? — ალექსანდრეს ხმაში იგრძნობოდა უკმაყოფილება და სასტიკი საყვედური.

— თქვენი მექანიკოსები რატომ წინასწარ არ ამოწმებენ მანქანებს?! ანდა, რატომ მორიგეობა არა გაქვთ შემოღებული, რომ უცბათ აიცილოთ ხელის შემწლევი მიზეზი?!

დიასამიძეს თავის გამართლება არ უცდია. ის ჩუმად იდგა. სახეზე დამტანჯველი ნაკეთები ღაანდა. ალექსანდრემაც იგრძნო ზისი სიმძიმე და უფრო ხმადაბლა დაუმატა.

— ამ მოედნიდან ორმოცდაათათასი კუბომეტრი მიწა უნდა ამოიღოთ. წუხელის კი ვალად დაიტოვეთ ათასი

კუმბეტრი. როდის უნდა ვააწყო-როთ?!

„აღარ, აღარ, აღარ განმეორდება!“—ფიქრობდა გულში დიასამიძე, ოღონდ ხზას არ იღებდა. თავის გამართლებას არ შესდგომია.

შუადღე გადასული იყო. შეუმჩნეველად გავიდა დრო. ამონათხარებით დასერილი მოედნიდან ალექსანდრე ქარხნის შუა გულში გავიდა, მერე საცხოვრებელ შენობებისაკენ გაუხვია. მთავარ ქუჩაზე უკვე ნერგების მთელი მწკრივი მიიმართებოდა. ნერგი, რომელიც რუსუდანმა დარგო, უსუსურად გამოიციკირებოდა. ალექსანდრე ნერგთან ახლოს მივიდა. მას არც ყლორტები ჰქონდა, არც ფოთლები. მხოლოდ რამდენიმე პატარა შტო და სუსტი სხეული გაჩნდა. ხელის მოკიდებაც კი ვერ გაბედა.

„რადგან მიწაში ფესვები გიდვას, გაიხარებ, უსათუოდ გაიხარებ... მოგივლით და გაიზრდები. შენი ტოტები და ფოთლები მცხუნვარე მზის დროს გრილ ჩრდილს დააფენენ აქ“...—ფიქრობდა ალექსანდრე. ღან მხოლოდ თვალთ მიუალერსა, ფიქრით მიეფერა, მერე ირგვლივ მიმოიხედა, ზომ არაეინ მხედავსო. საჩქაროდ მოშორდა ამ ადგილს და კვლავ იქით გაეშურა, სადაც ძლიერი და განუწყვეტელი ხმაური იდგა. მიდიოდა და კვლავ თვალწინ ეხატებოდა დღეს დათვალიერებული უბნები. მტკვარი, ახლად აგებული ხიდის ბურჯებით, საგუმბართ, წყალშიღებით, შემდეგ ის პატარა ნერგი... ელექტროსადგურის სამანქანო დანადგართა კორპუსი თავისი მაღალი სვეტებით, ლითონის ხიდებით და შემდეგ ისევ ის ნერგი—პატარა და უსუსური... ავერ ექსკავატორი რკინის ხორბუმით და რკინისვე დინგით, მაგრამ მერე ისევ ის ნერგი დაეხატა თვალწინ...

„რასაკვირველია ნერგი გაიხარებს. ღან ზომ ფესვები მიწაში ღრმად აქვს

გადგმული... არა, ღრმად არა აქვს გადგმული, მაგრამ თანდათან მიწაში ფესვებს გაიდვას ფესვებს... ყლორტებსაც ამოიყრის, ფოთლებსაც მოისხამს. მარტო ეგ ერთი კი არა, ათასი და ათიათასი სხვა, რომლებსაც აქ დავრგავთ.“

არ შორდება ეს ფიქრი ალექსანდრეს.

მზის სხივები აღმაცურად ეცემოდნენ დედამიწას, სიწყნარე ხელს უწყობდა მიწუხრის წუთებს, სამშენებლო ნერგში გაეხვია ბუნება. თითქოს ცის დასავალში, სადღაც მთებში, როგორც უზარმაზარ ზარს ისე რეკავენო მზეს, მისი უკანასკნელი სხივები კი წკრიალა ბგერებივით ცვივაო მყუდროებაში. ამ სხივებისაგან ხეთა კენწეროებს ცეცხლი ეკიდებოდა, როგორც უზარმაზარი ანთებული ლამპრები იდგნენ ისინი და ამშვენებდნენ ისედაც ლამაზი გაზაფხულის პირველი დღის დაისს...

II.

ვინც არ იწვის მომავლისათვის და პატივს არა სცემს თავის წარსულს, ის ვერაფერს შექმნის დღეს, ხვალისათვის, გუშინდელი დღის სადიდებლად. ფიქრობდა ალექსანდრე და აიენიდან გასცქეროდა რუსთავს. ოცნებით წარსულში გადაიხედა და თვალწინ ალემართნენ მუხები, ვერხვები, კაკლის ხეები, გარეჯის მთების კალთებამდე შეფენილი ვენახები, თეთრად აქაფებული ნაკადულით გულსავსე ლოჭინის ხევი და ირგვლივ ვარდ-ყვავილები ფერადფერადი. თვალწინ ედგა უღრანი ტყით დაფარული მტკვრის მარცხენა ნაპირი, რომელიც ღდინარის გაყოლებით ქვევით, შორს, ძალიან შორს, საქართველოს საზღვრამდე მიდიოდა. ხედავდა მტკვარს, დღემუდამ ცოცხალს, აყრიამულეზულს მეტივეებით, მენახეებით, მეთევზეებით... შემოესმა

ტკბილი ურჩულიც მარაგზებზე შეურთეყის გულდას დღმთხეაელი.

იღვთსადაცა ერთი ილიეთი სიტყვით, ოთხელაც უოველ ქათველს ჩაქსოვილი აქადა გულში. ეს იყო „გამარჯვება“ და იაიიეიდხენ ასეთივე გულსამიერი სიტყვით „მშვიდობით“.

„გამარჯვება და მშვიდობა“.

რამდენი რამ არის ჩაქსოვილი ამ ორ სიტყვაში ქათველის გულისთქმოდან. მშვიდობას უსურვედახენ ერთმანეთს განცალკევების დროს, ქარქაშში ხმალთაგეაულსი, მაგრამ გამარჯვება იყო მათი საერთო წყურვილი.

„გამარჯვება და მშვიდობა“.. — ტკბილია ეს სიტყვები... მშობლიური იგი.

როდესაც ალექსანდრე რუსთავეში მოვიდუ მას აქ დაუხედა გულამომრალი ველი, გადამხაიო, გადათელილი. ახლა კი ისეე დაიწყო ზედ სიცოცხლე..

„კაკლის ხერგმა ვერ გახზარაო“. — გაახსენდა რუსუდანის ნათქვამი და გაიღიმა.

„როგორ შეიძლება ვერ გაიზაროს?!“.

„რას არ გაუხარია ამ მიწა-წყალზე!“.

მოვლა უნდა ამ ნერგებს! მოვლა და ზრუნვა... ზრუნვა და სიყვარული! — ფიქრით ესაუბრებოდა ალექსანდრე რუსუდანს.

„რუსთავი მომავალში უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე წარსულში იყო!“ — თითქმის ხმაძალა ჩაილაპარაკა მან.

ალექსანდრემ ვერც კი შეამჩნია მისი სახლის წინ გაჩერებული ავტომობილი. კარი გაიღო და მანქანიდან გადმოვიდა დიასამიძე. მან თვალი მოიჩრდილა და აიენისაკენ აიხედა. ალექსანდრეს დანახვა გაეხარა. ხმაძალა ასძახა:

— გამარჯვება, ალექსანდრე!..

ალექსანდრე გამოერკვა. უცბად ფიქრები შემოიბერტყა.

— გამომარჯოს, ვასო, შენც ხარ? ამოდო!

— სანადიროდ მივედივარ, თუ წამოხვალ, დროს ნუ დაკოგავ, თოფ-იარაღი არის და ჩამოდო!

ალექსანდრე ერთ წუთს შეყოყმანდა, მაგრამ მეორე წუთში წასვლა გადასწყვიტა.

— თბილისში ვაპირებდი წასვლას. ერთი კვირაა ბავშვი არ მინახავს.

— არაფერია, საღამოზე ნანადირევით წახვალ!

ალექსანდრეს წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ოთახში შევიდა, კედლიდან ორღულიანი ჩამოიღო, მოკლე თბილი ქურთუკი გადაიცვა, ჩანთა გადაიკიდა და გარეთ გამოვიდა.

ძირს, მანქანასთან ყავისფერი პონტერი მოუსვენრობდა, წინ და უკან დახტოდა. ხანდახან ვასოს წინ ჩერდებოდა, წყლიანსა და ჰკვიანურ თვლებს მიაშტერებდა, თითქოს ეუბნებოდა:— „რალას გაეჩერებულვართ, წავიდეთო“.

— ეხლავე, ეხლავე, შე სულსწრაფო, მოესწრები! — ამშვიდებდა ვასო.

ალექსანდრე ჩამოვიდა. ვასო ღიმილით მიეგება, მაგრამ ხელი ჩამოართვა და ავტომობილის ღია კარში შესვლა სთხოვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი უკვე რუსთავს გაცილებული იყვნენ.

— ხოლ არ გეწყინა ჩემი გუშინდელი სამღერავი? — ხმადაბლა და გულთბილად შეეკითხა ალექსანდრე.

— არა მწყენია, მაგრამ არც დამეწყებია! — უპასუხა ვასომ.

ალექსანდრემ საზე მიიბრუნა და განციფრებით შეხედა. უცბად მოილტუმა, შუბლი შეეკრა. „როგორ თუ არ დაეიწყებია, გულში ჩაიტოვა?!“ — გაიფიქრა მან.

— დიახ, დიახ, არ დამეიწყებია! — დაასრულა თავისი აზრი ვასომ, — იმავე დღიდან ყოველი ცვლის შემდეგ მანქანების შემოწმება და ღამის მორი-



გეობა შემოვიღე. გარდა ამისა, შეა-
ლაძეც რომ იყოს, გულისყული ექსკა-
ვაციონებისაკენ ძაქვს, მიღმიც კი მეს-
ცის ძათი ბაგუნო. თუ ეს ბაგუნო შეწყ-
და, მივხედვით გული მიგრძობას ხოლ-
მე, წააოვიტები და მივრბივარ. მე
თვითონ ვაძოწმებ.

გულზე მოეშვა ალექსანდრეს. სახე
უჩვეულო სიხარულით ჰქოხდა გაბრ-
წყისეიული.

— ხომ იცი, მე და შენ მეგობრები
ვართ! თუ კარგად არ ვიწუშავეთ, მე-
გობრები ვეღარ ვიქნებით! — უთხრა
და მხარზე ხელი შემოჰხვია, სიყვა-
რულით მიიკრა მკერდზე.

ერთ ხანს სინუძე ჩამოვარდა. მერე
ესევე ალექსანდრემ დაარღვია ეს სინუ-
ძე და იკითხა:

— რაზე უნდა ვინადიროთ?

— რაზედაც შეგვხვდება, ტყის ქა-
თამზე, კურდღელზე.

— ტყის ქათამზე? — უაზროდ იკით-
ხა ალექსანდრემ, რადგან გონებაში ზა-
ინც რუსთავერ უტრიალებდა.

ტყის ნაპირას გაჩერდნენ. მანქანის
გზა აღარ იყო. გამოვიდნენ და ფეხით
გაიარეს. მეძებარი შურდულივით შე-
ვარდა ტყეში. მაგრამ ისევე სწრაფად
უკან გამოვარდა.

ისინი დიდხანს დადიოდნენ ხშირ
ბოჩქებსა და მალალ ვერხებს შორის.
მზის სხივები ვერ ატანდნენ ახლად
გაშლილ ფოთლებში. გარეულ მცენა-
რეთ სურნელით გაქედნთალი საამე-
რი სიგრილე სილაღესა და სიმსუბუქეს
ჰგვრიდა ზათ.

პატარა კორდზე გავიდნენ. ეს კორ-
დი მოფენილი იყო მრავალფეროვანი
სუსტი, მაგრამ ლამაზი ყვავილებით.
ამ კორდს ისე ფერადად ხატავდნენ
ისინი, თითქოს იგი ადამიანის ხელით
საგანგებოდ ამოქარგული ყოფილიყო-
სო. ამ ყვავილებს ერთნაირი ღეროები,
ფოთლები და ერთნაირი გვირგვინები
ჰქონდათ. ერთმანეთისაგან მხოლოდ
ფერით განსხვავდებოდნენ. ფერები

ცისა, ნარინჯისა, ისე შეწყობილად
ლევლივებდნენ, რომ ადამიანის
უხეილით თოიტაცებდნენ.

ალექსანდრე შეივოდა.

— ხედავ? — მიუთითა მან ყვავი-
ლებზე, — დააკვიროდი, მშვენიერი არ
არის!..

ერთ ხანს ვასოც ჩუმად დასცქერო-
და ამ ყვავილთა ქარგას.

— მოძიბვლეღია! — სთქვა მან და
პირი ტყისაკენ შეიბრუნა, — წავიდეთ,
ყვავილების საკრეფად მოვედით თუ
სანადიროთ?..

— დაიცა, დაიცა, რა გეჩქარება,
კვირა დღეა, თავისუფალნი ვართ! —
შეაჩერა ალექსანდრემ, მერე დაიხა-
რა და რამდენიმე ცალი მოსწყვიტა.
დააცქერდა და დაყნოსა.

— ეს ქართული ჯიშის შროშანია.
აი, აქ, მხოლოდ ამ მიდამოებში გარე-
ულ ყვავილად შემოჩენილი. შეა რომ
იკოდე რამდენი ბრძოლა დასჭირდა ამ
პატარა ზცენარეს, სიცოცხლის შესა-
ნარჩუნებლად, შეგიყვარდებოდა.

ვასო შებრუნდა და რამდენიმე ცალი
იმანაც მოსწყვიტა. დასცქეროდა, ყნო-
სავდა, სთვლიდა მის ფურცლებს.

— ძველად რუსთავეში, როდესაც
იგი ბაღჩა-ბაღს ჰგავდა, ეს ყვავილე-
ბიც ხარობდნენ! — ალექსანდრე გა-
ჩუმდა და რაღაცას ფიქრობდა. მერე
ჩუმად სთქვა:

— არა, ჩვენ არც ამას დავკარგავთ.
არ გადავაშენებთ. ამასაც დავუხმარე-
ბით რომ თავისი სიცოცხლე შეინარ-
ჩუნოს!

ვასო შესცქეროდა ალექსანდრეს.
ცდილობდა ზიზხედარიყო, თუ რას აპი-
რებდა იგი. მის სახეზე სიხარულსაც
ხედავდა და ნაღველსაც. ხმა ამოუღებ-
ლივ თვალყურს ადევნებდა მის მოქმე-
დებს. ალექსანდრე ჯიშის დანით ყვა-
ვილების ირგვლივ მიწასა სთხრიდა,
ფესვებიანად და მიწიანად იღებდა მათ
და ფრთხილად ჩანთაში ალაგებდა.



III ეპოქის
გმირთა

— ეხლა კი წავიდეთ! — თითქოს გულს მოეშვაო, ღრმა ამოსუნთქვით წარბოსტევა მან და ჩანთა დახურა.

ისინი კვლავ ტყეში შევიდნენ.

ინადირეს. რამდენიმე ტყის ქათამი და ჯურღლელო მოჰკლეს. ნადირობიდან უკან დაბრუნებისას ცოტახანს რუსთავში გაჩერდნენ.

ალექსანდრემ ყვავილები დასტოვა. პერე თბილისისაკენ გაეშურნენ. ნანადირევი მეგობრულად გაიყვეს და ერთმანეთს დაშორდნენ.

ალექსანდრეს თავისი ოთხი წლის გოგონა კიბეებზე შეეგება. მამამ ბავშვი ხელში აიტაცა და დიდხანს ჰკოცნიდა ყელზე და გულზე. ზამის მოსვლით გახარებული გოგონა ხითხითებდა, ოღონდ თავის პაწია ხელებს ყელზე ისევამდა, წვერ-ულვაშისგან შეწითლებულ და დასუსტულ ადგილს იმშვიდებდა.

მამა სავარძელში ჩამოჯდა, ცოლს ოჯახის ამბებზე ეკითხებოდა. სამზარეულოში კი ქათმებს პუტავდნენ. ამ დროს გოგონა მაკრატლით ხელში მაჰის მუხლებზე ავიდა.

— ულვაშები უნდა მოგჭრა! — ამბობდა ის.

— რატომ, შვილიყო? —

— მჩხვლეტავს! —

— აბა, მამ ალარ გაკოცები.

— არა, რატომ არ მაკოცებ, მე მინდა რომ მაკოცო... ულვაშები კი მჩხვლეტავს! გაბუტული ამბობდა გოგონა.

ბავშვს მაკრატელი გამოართვეს და დაპირდნენ, რომ ყელზე ალარ აკოცებდნენ...

კარგა ხანს იცინოდა ალექსანდრე ბედნიერბ სიცილით, კმაყოფილი და ოჯახური სიბოთით დამტკბარი. სულ ჰალე სუფრას შემოუსხდნენ, რომელიც წითლად შემწვარი ტყის ქათმებით და წითელი ღვინით იყო დამშვენიებული.

თვეზე მეტია, რაც ალექსანდრემ ტყიდან ჩამოტანილი შროშანი ყვავილნარში დასარგავად და გასამრავლებლად რუსუდანს გადასცა. რუსუდანი განსაკუთრებით უვლის მათ. არც მზეს აკლებს, არც წყალს, არც ზრუნვას. ორნაირად ძვირფასია მისთვის ეს პატარა, შეუმჩნეველი, მაგრამ ლამაზი ყვავილი. პირველი, იმიტომ რომ მის ყვავილნარში ამ სახის შროშანი არ არის, მეორეც ალექსანდრემ დაავალა მოუაროს და გაამრავლოს იგი. ალექსანდრეს კი ყველა პატივს სცემს, ყველას უყვარს იგი მშენებლობაზე.

როგორ არ მოუვლის?! როგორ არ გაახარებს?! როგორ არ გაამრავლებს მას?! გულის ტყვილად ის შემჩნევად ეყოფა, როდესაც ალექსანდრემ უთხრა: — განა შეიძლება, იმ მიწა-წყალზე, სადაც ოდესღაც კაცლის მთელი ტყე ყოფილა, კაკლმა არ გაიხაროს? მშენებლობის მტკერმა, უწყლობამ, ცუდმა მოვლამ გაახშო თავდაპირველად დარგული ნერგები, თქვენ კი ამას ჰევისა და მიწას აბრალებთო! — მაშინ რუსუდანს, ხმა არ ამოუღია, უსიტყვოდ დაეთანხმა, იმიტომ რომ ალექსანდრე მართალი იყო.

ეს ერთი თვე განუწყვეტელ ფიქრშია რუსუდანი. მისი ფიქრი ხშირად ოცნებაში გადადის, ოცნება კი, თუ ის ფუჭი არ არის, ლამაზი და მშვენიერი.

რამდენჯერ შემოუვლია მას ეს ვეებერათელა მშენებლობა. ის ადამიანებს ხედავს ხარაჩოებზე, გიგანტური ძალის მანქანებთან, შიშისქვეშ გაყვანილ ფართო და გრძელ არხებში. ეს ადამიანები მუშაობენ, შრომობენ, ჰქმნიან. ყოველდღე ემჩნევა თუ როგორ ემატება მშენებლობას ახალ-ახალი დანადგარები, საამქროები, შენობები, მთელი ქუჩები. ქარხანაც და ქალაქიც



თანდათან სრულყოფილ სახეს იღებენ. დადგება ის დღეც, როდესაც ეს ქარხანა ქვეყანას მისცემს ქართულ ფოლადს, ქართულ თუჯს... მაგრამ რუსუდანი? რას მიაწვდის რუსუდანი მშობელ ქვეყანას, მაშინ, როდესაც ბრძენდებიდა და მარტენებიდან პირველი თუჯი და ფოლადი ჩაძოისხმება?! არაფერს?! აი, სწორედ ეს აწუხებს რუსუდანს, მასაც სურს ღირსეული შვილი იყოს თავისი ქვეყნისა...

ფიქრობდა, ოცნებობდა რუსუდანი და ოცნებამ ერთ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. თავისი გულის წადილი მხოლოდ მოხუც მებაღეს გაუზიარა. ქალაჩასა და სათნო ადამიანს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ ყვავილებზე უზრუნვია. მას არც ცოლი ჰყოლია, არც შვილი. ის უვლიდა და ზრდიდა მხოლოდ ყვავილებს, საუცხოოს და უსუსურებს...

მოხუცი გაახარა ამ აზრმა. თავისი ახალგაზრდობაც კი გაანსენა, როდესაც ისიც ასევე ოცნებობდა და ცდილობდა რაღაც მშვენიერი და ახალი რამ შეექმნა, მაგრამ ახლა, დამსხვრეულ ოცნებების შემდეგ, დაქვდა, ნაღვლიანად თავი გააქნია და უთხრა:

— ვერ მიღწევ მაგას!...

— მივალწევ, უსათუოდ მივალწევ! — დაჯერებულად და რწმენით სავეგმ უპასუხა რუსუდანმა და სამღერავითაც კი გადაჰხედა მოხუცს.

— მეც ვოცნებობდი! — ოცნებითვე სთქვა მებაღემ, თან სიყვარულით დააცქერდა რუსუდანს, — შენი ასაკისა ვიყავი მაშინ, მაგრამ ის მხოლოდ ოცნებად დამრჩა.

— რაზე ოცნებობდი? — ბავშვური გულუბრყვილობით შეეკითხა რუსუდანი.

— შენ გინახავს ისეთი მცენარე, რომ ცოცხალ არსებასავით სიცოცხლე სწყუროდეს, მაგრამ სამ დღეში ჰკნებოდეს?!

— რომელზე აბობთ?...

— ახლავე ავიწერ. ^{ერკონულნი} ^{გიგლირთქან} მოხუცი ზღაპრისავით მოაყვია:

— იგი ტახად მაღალი არის... მწვანე ფოთლებით შემოსილია. ამ ფოთლებს შორის თეთრად მოჩანს მისი კოკრები და ვეებერთელა ლამაზი ყვავილები. ეს ყვავილები მხოლოდ სამ დღეს ცოცხლობენ და ყოველ დღე იცვლიან ფერს.

— ნეტავი რა მცენარეა?

— მომისმინე, — დარბაისლური სიღინჯით მიმართა მებაღემ, — პირველ დღეს ამ ყვავილის ფურცლები ალისფერია, მეორე დღეს ღიასა და ნათელ ფერს იღებენ, მესამე დღეს მისი ფურცლების ხაპირები ვარდისფერიან ხდებიან. მთელს ყვავილს კი მკრთალი სიყვითლე ეპარება. იგი, როგორც ცოცხალი არსება, გრძნობიერია, განუწყვეტლივ იცვლება: — ღრუბელი რომ გამოჩნდება, ნიავი რომ ჩამოექროლებს, მზე რომ დახედავს, ყოველთვის იცვლის იგი ფერს!...

— მივხვდი, ლოტოსი! — სიხარულით წარმოსთქვა რუსუდანმა, — მე რე, თქვენ რაზე ოცნებობდით?!

— მე მინდოდა ეგვიპტელების და ინდუსების მიერ ეს ღვთაებრივად წოდებული ყვავილი, ზღაპრებში ნაქები და ნაღიდები, ჩემს ყვავილნარში გამეზარდა. გარდა ამისა, მე ისიც მინდოდა, ამ მშვენიერ ყვავილს სამი დღე კი არა, ზეტი ეცოცხლა... მთელი თვე... მთელი ზაფხული და თავისებურად ყოველდღე იცვალა ფერი. ვოცნებობდი მაგრამ ვერაფერი შევქელი! — სინანულის გამომხატველი კილოთი დაამთავრა თავისი ტკბილი მოგონება მოხუცმა მებაღემ.

სიჩუმე ჩაძოვარდა. არც ერთი ხმას არ იღებდა... ბოლოს ისევ მებაღემ დაარღვია ეს მძიმე დუმილი.

— რუსუდანი. შენ გიყვარს ყვავილები?

-- ძალიან მიყვარს, ბაბუა მერაბი..

-- თუ გიყვარს, ისიც უნდა რომ მიყვარული ყოვლის შემძლეა!

რუსუდანს თვალბინი სიხარულის ნაპერწკლები დაეხთო. მოხუცი იმედს აძლევდა.

-- ძე მინდა უფრო ძლიერ შეგაყვარო ყვაილები. შეტადრე შენი პატარა შრომანი, რომლის გარდაქმნასაც აპირებ.

რუსუდანი სმენად გადაიქცა. მებაღე კვლავ ზღაპარსავით მოჰყვა:

-- გამაგონია, ვითომც შრომანი, ყვაილთა დედოფალს ტყის ფერიები-სათვის გაემოავლეთიოს. არა ჰქონიათ ტყის ფერიებს აკვებები თავიანთი პაწია პირძმობისთვის და თურმე ღამით შრომანათა გვირგვინებში ჩაუწვე-ნიათ, სადაც წელი ხიავი არწევდა და უნანაგებდა მათ.

შესულა ტყეში ყვაილთა დედო-ფალი, უნახავს ჩვილი ფერიები, შრო-მანის ფოთლებში ტყბილად მიძინე-ბულნი, მოსწონებია უმწეონი, უსუ-სურნი, შესცოდებია და გაუმრავლე-ბია ეს ყვაილი. ახლაც ნათელ, მოვა-რაან ღამებში, თურმე შეიძლება ნა-ხოს ადამიანმა ტყის შრომანთა გვირ-გვინებში ჩაწვენილი პაწია ფერიები, რომელთაც ტყბილად სძინავთ, წელი ნიავი კი არწევს მათ ყვაილოვან აკე-ნებს, და ტყის ფოთლების ამრიალე-ბით, უმღერის ნანას...

დაამთავრა მოხუცმა თავისი პატარა ზღაპარი. გულში ჩარჩა რუსუდანს ამ ზღაპრის სიმშვენიერე და სიტყვები:

-- სიყვარული ყოვლის შემძლეა!

IV.

სად გაქრა წყალი? ნუთუ დამრა მტკვარი?!

ის არ დამშრალა, ოღონდ კალაპოტი შეუცვლია და წყალმიმღების კები განზე დაუტოვებია...

ადრე მიხვდა ალექსანდრე ასეთი ზარცხის შესააღებლოად და მტკვარს მთავრები გათალა მტკვარზე, რადგან მან მართლაც შეიცვალა თავისი კა-ლაპოტი.

მთელი ზაფხული აგებდნენ ჯები-რებსა და ქვითყირის კედლებს. მარჯ-ვესა ნაპირზე უზანგები ჩაუდგეს, მი-მართულებას უცვლიდნენ და ძუღმივ კალაპოტს უკეთეიდხენ მას. მშენებ-ლები მკერდადღე წყალში იდგენ და მტკვარის კლდოვან ნიადაგში ბოძებს ამაგრეიდხენ, ამ ბოძებს შორის ჰყრიდნენ ქვებს, ასხამდნენ დულაბს, გზას უღობავდნენ მტკვარს და მიჰყავდათ იგი ძველი კალაპოტი-საკენ. ძველს კალაპოტში კი სთხრიდ-ნენ და აფეთქებდნენ ნიადაგს. ადამ-ლებდნენ მდინარის დონეს. აფეთქე-ბული მიწა და ქვები მაღლიდან სეტყ-ვასავით ცვივოდა.

დაბოლოს მტკვარმა პირი იბრუნა. ჯერ მღორედ, გაუბედავად შესტობა მარცხენა ნაპირისაკენ, შემდეგ მხეი-ლით შეიჭრა შიგ, კარგა ხნის უნახავ ნაპირებს ბიეკრო, მიულერსა, წყალ-მიმღების თავში აგებულ ქვითყირის ჯებირს დაეჯახა, გვერდში ჩაუარა მისთვისვე აგებულ კებს და ძველი გზით გაეშურა.

-- ნუ დაჰკარგავს ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა! კარგად არ უთქვამს ხალხს?! — მხიარულად გამო-ელაპარაკა ალექსანდრე ოთარიშვილს, როდესაც მთელი ეს სურათი თვალ-წინ გადაეშალა.

კიდევ ერთმა მიღწევამ ძალ-ღონე შეჰმატა ალექსანდრეს. ის დილიდან შუადღეზედ ამ უბანზე იყო. არა სტო-ვებდა მას, ვიდრე საკუთარი თვალთ არა ნახა საქმის დასასრული. გულს მოეშვა ალექსანდრეს. მან თავიდან აი-შორა ის მარცხი, რომელიც მტკვარის ჯიუტობით ოდესმე მოსალოდნელი იყო.

შინაგანად ლაღად და აღფრთოვანებულად გრძნობდა თავს, მიდიოდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: „კიდევ რა გვიშლის ხელს? რომელი უბანია ჩამორჩენილი? ვის უნდა დავეხმაროთ?“ და თვითონვე უბასუხებდა თავის თავს — „ყველას, თითქმის ყველას!“..

ექვიანი იყო ალექსანდრე. სწამდა მშენებელთა ძალა და უნარი, მაგრამ ყველაფერს საკუთარი თვალთა ამაოვნებდა.

საღლაც ხრახნი ტყდებოდა, რომელიც საამქროს ლითონი შემოაკლდებოდა, სადმე ავტო-ზანქანა დაიგვიანებდა, რომელიმე საამშენებლო შოედანზე ელექტროდენს დროზე ვერ მიაწოდებდნენ, თვით მტკვარიც კი ზურგს შეაქცევდა თავის პირდაპირ გზას, მშვრამ მშენებლობის ერთობლივი რიტმი, საერთო ტემპი ზაინც არ ირღვეოდა.

საამქროთა ნათელ სასურავეებზე მიწებსა სევამდნენ, ჰერქვეშ ლეგადნენ ლითონის კონსტრუქციებს, სდგამდნენ სახიდე ამწეებს, აკეთებდნენ ელექტრომოწყობილობას, კედლებზე გაჰყავდათ ორთქლის, წყლისა და საჰაერო მაგისტრალები, ძირს აგებდნენ იატაკს, სდგამდნენ ელექტრომორტოებს, დაზგებს მანქანებს, მიწის ქვეშ კი ალაგებდნენ ზილებს-ქარხნის სასიცოცხლო ძარღვებს!

დამხმარე საამქროებში ათასობით დაზგები მუშაობდნენ, ისინი უკვე ქარხნის საერთო მშენებლობის მონაწილენი იყვნენ. სქედავდნენ და სჩარხავდნენ მარტენების, ბრამედებებსა და საგლინავი ლუმელების ნაწილებს.

ალექსანდრე ხედავდა მთელ ამ შენებას, მას ესმოდა მისი რიტმი, შრომის მძლავრი სიმფონია. თვალწინ ედგა ყოველი მუშა, ყოველი მშენებელი, რომელიც ფოლადისათვის იბრძოდა, და სიყვარულით შექმნაროდა მათ.

ის კვლავ ფრთებმესხმულივით მიდიოდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს მარტენებიდან ფოლადი უკვე გადმოდებოდა და ქვეყნის ძარღვებში ძლიერების ნაკადად სჩქეფდა...

სალაშის ხანს, როდესაც მზემ ქარხნის უზარმაზარი ჩრდილები მიწაზე გააწვინა და როდესაც მშენებელნი ხარაჩოებიდან დაბლა ჩამოვიდნენ, მუშათა საერთო კრება დაიწყო. ხუციშვილმა ოთარიშვილს დაასწრო და განაცხადა, რომ დაამთავრებენ თბოელექტროცენტრალის მთავარ კორპუსს, ლითონის კონსტრუქციების მონტაჟს და ააგებენ სახიდე ბლოკს. არც ოთარიშვილი ჩამორჩენია მას. წყალშიმღების დაამთავრება აღუთქვა კრებას.

V.

ყვავილნარის კვლებზე ერთი კუთხე შრომანებს ეკავა. ზაფხული იყო. ყვავილებს ფურცლები უკვე გაცვენილი ჰქონდათ, მაგრამ მისი ღეროები, თავიანთი წვრილი, მაგრამ მრავალი ფესვით, მტკიცედ იყვნენ მიწაში ჩამსხდარნი. რუსუდანის გულსისყური ამ კვლებისაკენ იყო მიმართული. განსაკუთრებით უვლიდა, ზრუნავდა. ზანჯერჯერობით დამტვერიანება მოახდინა ორი სხედასხვა ფერის შრომნისა — ცისფერისა და ალისფერისა მას სურდა ეს ორი ფერი მოეცა ამ ყვავილის ფურცლებზე. მთელი ზაფხულის განმავლობაში, თუ ძლიერი სიცხე დადებოდა, საკუთარი ხელით რწყავდა მათ, თუ ხშირი წვიმები შეაწუხებდნენ, სთხრიდა მიწას და პატარა რუებს გზას უკაფავდა. ასევე თავს დასტრიალებდა მოხუცი მეზაღეც.

ერთ დღეს ალექსანდრე ყვავილნარში შოვიდა, თავისი ყვავილები მოიკითხა.

— როგორ არიან, ხარობენ თუ არა?!

მისი სახის მკვეთარ მოხაზულობაზე უცბათ ისეთი ოთხი ნაკეთები გამოჩნდნენ, მის ყველაზე თვალეში ისეთი სითბო ჩაიღვია, რომ შეიძლება გეტყვით ეს სულ სხვა ადამიანიაო, ასე ემართებოდა მუდამ, როდესაც მძებნობლის როფელიზე უბახუე რამე კარგა და სასიხარულოს გაიგებდა.

— ხაიომბენ, კარგად ხაიომბენ. გახეხულზე ეს კვლები სულ შროშანიით იქნება დაფარული. — ძიუგო რუსუდანმა და ძიუთითა იმ ფართობზე, რომელზეც ეს ყვავილები ჰქონდა დარგული.

ალექსანდრემ პასუხი არ ვასცა, ის შესცქერა და კვლებს და ელოდა რუსუდანს ეთქვა რაიმე. მისი ხმა ისე მოესმოდა, როგორც სასიამოვნო სიმთაწერიალი.

— შერე აქედან გადავრგავთ ქალაქის ქუჩების გაზონებში, კულტურისა და დასვენების პარკში. სხვა ყვავილებთან ერთად ესენიც დაამშვენებენ რუსთავს.

— ეს შენი ნაჩუქარი იქნება, არა? — ჩაურთო სიტყვა ალექსანდრემ.

— არა, თქვენი!...

ორივენი გაიუმდნენ.

— მე სულ სხვა საჩუქარს ვამზადებ! — მორცხვად სთქვა რუსუდანმა. ალექსანდრემ ალერსიანად შეხედა რუსუდანს. ცნობისმოყვარობამ შეიპყრო. ის უცქეროდა ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც ყველაფერი, რასაც კი ფიქრობდა და განიცდიდა, სულ სახეზე ჰქონდა გამოხატული. მის ხმა-

ში, გამოხედვამი, მოძრაობამაც კი მხოლოდ გულის უზოგადი ვიწროვანობადა, რადგან მას ისეთი არაფერი არ გახეცადა, რომ გაეციებინა მისი გული, აოც მწუხარება მიჰკარგნია, რომ დაეხადილა იგი, არც თუ ძაბდა და მინც დიდი და ნაიდელია სიხარული გახუცდა ოდესმე, რომ გულგრილი ყოფილიყო.

ისე ალერსიანად შესცქეროდა რუსუდანს ალექსანდრე, რომ თხოვნა არც კი დასჯირებია. რუსუდანმა თვითონ განაგრძო:

— მე მინდა გავაზარო და გავაზარდო ისეთი შროშანი, რომ ცისარტყელის ფერები ლივლივებდნენ მასზე. ხომ ლამაზი იქნება შროშანი, რომლის ფურცლების ზედა ნაწილი წითელი იქნება შერე მოყვება ნარინჯის ფერი, შემდეგ ყვითელი, ეს ფერი გადავა მწვანეში, მწვანე ცისფერში, ზოლოს ამ ფერებს მოყვებიან ლურჯი და იისფერი. ცისარტყელის ყველაფერი უნდა ჩავაქსოვო შროშანში და როდესაც თქვენ პირველ ფოლადს ჩამოასხამთ, მეც ჩვენს სამშობლოს, რომელსაც ბედნიერების ცისარტყელა გადაჰფენია, ეს პატარა საჩუქარი მივეუბნაო!..

— ლამაზი ოცნება შეგძლება, ძალიან ლამაზი! თუ კი ეს სინამდვილედ აქციე, მართლაც სასახლო ქალი გახდები! — კმაყოფილებით უთხრა ალექსანდრემ და მხარზე ხელი დაადო, შერე ქარხნისაკენ გაიხედა და დაუმატა: — მართო ისინი კი არ არიან მშენებლები, შენც მშენებელი ხარ, შენც!..

მელანი—ჩემი სოფალი



უშაზე უფრო ხნერი,
ძლიერი ლაგვარიერი*,
ლურჯი ცის დასალიერი.

მზიანი უღვირ-ზავარი,
ჰადრაციის დაფის მავარი,
გლეხჯაცის ნაამავარი.

სოფელის სათაყვანები,
ნაკურთხე გლეხის თვალებით—
ქერის და ჭვავის ყანები!

მუდამ საბაბი ტრაბახის,
ფორეჯიანი კალმახი,
დამმშვენებელი ვახშამის.

გათეთრებული ნისლივით,
მდინარის პირას წისქვილი
ბორბლები—ჩანჩქერნასვამი!

დაულეველი ფერები,
ცად აპყრობილი ცელები—
მთები და ცისარტყელები!

როგორც ენგურის ტალღები,
მოუსვენარი ბაღები
მათი პატარა ხელებით!

თითქოს მიწიდან აზრდილი,
კოშკები ცამდე აწვდილი
და შემდეგ გაქეაყებული,

ალაგ ხავსმოყიდებული,
სათოფურ ჩალამებული,
ზეცაში გარინდებული!

კირშეფეთქილი საყდარი—
სოფლის ნაპირას გამდგარი,
მერცხლების ბინად გამხდარი!

საყდართან ორი არყის ხე,
რომ ორხვეიან ძახილზე,
ორი სანთელი—დამდნარი!

მოკლე ფიწლების ეშვები
და ზედ დადგმული გეგები
ნექტარით სავსე ფიჭვები.

მოუსვენარი ფუტკრები,
სიხარულგამოუთქმელი
შრომის მოყვარე ბიჭები!

თეთრ თავსაფარზე წინწკლებით,
კალმახზე უფრო მკვირცხლები,
ხელში ნამგლით და ფიწლებით.

სახედამწვარი ზორბლისფრად,
სტუმრები წუთისოფლისა,—
ვისი ეშხითაც ვიწვები!

ვისაც ეტრფოდათ ბეთქილი,
მათი ღიმილი კეთილი
და მზერა გამოკვეთილი.

ვისი ალერსიც გეწყუროდა
და თითქოს კოწახურითა
ვიყაყით კბილმოკვეთილი!

მუდამ შრომაში გართული.
ალაგ ხუმრობა ჩართული
ხორხისმიერი ქართული.

*) ლაგვარიერი — მთა სვანეთში.

და მაინც ტკბილ მოსასმენი,
ოდნავ ხმამაღლა სათქმელი
ჩემთვის ვით იავნანური
დარბაისლური სევანური.

ქალამნიანი ვაყები,
კლდეს მოტეხილი კაყები,
მუხლით და გულით განთქმული.

ქართული „დედა-ენითა“,
სკოლას შავალნი ლხენითა,
ხელიხელ საგოგმანები —

გახარებული ბავშვები.
მათი ბრიალა თვალები
შელის ნუქრის თვალთა მსგავსები!

ბავშვური გულისფანცქალი,
და მთვარის შუქზე ნასწავლი
ყდამოცვეთილი წიგნები.

და შემდეგ ალაღმართალი
დედის ნათქვამი ზღაპარი
ძილი და ტკბილი სიზმრები.

— 0 —

ახალი ოდა სახლები,
გრანიტის ქვიდან ნაგები
თითქმის კოშკებზე მაღალნი,

კალოს ოდენა დარბაზი,
სარკმელთან მზე და აღმასი,
მუშის სიმღერა ახალი.

დარბაზში ხის საკარცული—
ნოსაგონარი წარსული,
თიანგვარ ფიქრით დაწნული.

კედელზე—მზეზე ძლიერი,
ყველასთვის ნაცნობ იერით,
სარდალი სახელგანთქმული,
ჩვენზე ფიქრებით გართული.

— 0 —

ხან მწუხარება. ხან ლხინი,
მაყრულის შემოძახილი,
დელოფლის მორცხვი თვალები.

ბანებზე გადმომდგარები,
ტანად ალევბის დარები —
ცნობისმოყვარე ქალები.

თითქოს ძარღვებით შევრული,
ხელიხელ გადახვეული
ასი ბრინჯაოს სხეული —

გრგვინავდ ნათქვამი ფერხული
და ალაგ გამორეული
გასაოცარი ცერული.

გვიან ჩანგი და ჭუნირი
და ბავშვის ერთი სურვილი:
არ ვიძინებდე, ნეტავი!

მიწყნარებელი სოფელი,
არ ისმის ხმა მეზობელის
ძაღლის ხმა.—გაუბედავი!

— 0 —

მუდამ სამთვარო ალაგი,
მიძინებული ჯალაბი
ჩაუშქრალ კერის გუზგუზი.

დღიური გარჯით მოღლილი
და გულში დარდაყოლილი
ოჯახში დედის ფუსფუსი.

მიძინებული ბავშვები
გამზადებული ჩანთები.
აქაქის ლექსზე ფიქრები.

სიზმარშიც გადაკითხული,
სიზმარშიც გადაფურცლული
უსაყვარლესი წიგნები!

— 0 —

დილა—„ლილეო“ ძლიერი,
ზღაპრული ლაგვზარიერი,
ლურჯი ცის დასალიერი.

მულახი—მთებზე ხნიერი
მარად ჭაბუკურ იერით
მიწაში ფესვებ გამჯდარი.

წლის ნახევარი—დამთბარი,
წლის ნახევარი—ზამთარი,
მაგრამ სულ მუდამ დამტყბარი.

ჟულახი—მთებზე ხნიერი,
მარად ჭაბუკურ იერით—
საღვალდებზე უფრო მაგარი!

მთის ყვავილები



გადაიყარა ომის ღრუბლები
და გაზაფხულმა იელვა ციდან,
მე ვუბრუნდები, მთებს ვუბრუნდები,
მე ისევ მთების სიმშვიდე მინდა.

მოვედი ისევ, მთანო მალალო,
არ შემოველსე მტერი თქვენამდე,
ასეთი მშვიდი დღე და სალამო
ქვეყნად ნეტავი ადგეს ყველა მთებს.

დამხედა და კვალად მზეში ბიბინებს
წითელ-ყვითელი მთის ყვავილები.
წელან ცხენებმა გადაირბინეს,
თუ დარჩათ ცხელი იქ ყაირები.

ვარ მოხიბლული, მგონია ასე
დაბლა ბარიდან მომდევდნენ წუხელ,
როგორ ამომყვენ ამხელა მთაზე,
რა ღონე ჰქონდათ პატარა მუხლებს?

მალა ვარსკვლავებს ღლით ღამისთევა,
და შენატრიან ყვავილთა სეხედს,
ჩამოვლენ, ზოგი არაგვში შევა,
და კალმახები გაიტაცებენ.

მკერდზე ნისლის ღამს შეიშრობს ბევი,
შრება რიყეზე ქეები მოყროლი,
მთა წაიჩოქებს და როგორც დევი
არაგვის წყალს სევამს წელწამოხრილი.

გაულიმებენ მორცხვად განთიადს
ეს ყვავილები ათაფერადა,
იქნება ღამით დალი ჰკერაენა
მთის საქორწილო კაბას ვარდიანს.



ეროვნული
წიგლმცოდნეობის
ინსტიტუტი

და ციდან მთაზე ჩამოსულები
ვარსკვლავნი შვენივ კაბას ღიღებოდ.
დგას ყვავილების ამო სურნელი,
შეეხარი მთების აყვავილებას.

ეიყავ, ეიომე... მტერმა ამიტომ
ეს ყვავილები ვეღარ გათელა...
იღარე ასე, მშვიდო ამინდო,
მთებს დაეშუქე უქრობ ნათელად.

ზოგნი შვინდისფერს ჰგვანან შვინდობას,
ზოგნი ცეცხლშიგან ნაქედ ყაირებს...
მთებსაც მშვიდობა, თქვენაც მშვიდობა!
მთის ყვავილებო, სულ იყვავილეთ!

ჩემი სოფელი



გურიაში მივალ, მარა
სული წინ-წინ გაიპარა
ხალხური.

1.

გურიაში მივემგზავრები... დიდი სისწრაფით მიმაქროლებს მატარებელი და იმ ადგილს მიახლოებს, სადაც მიწას პირველად დაეადგი ფეხი. ვის არ ააღელვებს იმ თბილ კერასთან მიახლოება, სადაც მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულის პირველი ნაპერწკალი აენთა?

თენდება... გარედან ვაგონის სარკმელს ვარდისფერი შუქი ეღება. ეს შუქი ავსებს ჩემს სულს და ვიხედები, თვალს არ ვუჯერი, რომ უკვე მოვედი. აი, გურიის რბილი, თითქოს სათუთი ხელით ნაშენი ლანდშაფტი,—მწვანით დაფარული გორაკები და ხეობები, რომლებიც ახლა სხივების ნიაღვარს ამოუვსია. გული მითრთის, სული წინ მისწრებს და სარკმელს ვეყრდნობი: „ჩემო ქვეყანავ, ო რა დიდი ხარ, რა სასწაული ხარ!“—ჩემთვის დავიძახებ ხმა მაღლა.

„ურეკი“,—ეს ხომ გავუვალი ეკალნარის სადგომი იყო? ჩემს ახლოს მიდი-მოდიან, საუბრობენ, კითხვებზე მკვირცხლად უპასუხებენ და ამითაც ვგრძნობ, რომ გურიაში ვარ!

ო, როგორი ცვლილებები მომხდარა აქ:—არა მხოლოდ მიწაზე, ადამიანებ-

შიაც! მაღლა ერთ, პატარა გორაკზე ავდივარ, ამ გორაკს ციტრუსების ჯარი შემოსევია, დაუპყრია და აქ სამუდამო ბინა გაუჩენია.

აქ მცირე ვაკეა. ვნერდები, ქვევით, ფართოდ გაშლილ შავ ზღვას გადავყურებ. დამშვიდებული ზღვის დაუსრულებელი კრთომა, ირგვლივ შემორაზმული და ნამით დაეკრძლილი ციტრუსების შრიალი ყრუანტელს მგვრის. იქნებ სწორედ იმ ადგილას ედგევარ მე ახლა, სადაც შორეულ წარსულში ჩემი წინაპრები სახლობდნენ,—მათ ცხოვრებაზე აქ ჩატარებული გათხრების მონაპოვარი დაღდე-ბენ, რომლებიც ახლა საქართველოს ისტორიულ მუზეუმში ინახება: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ძვირფასი თევლები და მრავალი სხვა სამკაულები.

ღიას იყვნენ და ცხოვრობდნენ აქ წინათ, უძველეს დროში, შემდეგ გავერანდა აქაურობა, ეკალნარმა დაიპყრო. ახლა კი აი, მიწას ხავერდოვანი მოსასხამი წამოუხტარავს!

მყუდროება, მხოლოდ ციტრუსოვანთა ფოთლების ჩურჩული ისმის! ნეტავი რაზე ჩურჩულებენ? იქნებ იმაზე, ვინც აქ მოიყვანა სიცოცხლე მისცა!

ვიხედები: ჩვენს ახალ სამოსახლოზე ძველი სახლის სახურავს ვხედავ. იქ მოხუცი დედა მეგულება და ფეხს აუჩქარებ. სოფელი შრომის, კოლმეურნეობის ბაღში შევდივარ. გზას მწყრივად ასდევნებიან ტუნგოს ნარგავები, ციტრუსეშის ბაღებს და ჩაის პლანტაციებს ევკალიპტები ეფარებიან, სუსხიანი ქარისაგან იცავენ. მივდივარ. აქ ყოველი ნაბიჯი შორეულ წარსულთან მაკავშირებს. თვალს მიმოავლებ მახლობელ გორაკებს, თითქოს ნაცნობია აქ ყველაფერი, თანაც უცნობი და ეს მაკვირვებს: ადამიანმაროგორ გამოსცვალა ბუნება!

ევკალიპტების შრიალი მიმაცილებს. ამ შრიალში მე მათი სიმღერა მესმის. ისინი უმღერიან ახალ სამშობლოს და გამჟღავნებულ ჰაერში, თითქოს ბანაობენ ირბევიან, ქანაობენ.

2.

დილით „შრომის“ კოლმეურნეობაში შევდივარ.

თავმჯდომარის ოთახში მაგიდასთან მიმჯდარი უცნობი შეენიშნე. მას წითელყდიანი წიგნი გაუშლია, სათვალევით ჩასჩერებია.

თვითონ თავმჯდომარე, მიხაკო ორაგველიძე მომესალმებან და იმ სათვალეობიან კაცს წარმომიდგენს, რომელიც წითელყდიან წიგნს არ ეშვება: — გაიცანით, საკლესის კორესპონდენტი! — შეუბნება მიხაკო.

მაგიდასთან დავსხდებით. თავმჯდომარე ვით ფრონტზე, მაგიდაზე ყუთით დიდგულ ტელეფონს ახლოს მოსწევს. „თითქოს აქ ფრონტია“ — გაეიფქრე და, მართლაც მიხაკოს ჩაცმულობა თუ მოკლე სიტყვა-პასუხი ამასვე ადასტურებს. აი, იმ ტელეფონზე ვილაყამ დარეკა. მიხაკომ მილი აიღო:

— მესმის! ჩაის ფაბრიკა? მანქანა წამოსულია. ჰო, კიდევ ოცი ტონა უნდა მოვკრიფოთ! ერთად მოგაყრიო!

ჰო, კარგი, კარგი! მე საათს დაჩერებ-ბივარ და ჩემს საქმეს ვაქტივობ! კარგი, ნახვამდის! — მილი დანდო. შემდეგ მომიბრუნდა, ღიმილით მითხრა — მართლაც, რომ წუთებს ითვლიან.

კოლმეურნეები შემოდინან, თავმჯდომარეს რაღაც კითხვებს აქლევენ, მიიღებენ თუ არა პასუხს, წამსვე გადიან. ზოგი იმათგანი ძლივსღა მცნობილობს:

— გამარჯობა ძამიავ! — მეუბნებიან, ღიმილით ხელს მართმევენ.

თვითონაც ბევრ მათგანს მე ველარა ვცნობ და სირცხვილით ვწითლდები, გამოცდაზე გაყვანილ ბავშვივით ელულულდებ:

— იასონი ხარ? ვიცი, ვიცი, თქვენ ექვთიმე სიორიძე ბრძანდებით! — ან კიდევ: — თქვენ ყარაამანი ბრძანდებით? დიახ, ხომ ვახსოვთ მოწაფეებმა ქორაის ბუდე რომ დავანჯარიეთ? — მოვიფოწე.

ყარაამანს ეციონება და მეგობრულად მხარზე ხელს მადებს.

— თქვენ აღრე დაგიწყიათ დანჯარევა! ვინ იცის რამდენი ქორის ბუდე დავანჯარიეთ, ძამიავ! — ჩაურთო ვილაყამ.

მივიხედე: უკვე კარგა მოხუცებული კირილე ვიცანი. გული გამეხსნა: — ჩემთვის ძვირფასი მოგონებები მაკავშირებდნენ მე კირილესთან. ზიარ ყანაში ვინ იცის რამდენი ღამე გაგვილეეია, რამდენი დილა გაგვთენებია. კირილეს მოთაფლული სიტყვებით მუდამ ესტუმბოდი და საღამოობით, როცა სასიმილის ქვეშ ვახშმად ვჯდებოდით ლუკმაზე მეტად კირილეს ნაამზობს ვეტანებოდი. ახლა კი, აი, ყარაამანმა დაიწყო ძველი ამბავი, მაგრამ ისევ კირილე ჩაერია და შეაწყვეტინა:

— ყარაამან, არ შეცდე ყარაამან! მანსე კი არა, ნასაკირალს რომ მოადგა ყაძახი, ის იყო ჩვენც მივეგებეთ და წელში ვიტაკეთ. შემდეგ იქ ომი შეიქნა და ვინ იცის რამდენს ჩაუმტერიეთ კბილები.

ყველას გაეცინა. კირილემ კი რა-
ღაც დიდი კმაყოფილებით უღვაშებზე
ხელი გადაისვა და გაიღიმა.

კორესპონდენტიც, რომელსაც ქარ-
თული სიტყვა არ ესმოდა, ხაღხის
ბაასს ყურს უგდებდა, სხვებთან ისიც
იღიმებოდა, ამიტომ ხაღხის ყურად-
ღება მიიპყრო და კირილემ უთხრა:

— Ну что! კიდევ მეტს გაიგებ, ძა-
მიავე! ისევ სიცილი.

— სჩანს კირილე თქვენი ძველი
ნაცნობი ყოფილა, — მითხრა თავმჯდო-
მარემ. შემდეგ კირილესთან მივიდა.
გაუღიმა. — მოგვიხუცდა კირილე, მაგ-
რამ ნეტავი ჩვენც აგრე მოვხუცდე-
ბოდეთ. წელიწადში სამას სამოცდა
ხუთი დღეა. — კირილემ კი წელს ოთხა-
სი შეგვიქმნა. ზოგი ტაბილად იწყებს
ცხოვრებას, მწარედ ათავენს. კირილეს
პირიქით, ბოლოს გაუტკბა.

— ეს იმიტომ ხდება, ჩემო ძამიავ,
რომ ამ ათი წლის წინათ დღეში ორ
კილო სიმინდს და ექვს მანეთს ფულად
მაძლევდით. ახლა კი ხუთ კილო სი-
მინდს და ოცდაათ მანეთს ფულად
ვღებულობ. ამას ლიმონ-ფორთოხლის
მანდარინა-ნარინჯის წვენიც დაუმა-
ტოთ და მაშინ მიხვდებით თუ რატომ
გამიტკბა.

— ჩაი დაგავიწყდა, კირილე, ჩაი! —
დაუძახა ვილაყამ.

კირილემ ცალი თვალით გადახედა
კართან დამჯდარ ახალგაზრდა კაცს,
რომელსაც მკერდზე ოიხი სხედასხვა
ორდენის ნიშანი ჰქონდა.

— ჩაი? ჩაი და აბრეშუმი რა ჩემი
საქმეა! ეს ქალებისათვის დამითმია, ბი-
ძიავ, — ქვეშ-ქვეშ ღმილით უპასუხა
კირილემ. უღვაშები ისევ დაბეჯითე-
ბით გადაიგრიხა და გრძელი წამწამე-
ბით დახურული თვალები აუციმციმდა.

ვუცქერი კირილეს და მისი სახით
მთელი ჩვენი კოლმეურნე გლეხობის
ცხოვრებას ვხედავ, როგორ შეიცვალა
ჩვენი გლეხობა — მისი ცხოვრება, მაგ-
რამ ამ შეცვლის მთავარი მიზეზიც

აქედან უფრო თვალნათლივ მისჩანს.
ეს არის დიდი ოქტომბრის წამებლ-
მაც მოიტანა ხალხთა შიშის უფლები
და ბედნიერება მის შუქს ქვეშ იზრ-
დებიან არა მხოლოდ ახალი ბალები,
არა მხოლოდ ახალი თაობები, არამედ
ისეთი მოხუცებიც, როგორც კირი-
ლეა.

გარეთ გავდივარ. ჯერ დაუმთავრე-
ბელ ახალ შენობას ვათვალიერებთ.

მიხაკო მიხსნის:

— ამ შენობაში გვექნება თეატრი
და ოცდაათი ოთახი თემსაბჭოსა-
თვის, კოლმეურნეობის გამგეობისა-
თვის, ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის
და სასტუმროსათვის, მხოლოდ განა-
თება დაგვირდება. ჩვენი ელსადგუ-
რის ღენს ამ შენობებს კი ვამყოფი-
ნებთ, მაგრამ მთელი სოფელი უნდა
განათდეს. ამისთვის კი საჭიროა გა-
ერთიანდეს ხუთი-ექვსი კოლმეურნე-
ობა, რომ საერთო ძალით მდინარე
ნატსნებზე ჰიდრო-ელსადგური ავა-
გოთ. ჩვენ ვიცით ამაში მთავრობაც
დაგვეხმარება და მიზანს მივაღწევთ, —
ისეთი დაჯერებით მითხრა ეს მიხა-
კომ, რომ წარმოვიდგინე: რაც მან
სთქვა, უკვე გაკეთდა, განხორციელდა,
რადგან გამოცდილებიდან ვიცოდი: რაც
ჩვენში ითქმის, იგი კეთდება, ფანტა-
ზიებიც კი სინამდვილედ იქცევა. აი,
საშუალო სასწავლებლისა და აფთია-
ქის შენობის ახლო ვჩერდებით დაბრი-
ლი მზე განსაკუთრებულის გულ-
მოდგინებით ჩაგვექერის თვალებში
და ამით გამოშვებობების წინ თით-
ქოს გვეუბნება. „მალე მოვალა!“.
იქვე, ფართელ გადაშლილ კოპიტის ხე-
ზე უეცრად ვილაც ჩაახველებს და
შემდეგ ბოხი ხმით წამოიძახებს:
„მოისმინეთ ახალი ცნობები მახარაძის
რაიონიდან: სოფელ შრომის სტახანო-
ველმა ქალიშვილებმა, — ელენა ხელა-
ძემ, ტატიანა ჩხაიძემ, ნინა გოგიძემ,

ქეთო კაქარაყამ, მაშო ჩხაიძემ და შუტუ ჯაყელმა წელს თითომ რვა ათას კილოგრამ ჩაიზე მეტი მოჰკრიფეს. სტახანოველმა ვაეუბმა... განაგრძობდა რადიო, მაგრამ ვიღაცამ დაიძახა:

— შუტუ, შუტუ!

ყველამ ყურადღება მიაქცია სამკითხველოს წინ მეგობარ ქალიშვილებთან შეჩერებულ, თერამეტ-ცხრამეტი წლის გოგონას, რომელიც სისხლივით გაწითლებულიყო, თვალები სიხარულის ირემლით ევსებოდა, თავს დაბლა ხრდა.

ჩაივც იქ მივიღივართ.

მზაყო იმ გოგონაზე მიმითითებს და მეუბნება:

— გაიცანით, ერთი მათგანი, შუტუ ჯაყელი!

დარცხვენილი გოგონა იღიმება და პასუხად ამბობს:

— მე ვიცივობ, ვიცივობ!

რადიო განაგრძობდა: „ამ სტახანოველებმა ბელადისადმი მიცემული სიტყვა პირნათლად შეასრულეს და გაიმარჯვეს“:

მე უკვე აღარავის აღარ ვუსმენდი. ფიქრმა წამილო: ვუცქერდი ჩემს წინ თავდაბრილად შეჩერებულ გოგონას, რომელიც თავის, ჯერ მთლად ნორჩი თითებით დაფნის მწვანე ფოთოლს წიწკნიდა, მის მცირე ნამცეცებს იქ მოღზე ჰყრიდა. ვუცქერდი და ეს მიაოცებდა: როგორ ახერხებდა ბელადი, ეს ერთი ადამიანი, ერთსა და იმავე დროს მილიონობით ასეთ უბრალო ცხოვრებაში ჯერ ახლად გამოსულ ადამიანებთან გასაუბრებას. ყოველ-მათგანთან ცალკეულად შრომითი შეთანხმების დადებას: და მე ახლა ასე მგონია, რომ ეს გულმართალი გოგონა, აი, ამ წუთშიაც ბელადის შექმფენარე სახეს უცქერის, მხოლოდ მას ხედავს, რადგან მისდამი მიცემული სიტყვა პირნათლად შეასრულა და მით თეი-თონაც, საბჭოთა კავშირის დიდ ქვეყა-

ნაში სახელი გაითქვა. მერე სიდან, რადის მომხდარა ასეთი მსგავსების არის ეს, — რომელი ვენერა მალონე-ლია, რომ მისი სახელი ქვეყანას ესმო-დეს? და მე ქვეშაირტად მაზარებს ჩვენი ქვეყნის ეს საოცარი ლოლიკა. აი, როგორ მალღღებთან თუნდაც უბრალო ადამიანები, იქ სადაც შრომა ბატონობს! სახელი და დიდება, — ყოველგვარი სიკეთის, სილამაზისა და ბედნიერების პირველი წყარო შრომიდან მოდის! შრომა კი ყველას ეხება, მაშასადამე ყველას აქვს უფლება მიიღოს ის, რაც ყოველის შემძლე შრომიდან მოდის!

ისევე გირილეს ოხუნაობამ გამო-მაფხიზლა. მან იმ ხეს აპხიდა, საიდანაც რადიოგადმომცემას უსმენდნენ და სქელ უღვეაშებში ჩაძირული, — ძლივს შესამჩნევი ღიმილით სთქვა:

— ამ ხეზე მგონი თორიორაზ კე-ქაყმაძე ასულა და წინასწარმეტყვე-ლივით გადმოგვცახის ზემოდან!

ყველას გაეცინა. მე კი ის გიგანტი, მუდამ ბოხი ხმით მოლაპარაკე თეიმურაზი დამიდგა თვალწინ. ბავშვი ვიყავი, როცა თეიმურაზის გუგუნისებურ სიტყვებს ვუსმენდი, მისი უბრალო დახველებაც კი, მთელს სოფელს ის-მოდა და ეს მოძრავი მთა იყო პირდა-პირი, მართალი, გაუტეხელი. ის უკვე სამუდამოდ წასულიყო აქედან, მაგრამ მისი სული თითქოს ახლაც მუზობლებს შორის ტრიალებდა, მას, როგორც მართალ კაცს მოიგონებდნენ.

ღამე ეშვება. შინისაკენ ჩემს უფროს ძმასთან ელისოსთან ერთად მივდივარ. დამშვიდებულია ქვეყანა. არსაიდან ჩქამი არ ისმის. ეხლა ნიავეც აღარ მოძრაობს, ჩაუთვლემია და გამტკბარ ჰაერს ხარბად ვისუნთქავ. მხოლოდ ეგრძნობ ნაში მასივლებს: „მშობლიუ-რო ცაო, ისევე იმ წვეთებს ნულარ მო-მაკლებ, რომლისაც აქ თავზე მათრ-ქვევდი წინად. დამაფრქვევი არა მხო-ლოდ თავზე, არამედ გულშიც, რადგან

მე ვიცი გული უშენობას ველარ გაუძლებს!“—გავიფიქრე და ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, რომ აღარ ვიცი მივდივარ თუ მივეტრაფ.

აი, შინ მივედი. ჩენი ოდა—სახლის აივანზე ვართ. მოხუცი დედა გვერდში მიზის და აღერსიანად მხარზე ხელს მისვამს. შვილის დაბრუნებით ბედნიერია. მეც ტკბილი ქრუანტელი მივლის. მთვარე, იმ ძველი დარბაისლობით აცურდება ბახმაროს მთაზე და ამ ზღაპრულ ქვეყანას სიუხვით შუქს გადმოაფრქვევს.

— კოლექტიულისა გამოსცვალა, შვილო, სოფელი. ისეთი ხეები დაგვირგვს ენოში, რომ ქვეყანაზე კაცს არ უნახავს,—მეუბნება დედაჩემი და ენოში ამრიალებულ ეკალიბტებს მისჩერებია...

გვიან ვივანშმეთ, მაგრამ სული სახლში არ ეტევა. გარეთ გავდივარ. ახლა მარტო მინდა ამ სოფლის მივიწყებულ ბუნებას პირისპირ შევხედო, ვნახო რას მტყვეს. ვიწრო ბილიკით გვევით, პატარა მდინარის პირად გავდივარ. მიმოვდივარ. ჩაძინებულ მიწას ფეხს ფრთხილად ვადგამ. იმ პატარა მდინარის განუწყვეტელ საუბარს ვუსმენ. არ იქნა, ვერ მიმახვდინა რა უნდა მითხრას? ის მიაპიტა ბავშვის ტიტინს მაგონებს, რომელმაც ყველაფერი ერთად უნდა მიამბოს, რაც მას უნახავს, ან გაუგონია,—თუნდაც მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი აღარ გვინახავს მაგრამ ვრძელ ამბავს ველარ ათავებს. ბეჭობზე ვეშვები. ციტრუსების ტყით დაფარულ კორდებს გავყურებ. აქ მუღმივი სიმწვანით დაფარულ მიწას ზამთარიც კი ფერს ვერ შეუცვლის,—თავის სუსხიან ხელს ვერ მიაწვდენს. აი, ვილაც ყმაწვილის უღარდელი კრიმანჭული შემომესმა სოფლიდან. წარმოვიდგინე, რომ ის მე ვარ თვითონ. პატარაობისას მეც ასეთ კრიმანჭულს ვამბობდი აქ და წარმოვიდგინე რომ ამ ხალხ-

ში მუდამ ვიცოცხლებ, ვერაფერი გრიგალი იმ ფესვებს ვერაფერობს, რაც მე ამ ხალხთან მამყნობისას ვაძლავდრო, მეც თან გავყვები, მაგრამ აქ ისეე მოვა ჩემი ბავშვობა, დავაეკაცება, ხანდაზმულობა და ასე მუდამ...

3.

დილის მზე ელამუნება ძველებურ სარკმელს ახლა მეც იმ წითელ ყდიან წიგნს ჩაეჩერებოვარ, რომელიც წინა დღით მიხაკომ გადმომცა. ეს წიგნი ქართულ და უკრაინულ კოლმეურნეთა დაძმობილების ამბავს მოგვითხრობს. გატაცებით ვაღვწევთ თვალს მათი დაძმობილების მთელ ეპოპეიას და ვერ ვეშვები. ამ დაძმობილების ისტორიიდან მხოლოდ რამდენიმე სურათი მინდა გადმოვიყ.

1938 წლის გაზ ცხელია. შრომის კოლმეურნეები იკრიბებიან. წერილს ადგებენ, ვის იცის რამდენ ახალ აზრს გაათავებენ ისინი ამ კოლექტიურ წერილში, რომელსაც სათაურად დაარქვეს: „წერილი ჩვენს ცხოვრებაზე“. ამას მოჰყვა უკრაინულ კოლმეურნეთა პასუხი და ამიერიდან მათ შორის ურღვევი მეგობრობის კავშირი იღება.

უკრაინელები უპასუხებენ:

„ჩვენ აგვადლევა თქვენმა სიტყვებმა, მშური მზიანი საქართველოს კოლმეურნეთა გამარჯვების შესახებ. მთებსა და ველებში ბედნიერად ცხოვრობს ქართველი ხალხი. მოვისმინეთ თუ ციტრუსების ახალმა ბაღებმა როგორ ააყვავა ცხოვრება“. და შემდეგ თავის ცხოვრებაზედაც მოუყვებოდნენ: „გადიხართ ჩენი სოფლიდან და საითაც არ გაიხვდავთ ველებია, ისეთი ველები, რომ გინდა ილტრო! ყველგან შალალი და ძლიერი პური, ბაღები, ვენახები, ბამბის პლანტაციები, საძოვრები. უცქერით ყანებს, უსმენთ ბაღების სავაზაფხულო

შრიალს. ეს ყოველივე ჩვენია, ჩვენი ხალხის სიმდიდრეა. ყველაფერი ჩვენია იმიტომ, რომ მშრომელი ხალხი არის ერთადერთი ბატონპატრონი თავისი ბედისა, თავისი ბედნიერებისა“...

უკრაინელებს ამ ძმური სიყვარულის გრძნობით აღსავსე წერილზე შრომიდან წერილითვე უპასუხებენ. 80 წელს გადაცილებული მოხუცი ეგნატე ჯაში შეკრებილ ხალხში მგზნებარე სიტყვით გამოდის: „ყურადღებით მოვისმინე ამხანაგების პასუხი აყვავებულ უკრაინიდან. მდიდარია სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. საუცხოოთ ცხოვრობენ კოლმეურნეები, შევეჯიბროთ უკრაინელ მეგობრებს“.

დუკემბერია. შრომაში სტუმრად ჩამოდიან უკრაინიდან. იმართება სახალხო ზეიმი. ერთმანეთს ნახულობენ ადამიანები, ე. რმელთაც შორიდან, ჯერ უცნობლად შეიყვარეს ერთიმეორე. ისინი ბელადის სამშობლო ქალაქ გორში მოდიან, აქ ფიცსა სდებენ და ბელადს სწერენ:

„ჩვენ ხელს შვარად ვართმევთ ერთმანეთს, თბილათ ვსაუბრობთ, ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას. მშობლიურზე მშობლიური ადამიანები ერთმანეთთან მივიღვივართ“.

1940 წლის შემოდგომაა. შრომის კოლმეურნეობაში ყველას სიხარული უნათებს სახეს. უკრაინაში სტუმრად გამგზავრებაზე ბაასობენ, დელეგატებს ირჩევენ და აი, უკრაინაში მიემგზავრება საქართველოს მშრომელთა დელეგაცია.

მათ ზეიმით იღებენ უკრაინის დელა-ქალაქ კიევში. მშრომელები აქედან მიემგზავრებიან გენიჩესკის რაიონის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და აქაც მათ სიყვარულით იღებენ. შრომელები აქ შეხვედრით გახარებულნი, უკრაინელებთან დამოზიდლების სიმღერას იწყებენ... და ეს მათი საერთო სიმღერა ძლიერ-

დება, მათ ხმას უერთებენ ქართველი და უკრაინელი პოეტები. მშრომელი უკრაინელები უკრაინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფებიან. უკრაინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფებიან. უკრაინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფებიან. უკრაინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში იმყოფებიან.

„გასულ წელს უძველეს ქალაქ კიევში ჩვენ უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს... ეს ჩვენი შეხვედრა იყო განსაკუთრებულად ამბულელებელი და სსსიხარული. ჩვენ მაშინ შევეფიცეთ ერთმანეთს, რომ წმინდათ შევიწინახავთ ოქტომბრის მონაპოვარს. და აი, დადგა-დრო შევასრულოთ ეს ჩვენი ფიცი“.

უკრაინელი მებრძოლიც ფიცს იმეორებს:

„კოლმეურნეობის ღირსებას მაღლა ვატარებ, მზადა ვარ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვა საქართველოს საზღვრები, ისე როგორც ქართველმა ადამიანმა, მზადა ვარ დავიცვა უკრაინის საზღვრები, დავიცვა დიდი სამშობლოს საზღვრები“.

და უფრო ჩაღდება ომის ცეცხლში მათი შორეული გასაუბრება.

შრომიდან დაქრილ უკრაინელ მებრძოლს—გოგოლენკოს სწერენ: „ჩამოდიან ჩვენთან, მივიღებთ სიყვარულით, როგორც დიდი შეილს“.

ორი წლის შემდეგ შრომელები ისევ დახმარებას აწვდიან უკრაინელ მეგობრებს და ისინი სწერენ: „ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს... სამშობლოსათვის ბრძოლის ცეცხლში ერთმანეთში შეკრია უკრაინელის და ქართველის სისხლი“.

და ისევ დაქრილი უკრაინელი მებრძოლის პასუხი:

„ჩვენ ფრონტზე ვიყავით, ახლა კი პოსპიტალში ვართ, ჩვენ არსად სხვაგან მისაწერი არა გვაქვს. ცოლსა და

შვილებზე ცნობა არა გვაქვს და თქვენ გწერთ ჩვენს ძმებს, რომლებიც მეგობრობდით ჩვენთან, იბრაძოდით ჩვენთან, ჩვენ ახლაც ვგრძნობთ ჩვენს ხელშეკრულებას, ჩვენ არ დაეზოგავთ სიცოცხლეს, ვიბრაძოლებთ ჩვენთვის და თქვენთვის“.

„ძვირფასო ამხანაგებო, ქართველებო, — ისევ დაქრილი, ახლა სხვა მებრძოლი ეგნატე აბრამენკო იწერება უკრაინიდან: „გადაეწყვიტეთ, როგორც ღვიძლ ძმებს მოგწეროთ წერილი... ჩვენი მეგობრობა იყო, არის და მუდამ მტკიცე იქნება!“

შრომიდან უბასუხებენ:

„გვახსოვხართ, გვიყვარხართ. ძვირფასო ეგნატე“...

აი უკრაინელმა მეგობრებმა ცოლ-შვილის ძებნა დაიწყეს. ეძებდნენ და მათ ხშირად შრომაში პოულობდნენ. აქვე ჩამოდის უკრაინელი მებრძოლი ვასილი ლაერენტიევი, რომელმაც სამამულო ომში ხელი დაკარგა და შრომიდანვე თავისიანებს წერილს უგზავნის: „გადეციოთ ბავშვებს, რომ ისინი აქ, შრომაში, ნახვენ დედებს“.

მტერი დამარცხდა. სამშობლომ კრილობების მოშუშება დაიწყო. შრომიდან ისევ უხვ დახმარებას აწვდიან საბუღარდანგრეულ უკრაინელ ძმებს, რომელთა რჩეულნი ისევ ჩამოდიან შრომაში. ომის ცეცხლში გამოვლილი ძმები ახალი მგზნებარებით ხედებიან ერთმანეთს...

4.

მეხუთე დღეა. სულ მარტო, მაღლა აედვიარ. ჩემს ძველ ნასახლარზე ერთი ვეებერთელა, ბებერი ხურმის ძირას დაეჯდები. ზღვას გადაეყურებ. წარსულს ვიგონებ. აქ დავიბადე. სადღაც აქ, აი, იმ ადგილას ჩვენ სახლი

გედგა. აი, იქ, ბელელი იყო, აქ კი მარანი და სასიმიინდე! ეზოში აშოტილი ალვის ხეები სადღაც... მამის ბოხი ხმა აქ აღარ ისმის. სამაგეროდ მისი სახელი სამუდამოდ შეუნახავს კოლექტივს და ამ ადგილისათვის „ბარნაბას ნასახლები“ შეურქმევია, აქტში ამ სახელწოდებით ჩაუწერია.

ჩემს თვალწინ ცოცხლებიან ბავშვობის დღეები:

სალამოა. აი, ამ ხურმის ძირას ეჯდები პატარა, გავსცქერი ზღვას, შორს ზღვის სიღრმეში, შუქი ილეეებს, ზოგჯერ ეს შუქი გაიზრდება, ჩირაღდანივით ინთება და თითქოს დადის... მარჯვნივ განირაღდნებულ ფოთს გადაეყურებ, მარცხნივ კი ბათუმს, თავზე ნამი მეცემა ხელს ჩამოვივამ და სახეს ვიგრილებ. გავწვები მოლზე, ახლა ცაზე ანთებულ ვარსკვლავებს მივჩერებივარ, თითქოს მიახლოვდებიან ის ვარსკვლავები, განათებულ თოვლის ფიფქებივით თავს მეფრქვევიან. ალვის ხეების იდუმალი შრიალი თვალს დამიხუქავს — ჩამეძინება...

...წასულა, ამ ხურმის გარდა ყველაფერი წასულა აქედან. თვით მიწაც შეცვლილა, მხოლოდ ზღვა და ბახმაროს მთა დარჩენილან უცვლელნი! აქაც ციტრუსების დიდი დუმილია დამყარებული. ისეთი რამ აქაურ მიწას არ ახსოვს და იქნებ უყვირს, როგორ შეუცვალეს მას ტანსაცმელი. იქნებ იმიტომ შეუცვალეს, რომ ზამთარშიაც თბილად იყოს ჩაცმული?

იქ, ცოტათი ზემოთ, ძველი მემამულის მიწა ნაკაშიძის სახლკარი იყო. ჩვენც ზღვის პირად მის მამულში ეთესავდით ყანებს და მოსავლის მესამედი თავადს მიჰქონდა. ჯაგრობდა, აგინებდა მამაჩემი ნაკაშიძეებს, მაგრამ ბოლოს გადასაწადს მიანც იხდიდა. და აი, ამ ყანებში ორშაბათობით, დილაადრიან თვალდახუქულნი

ძმები დღეღღღე მივდევდით მამა-ჩემს, ვეცმოდით, ძილისაგან შეხუთულები თვალს ვეღარ ვახვლდით, როცა ზღვის პირად ყანაში შევდიოდით, მხოლოდ მაშინ მზის პირველი სხივი გაგვადვილებდა,—თოხნას! ვიწყებდით. წავიდა ის დრო, სადღაა თავადი და მეშაშულე, ხაშში, მალარია, პოლიცია, პრისტავები თუ სტრაენიკები? წავიდნენ! სამუდამოდ წავიდნენ და აქ ახალი ადამიანების მართალი ხელით დარგული ციტრუსების დუმილი დამყარებულა! ამ დუმილში იმ ადამიანების სიამაყეს ვგრძნობ, რომელთაც ამ ციტრუსების სიცოცხლე აქ გააგრძელეს, საკუთარ სიცოცხლეს დაუკავეს.

სალამოა მე ახლაც მინდა იგივე სურათი ერთხელ კიდევ ვნახო, როგორც აქ ბავშვობისას მინახავს. ისევ იმ ხურმის ძირას ჩამოვჯდები ცოტახნით და ყურს ვუგდებ რას მეტყვიან ისინი, ვინც იყვნენ,—ალარ არიან: „შენ ამ დროს ელოდი, შეილო?—თითქოს მეუბნება მამაჩემი, — მერე რატომ ჩვენც არ გავაფრთხილე? ვნახავდით, შემდეგ მშვიდად წავიდოდით აქედან“.

მზე დინჯად დაეშვა ზღვაზე და ის ძველი, ჩემთვის ნაცნობი ციკლი დაიწყო, რომელიც აქედან გულით თან

წავილე, მაგრამ ეს მაინც სხვაა, ეს განმეორებული სინამდვილეა. ვინაიდან უფრო ძაღლეებს! ისევე და ისევე მევსება გული ამ ჩაუქრობელ ციკლით, რომ მისი ძალა ჩემში გაძლიერდეს, არასოდეს აღარ ჩამიქრეს! გავეცალე. მშვიდობით! იქნებ დიდხანს ვერ გიხილო ჩემო ტკბილო აკვანო, ნასახლეო! ამიერიდან იმ ადამიანებს გაბარებ, რომელთაც ახლებურად შენ აგაყვავეს.

ამ გრძნობამ ძალა შემძინა, მივდივარ, უცბად ზარბაზნების გაბმული გრილი შემომგესმა. სადა ვარ, ნუთუ ფრონტია აქ?—გავიფიქრე, ფეხს ავუჩქარე. შემდეგ გამოირკვა: ისევ ციტრუსების იერიში გრძელდება, კოლმეურნეები ნაღმებით ძველ ხეებს აფეთქებენ, იქაც ციტრუსები ისადგურებენ. აი, ჩემ თვალწინ დაეცა ბებერი მუხა! მას ხელი დარჩა აწედილი, თითქოს ცას შესთხოვს წამომაყენეო, მაგრამ ამაოდ; მისგან ამდგარი მტვერიც გაიფანტა ჰაერში... ვერავითარი ძალა ვერ აჩერებს ამ განახლებას... ციტრუსების მუდმივად მწვანე ტალღები ამ სოფლის ყოველ კუნძულში ხმაურით იღვრება! დიახ, აქ ფრონტია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას სიკვდილის მაგიერ სიცოცხლე მოაქვს,—ჩვენი ხალხის დიდი სიცოცხლე!

გონივრული კვლევა

გ. ქაჩიანილის ხსოვნას



ასე გვაწვალებს განშორება და ბედისწერა,
ცრემლი მერევა, მეგობარო, ატყვიდა გული.
ვერ დაემაკვიდრე გონებაში, მაინც არ მჯერა
მარად მქუხარე ქუჩისშვილი დადუმებული.

ნუთუ რუსთველზე ვერ ვიხილავთ, აღარ იალებს
ანჭარებელი ნაბიჯებით ხმელი სხეული.
ნუთუ ჩადგა და აწი ველარ შეგვეყრიალებს,
ძმავ, შენი ხმა, ზავ მღელვარე გულით რხეული.

შესდგა, შეჩერდა ნალხის მგოსნის თვალთა ციმციმი,
დასრულდა მწვავედ სარეცელზე წვა და წვალება.
კაცუნინი ფიქრით გებურავს და ყველას გვიმჩიმს
სულით სპეტაკი ქუჩისშვილის გარდაცვალება.

სირიაჩქონთა



გემთშემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროში ექსკავატორების ნაწილებს ამზადებდნენ. ისმოდა ქურების ბუბუნე, გრდემლების ზრიალი, თოქმაჩთა მძიმე სუნთქვა.

ქურებში იკლავებოდნენ მოწყვანო ალის გრძელი ენები.

საექსკავატორო სადგურის დირექტორი შუა ტანის ნიკოლოზ მარკევიჩი და მთავარი ინჟინერი, მაღალი, შავთვალწარბა ანდრო გაბუნია სამჭედლო საამქროს ოსტატთან მივიდნენ.

— სამანქანო ნაწილებს როდის ჩავვაბარებთ? — შეეკითხა გაბუნია.

— ედაზე ადრე, — მიუგო ხშირულვაშიანმა, მელოტმა ოსტატმა, ქურიდან მარწუხით გამოიტანა გავარეარებული რკინა და გრდემლზე დასდო.

იქვე მდგომმა საკინძმეხსნილმა, გაოფლიანებულმა ახალგაზრდა თოქმაჩმა ურო დაჰკრა რკინას და გააბრტყელა.

აღმოდებულ რკინას ნაპერწკლები სცივოდა.

— ქარხანას კარგად უმუშაენია, — გზაზე სთქვა გაბუნია.

— სირიაჩქონამდე რით წავილათ სამანქანო ნაწილები? რკინიგზით დავვიანდება, თანაც ძვირი დჯდება. ეს მაწუხებს. ნაწილები დროზე რომ მივაწოდოთ ექსკავატორებს ნოემბრის

დღესასაწულისათვის გეგმას შევასრულებთ, — მარკევიჩმა ქუდი მოიხადა, ჰალარა კეფა მოიფხანა.

— ნაეში ჩაეაწყოთ ნაწილები, ნავი კატარლას მივაბათ და წავილათ.

— ჩინებული აზრია! — გაუხარდა მარკევიჩს.

— რიონი აღიდებულა. კატარლას ამგერად გამოცდილი მეზღვაური გავაყოლოთ. „შკიპერი“ მარჯვე ბიჭია, მაგრამ ახალგაზრდაა, გამოცდილება აკლია.

ფოთში, რიონის პირას, კატარლასთან იღვა ანდრო გაბუნია.

მუშები ქარხანაში დამზადებულ სამანქანო ნაწილებს კატარლაზე მიბმულ ნაეში აწყობდნენ.

ნავი დაიტვირთა. გაბუნია მკველ მეზღვაურს, ახოვან ერასტო ჯოლოხავას მიმართა:

— შენ და შკიპერმა ნავი დაუზიანებლად უნდა მიიყვანოთ სირიაჩქონში. როცებს უფრთხილდით, დამე ნუ ივლით. წელს კოლმეურნეობებს უნდა გადავეთ რამდენიმე ათასი ჰექტარი ახალი მიწისა. აი, ეს ნაწილები სამდღეში თუ არ მივიტანეთ სირიაჩქონში, გეგმას ვერ შევასრულებთ. ექსკავატორები გაჩერებულა. აბა, თქვენ იცით, შედეგს დაუყოვნებლივ მაცნობებთ.

1) კატარლას, გინდ გემის მეთაური



— ბრძანება შესრულებული იქნება, უფროსო, — თეთრწყვერიანი ჯოლოსხავეა კატარლისაყენ გაემართა.



წყალპარბ რიონს ძირფესვიანად მოგლეჯილი ბუჩქები, თხმელის ხეები, მორები და ფოთლები მიჰქონდა.

ცა იღრუბლებოდა.

ტყიან ნაპირებს შორის მდინარეს ებრძოდა კატარლა, წყალში ღრმად ჩამგდარ ნავს მიეზიდებოდა.

ტყეს ფოთოლი სცვივოდა.

მოტორის ხმაური აფრთხობდა ნაპირებზე ამაყად მსხდომ ყანჩებს. კატარლა რომ მიუახლოვდებოდა, ფრთებს უღაზათოდ მოიქნევდნენ და აფრინდებოდნენ.

შავმკერდიანი თოლია კატარლას ფარფატით მისდევდა, ხანდახან ნავის ქიმზე ჩამოსკუბდებოდა.

ტყეში ორჯერ გავარდა თოფი. შეშინებული შველი მდინარის ნაპირს მიაწყდა, კატარლა დაინახა, დაიბნა. ლამაზ თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, არ იცოდა საით წასულიყო.

მაღალ ბარდს გადაახტა შველი და ისევ ტყეს შეაფარა თავი.

მსუქან, სუფთად ჩაცმულ, უღვაშაკორილ შკიპერს ვანო. ბოკუჩაყას შტურვალზე ხელი დაედო, ღიღინებდა.

ჯოლოსხავე ლუქზე იჯდა.

„ღამე საშიშია ნავის წაყვანა, გაბუნია მართალია. კატარლას მორი ვერაფერს დააკლებს, ქიმს თუ შეუღუნავს, ნავს კი ნაფოტებად აქცევს“. — ფიქრობდა შკიპერი. ხანგამოშვებით ნავისკენ გაიხედავდა, დაჭიმულ, საბუქსირო ბაგირზე თვალს შეაჩერებდა.

საღამოს კატარლა ნაპირს მიადგა. კატარლან და ნავი ხეებზე ბაგირებით მიიბეს.

ღრუბლიან, წყნარ ღამეს ყოველ წამს ბზარავდა ელვა.

აღიღებელი რიონი შუოდა.

კატარლის მახლობლად პატარა, გარეული იხვი დაცურავდა. ელვის შექმნე ქიმთან მდგომი ჯოლოსხავეს სილუეტი რომ გამოიხატებოდა, იხვი ყვირთავდა.

ირგვლივ ტურები მოთქვამდნენ.

კატარლაზე მხოლოდ ჯოლოსხავეს არ ეძინა, თვალი ნავისკენ ეჭირა. სულგანაბული უსმენდა წინტალების ელურტულს. ხან შორს, ხანაც სულ ახლოს საამურად აელურტულდებოდნენ ეს პატარა, მოუსვენარი ფრინველები და მიჩუმდებოდნენ. უნაზესი სევდითა და სიხარულით იგონებდა თავის ბავშვობას, კუნძულზე ორ შექურას, ზღვის პირას ფიცრულ სახლსა და მაღალ მესერს, რომელზედაც მუდამ ბადეები იყო გაფენილი. შელაშქებისას მამა შექურებში მწვანეშუშთან ლაშქებს ანთებდა, გემებს გზას უნათებდა, დღისით კი თევზს იჭერდა. მამა თევზაობის დროს ზღვაში დაიღრჩო. მერე დედა ანთებდა ლაშქებს...

ნაპირზე გადავიდა ერასტო, ნავის დაჭიმული ბაგირები მოსინჯა. მერე გემბანზე დაგებულ ბრეზენტზე წამოწვა, თავზე მახარა წაიხურა, კოლოებისგან თავი დაიცვა. ნაშულამეგს ძილს მიეცა.

ელვის გრეხილი, სწორი ხაზები სერავდნენ ჰორიზონტს. თითქოს სამყაროს უხილავი არქიმედი იღუმალ ნახაზებს ადგენდა.

მდინარე მატულობდა.



გაბუნია მოუთმენლად ელოდებოდა ჯოლოსხავესა და ბოკუჩაყას. კაბინეტის კარი რომ გაიჭრიალებდა, უმალ თავს ასწევდა, კარისკენ გაიხედავდა.

ფანჯარასთან აზიდულ ევკალიპტს დააცქერდა, ჩაფიქრდა: „სადაც ახლა თხმელა და ქაობია, ევკალიპტის მუდამ მწვანე ტყეები ამრიალდებიან“. სახეზე სიხარული გამოეხატა. მერე გულის სიღრმეში თითქოს ტკივილიც იგრძნო. ამ ქაობიან ტყეებში გაუტარებია მას ბავშვობა და ყრობა, თხმელის ჩეროში რამდენჯერ მისძინებია...



მესამე დღეს გაბუნია მქუჩაზე თვალი მოჰკრა წვერმოშვებულ, გამტყვარიანებულ ბოკუჩაევას. შეიპერმა ფეხს აუჩქარა, სადღაც მიიშალა.

„რატომ მემალემა?“ — გაიფიქრა გაბუნია.

სამმართელოში შევიდა, შოფერს უბრძანა — ვილისი გარაჟიდან გამოიყვანო.

უკან ხელებშემოწყობილი, თავჩადუნული, წარბებშეკრული ბოლთასა სცემდა, ფიქრობდა: „დავალემა თუ შესრულდებულა, რატომ არ მოგვახსენეს?“.

ყურმილი აიღო, დირექტორს დაეღაპარა:

— ვერ ვისვენებ, სირიაჩქონისავენ უნდა გავემგზავრო.

— გაიგე, რაშია საქმე. ბოკუჩაევას ჩამოუსკვლელობა მადლეებს.

ქული დაიხურა გაბუნია, კიბე ჩაიბინა, წელში მოიხარა, დიდი ტანი ვილისში ძლივს შეიტანა.

— სირიაჩქონისავენ...



სირიაჩქონასა და ფოთს შუა, სოფელთან მდგარი კატარღა და ნაპირზე გადმოპირქვევებული ნაფი დანახა გაბუნია; სისხლი სახეში მოაწვა, წამოიწია, შოფერს მხარზე ხელი მიგრა დაჰკრა. შეშინებულმა შოფერმა იმ წამსვე გააჩერა ვილისი. გაბუნია ვადმოსტა და

ჩქარი ნაბიჯით კატარღისაკენ გასწია.

— ბოკუჩაევა... — დამწუხრან მუღი

კუბრიკიდან გაუბეჭეტელ მსხვერპლს ყო ცალთვალა, მელოტმა, ხანში შესულმა მოტორისტმა. მოტორისტს ცალი წარბი ქერა ჰქონდა, ცალი კი შავი. ქერა წარბის ქვემოთ ხამხამებდა პატარა, გიშრისფერი თვალი. იცოდა გაბუნია ფიცხი იყო, მაგრამ აგრე გააფთრებული ჯერ არ ენახა.

— ბოკუჩაევა ფოთშია. უფროსო, წყალმყვინთავს მოვიყვანო.

— რა მოხდა?

— წყალმა დამით ნაფი გადააბრუნა, ნაწილები მდინარეში ჩაეცივდა.

— ნავს როგორ ვერ მოუარეთ? — გაბუნია ცახცახებდა, გრძელ ხელებს მრისხანედ იჭნევდა. — ყოველ წუთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეგმის შესრულებისათვის, თქვენ კი პირი დავგილიათ და წყალმყვინთავს ელოდებით.

მოტორისტმა თავი დახარა.

— მომეცი რამე, მძიმე რკინა, — ხმას დაუწია გაბუნია.

მოტორისტმა დაეხანგული, გატეხილი ღუზა კუბრიკიდან ამოიღო, გემბანზე დასდო და შორიახლო მოკრძალებით დადგა.

გაბუნია სქელი ბაგირის ბოლო ღუზას მიგრა შეასკვნა. მერე ღუზა ასწია და მდინარეში ნელა ჩაუშვა. ღუზა მდინარის ფსკერზე რომ დაჯდა, ბაგირი დასკიმა, მისი თავი კატარღის მოაჯირზე დაახვია და ტანთ გაიხადა.

პირდაღებულ მოტორისტს ვერ გაეგო — რას აპირებდა გაბუნია. მდინარის სიღრმე აქ ოთხ მეტრამდე აღწევს. გუშინ ბარე ოცი ვაჭკაცი მოიყვანა აქ ბოკუჩაევამ, მაგრამ ოცივე შეაშინა მდინარის სიღრმე.

გაბუნია კატარღიდან მდინარეში ჩახტა, დაჰიმულ ბაგირს ხელი ჩასკიდა, ცივმა წყალმა სუნთქვა შეუქრა. უცებ დაყვინთა, ბაგირს ჩაჰყვა.

მარჯვენა ხელი ექსკავატორის ნაწილს ჩააელო, მარცხენით ბაგირს ამოჰყვია, ფეხებიც მოიშველია.

კუბრიკიდან გემზანზე მძიმედ ავიდა მოღუშული, ფერმკრთალი ჯოლოსხავე. გაბუნია რომ ამოყვინთავედა, ჯოლოსხავე განზე იხედებოდა თვალს ვერ უსწორებდა.

„სიბერის დროს თავი მომეჭრა“, — გაიფიქრა ჯოლოსხავემ, — „გუშინ რატომ წავეხდი კაცი, რატომ ვერ გავებდე ნაწილებს ამოღება? ვაი, სირცხვილო...“

ჭედა საცელის ამირა გაუნძრევლად იდგა იგი მხრებგაშლილი, მკერდგანიერი, ვეება. ხანდახან მკერდზე ჩამოყრილ თეთრ წვერზე ბარის პირივით ფართო, ძარღვიან, უცერო ხელს ჩამოისეამდა და ოდნავ გასაგონად ამოიგმინებდა. სამანქანო ნაწილების ამოსაღებად დაუყოფიებელივ გადამუშვებოდა მდინარეში, მაგრამ იცოდა: ერთი ბაგირი ორ კაცს ვერ მოემსახურებოდა; ამოყვინთვისას და დაყვინთვისას ერთმანეთს ხელს შეუშლიდნენ ის და გაბუნია. ბაგირისათვის ხელი რომ არ მოეკიდნა, მდინარე გაიტაცებდა.

სამი საათი იმუშავა გაბუნია, სამანქანო ნაწილებით აავსო გემზანი. ყურიდან და ცხვირიდან სისხლი წასვდა. გემზანზე ჩამოჯდა, ჯოლოსხავას ზურგი შეაქცია.

ჯოლოსხავამ ჩუმად ამოიოხრა. გაბუნია ყოველთვის თავაზიანად ეპყრობოდა მას ახლა კი... ჯოლოსხავამ კუნთებიანი ღიდი ფეხები მორებზევით ჩაჰყარა წყალში და მერე, მთელი ტანით დგაფუნა გაადინა. ხუთფუთიანი ნაწი-

ლი მსუბუქად ამოიტანა და ისევ ჩაიყურყურებდა. გაბუნია მკერდზე დაეკრებოდა ხსნა.

მოტორისტმა სუფთა პირსახოცი პიართვა გაბუნისა.

ჯოლოსხავამ უკანასკნელი ნაწილი წაართვა მდინარეს. გემზანზე მძიმედ ამოხვენით აათრია სხეული.

— ცუდად ხომ არ გრძნობ თავს? აი, პირსახოცი, ჩქარა ჩაიცვი, ავიდ არ გახდე, — გაბუნია ამოიხსიანად ახედა და ჩაცმას შეუდგა.

— ძალიან კარგად ვარ, უფროსო. ჯოლოსხავას მარჯვენა ხელზე ცერი რომ აკლდა, მხოლოდ ახლა შენიშნა გაბუნია.

— ცერი სად დაგიკარგავს, ერასტო? ჯოლოსხავას გაეღიმა. თვლები დაუპატარავდა, აუციმიმიდა, შარვლის ტოტში ფეხი ჩაჰყო...

— ორმოცი წლის წინათ სტამბოლში ღამით ხუთი მთვრალი ამერიკელი მეზღვაური დამესია, რუსი მეზღვაური ვცემოთო. მეც მთვრალი ვიყავ. ხუთივე დავაუთოვე. ცერი რქ დაგვარგე.

ჯოლოსხავა საჭესთან დადგა და მოტორისტს უთხრა:

— აამუშავე მოტორი! — მერე დაიხარა, წასჩურჩულა: — ბაშბა გექნება, ყურიდან სისხლი მდის, არ მინდა უფროსმა დაინახოს, ექიმთან გამგზავნის.

— უჩვენე ექიმს. — უჩრჩია მოტორისტმა, — არ გაგიმიზეზდეს.

— რა დროს ექიმი! — გაუწყრა ერასტო, — ნახევარ საათში ნავი სირიაჩონში უნდა მივიყვანო.

შავი ფულავის სარკვეული



ახლად შედამებული იყო, როდესაც ბებერი მარანა დასაძინებლად მოემზადა, თუმცა კარგად იცოდა, შუალამედ ლოგინში უნდა ებორგნა რწყილებისა ანდა უძილობის გამო. ჯერ კიდევ სინათლე იყო, როდესაც ლოგინი გაშალა. მუდამ ისე იქცეოდა, რომ ღამის სიბნელეში თავი არ შეეწუხებინა, რადგან ნავთი არ ჰქონდა ღამის ასანთებად.

დაწოლის წინ ოთახის კუთხეში მივიდა, ხელები მოუფათურა და დარწმუნდა: ქათმები თავიანთ ადგილას იყვნენ ქანდარაზე ჩამოსხდარნი, თუმცა იცოდა: დღისით მეზობლის ქათმებთან ერთად მთელი უბანი აკლებული ჰქონდათ და საღამოს კი ჩვეულებრივ დროს ქანდარაზე ჩამოსხდებოდნენ, არასოდეს არ შეეძლო დაშვადებით ლოგინში ჩაწოლა, თუ არ შეამოწმებდა ქათმებს, რადგან მისი ცხოვრების ერთადერთი წყარო და იმედი ეს ორი ქათამი იყო. თვალის ჩინებით უვლიდა და შვილივით უყვარდა ისინი. ქათმები კვერცხს სდებდნენ, მარანას კვერცხები მოჰქონდა უბნის მეწვარილმა-

ნესთან და სცვლიდა პურზე ან საკენკზე. ამრიგად ქათმები თავიანთ თავსაც ინახავდნენ და ბებერ მარანასაც. ქათმები მისი ხელის შეხებით შეინძრნენ და ახმაურდნენ. ამის შემდეგ ბებერმა შეასრულა თავისი ჩვეულებრივი ლოცვა, უკანონოდ გადაიწერა პირჯვარი, სამჯერ დაიხოქა ქობის ოღრო-ხოღრო იატაკზე, ცხვირში რაღაცის ღუღუნით ტანთ გაიხადა და ჩაწვა ლოგინში. ლოგინის ნესტმა ერთნატივლივით გაუარა მის გამოფიტულ სხეულს, მოიკრუნჩხა და საბანი გადაიხურა თავზე. სევდიანმა ფიქრებმა მოიცვეს იგი.

მარტოდმარტო ცხოვრობდა ბებერი ამ ნახევრადღანგრეულ ქოხში, რომელიც ქმრისაგან დატოვებულ ერთადერთ სიმდიდრეს წარმოადგენდა. დიდი ხანია, რაც ქმარი მოუყვდა მის, რომელიც ერთი ლოთი ხარაში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცოლს კარგი დღეები ძალიან ცოტა უნახავს მის ხელში, მაინც დიდ ხანს გლოვობდა ქმარს.

მართალია, შვილი ჰყავდა, მაგრამ ისიც უვარგისი იყო. ქურდი და ჯიბგირი, რომელიც მთელი დღეობითა და კვირაობით შინ არ მიდიოდა, დედას არ ბატრონობდა. ერთი სიტყვით, დედის ყოფნა-არყოფნა სულერთი იყო მისთვის.

შვილის უვარგისობას მოეწამლა ბებერ მარანას ისედაც უბედური სა-

ნარ-დოსი (მეჩაე ჰოვანესიანი) სომეხი კლასიკოსი მწერალია. მან სომხურ ლიტერატურაში დამკვიდრა ფსიქოლოგიური რომანისა და ნოველის ჟანრი. იგი ითვლება რეალისტ მწერლად. დაიბადა ქ. თბილისში 1867 წელს. მოღვაწეობდა თბილისში და გარდაიცვალა აქვე 1933 წელს.



ცოცხლე. ბევრჯერ უცდია, თვალზე ცრემლმორიეულს, დაეროგებინა არტემია, რომ იგი ასცდენოდა ცუდ გზას, რომ საბოლოოდ ერთი საქმისათვის მოეციდნა ხელი, ცოლი შეერთო და ოჯახი შეექმნა. მაგალითისათვის მოჰყავდა მეზობელ ისანას თაბახით მოვაჭრე ცაკანა, რომელიც მისი თანატოლი იყო და წესიერი ოჯახი შეექმნა, მაგრამ ხმის ამოღებისთანავე არტემია ისე დაუყვირებდა ხოლმე და გადმოჰკარკლავდა მსხვილ თვალებს, რომ საცოდავ ბებერს ენა მუცელში ჩაუეარდებოდა.

— ოხ, შეილო, შეილო...— ამოიკენესა მარანამ და გადაბრუნდა მეორე გვერდზე. — «ეს ქათმებიც რომ არ მყავდეს, ნეტავი რა უნდა მექნა?»..

დღეგამოშვებით ან ორ დღეში ერთხელ წაიღებდა კვერცხებს და მიეშურებოდა უბნის მეწერილმანესთან, რომელიც სხვადასხვა წერილმანთან და ხილთან ერთად პურსაც ჰყიდდა.

— ბაღლოჯან, ორი კვერცხის პური მომეცი!— ეუბნებოდა ის ხეყნით. მეწერილმანე კვერცხებს; თითოთითოდ, გულდასმით სინჯავდა და ყურთან მიიტანდა ხოლმე.

— ეს ერთი ლაყეა, დედი, — ეუბნებოდა ხუმრობით.

— არა, ბაღლოჯან, დღეს დასდეს; სე განა ლაყე კვერცხი მექნება?

— დედიჯან, რას იზამ, რომ შენ ქათმებს უცბათ საკვერცხე გაუხსეთ?— განაგრძობდა ხუმრობას მეწერილმანე და თანაც ერთ გირვანქა პურს უწონიდა.

— არა, ბაღლოჯან, ღმერთმა ნუ ჰქნას, მერე ჩემი შემნახავი ვინ იქნება?

— შენი ბიჭი?

— აი პირი გაუშავდეს ჩემს ბიჭსა, თვალთ ვხედავ, რომ...

რასაკვირველია, მთელი წელიწადი ორი ქათმის დადებული კვერცხით ცხოვრება არ შეიძლებოდა. მაგრამ

ქვეყანა ხომ არ უნდა დაქცეულიყო. იყვნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც ხანდახან თავიანთ ცხელ სადილიდან მასაც წილს არგუნებდნენ ან სხვა რამით ეხმარებოდნენ. თვითონაც რაც ძალღონე ჰქონდა, არ ზოგავდა, ზოგს მატყლს ურთავდა და დილიდან საღამომდე მენახშირეს დუქანში დახეულ ტომრებს უყერებდა.

ქათმებიდან ერთი შეტოკდა ადგილზე და ძილმორეულმა რაღაც ყრუდ ჩაიკაკანა.

— ჯან, ჯან, შენ გენაცვალე. — წარმოსთქვა ბებერმა მარანამ და დაამთქნარა.

შუალამეს გადაცილებული იყო. დიდი წვალების შემდეგ მარანას ახლად ჩასძინებოდა, როდესაც უცებ რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა იგი. შეშინებულმა წამოჰყო თავი და სიბნეულში გაიხედა.

კარებს არაბუნებდნენ, როგორც ეტყობოდა ხელით და ფეხით, ისე მაგრად, რომ კარებთან ერთად მთელი ქოხი ირყეოდა.

— ვინ არის? — წამოიძახა გულგახეთქილმა ბებერმა.

— აი ზაპრუმარი და შავი ქირი, გააღე რაღა, — მოისმა ვაჟაკის შემზარავი ხმა და ქოხი ხელახლად შეინძრა კარებზე ფეხის მაგარი დარტყმით.

— არტემ... აი, შენ რა გითხრა, აჰა, გული არ გამიხეთქე! — გაეხმაურა ბებერი, წამოდგა ლოგინიდან და სიბნეულში ფარფატით მივიდა კარებთან, ძლიერ იძოვა რაზა და გამოაღო კარი.

გაზაფხულის მოწმენდილი ღამე იყო. კარებთან იდგა ერთი ბრგე ახალგაზრდა, ქუდით ხელში.

— ამდენს ვარაბუნებ, რა არის, არ გესმის, განა? — დაუღრიალა მან დედას.

— ძილში ვიყავი, არტემჯან, — საცოდავად უპასუხა დედას.

— აი, ისე დაიძინე, რომ ვეღარ გაიღვიძო, — უთხრა არტემამ და ფართო ნაბიჯებით შინ შემოვიდა. — სინათლე აანთე, — უბრძანა მან.

— ნათი არა გვაქვს, არტემჯან.

— მაშ სიბნელეში ხარ?

— მაშ რა ვქნა?

— გივია ეს ოხერი, მერე ორი გროშის ნათი რა არის, რომ არ ყიდულობ?

— ორი გროშის მომცემიც შენა ხარ, შენ არ მაძლევ, რით ვიყიდო, — მიახალა ცოტა აღელვებულმა ბებერმა.

— რა, ქათმები დაგვხოცენ? კვერცხს აღარ გიღებენ?

ბებერი უცებ აენტო.

— ამოტენა ვაკეაცი მთასავით მეღვებს და ქათმებს შეპყურებდეს? — უბასუხა განრჩხლებულმა, — დედა ვარ შენი, ძალღონე მიხდილი, ერთი წელიწადი გადის, ზედ არ მიყურებ და დიდი გულით ისევ შენა ხარ. გრცხვენოვდეს მაინც. ქათმები მე ლუკმა პურს მაჭმევენ, შენ რას მმატებ, რომ ხოცავ კიდევ.

— აბა, ბებერს ნუ ბუზღუნებ, თორემ პა, — დაემტკრა არტემა და მიუახლოვდა დედას.

შეილი დედაზე მაღალი იყო თითქმის ორჯერ.

დედამ სიბნელეში შეამჩნია ორი მოელვარე უშველებელი თვალი და ჰაერში გაქვევებული მუშტი. ამავე დროს ცხვირში მოხვდა ლენის მძიმე სუნე.

— მაშ, რა ვქნა, არტემჯან, — სთქვა მან ისევ საცოდავი კილოთი, — გული მეტკინა, რომ...

— ნმა ჩაიკმინდე! — შეღრიალა ხელახლად არტემამ. — მიდი, ლოგინი გამიშალე.

ბებერი ხმაიმოუღებლივ გაეშურა მისი ბრძანების შესასრულებლად. სიბნელეში ფარფატითა და კენესით ძლივს გაუშალა არტემას ლოგინი.

არტემამ უცებ გაიხიზნა და დაიწყო ლოგინში. ჩაწოლის ხმა დაიწყო ხერხინვა.

— ე, მეც უნდა ვთქვა, რომ შეილი მეყავს-მეთქი, და ვცხოვრობ ქვეყანაზე. ვაი ჩემს გაჩენის დღეს ვაი! — მწარედ ამოიოხრა მარანამ და ხელახლად ჩაწვა ლოგინში.

გათენება შორს არ იყო. პატარა ფანჯრების ბნელ მინებში შემოანათა სინათლემ. ქოხი თანდათან განათდა.

ქათმები შეინშრენ ქანდარაზე და წარმოდგენენ ფეხზე, დაიბერტყეს ფრთები, ნისკარტით დაიწყეს ფრთებისა და მკერდის ფხანა, შ-მდეგ კისრები წააგრძელეს, ჩამოიხედეს დაბლა, მიიხედ-მოიხედეს ირგვლივ, წითელ ბიბილოების თამაშით უცებ დიდი ხმაურით ჩამოხტნენ ქანდარიდან და ჰაერში გაფანტეს ჩამოცვენილი ბუმბული.

ბებერს გათენებისას ხელახლად ჩასძინებოდა, უცებ თვალები გაახილა, კენესით წამოდგა და ტანთ ჩაიცვა.

ქათმები მიუახლოვდნენ მას და უფრო ხმამაღლა დაიწყეს კაკანი.

— ახლავე, ახლავე დაგიყრიოთ საკენკს, — წაიღულუნა ბებერმა და უნდოდა საკენკის ტოპრაკთან მისვლა, რომ ამ დროს თავისდაუნებურად უცებ გადახვდა მძინარე შეილს, რომელსაც საბანი გადახვოდა და იქიდან მოსჩანდა ბანჯგვლიანი გულმკერდი, ოგი ფრთხილად მიუახლოვდა მას და საბანი გადაახურა.

მიუხედავად ქათმების ხმაურისა, არტემას მაინც ღრმად ეძინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქათმებს უკვე აკრეფილი ჰქონდათ საკენკი და წყალოც დაელიათ. ისინი უკვე ლამობდნენ გარეთ გასვლას. ბებერმა თითოთითოდ დაიჭირა ქათმები ხელში, აიყვანა და კვერცხი გაწესინჯა. შემდეგ კარები გაუღო და გარეთ გაუშვა.



სადილობის დრო იყო, არტემამ რომ გაიღვიძა. ლოჯინში დაიწყო ზმორება, ხელის თითებს აუტეხა ტყაცუნი, შემდეგ ფეხები ჩამოჰკიდა ტახტზე და ზანტად დაიწყო ჩაცმა. თანაც ამოქნარებდა.

— ჩაი არა გვაქვს?— შეეკოთხა დედას, რომელიც კარებთან იჯდა და რაღაცას აკერებდა.

— როგორ არა— დასცინიჯ ბებერმა, —სამოციარი დულს და ქაფუაფებს. ჩაი და შაქარი რომ გამოგვგზავნა, ავერ თაროზე ლებდა.

არტემამ ჩაიციინა.

— მაშ თუ ავრეა, დედი, აი მივდივარ ერთი გირეანქა ჩაი ვიყიდო, ერთი თავი შაქარი და თუ ნახშირი არა გვაქვს, ერთი ზურგიც ნახშირი.

— მასხარად ასადგები თავი გაქვს, — უპასუხა ბებერმა, — ამ დღით მარტარაანთ დამიძახეს, რომ ერთი ჭიჭა ჩაი დაეღიო. რომ არა გრცხვენიან, აბა რა ექნა!

არტემამ შუბლი შეიკრა და ფეხზე წამოდგა, ჯერ ერთი ფეხი, მერე მეორე ფეხი შეზღო ტახტზე და შნოიანად ჩაიკეცა მაღალყელიანი ჩუსტეები. შემდეგ ხელში აიღო ხელადა, ფეხები განზე გასწია და პირი დაიბანა იქვე იატაკზე. პირი ხელსახოცით შეიწმინდა და ჯიბიდან ამოიღო ერთი კბილებჩამტერეული სავარცხელი, დაივარცხნა თმები, განსაკუთრებული სიფაქიზით მოარგვალა შუბლზე დატოვებული გრძელი ქონორი, აიღო ქული, ხელზე დაბერტყა, მრუდედ დაიღო კეფაზე და გაემართა კარებისაკენ. კარებთან უცებ შეჩერდა და დახედა დედის მზრებს, რომელიც საკერებელს დასცქეროდა და კიდევ ხელახლად მოუხდა გახუმრება.

— კარგი, დედი, ჩაი ხომ არ დამალევი, — უთხრა მან.

— ავერ, წადი ტრანტირში და ჩაისაც დალეე და არაყსაც, — საკერებელიდან თავაუღებლივ უპასუხა ბებერმა.

— ვაი, დედიჯან, დედი, ეშმაკმა წაგილოს, დედი, — წამოიძახა არტემამ სიცილით, ფართო ნაბიჯებით გადააბიჯა დედას და გავიდა გარეთ, — რა ცხვირპირი ჩამოგტირის? — უთხრა უცებ და დედის წინ შეჩერდა, — გინდა, ლოთიანად, ფული გაჩუქო?

— ფული თუ გაქვს, წადი და არღანიოთ იქიდე, მე რად მომცემი! — წაიდუღუნა ბებერმა და თავი არ მოაშორა საკერებელს.

— ჰეი, დედი, გული როგორ გავტეხია. აი თუ არ მოგცემი! — არტემამ ხელი ჩაიყო შავი სატინის ახალუხის ჯიბეში და დაიწყო ფულების ჩხარუნნი ბებერის სატერლელის ასაშლელად, — ჰა, მოგცე!

ფულების ჩხარუნმა მართლაც იმოქმედა ბებერზე, მან საკერებელი ერთ მხარეს გადასდო და ხელები მოწიწებით გაუშვირა შვილს.

— მომეცი, მომეცი, არტემჯან, შენ გენაცვალოს დედა.

არტემამ ჯიბიდან ერთი მუტა თეთრი და შავი ფულები ამოიღო და ახლა უკვე მუტში დაიწყო ჩხარუნნი.

— მაშ ამბობ, მოგცე, რაღა!

ბებერმა ცოტა წამოიწია ადგილიდან, ხელები ისევ გაწუდილი ჰქონდა შვილისაკენ.

— არტემჯან, შენს მზეს შემოეცლოს დედაშენი, ისე იგულისხმე, ვითომ საყდრის წინ ერთი მათხოვარა ვყოფილვარ.

— კარგია, რომ მოგცე, მერე რას იზამ?

ბებერი სწრაფად ფეხზე წამოდგა.

— აი რას ვიზამ, არტემჯან. ჯერ ცოტა მატყლს ვიყიდი და წინდებს

მოქსოვ შენთვისაც და ჩემთვისაც; საპონს ვიყიდი, დაერეცხავ შენსა და ჩემს საცაობს. ნათს ვიყიდი, ღამე რომ მოხვდება, ღამფა ავინთო, ჩაისა და შაქარს ვიყიდი, ცოტასაც ნახ- შირს. დილით რომ აღგე, ჩაი დაგა- ლევირო ხოლმე კიდევ...

— იაპ, ველარ მორჩი, წამოიძახა არტემამ.

— ეპ, როგორ მოერჩი, არტემჯან, ცოცა რამ გვაქლია განა?—სთქვა ბე- ბერმა.—მართლა, ქათმების საკენცი არ მითქვამს, დამავეწყაო. ყველი რამდენი ხანია გულით მინდა ყველი.

— ყველი არა, კატლერი და ბიშ- თეკი არ გინდა?—მიოგო არტემამ უცო. სერითზულად.—შე ოხერტი- ლო, შინ რა გგონია, მე ფულებს ხომ არა იჭრი, აბა კალთა გაშალე და რა- საც მოაქვმ, ხნა არ ამოილო, თორემ...

ბებერი ერთი ნაბრჯით მიუხალოვ- და შეილს და კალთა გაეშალა, თვა- ლებით კი მოუთმენლად შეჰყურებდა ხელებში.

არტემამ გაშალა მუქი, თითოთი- თოდ გადაარჩია თეთრი ფულები და ჯიბეში ჩაიყარა, დარჩენილი შავი ფულები კი ჩაუყარა დედას კალ- თაში.

— აი, აღარა სთქვა, რომ ცუდი შეილი გყავს.

— არა, არა, კარგი ხარ, კარგი, არ- ტემჯან. აი იცოცხლე და იხარე, არ- ტემჯან.

ბებერი ხელახლად ჩამოჯდა კა- რებთან, კალთა გადაშალა და დაიწყო ფულების დათვლა. სიხარულისაგან ხელები უკანკალებდა.

არტემა თვითონაც გახარებულნი იყო დედის სიხარულით. ის ჩაიკუნტა დედს წინ და მომღიმარე სახით შე- ხედა მას.

— ხომ მოგეცი, პა? — შეეკითხა იგი.

— მომეცი, მაშ მომეცი, არტემ- ჯან, გაიხარე ისე, რა გუნდა გქმნება ხარე.

არტემას გაეცინა, მსობუქაო ხალი ჩამოპარა დედას მუხლზე, წამოხტა ადგილიიდან და გაშორდა ფართო და დინჯი ნაბიჯით.

დაახლოვებით ორმა კვირამ გან- ვლო.

ბიბირი მარანა ცხოვრობდა ისევ ძველებურად. არტემას ნაჩუქარი ფუ- ლობი თუმცა დიდი ეკონომიით და- ხარჯა. მაგრამ მაინც დიდ ხანს არ იყო. ბებერს უკვირდა, რომ იმ ფუ- ლებმა არაფითარი ცალილება არ მო- ახდინეს მის ცხოვრებაში. მისთვის ერთადერთი საკარნობი სარგებელი ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში მას გადაერჩინა ათი-თხთხომიტი ცალი კვერცხი კრუხის დასასმელად.

ერთ დღეს არტემა ისევ მოვიდა. ჩვეულებისამებრ, როცა კი სახლი მოაგონდებოდა, ის მოდიოდა ხოლმე შულამისას და ხშირად გათენებისას, მაგრამ დღეს ისე ადრე მოვიდა, რომ ბებერი მარანა ჯერ დაწოლილი არ იყო. ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა მარანა.

— არტემჯან, ავად ხომ არა ხარ?— ჰკითხა შეფიქრინებულმა.

არტემამ პასუხი არ გასცა.

მარანამ სცადა კარგად დაჰკვირვე- ბოდა შეილის სახეს ნახევრად ჩაბნე- ლებულ ქოხის სინათლეზე. მაგრამ ვერაფერი დაინახა სახის ბნელი სი- ლუეტის მეტი, და სწრაფად ღამფა აინთო. შემდეგ მიუხალოვდა შეილს.

არტემა პირაღმა დაწოლილიყო ტახტზე და ხელები თავქვე დაიწყო.

ბებერი ჩააშტერდა მის სახეს და შეეშინდა, არტემას სახე სასტიკად მოღუშული ჰქონდა, თვალები უბრ-



წყინაიდნენ. ეტყობოდა, ძალიან ცუდ ხასიაზე იყო.

— არტემჯანი — ჩაიჩურჩულა დედამ.

— ჰა?—უცბათ დაიღმეილა თავისი მძლავრი ხმით და თვალები გადაუტრიალა დედას.

— რატომ ხარ ასე?—შიშით ჰკითხა ბებერმა.

— ნუ ამალაპარაკებ, თორემ ამ გაბოღმებულ გულზე ერთ ისეთ წიხლსა გვრავ, რომ ადგილზევე სული განუტევიო.—უბასუხა არტემამ დინჯად, მაგრამ შიშის მომგვრელი ტონით და ფეხიც კი მოიმარჯვა.

დედა მოიკრუნჩხა და ხმაამოვლებლივ გაშორდა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩქევე.

ლამფის სინათლეზე და ხმაურზე ქანობარაზე ჩამომსხდარ ქათმებს გაღვიძებოდათ და უჩვეულო სინათლით დაინტრიგებული აქათ-იქით აცეცებდნენ მრგვალ თვალებს.

ბებერი ტახტის კუთხეში მოკრუნჩხულიყო და ფიქრობდა, თუ რა დაემართა არტემას. გაიხსენა წარსულიდან ერთი შემთხვევა, როდესაც შვილი ასეთ ხასიათზე შინ დაბრუნებულიყო, მაგრამ მაშინ მას მიზეზი არ დაემალდა ეთქვა, რომ ყოვლის თამაშის დროს ბევრი ფული წაეგო. ალბათ ახლაც ასეთივე რამ მოუხდომ, იფიქრა ბებერმა და მოინდომა ენუგეშებინა შვილი.

— არტემჯან, ნავთი შენი ნაჩუქარი ფულით ვიყიდე,—უთხრა მან, როცა შეამჩნია, რომ შვილი ღრმა ფიქრებით გართული თვალგაშტერებული შეჰყურებდა ლამფას.

არტემამ ხმა არ გასცა.

— რამდენი ხანია მიყიდნია, მაგრამ ვინახავდი, რომ შენი მოსვლის დროს ამენთო,—დაუმატა ბებერმა.

არტემა ისევ სდუმდა.

— ცოტაოდენი ჩიი და შაქრიცევიდე, დილაზე ჩაის დასაუფრედე—ხელახლად ალაპარაკებოდა არტემამ გაუნძრევლად იწვა ერთდამივე მდგომარეობაში. თითქოს არ უსმენდა დედას.

დედას გულზე მოხვდა, ეწყინა ის, რომ შვილი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის ლაპარაკს.

— თუ გეძინება, მითხარი, ლოგინს გაგიშლი,—უთხრა მან ნაწყენი ტონით დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

არტემამ პასუხი არ გასცა, მუთაქა მოიმარჯვა თავქვეშ, მკლავი სახეზე დაიდო და რამდენიმე წუთის შემდეგ გაჩნდა მისი ზერინვა.

მარანამ ძველი, ჭლჭყიანი მითული სიფრთხილით გადაახურა მას, რომ არ გველეძებინა, ლამფა ჩააქრო, შეასრულა ჩვეულებრივი ლოცვა და ჩაწყვიტა ლოგინში.

„ეგ არის, უეჭველად ეგ არის, ფული წააგო“.—დაასვენა მან, ღრმად დადარდიანებულმა. მას კი იმის იმედი ჰქონდა, რომ დილით შვილი წინანდელივით ფულს აჩუქებდა.

ახლად ქიქრავდებოდა, პატარა ფანჯრების ბნელი მინები ისის-იყო თანდათან ნათდებოდნენ, რომ ქათმების უჩვეულო კაკანმა უცებ გამოაღვიძეს ბებერი. მან თავი სწრაფად წამოყო და მიიხედა ქანდარისაკენ. იქ, სიბნელეში, მისმა ნამძინარეგმა თვალებმა ძლივს შეამჩნიეს ადამიანის შავი სილუეტი.

— ეგ ვინა ხარ?—ძალზე შეშინებულმა დაუყვირა ბებერმა და მექანიკურად წამოჯდა ლოგინში.

ადამიანის აჩრდილი გაემართა კარებისაკენ, გაისმა რაზის ჩხარუნი. კარი გაიღო. აჩრდილი ერთ წამს გამოჩნდა განთიადის მკრთალ სინათლეზე და სწრაფად გაპქრა. კარები ღია დარჩა. გარედან მოისმა ქათმების კაკანი და უცებ ყველაფერი მიჩუმდა.

ბებერს სიზმარი ეგონა, წამოხტა, მივარდა და აკანკალებულა ხელები მოუფათურა ტახტს, არტემას ლოგინს. ლოგინი ცარიელი იყო. გიგივით გაეჭანა ქანდარისაკენ, ქანდარაც აგრეთვე ცარიელი იყო.

— აი, გული არ მოგიკედეს, არტემ, ეს რა პქენი?— შეპყვირა ბებერმა, სწრაფად გადიცვა კაბა და გარეთ გამოვიარდა.

სუნთქვა იჩქარებულა, ქლოშინითა, წამლაუწუმ ქვებზე ფეხის წამოკე-

რით მირბოდა ცარიელ ქუჩის სიგრძეზე. ის აღარც ვიგობოდა, როგორ სჩხელეტდნენ გამხდარ და გაძვალტყავებულ შიშველ ფეხებს დაღესილი ქვის ნატეხები. შემდეგ სუნთქვა ვეღარ მოიბრუნა, შეჩერდა, ჩამოჯდა იქვე შუა ქუჩაში, მუხლებზე ხელები შემოიშინა და დაიწყო უცრემლოდ ქვითინი.

არტემა უკვე გამქრალიყო.

თარგმანი არბ. დავითიანისა

გალაკტიონ ვაბიძე *



1. ქართული რომანტიზმი და გ. ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე თანამედროვე ქართული მწერლობის ერთერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. დიდა გალაკტიონ ტაბიძის გავლენა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაზე. ეს გავლენა შეინიშნება არა მარტო გ. ტაბიძის მომდევნო თაობათა ნაწარმოებებში, არამედ ზისი თანამედროვე პოეტების შემოქმედებაშიც. გვგონია არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძემ თავისი ბრწყინვალე ლირიკით ახალი ხანა დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში, ახალი ელერა მისცა ქართულ ლექსს, ახალი მღელვარებითა და განცდებით გაამდიდრა იგი.

ყოველ დიდ მწერალს აქვს თავისი სტილი, ორიგინალური პოეტური ხმა. ეს საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ თითქმის ყოველ მწერალს რაც გინდა დიდი შემოქმედი იყოს იგი, ჰყავს წინაპრები, ისე როგორც მიმდევარნი. პოეტი ზეციდან არ ვარდება, ის თავის წინაპრებში, ამათუიმ ქვეყნის ლიტერატურაში დაგროვილ პოეტურ ტრადიციებში პოულობს შემოქმედებით სათავეს. თუ ერთის მხრივ გ. ტაბიძის პოეზიამ მოაზნინა გავლენა მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე, ასევე, მეორეს მხრივ, თვით გ. ტაბიძის შემოქმედებამ განიცადა ქართული

მწერლობის, კერძოდ ქართული რომანტიზმის გავლენა. გ. ტაბიძის პოეზია თავისი ნაციონალური საწყისებით უკავშირდება ქართულ კლასიკურ პოეზიას. ყველაზე მეტად იგი ამ მხრივ ნიკოლოზ ბარათაშვილის უზადო პოეტურ სამყაროში პოულობს სათავეს. მართალია მეოცე საუკუნის პოეტთა შორის გ. ტაბიძე პირველად გამოეხმაურა რუსულ-ევროპული პოეზიის ახალ მიზართულებებს, მაგრამ გ. ტაბიძის ნამდვილი და უშუალო შთამაგონებელი ნ. ბარათაშვილის უბრწყინვალესი შემოქმედება იყო. დიდი მწერალი თავისი ეპოქის მოწინავე იდეების გამოხატველია უთუოდ; მას ის იდეა, რწმენა და ინტერესი გააჩნია, რაც მის ეპოქას ამოძრავებს და წარმართავს. დიდი პოეტის ხმაში მისი ეპოქის მოწინავე ხმა გაისმის, რომელიც ეძახის, მოუწოდებს, რაზმავს და ამხნევებს მის ხალხს. ამიტომ ყოველი დიდი ნაწარმოების ნამდვილი არსის ახსნას ჩვენ ეპოულობთ იმ ეპოქის ხასიათში, რომელშიაც შეიქმნა იგი. დიდი ხელოვანის შემოქმედი სული მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ ღრმად, როდესაც კარგად შევისწავლით იმ გარემოცვას, რომლის პროდუქტიც არის მისი ხელიდან გამოსული ქმნილებანი. დიდი მწერლები იმ სინამდვილეს, საგანს, რომელსაც აღწერენ, ისე გარდაქმნიან სა-

* ერთი თ. მონოგრაფიიდან.

კუთარ სულში, ისე „უცელიან ფერს“, რომ აქ სინამდვილესთან პირდაპირი თანაფარდობა უკვე დარღვეულია.

ქართველი ხალხის ყოფა, ჩვენი სამშობლოს ბედი სევდიანად აცვენებდა მე-19 საუკუნის ჩვენს კლასიკოსებს. „ჩვენს პოეზიაში წარსულში ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს, საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხეს მანერა საუბრის, მანერა სულის დაქანების, მანერა ბრძოლისა“, — სწერდა ოციოდე წლის წინათ პოეტი გ. ტაბიძე. სამშობლოს ბედით გამოწვეული უცმაყოფილებისა და პროტესტის გრძნობა აწმყოს მამართ ქმნიდა კონფლიქტს მწერალსა და სინამდვილეს შორის. ეს მომენტი განსაკუთრებით შეინიშნება მე-19 საუკუნის უდიდესი ლირიკოსის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ბრწყინვალე ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის მუდამ მღვლეარე და სულით მაღალი პოეზიის უპირველესი საგანი სამშობლო იყო. ბარათაშვილის პოეტური სამყარო ქართლის ბედით ცოცხლობს და სუნთქავს. ეს ის პოლიტიკური და მორალური ატმოსფერო იყო, რომელშიც განსაზღვრა პოეტის „სულის მშვიდობა“. ბარათაშვილის შემდეგ ახალ ქართულ მწერლობაში საქართველოს ბედით გამოწვეული სევდა სათავეს ბარათაშვილის შემოქმედებაში პოულობს. ბარათაშვილის პოეზია იყო გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შთაგონების წყარო.

ძველ ცხოვრებასთან უთანასწორო ბრძოლით შექმნილი განწყობილების ვითარებაში დაიბადა გ. ტაბიძის პოეტური სევდა. ამ სევდას ჩვენი სამშობლოს ბედი ედგა საფუძვლად. გ. ტაბიძის სამრეწველო ზოღვაწიობის პირველი პერიოდი იმ ხანას დაემთხვა, როდესაც ჩვენი სამშობლო კოლონი-

ურ ქვეყანას წარმოადგენდა და ეს გარემოება უფრო ამძიმებდა საქმიანულურადაც დაჩაგრულს ჩვენს ერს. ეროვნული კითხვა ამ პერიოდში ისეთივე „წყევლა-კრულვიანი“ კითხვა იყო ქართული ლიტერატურისათვის, როგორც მანამდის ჩვენი კლასიკოსებისათვის.

გ. ტაბიძე იყო უწინარეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომელიც მთელი არსებით ემზადებოდა სამშობლოს ბედს. ამ მხრივ გ. ტაბიძე უშუალო მემკვიდრეა XIX საუკუნის ნაციონალურ - განმათავისუფლებელი იდეებისა. გ. ტაბიძის ლირიკული ლექსები გამსჭვალულია სამშობლოსადმი თავდადებისა და სიყვარულის უზადო გრძნობით. პოეტს გულს უკლავდა და გრძნობას უწამლავდა უფლებდაყრილი სამშობლოს ბედი. სამშობლოს უნუგეშო აწმყო მწარედ აცვენებდა პოეტის ჩანჯს.

ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძეს მთელი საუკუნე ამორებს ერთიმეორისაგან: პირველი მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟს ამოჰყვა, ზეორე მეოცე საუკუნის განთიადზე დაიბადა. და მოუხედავად ამისა გალაქტიონ ტაბიძე უფრო ახლობელ და სულიერ მეგობარს, უშუალო შთამაგონებელსა და წინაპარს ისე ახლობელს ვერავის პოულობს, როგორც ბარათაშვილს. გ. ტაბიძისა და ბარათაშვილის პოეტური ნათესაობა არა მარტო პოეტურ სახეებსა და ფრაზეზშია გამოხატული, არც იმაში, რომ ორივე პოეტის ბედს „შავი ყორანი“ დაჩახვის, არც თუ იმაში რომ, ორივე ერთგვარი გზნებით მთაწმინდის ბურუსიან ღამის მღვგომარეობით არიან გატაცებულნი, არამედ ეს ნათესაობა მათს მსგავს სულიერ განწყობილებასა და შეგრძნებაში უნდა ვეძიოთ.

ნ. ბარათაშვილი პოეტური გენიის მწვერვალია. ქართულ ლიტერატურაში განუზომლად დიდია მისი პოეტუ-



რი ხმა. ქართველმა მკითხველმა დიდი ხანია, რაც სიყვარულისა და დიდების შარაყენდებით შემოსა ეს სახელო. გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება კი ჩვენს თვალწინ გაიშალა. ჩვენ უშუალო მონაწილე ვართ ტაბიძის პოეტური სიტყვისა და არა უბრალო შეარქივე მომთხრობელი მისი დეაწლისა. ამიტომაც ძნელია ყოველთვის ვიყოთ პირუთენელი და ობიექტური მსჯავრმდებელი გ. ტაბიძის პოეტური საქმისა. საჭიროა ერთგვარი დრო, დისტანცია, რომ შორიდან შევხედოთ გ. ტაბიძის პოეტურ სამყაროს და ობიექტივის-ისტორიკოსის ქეშმარიტ როლში გამოვიდეთ. მაგრამ ამ სირთულეს აქვს ერთი მხარე, რომელიც შედარებით გვიადვილებს ამ ძნელ საქმეს:

ჩვენ დღეს საქმე გვაქვს, ასე ვთქვათ, ორ გალაქტიონ ტაბიძესთან. აქედან ერთი უკვე ისტორიას ეკუთვნის, ის უკვე ლიტერატურის ისტორიკოსის საქმეა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტური რევოლუციამდელი გალაქტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედება.

ყოველ ქეშმარიტ მწერალს აქვს თავისი სტილი, საკუთარი მანერა წერის, თავისი საკუთარი კოლორიტი მოეხოვება, ორიგინალური ხმა, თუ სახე, ჰყავს თავისი გმირები, არჩეული აქვს თვით საყვარელი სიტყვები და გამოთქმებიც კი. ლიტერატურის ისტორიამ დადასტურა ეს დებულება. მაგრამ ასევე უდავოა, რომ ერთი მწერალი თავისი „პოეტური ბედით“, სტილით თუ განწყობილებით ზშირად წააგავს მეორეს. ისინი ერთმანეთს ხედებიან საუკუნოებით გაშორებულნი, მაგრამ ისე, რომ დიდ დამოუკიდებლობასა და სიდიადეს ინარჩუნებენ. ლიტერატურის ისტორიამ იცის ასეთი შეხვედრები.

გალაქტიონ ტაბიძე ერთი საუკუნის შემდეგ გამოეხმაურა ნიკოლოზ ბარა-

თაშვილს, როგორც წინაპარს. გ. ტაბიძე ბარათაშვილის მწერტი ნიკოლოზ ტაბიძეებმა გამოაწივინეს. ეს გარემოება თავის განწყობილებას თავისებურად შეუფარდა და გაიზიარა მან. გალაქტიონ ტაბიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილი მიიღო, როგორც წინამორბედი და მასწავლებელი, და მოგვევლინა როგორც ქართული ლექსის დამოუკიდებელი ოსტატი. ამიტომ მათ შორის არსებული შეხვედრები მართა გაველნიოთ არ უნდა აიხსნას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ნიჭის მომწიფებას წინ უძღოდა დიდი ეროვნულ-პოლიტიკური გარდატეხის ეპოქა. ნ. ბარათაშვილის პოეტური აზროვნება საქართველოს მეფის რუსეთთან შეერთების პირველ ათეულ წლებში ჩამოყალიბდა. ქართველი ინტელიგენციის შეთქმულთა წრის იმედები, საქართველოს ცარისტული რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა ზრდიდა თითხმეტი წლის ქაბუჯის პოეტურ გრძნობას. ნიკოლოზ ბარათაშვილი რომანტიკულ ალტაეების მთელი ძალით თანაუგრძნობდა „შეთქმულთა საქმეს“. შეთქმულება დამარცხდა. ამ პერიოდის ქართული ინტელიგენციის უმრავლესობა შეამბოხეთა წრეში აღმოჩნდა. საქართველოს „უკეთესი შვილი“ ალექსანდრე ჰავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ეახტანგ და ალექსანდრე ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი შორეულ ქვეყნებში გადაასახლეს. დაცარიელდა კულტურული ასპარეზი, ცხოვრება მოდუნდა, ქართული პრესა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი გაქრა. სევდამ და უიმედობამ მოიცვა ქართული საზოგადოებრივი აზრი. ასეთ ვითარებაში მოხედა ბარათაშვილის პოეტური გენია, პოეტის პირად ცხოვრებაში ფსიქოლოგიურად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი სევდიანი განწყობი-

ლებებისათვის. (მოვიგონოთ მისი ბიოგრაფია). ბარათაშვილის პოეზიაში მთელი სისრულით აისახა ქართველი ხალხის ეროვნული სევდა. ახალგაზრდა პოეტს ქართველმა სინამდვილემ არგუნა იმედის გაწილება, და მან დაკარგა „მშვიდობა სულის“. პირადი ხეცდრით გულმოკლული ნ. ბარათაშვილი ასე მიმართავდა ბოროტ სულს:

სული ბოროტო, ვინ მოგებში
ჩემად წინამძღვრად,
ჩემს გონების და სიცოცხლის
შენ აღმამფთვორად?
მარტვი, რა უყავ, სად წარმოღ-
სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ უმწვილის
ბრმა სარწმუნოება?!
—

ბარათაშვილის პოეტური სევდა და სულიერი განწყობილება მისი შეგბენილი ეპოქის სიცილიერისა და ბურჟუაზიის დღეების გამოხატულება იყო.

ასევე გალაქტიონ ტაბიძის პოეტური განწყობილება მისმა მღელვარე ეპოქამ მოამზადა. 1905 წლის რევოლუცია ახალგაზრდა პოეტმა მთელი თავისი ზნეობით და გატაცებით განიცადა. ჰაბუკი პოეტის ნიჭმა რევოლუციის ქარიშხალში გამოიღვიძა. რევოლუციის გრანდიოზულმა რომანტიკამ მოხიბლა პოეტი, წარუშლელი შთაბეჭდილებებით აავსო პოეტის სული. გავიდა დრო, რევოლუციის ქარიშხალი ჩადგა. გამეფდა რეაქცია, რომლის ბნელმა ძალებმა დაარბიეს რევოლუციური ორგანიზაციები. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი შორეულ ციმბირში გადაასახლეს, ნაწილი კი იატაკქვეშ მუშაობას შეუდგა. დაცარიელდა საზოგადოებრივი ცხოვრება. „დაცემულბამ, დემორალიზაციამ, განხეთქილებამ, დაბნეულობამ, რენეგატობამ, პორნოგრაფიამ შეცვალა პოლიტიკა. ვაბატონდა მისტიციზმი“ (ლენინი).

ასეთ ატმოსფეროში მოხედა სრულიად ახალგაზრდა პოეტმა გულსკუთონ ტაბიძემ. რევოლუციის წინაშე მდგომარეობა აღფრთოვანება რეაქციის სუსხმა დააზრო. პოეტის სული სევდით აივსო და წარსულზე ფიქრმა უიმედობის დღით აღბეჭდა:

„რა აღრე ვაქრა გაზაფხულის
მზიანი დარი.
რა აღრე ვაქრა ჩემი ყრობა,
ჩემი სიზმარი“.

ასე იგონებს მოგვიანებით პოეტი გაზაფხულს, — რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს.

გალაქტიონ ტაბიძისათვის ბრწყინვალე წარსული რევოლუციის მქუხარე დღეები იყო. მისი აწმყო კი—რეაქციის სუსხიანი ხანა. პოეტს მთელი თავისი გატაცებით უყვარდა პირველად და ძაგდა მეორე. მისი სევდიანი პოეზიის გზაც ამ გარემოებამ განსაზღვრა. მოუსმინოთ პოეტს:

უმაწვილაკობა, სიხალისე.
სიცოცხლის დიღს
ისე ვამიქრა ვით ბურუსი...
როგორ ვეწამე!
შქონდა მიზანი... ბრძოლა იყო
ცა მისი მცნების
მავრამ კაცი გავლით დაუძღურდი
და მოვიშხამე
ახალგაზრდათა დაცემის და
დაუძღურების,
ახალგაზრდათა მწუხარების
მე ვარ მოწამე.
შეც იმათ შორის უფრინებელ
წყულულებით ვკვდები“.

სევდით მოცული ფიქრებით შესცქეროდა იგი ქვეყანას და სულიერი ტკივილების მწვავე გაცდებზე სწერდა.

ეს გარემოება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს ორი ეპოქა, ეს ორი მოძრაობა—1832 წლის შეთქმულება და 1905 წლის რევოლუცია თავისი ხასიათითა და მიზნებით მზგავსი იყოს.



არა. ასეთი დასკვნა დიდი შეცდომა იქნებოდა: 1832 წლის რომანტიკული შეთქმულება არსებითად მიზნად ისახავდა „ფეოდალური მონარქიის“ აღდგენას. 1905 წლის რევოლუცია კი ამხანაგ ლენინის გენიალური განსაზღვრით — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიცია იყო. ეს ასეა. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ საკითხის სხვა მხარე გვაინტერესებს. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ორივე პოეტის — ნ. ბარათაშვილისა და გალაქტიონ ტაბიძის — შემოქმედებით მომწიფებას წინ უსწრებდა დიდი გარდატეხის ეპოქები, რომელთა შინაარსი სხვადასხვა იყო.

კარგად ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილის პოეტური ნიჭი ადრე მომწიფდა. ქართული პოეზიის შედევრი — „შემოღამება მთაწმინდაზე“ — მან თექვსმეტი წლისამ შექმნა. ამ ლექსში უკვე დასრულებული ბარათაშვილი ჩანს.

გალაქტიონ ტაბიძის პოეტურმა ფანტაზიამ ძალზე ადრე გამოიღვიძა. მან ჯერ კიდევ ათი წლისამ სცადა კალამი, ხოლო პირველი ცნობილი ლექსი — „პირველი მაისი“ და „რაც უფრო შორსა ხარ“ თექვსმეტი წლისამ დასწერა. ამ ლექსებში უკვე სჩანს გალაქტიონ ტაბიძის პოეტური სტილი, საკუთარი ორიგინალური პოეტური ხმა და გემოვნება.

ნიჭიერ პოეტებს თავისებური ბედი აქვთ. ზოგს ხალხი იმთავითვე ზეიმით მიიღებს, აიტაცებს ყოველ მის სიტყვას, დიდებით შემოსავს მის სახელს. ზოგს კი გვიან ერგება ყურადღება და დაფასება. აქ მნიშვნელოვანია ერთი მომენტიც. პოეტს ხალხის გასაცნობად, ლექსს ხალხის გულთან მისატანად „შუამავალი“ სჭირდება. ასეთ როლს დღევანდელ ენაზე პრესა ასრულებს. ამ მხრივ, გ. ტაბიძე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე ნ.

ბარათაშვილი. ნ. ბარათაშვილი ბროს არც იყო ქართული ბუკლეტის მოქმედი, რომ ასეთი შუამავლობა გულისხმობს, და მკითხველს შორის. მიუხედავად ამისა, ბარათაშვილი მაშინვე გახდა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი. მის ლექსებს ზეპირად ამბობდა, ხელიდან ხელში გადადიოდა.

გალაქტიონ ტაბიძის დროს ქართული პრესა შედარებით ძლიერი იყო. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მეორე გარემოებაც. ამ დროს ქართულ ლიტერატურულ პრესას ამშვენებდა ისეთი ბრწყინვალე სახელები, როგორც იყო აკაკი და ვაჟა. და აქ გამოჩენა, სახელის დამსახურება არც ეგრე ადვილი საქმე იყო. გალაქტიონ ტაბიძე სულ მოკლე ხანში გახდა პოპულარული მწერალი.

მაგრამ რაგინდ მზგავსიც არ უნდა იყოს ავტობიოგრაფიული მომენტები ამ ორი პოეტისა, ეს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობის არ არის. ის რაც გერცენმა სთქვა ჩაადავეის შესახებ, შეიძლება გავიუმოროთ ბარათაშვილის პოეზიის მისამართით: „ეს იყო შუალამისას გასროლილი თოფის ხმა“.

მარქვი, რა უყავ, სად წარმოდგენილს შვიდობა,
 რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა
 სარწმუნოება?
 ნ. ბარათაშვილი
 მარქვი, ოჲ, გველო, რად დაგვირდა,
 რომ მოგვეწამლა
 ყვაილოვანი სიყმაწვილე
 და ჩემი ქნარი?
 გ. ტაბიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ სამყაროს როცა ადარებთ გ. ტაბიძის პოეზიაში დასადგურებულ სევდიან განცდებს, ძნელია გადაჭრით თქვათ ვინ უფრო ტრაგიკული იყო თავისი პოეტური ხმებით ნ. ბარათაშვილი, თუ გ. ტაბიძე. (ვგულისხმობთ გალაქ-

ტიონ ტაბიძის შემოქმედების პირველ პერიოდს).

ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის (პირველი პერიოდის) პოეტური შემოქმედების მთავარი თემა, ატმოსფერო და პიროვნული სევდიანობის სათავე საქართველოს ყოფით გამოწვეული სულიერი თბობა და მიუსაფრობა იყო. ყველაზე სრულყოფილი სახით აქ შეხედნენ ისინი ერთმანეთს.

ნ. ბარათაშვილის სევდა—„კაემნიანი პოეზია მისი ეპოქის „უშინაარსობამ და ამოუბამ“ წარმოშვა. სულიერი მარტოობით გაწამებული პოეტი წერდა:

ნუ ვინ იტყვის თბობისა ვაგებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას.
საბრალო მხოლოდ სული თბობის:
მნელა მპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი“

გ. ტაბიძის სულიერი მარტოობაც „ცხოვრების არაარსობის“ ვანცდის საფუძველზე აღმოცენდა. მეგობრებსა და თანამგრძნობებს მოკლებული პოეტი წერდა:

რა წამებაა, როცა იმედოა
ნაცვლად ვულს კმუნა გარემოცავს...
როცა მეგობართ გუნდი გეცდება,
როს თანამგრძნობი არავინა გეავს...
როცა არა ხარ მოხეცებული
და შინე გრძნობ, რომ არავის ელი,
როცა მეგობართ გუნდი გეცდება,
და უცხო არის შენთვის სოფელი.

გ. ტაბიძის პოეზიაში მკვეთრად გამოიხატა მარტოობის, სულიერი მიუსაფრობის განწყობილება. ნ. ბარათაშვილის პოეზია რეაქციის პერიოდის გალაქტიონ ტაბიძის სევდიან განწყობილებას ყველაზე ახლო ეხმარებოდა. გ. ტაბიძის პოეზიაში ნ. ბარათაშვილის „პკუთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“ პოეტური სული გოდებდა. გალაქტიონ ტაბიძე წერდა:

მარტოდ—მარტო ვარ... ვისაც უცნობა
ვდქმის ციურ ხატებათ ქაჯუღუღელ...
ვისაც სიურძითვე მღეი უხვევს...
ყველა მოძილდა, ყველა წავიდა.

მარტოობისაგან გულდათუთქული პოეტი ეკითხება თბობად შთენილ თავს:

საით მივეყარ ჩემს მოწყენილ გზას.
სად ვპოვებ შევას მიუთავარი?

როგორ გავგონებს ეს ძლიერი პოეტური ადგილები ნ. ბარათაშვილის წერილს მაიკო ორბელიანისადმი მიწერილს. ბარათაშვილი თავია მეგობარს წერდა: „შენ იცი დიდხანსი თბობი ვარ... ვინც მაღალი გმობის მექანი მეგონა, იგი ვნახე უგულო... ვისიც ცრემლი მეგონებოდნენ ცრემლი სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი ცბიერისა, წვეთი საშინელი საწაშლავისა! სად განისვენოს სულმა? სად მიიდრიკო თავი?“

ნ. ბარათაშვილს „იდუმალი ხმა“ ჩასტერჩულებდა:

ეძივ, უშო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპონო შენი საშენი.

მაგრამ მთელმა ამ ძიებამ უიმედობითა და სევდით აავსო პოეტის გრძნობა:

მაგრამ მე მხვედრსა ვერ ვპოვებ,
და შით კაემანს ვერა ვიშორებ.

წერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი. ასევე გ. ტაბიძეს „იდუმალი გრძნობა“ უქარანახებდა:

დამშვიდო გულს შევიყვარდება
ვინც ამ კვეყნად... დამშვიდო, გულს
წავა დღეები უსიბრულო,
ისევ იღსდგება გამქრალი შევა,
ჩემო ოცნებავ და სიყვარულო?

მაგრამ პოეტის სურვილი „აუხდენგლ“ ოცნებად დარჩა.

ასეთივე განწყობილება ეუფლება

გაქრა ზაფხული... წაიდა ის დღე,
როს მეორე დღეს შევბით ვხვდებოდი,
მე ვვაილება მესიზრებოდა,
ვხლა კი ბნელი შემოდგომის დღე
ვერ განაბლბს მზის ეღვა—ციციმს...
ღასკენა ვვაიღლა ნარნარი გროვა...

გული სწებს და სწებს...
გარეთ წვიმს და წვიმს

ასეთი განწყობილება ეუფლება სევდით, უიმედობით, მარტოობით „შთენილ“ პოეტს.

ორივე პოეტი თავიანთი „ბედის კარებთან“ დგანან სევდით მოცული ფიქრებით, დიდი შინაგანი განცილითა და ტრაგიზმით ერთსაც უცდია და მეორესაც გადაელაზა ეს „ბედის საზღვარი“ ნ. ბარათაშვილის სურვილია ამოიცნოს სამყაროს საიდუმლოება, გაარკვიოს ქვეყნიური ყოფის მიზანი, გაიგოს და მისწვდეს ჩვეულებრივ ადამიანისათვის მოუწვდომელსა და ამოუცნობს. პოეტი „საიდუმლოების პასუხს“ ზეცაში ეძებს:

მე შენსა მჭვრეტელს ვაფუძნებ
საწუთროება.
გულსოქმა ჩემი შენს იქითა
ეძებს საღვურს?
ზენარით სამყოფს, რომ დაშითს აქ
ამაოება.

პოეტი მწვავედ განიცდის ადამიანის გონების განსაზღვრულობით გამოწვეულ სევდას:

მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოვდავნი
განგებას ციურს*.

ასევე აწვალბდა ეს ზოგადი კითხვები ცხოვრებისაგან გულმოკლულ პოეტს, გალაქტიონ ტაბიძეს და ასევე ზეცაში დაეძბდა ამ კითხვის პასუხს:

ხშირად გოცნებობ და შევეცერი ცას
ვეძებ უხილავს, ვუცდი ვილაყს.
მე ვმღერა მაშინ და მითრთოლვარე ხვას
სევდლი ეუროთებ ჩამქრალ გულის თქმას.

ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის რომანტიული ოცნება (სტეფანეშვილი) ლით ამქვდავებენ მათ მისწრაფებებს ყოველივე სამარადისო, უჩვეულო აბსოლუტისადმი და მსგავსსვე გადაწყვეტილებას იღებენ.

არსებული სინამდვილით უქმაცოფილო პოეტები, სევდითა და ტძუნვით შეპყრობილი რომანტიკოსები მიმართავენ ბუნებას როგორც სულიერი ტკივილების გაყუჩების საშუალებას. რომანტიკოსებისათვის ბუნება ცოცხალი არსებაა, ადამიანის სევდისა და უქმაცოფილების ნამდვილი მოზიარე. ბუნებასთან აბამენ ისინი იღუშალ კავშირს, მას ანღობენ სევდას და წუხილს.

ბუნების აღწერას და ლირიკული პეიზაჟების გაღმოცემას განსაკუთრებული ყურადღება რომანტიზმმა მიაქცია. ქართულ მწერლობაში; რომანტიზმმა დააყენა ბუნების საკუთარი განწყობილების ფონად გამოყენების ამოცანა პირველად და მასვე გადაჭრა ეს ჩინებულად. მაგრამ ბარათაშვილი აქაც გამოირჩევა. ბარათაშვილმა ქართველი რომანტიკოსების ეს მხარე გააღრმავა და მას ერთგვარი განზოგადოება მისცა. ბარათაშვილმა ბუნებასთან შეზიარების თავისებური ფილოსოფიური დასაბუთება მოგვცა. ბარათაშვილი ბუნებას უბრალოდ კი არ აღწერს, არამედ მასში საკუთარი სულის ტკივილების მოზიარეს ზედავს. იგი ბუნებას განიცდის როგორც ცოცხალ მეობას, პოეტის სულის თანაზიარს და მეგობარს:

მთათ ცხოველო, ხან მეინარო,
ხან ცრემლიანო.
ვინ მოგვიბოლს, რომელ მუისვე
თვისთა ფიქრთ შეება
არა იპოვნოს და არ დაჰხნას
გულსა ვება,
გულ-დაბურულთა მეგობარო,
მთავ ღრუბლიანო.

აქ მთელი ბუნება მეტყველებს. პოეტს ესმის საიდუმლო ენა ბუნებისა. იგი ბუნებას „შესთხოვს“ დახსნას გულსა ვაება“ და, მოუღბინოს შეგობარს. ბარათაშვილი ბუნებაში პოულობს საკუთარი სულის მდგომარეობის ანალოგიას:

„გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცბული? მას ჰგავდა მთვარე, ნახად მოვარე დისკო გადახრით შუქმიბნედილი?“

ბუნების ანალოგიური აღწერა და გაგება გვაქვს ვალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაშიც. გ. ტაბიძის ბუნება ბარათაშვილის ბუნების მსგავსად ცოცხალი არსებაა, ადამიანის ჭირისა და მწუხარების მოზიარე. „ცხოვრების ზეირთთა დაუცხრომელი ტრიალის შემდეგ“ პოეტი ბუნებას მიმართავს მუდარით:

ბუნება ტბილო ვერიდები ჩემს ანაირ ზვედრს
შენ შეითვისე და შეიტკბე მწუხარე შვილი.
უთხარი ნანა, როგორც დედა ეტყვის თავის შვილს
და მოსვენე შენს გულმკერდზე ღონემიბდილი.
რომ მარტობის დამთურგვენელ და დამლუხველ ემიად
ჩემს სულს იღუპალ და შეუმჩნევე სიამეს გვირდებ.
განსაცდელშია დამსხვრეველი და ცივი სული
მიუღაღრსე ავადმყოფ გულს და დაამშვიდე.

ასე შემოსა ცოცხალი განცდებითა და გრძნობით ბუნება ტაბიძემ. გ. ტაბიძე აქ პირდაპირი მემკვიდრეა ბარათაშვილისა.

ვალაქტიონ ტაბიძემ ბუნების რომანტიულ გაგებას ახალი შტრიხიც შემატა. გ. ტაბიძის „შემოდგომის მოტივები“ ქართულ ლიტერატურაში, ამ მხრივ რომანტიზმის გამდიდრებას წარმოადგენს. ბუნებაში ტაბიძე მისი სევდიანი სულის თანატოლს დაეძებ-

და და ასეთი „ტოლი ობოლი სულისა“ შემოდგომის ბუნებაში მისი შემოდგომის დრო სულის სიმშრელისა და საშუალებად იქცა და ეს ნაჭიერი მიგნება იყო „დამკნარი ფიქრთა“ პოეტისათვის, ქართველი რომანტიკოსების ქვეყანაში ეს ერთგვარი აღმოჩენაც იყო. შემოდგომის დრო, გაძარცვული ბუნება, ყვითელი და დამკნარი ფოთლების ცვენა აგონებს პოეტს თავის „გაუშლელ სიყმაწვილეს“, ნადრეველ დამკნარ ოცნებას; ობოლი ფოთლები, შემოდგომის დღე, „ღღე ნაღვლიანი“ კი—სევდის „იდუმალ გრძნობით აღვსილ ცხოვრებას“. მაგრამ ეს ანალოგიაც, ეს მსგავსებაც წუთიერი და წარმავალი. პოეტის ბედი უფრო უნუგეშოა, ვიდრე ბუნებისა:

შემოდგომის ველურ ქანგში
ტყევა ფოთლი:
ყმაწვილი გულიც უნუგეშო
ფიქრებით დნება
მაგრამ სხვა ფოთლს აამწვანებს
კვლავ გაზაფხულდ
და სიყმაწვილე კი არას დროს
არ დაბრუნდება!...

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ინტიმურ გრძნობის ლირიკას. ბარათაშვილის პოეზიის უმშვენიერესი სამკაულნი სიყვარულის გრძნობით არიან შთაგონებულნი. ამ მხრივ პირადმა რომანტიულმა ისტორიამ, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, გადამწყვეტი გავლენა იქონია ბარათაშვილის პოეზიაზე. სიყვარულის თემაზეა შექმნილი ბარათაშვილის ისეთი ლექსები, როგორიცაა „ჩემს ვარსკვლავს“, „ქაქავაძის ასულ ეკატერინეს“, „ნ... ფორტოფიამოზე მომღერალი“, „საყურე“ „ჩემს მეგობარს“, „არ უკიცი-ნო სატრფოო“ და სხვ.

ასევე ვალაქტიონ ტაბიძის ლირიკაში სიყვარულისა და ქალის თემას ვანსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გ.

ტაბიძის უშესანიშნავესი ლექსები ამ თემაზეა შექმნილი. სიყვარულმა ფანტასტიკური ალით გაანათა პოეტის გული, შემდეგ გაქრა და სევდით აავსო მისი გრძნობა. პოეტმა ბოლომდე შეპოინახა სიყვარულის პირველი ალით გამოწვეული სევდა და კაეშანი. გალაქტიონ ტაბიძის საუკეთესო ლექსები: „მერი“, „თოვლი“, „მერის თვალები“, „დიდხანია“, „სანამ შორს იყავ“, „სინანული“, „მომაკვდავი“, „ვეწვევი სიყვარულს“, „უსიყვარულოდ“, „ჩვენება“ და სხვ. ამ თემაზეა დაწერილი. ბარათაშვილსა და ტაბიძეს შორის ერთგვარი ნათესაობა არსებობს ამ მხრივ. მათ მწვავედ განიცადეს სიყვარულით გამოწვეული გაწუხება ბედისა და თავისებურად გადმოსცეს შემდეგ ეს განწყობილება. აქაც საეულისხმო პარალელია.

ნ. ბარათაშვილისათვის სიყვარულის განცდა როდია; იგი რაღაც უფრო ღრმა გრძნობაა.

თვით უკვდავმა მშენიერსა
სულში მღვთობებს
მას ვერც შემოხვევა და ვერც ხანი
ვერ დააბერებს.

დაახლოებით ამავე აზრისაა გალაქტიონ ტაბიძე სიყვარულის უკვდავების შესახებ

არ შევრა სული რა ვაფანტოს,
შენზე ლტევებით აღმონადენი
ის თვით სიკვდილის შესდეგაც მაინც
სამარადისოდ შენია, შენია.

გალაქტიონ ტაბიძემ იცის, რომ:

არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება;
თვით უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.

ნ. ბარათაშვილსა და გ. ტაბიძეში სიყვარულის განცდას მწვავე კოლიზიები თან სდევდა. იგი სევდასა და გულის დარღს შეყრის პოეტებს, მწარედ ათქმევინებს ერთსაც და მეორესაც:

ნ. ბარათაშვილი:
ვერსად აღვანთე დაშთიფრენულნი
კვალად ტაძარის? გიგლინირთქან
ვერსად აღვანთე დაშთიფრენილი
მისა ლამპარო
ესრეთ დაბინშო ეკულმარაბა
ნუგუშის კართ
და დავალ თბლად, ისევ მწირი,
მიუსაფარი“;

გ. ტაბიძე:
მაშინ მე ვიტყვი, რომ მოკვდა გული,
რომ სიზმარებით გაქრა ყოველი,
რომ ჩემს წარსულში არ ვეძებ ახალს.
და სიყვარულშიც ხსნას არ მოველი“.

ან:

რას ვეძებ ნეტა ამ ხეტიალში?
ბედნიერებას? ოპ, არა, არა!
სიყვარულს?—განა ამ სიყვარულმა
მე ოცნება არ დაისამარა?

გ. ტაბიძე ბარათაშვილს სიყვარულის გაგებაში ყველაზე უფრო ენათესაება ლექსით—„ჩემი ვარსკვლავი, სატრფოო“. ეს ლექსი ეხმაურება ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „ჩემი ვარსკვლავი“ და „არ უკეციხო სატრფოო“. აქ არის შეხვედრა გ. ტაბიძისა ბარათაშვილთან ძირითადი იდეურ და პოეტურ მომენტებშიაც. ნ. ბარათაშვილი ლექსში—„ჩემი ვარსკვლავი“ — სიყვარულს გვიჩატავს როგორც „სულის ნათელს“, „ცხოვრების ძალას“:

რა საბოთაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც ვიცნობ, მშვენიერო ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულსა,
მოღბინება დაბინდელის გულსა!

იგივე აზრი მეორე ლექსში ასეა გამოთქმული:

მაგრამა მშვენიერება გაქვს,
ცისიერო, უჩრწუნლო,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი
ვერ დაშლევან კაცთა სახელო“.

გ. ტაბიძის ლექსში „ჩემი ვარსკვლავი“... ეს აზრი ასეა გადმოცემული:



და მე, შენს შვილს, იმ ძალშია
 შარად ვის ვიბედნიერო,
 სადაც შენა ხარ, ციერო.
 იმ ძალშია შხოლოდ ვიციცხოლო,
 და რაც კი ქვეყანად ამ ჩემს თვალს
 უეცრად მოეჩვენების,
 მართოდენ ანარეკლია
 შავ ღვთაებრივი შეგნების”.

გარდით და გვირილით
 ვფინება ვარსკვლავების, **მარკინეშვილი**
 ერთობა შხიარული **გიგლიშვილი**
 ბარათაშვილს ამ უყვარდა
 ობლად სიარული!

ასე მსგავს ალექსანდრე ალიბეკოვი ტაბიძისა და ბარათაშვილის მღვლეზარე განცდები, სიყვარულის ინტიმური გრძნობით გამოწვეული.

ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის შედეგში „შემოღამება მთაწმინდაზე“ — სალამოს ბინდის, მთაწმინდის პეიზაჟის ფონზე მთვარე ასეა აღწერილი:

სღუმდა ყოველი მუნ არემარე.
 ბინდი გდევრა ცისა კამარას.
 მოსდევს მთვარეს, ვითა მიჯნერი.
 ვარსკვლავი მართო მისა ამარას!
 ვანახაუთ სულღ, ჯერეთ უმანყო.
 მხტრვალე ლოცვით მიქანებულო!
 მას ჰავედა მთვარე, ნახად მოვარე,
 დისყო ვადახრით შექმინებდიღო.

გალაქტიონ ტაბიძესაც სალამოს ბინდისას, მთაწმინდის პეიზაჟის ფონზე, ასე აქვს წარმოდგენილი მთვარე:

ჯერ არასდროს არ შობილა.
 მთვარე ასე წყნარი,
 მღუმარებით შემოსილი
 შეღამების ქნარი
 ქოლოვით იწვევს ცისფერ ლანდებს
 და ხეებში აქსოვს...
 ასე ჩემი, ასე ნახი
 ჯერ ცა შე არ მახსოვს.
 მთვარე თითქო ზამზახია
 შექთა მკრთალი მძივით
 და მის შუქში ვახვეული
 მსუბუქ სიზმარივით
 მოჩანს მტკვარი და მეტეხი
 თეთრად მოვლვარე,
 ოპ, არასდროს არ შობილა
 ასე ნახი მთვარე!
 ამ ჩემს ახლო მოხუცის ლანდს
 სძინავს მეფერ ძილით,
 ამ მწუხარე სასაფლავის

ნათელია, რომ გალაქტიონ ტაბიძის ეს ლექსი გამოწვეული ნიკოლოზ ბარათაშვილის ზემომოტანილი ლექსით. ბარათაშვილის ლექსს მიუხედავად ერთგვარი ბიძგი, შთაუგონებია იგი. ამ საკვლისხმობა ერთი მომენტიც — „მთაწმინდის მთვარეში“, 1919 წლის გამოცემაში, — სტრიქონი „ბარათაშვილს ამ უყვარდა ობლად სიარული“ ასე იკითხება: „დაწყველილ ყრმას ამ უყვარდა ობლად სიარული“. მიუხედავად იმისა, რომ გალაქტიონ ტაბიძის ეს ლექსი უშუალოდ გამოძახილია ბარათაშვილის აღნიშნული ლექსისა, ამ მაინც მიბაძვასთან საქმე არა გვაქვს. გალაქტიონ ტაბიძის ეს ლექსი ორიგინალური და ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისა. ამ ლექსით შორეულად გამოგზამურა ტაბიძე სახელოვან წინაპარს, რომელთანაც მას საერთო პოეტური განწყობილება აკავშირებდა. ისე, რომ მთაწმინდა — „ეს ფანტასტიკური ქვეყანა ქართული პოეზიისა“ — ახალი პოეტური ალით გაანათა ტაბიძემ. და ეს ლექსი მიემართა ქართული პოეზიის კლასიკურ შედეგებს: ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ და აკაკის „განთიადღს“.

აგილოთ მეორე შემთხვევა, სადაც უფრო აშკარაა ეს პარალელი. ნ. ბარათაშვილი, ცხოვრების ამაოებისაგან გულმოკლული, აღამიანური ტრაგედიის მღვლეზარე განცდებით დატვირთული ასე მიმართავს ბოროტ სულს:

სულღ ბოროტო, ვინ მოგიხმო
 ჩემად წინამძღვრად,
 ჩემის გონების და სიციცხლის
 შენ აღმამყოფორად,



მარქვი, რა უყავ, სად წარიიღე
სულს მშვიდობა,
რისთვის მომიკალ უმაწვილს ბრმა
სარწმუნოება?

წუთისოფლის გაუტანლობა და,
სულიერი ობლობა მსგავსივე განწყო-
ბილებით გამოხატა ტაბიძემ:

დროი წყველო, სად წარიიღე
ჩემი ფიქრები,
დროი ბოროტო სად დამარბე
ოცნება წუნარი?
მარქვი, ოპ, გველო, რად დაგპირდა,
რომ მოვეწამლა
ყვაილოვანი სიყმაწვილე
და ჩემი ქნარი? (ეღუგია).

ან კიდევ:

- ნ. ბარათაშვილი:
მარქვი, რა იქნენ საკვირველნი
ესე აღთქმანი,
რად მომიბიბლე, აღმირი,
წრფელნი ზრახვანი!
სად ხარ, აღშშეთოთ, მიბასუხე,
ნუ იმალები,
რატომ გაეუღდა ძალი შენი მოჯადოება?
- გ. ტაბიძე:
ოპ, რად მომექცა ასე უღვალოდ
მე ჩემი ბედო,
რად დამიხსურია სიყმაწვილის
წრფელი სიამე...

აქ არამარტო გარკვეულ განწყობი-
ლებებსა და განცდებშია გამოხატუ-
ლი შეხვედრები, არამედ თვით ფრა-
ზეზშიაც კი. მსგავსი პოეტური ინვენ-
ტარითა და განწყობილებით ეხმაუ-
რება გ. ტაბიძე ნ. ბარათაშვილს. ასე-
თი პარალელების შემთხვევები კიდევ
შეგვეძლო მოგვეყვანა... ხშირად ეს
გამოხმაურება არა უშუალო შთაგო-
ნებითია, არამედ შორეული გამოძახი-
ლია. გალაქტიონ ტაბიძის შესანიშნავი
ლექსი „მე და ღამე“ ბარათაშვილის
პოეზიასთან უშუალო პროტოტიპს არ
პოულობს და აქ არც საერთო პარა-
ლელზე შეიძლება ლაბარაკი. მაგრამ
კინც ბარათაშვილის პოეზიას კარგად

იცნობს, არ შეიძლება არ დავეთხნ-
მოს, რომ გალაქტიონ ტაბიძის
ნულ ლექსში ბარათაშვილის მსგავსი
საერთო სული ჰქრის. მაგრამ ისე
ორიგინალურად ისე დამოუკიდებ-
ლად, რომ აქ უშუალო გავლენაზე
მსჯელობა შეუძლებელი ხდება. ეს
გარემოება ერთხელ კიდევ ადასტუ-
რებს, თუ რამდენად დამოუკიდებელი
და ორიგინალური გზით გადატყდა
ტაბიძის შემოქმედებაში ბარათაშვი-
ლის პოეზიის საერთო განწყობილება.
სწორედ ამაშია ის საიდუმლო—ძაფი,
რომლითაც გ. ტაბიძე უკავშირდება
ბარათაშვილს.

გალაქტიონ ტაბიძე სამწერლო ასპა-
რეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც
ევროპულ და რუსულ ლიტერატურა-
ში უკვე დამკვიდრებული იყო სიმბო-
ლიზმი. გ. ტაბიძე იცნობდა ამ ლიტე-
რატურულ მოძრაობას. სიმბოლიზმი
ნატურალიზმის წინააღმდეგ რეაქცია
იყო ისე, როგორც რომანტიზმი — თა-
ვის დროზე ფსევდო-კლასიციზმის წი-
ნააღმდეგ იყო მიმართული. სიმბო-
ლიზმმა, როგორც ცნობილია, რომან-
ტიზმის სკოლის პრინციპები გაიზიარა,
ბევრ შემთხვევაში გ. ტაბიძის
პოეტურმა განწყობილებამ რომან-
ტიზმის სტილში ჰპოვა განსახიერება
(გ. ტაბიძის პირველი წიგნი). შემდეგ
იგი ამ გზით სიმბოლიზმამდე მივიდა
პოეტური სიჭაბუკის დროს (მეორე
წიგნი). ამ გარემოებას ზელს უწყობ-
და რეაქციისა და მსოფლიო ომის ეპო-
ქის სულიერი განწყობილებაც. ქარ-
თული რომანტიზმისა და სიმბოლიზ-
მის შემაერთებელი ხაზი გახდა ტაბი-
ძის პოეზია. ამიტომ თვით, განწყო-
ბილებით, ამღერების მანერით გ. ტა-
ბიძე თუ ერთი კუთხით რომანტიზმს,
კერძოდ ბარათაშვილს უკავშირდობო-
და, მეორეს მხრით სიმბოლიზმის
სტილში პოულობდა თავის თავს. და
როდესაც ბარათაშვილს ვაღარებთ
მას, ეს გარემოება არ უნდა იქნეს და-

ვიწყებული. ეს გარემოება არ უნდა იქნეს დავიწყებული მაშინაც, როდესაც ჩვენ პარალელებს ვაღვლებთ ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის ცალკეულ ლექსებს შორის.

ბარათაშვილის ლირიკის ძირითადი ლეიტმოტივი მაინც განსხვავდება ტაბიძის ლირიკის ძირითად ლეიტმოტივისაგან, ისე როგორც ბარათაშვილის ეპოქის ხასიათი და ინტერესები განსხვავდება ტაბიძის ეპოქისაგან, ან სიმბოლიზში რომანტიზმისაგან. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა შემოთმობიანი ლექსების პარალელებში გვეგულისხმა ეს გარემოება. და მართლაც, როდესაც ბარათაშვილის ლექსს „მერანს“, „შემოღამება მთაწმინდაზე“ და სხვას ვაღვრებთ გ. ტაბიძის „ლურჯა ცხენებს“, „მთაწმინდის მთვარეს“, პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენ აქედან ვღებულობთ, ესაა გ. ტაბიძის აღნიშნული ლექსების ქარბი პესიმიზმი.

„მერანის“ ავტორმა ცხოვრებისაგან გაცილებით სურვილი კვლავ უკეთეს ცხოვრებასთან დაბრუნების მიზანში ჰპოვა:

ცუდათ ხომ მაინც არ ჩივლის
ეს განწირული სულისკეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დაჩაბება,
რომ ჩემს შემდგომად მორბედსა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
თვისი ბედის წინ გამოუქროლდეს.

ასეთივე დასკვნა აქვს ნ. ბარათაშვილის მეორე ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“:

მწუხრი გულსა — სევდა გულსა
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის გაანათებს.

სულ სხვანაირად წყდება ეს საკითხი ტაბიძის ლექსებში. აი ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ ერთი ანტილი:

სძინავთ ბნელ ზეფლებში
გამოტყნობ ქიშკრებს სარკინისა
შოლოდ შექთა კამაქმბლნი მთქან
ვერაფერმა დეფარა:
შჰრალ რიცხვების ამა
უღაბნოში დღეღება!
შეშლილი საბეების
ჩონჩხიანი ტყეებით
უხალღველო დღეები
ჩნდება და ქვესკნულდება.
შოლოდ ნისლის თარეშში,
სამუდამო მხარეში,
ზეით თუ სამარეში,
წვევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ზეტიალი,
როგორც ბედის ტრიალი
ჩქარი გრავინა-გრაილით
ქრთან ლურჯა ცხენები.

ასეთ მისტიურ-მელანქოლიურ სამოსელშია შავი ბედის საკითხის ძიება გახვეული გ. ტაბიძის შემოქმედებაში ან კიდევ:

სიკვდილის გზა არა-რავა
ვარდისფერ გზის ვარდა,
რომ ამ გზაზე ზღაპარია
მგოსანთ სითამაშე,
რომ არას დროს არ ყოფილა
ასე ჩემი დამე,
რომ, არადილო, მე თქვენს ახლო
სიკვდილს ვეგებები.

(„მთაწმინდის მთვარე“).

ასე შეცვლილია გ. ტაბიძის უსასოო მელანქოლიით ბარათაშვილის „მერანის“ მზორგავი და მებრძოლი სული. მაგრამ ჩვენ აქ უკვე გ. ტაბიძის პოეზიის მეორე მხარეს ვეხებით, რომელიც სიმბოლიზმთან არის დაკავშირებული და ეს ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

საერთოდ კი ტაბიძის შემოქმედების პირველ პერიოდშიც გვხვდებამოტივისტური მოტივები. მას ხშირად ეწვევა ცხოვრების სიყვარულის ძალა, რომელიც სევდიან პოეტს ბურუსიდან გამოიყვანს:

სიმღერა, უხვე დაღლილთ,
აქვენე ცეცხლში ნაწრთობა გული,
და, ისმენდენ ჰანგს დაუტრომელს,
და, იცოდნენ, რომ ყოფნის მგობელს,
მათამი კიდევ აქვს სიყვარული“.



მაგრამ ესეც ცალკე საკითხია. ამჟამად ჩვენ ბარათაშვილისა და ტაბიძის მსგავს განწყობილებათა გამოჩნატველ ლექსებში ერთგვარი პარალელური შეხვედრების მომენტი გვაინტერესებდა. და როგორც ვნახეთ ტაბიძის ბარათაშვილთან ეს ნათესაობა მრავალი გზით არის გამოხატული: გ. ტაბიძის პოეტური განწყობილება სათავეს ნ. ბარათაშვილის ლირიკიდან იღობს. გ. ტაბიძის მეღანჭოლიური განწყობილება ბარათაშვილის სევედიანმა სიმღერამ გამოაღვიძა. ამ გარემოებაზე თვით გ. ტაბიძემ მიუთითა:

ღურჯი ბერძით ინტყვობდა
 ხშირი ტყე-ველი
 და მუდროება იყო არგვლივ
 დატროვეელი.
 ამ ღრის მომენმა სევედიან
 სიმღერა გზაზე,
 ეს ხომ მხედარი ოცნებობდა
 სხვა ქვეყანაზე.
 ვადათარა ზემს თვალთაწინ
 და შიშილა,
 სამარადემოდ გაურკვევე
 აღმძრა ძალა

სხვა ქვეყანაზე მეოცნებე მხედარი ხომ ბარათაშვილია, რომელმაც პოეტს აღუძრა ძალა. ამ პატარა ფაქტში მთელი სისრულით მხილდება ის დიდი ინტერესი და სულიერი ნათესაობა, რომელიც გ. ტაბიძის ბარათაშვილის პოეზიასთან აკავშირებდა.

პოეტური, ფორმალური მხრითაც არის მნიშვნელოვანი ანალოგია ტაბიძისა ბარათაშვილთან. თოთხდ აქ საჭიროა ერთგვარი ისტორიული პერსპექტივა დაიკვეთოს. ბარათაშვილის პოეზიის ფორმალურ მიღწევას როდი შეიძლება დღევანდელი პოეტური ფორმის დონე პირდაპირ შევადაროთ. ბარათაშვილის შემდეგ ქართული ლექსის ფორმალური მიღწევანი გუნუზომლად გამდიდრდა. როგორია

ბარათაშვილის ლექსების ფორმა, რა ახალი ფორმალური შექმნის შეტანა მან ქართულ ლექსში? ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურაში ორგვარი შეხედულება არსებობს: პირველთა აზრით, ბარათაშვილი ტრადიციულ ფორმებს არ გაცილებია, მეორეთა აზრით, ბარათაშვილი ქართული ლექსის ნოვატორია, ახალი ქართული ლექსის სათავე. ჩვენ უფრო მართებულად მეორე მოსაზრება მიგვაჩნია. ნ. ბარათაშვილი ქართულ პოეზიაში მაშინ მოვიდა, როდესაც ანტონ კათალიკოსის სკოლის ტრადიციული რუტინა ბაჟონობდა. ბარათაშვილიც არ გადაურჩა ამ ნორმატიკის გავლენას. მაგრამ ბარათაშვილის პოეტურმა გენიამ ასევე პირველად გაარღვია ეს რუტინა. მან ქართული ლექსი გამოიყვანა ვიწრო რკალიდან და გაანთავისუფლა. იგი მოხამბაზურ-აშუაოთრ პოეტიკის ნორმატიკიდან. „ამასთან ბარათაშვილმა სრულიად ახალი იღერა მისცა თვით ქართული ლექსის ინსტრუმენტსაც, ახალ ხმაზე ააწყო იგი, ქართული ლექსის რიკში ახალი მღელვარებით ააქსო“. (პ. ინგოროყა).

ნ. ბარათაშვილის იპოპის პოეზიას, უნიპო მიმბაქველობის მთილი წყაბათა წყაბლობით, ცროკოსანიკიზმის იერი-ვათარავდა. (ამ შემთხვევაში ააშონაკლისი იყო გრიგოლ ორბელიანი). მძიმე სტილი, ხელოვნური ლექსთა წყობა. შკამპიანი ლექსიკონი, ერთთაროვანი რითმიები... ამავარ თორმაშო წარმოთავანიო აზრს თაიარაოთი ჰქონთა სიკოცხოო, გამოსახობის სიმართლე. ბარათაშვილმა პირველმა დაარღვია ეს სქოლასტიკური სტილი მწარლობისა და გაუკათა მას განვითარების ახალი გზა.

გ. ტაბიძის დამსახურება უახლოეს ქართულ მწიკრობაში პოეტური თორმის გადახალოსიპის საქმეში აუნუზომლად იღვია. მან მისცა არა მარ-

ტო ახალი ელერა ქართულ ლექსს, არამედ პირველად შემოიღო ახალი ფორმები, გაამდიდრა ქართული სიტყვა ახალი გამოხატულების მხრივ. ახლებურად ააწყო ლექსის რითმი და რიტმი. ლექსის ფორმას დიდი განახლება და რეფორმა მოუპოვა. ამ მხრივაც პოეზიას იგი ანალოგიას დიდი ქართველი პოეტის ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ნ. ბარათაშვილის ლექსს უდიდეს ძალას აძლევს მისი ემოციონალური მხარე. პოეტს მღელვარე განწყობილება, უპირველესად ყოვლისა, გამოცემულია ლექსის ბოლოქარ რიტმში. ბარათაშვილის მებრძოლი და პროტესტანტული სული ლექსის უაღრესად ორიგინალურ რითმში პოეზიას და სრულ განხორციელებას. საქმარისა აქ დაეასახლოთ მისი ცნობილი ლექსები „მერანი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“. რიტმზე დამყარებული ემოციონალობა ლექსისა ნ. ბარათაშვილის მიერ ასე ორიგინალურად დანერგული ქართულ ლიტერატურაში, გამოიყენა და თავისებური სახე მისცა გ. ტაბიძემ. პოეტური ლექსიკონის სიახლის ძიებით, ლექსის რიტმითა და მრავალფეროვანი ორიგინალური რითმებით გ. ტაბიძე საგანგებოდ გამოიჩინა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში. გ. ტაბიძის ლექსს ახასიათებს ძლიერი გრაცია, მლოღვარე ემოციონალობა და ტემპერამენტი, ამაღლებული ინდივიდუალური შთაბეჭდილება. აქ რიტმი შეფარდებულია ემოციონალობასთან. გ. ტაბიძის მრავალფეროვან პოეტური ფორმის დასახასიათებლად საქმარისა დაეასახლოთ მისი ისეთი ლექსები, როგორცაა „ეს მშობლიური ქარია“, „ატმის ყვავილები“, „თოვლი“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაში ვარდი“ ანუ „სილავეარდე“. გ. ტაბიძემ გაამდიდრა ქართული ლექსი ორიგინალურ

რი მხატვრული ხერხებით. გ. ტაბიძე იყენებს, ერთი მხრივ, ქართულ ლექსის მდიდარ ტრადიციას, მეორეს მხრივ, იგი იცნობს და ორიგინალურად ამუშავებს სიმბოლისტიკის ფორმალურ მიღწევებს, სიმბოლისტიკისა, რომელთაც მთავარი ყურადღება ლექსის ფორმალურ მხარეს მიჰქცევს. გ. ტაბიძის შემოქმედების ეს მხარე სპეციალური კვლევის საგანია და ჩვენ ამჟამად ამაზე არ შევჩერდებით.

ნ. ბარათაშვილი, როგორც პოეტი, შეგნულ ეპოქაში დაიბადა. ამავე ეპოქამ დაასვა მას სევდის მძიმე დალი, ნამდვილად კი ნ. ბარათაშვილი თავისი მაღალი პოეტური სულითა და რწმენით ეკუთვნოდა უკეთეს ხანას, მომავალს. მას სწუხროდ განახლებული და თავისუფალი საქართველოს ხილვა, ამ სურვილს ედგა მისი სევდიანი ფიქრები დარაჯად, მაგრამ იგი ისე მოკვდა სამშობლოსაგან გადახვეწილი, მშობლებისაგან დაუტირებელი, რომ თან წაიღო ეს სევდა საიდუმლოებით მოცული.

გ. ტაბიძეს სულ სხვა ბედი ერგო წილად.

გ. ტაბიძის პოეტური ნიჭი, ბარათაშვილის მსგავსად, ბნელითა და ბურუსით მოცულ ეპოქაში დაიბადა. განვლო დრომ და ეს ნიჭი სრულიად ახალ ქვეყანაში, საბჭოთა ეპოქაში მოხვდა.

გ. ტაბიძე ოცნებობდა:

როგორმე ზამთარს თუ გადაეურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმტოვა...

და ქვეშაირითად აღსრულდა პოეტის ოცნება. გ. ტაბიძე „გადაურჩა“ ცარიტული რუსეთის შეგნულ „ზამთარს“. და ასე დასცილდა პოეტური ბედით ნიჭიერი შემკვიდრე სახელოვან წინაპარს.

სამშობლოს ბედით გამოწვეული მწუხარებისა და სევდის ნაცვლად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, გ. ტაბიძის პოეტურ ქვეყანაში დამკვიდრდა ოპტიმიზმის, პერსპექტივისა და ცხოვრების სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა. გ. ტაბიძემ, ილუზიებისა და ოცნების ნაცვლად, შექმნა ოპტიმისტური იდეებით განწყობილი პატრიოტიზმის აბ-

ლი პოეტური ქვეყანა. მან უთხრა დიდებული სიმღერა გამარჯვებულ სამშობლოს. აღორძინებული და გახანლებული სამშობლო გახდა გ. ტაბიძის ოპტიმისტური პოეზიის უმრეტი წყარო. ამ ახალმა სამშობლომ შეუცვალა კილო მის პოეზიას; ამ ახალმა ეპოქამ წარმოშვა გ. ტაბიძის ხალისიანი და ნათელი ლირიკა.

აკაკი ბანაკელი

მასალები ქართული ჰერსიოიკაშიის კვლევის იღვროიისათვის



1. ქართული კლასიკური ლექსის ისტორიული განვითარების საკითხები დღემდე არ ყოფილა სპეციალური მიმოხილვის საგანი. ლექსწყობის ის სისტემა, რომელიც კრისტალური სახით ჩამოყალიბდა კლასიკურ ხანაში (XI — XII საუკუნე), თავისი წარმოშობით უფრო ადრინდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. მაგრამ ჩვენ ამჟამად არ მოგვეპოვება ისტორიულად დამოწმებული მასალა სრული ევოლუციური სურათის გასათვალისწინებლად. დღემდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლების მიხედვით კი შეიძლება მხოლოდ ერთი ზოგადი დასკვნის გამოტანა: ქართულ სილაბურ-ტონურ ლექსს წინ უძღოდა ხანგრძლივი ტრადიცია ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, რომლის სტრუქტურას განსაზღვრავდა არა მოწესრიგებული ტონიკა, არამედ გალობის კამონები. ქართულს ლექსშიაც მოხდა თანდათანობითი გადასვლა სილაბურ სისტემიდან სილაბურ-ტონურზე. შეორეს მხრივ, ნაწილობრივ დასაშვებია ბერძნული მეტრიკის სუსტი გავლენაც, რადგან ცნობილია, რომ ანტიკურ ლექსწყობაში დაკანონებული გრძელი და მოკლე მარცვლების თანმიმდევრობა და ტერფების კანონზომიერი ცვალებადობა მისაბამ მაგალითად გადაიქცა ყველა ენების მეტრიკაში. ამ ტენდენციამ, უწინარეს ყოვლისა, თავი იჩინა რიტმული ნაკვეთების მწყობრ დალაგებაში—მას უნდა გამოიწვიო ლექსწყობის მეტრულ სისტემაში სავალდებულო თანმიმდევრობის შესაბამისი შთაბეჭდილება. საზოგადოდ სილაბურ-ტონური სისტემა აღმოცენდა ანტიკური მეტრიკის კანონების ნაციონალური ენობრივი თვისებების მქონე ლექსწყობაში გადმონერგვის ნიადაგზე და ეს ფაქტი არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული ქართული ლექსწყობის ისტორიისთვისაც.

რასაკვირველია, ბერძნული მეტრიკის მიხედვით ჩვენი ვერსიოიკაიის ბუნების ახსნა შეუძლებელია და ქვემოთ ამაზე უფრო ვრცლად გვექნება საუბარი. ქართულ კლასიკურ ლექსს საკუთარი ენობრივი თვისებებიდან ახასიათებს, მაგრამ ზოგიერთი მოვლენის ისტორიული თვალსაზრისით ახსნის დროს გარედან მომდინარე მოვლენებისათვის გვერდის აგლა უმართებულო იქნებოდა. არა ნაციონალური ფაქტორების არსებობის დადასტურება შეიძლება კონკრეტული ფაქტებითაც.

ცნობილია, რომ ანტიკურ საზომებს შორის ყველაზე გავრცელებული იყო ჰეგზამეტრი. ბერძნულ ლექსწყობაში ეს საზომი ექვსტერფიან დაქტილს წარმოადგენს, რომლის შიგნით შეიძლება თვითუფლი დაქტილური ტერფის

შეცვლა (გარდა მეხუთე ტერფისა) სპონდეთი და მეექვსე ტერფი უკვე-
 ლად ორმარცვლიანია (სპონდე ან ქორე). განსაკუთრებით ხშირად მხარვეზენ
 ამ მეტრს ევროპული ენების ლექსწყობაში, სადაც აღნიშნული საზომის შიგნით
 დაქტილურ ტერფებს მეტწილად ქორე ენაცვლებოდა. აქედან წარმოსდგა
 გავრცელებული ტიპი „დაქტილურ-ქორეული ჰეგზამეტრისა“, მაგალითად,
 გერმანულ და რუსულ პოეზიაში¹. ეს მოვლენა მეტწილად დაკავშირებული
 იყო ჰომეროსის ეპოსის თარგმანასთან, რომელიც ყოველთვის ამდიდრებდა სხვა
 ერების ლექსწყობას.

გვაქვს თუ არა ანალოგიური შემთხვევა ქართული მეტრიკის ისტორიაში?
 ბ. ინგოროყვამ აღნიშნა, რომ ეფრემ მცირეს თავის „ელინთა მეზღაპრეობა-
 ში“ მოჰყავს ციტატი ჰომეროსიდან ლექსად („მარცულედი სიტვთ“). აი მთლი-
 ანად ეს ადგილი:

„უძიროს გამომეტყუელსა, ენება რამ გამოჩინებამ სიმახვლისა და მკურვა-
 ლებისამ, რომელი აქუნდა დიომიდის ბრძოლათა შინა, იგავით მიმსგავსა იგი
 იროას, და გამოთქუა მისთვის სიტყუაჲ მარცულედი, ვითარმედ:

„ამის ვიპიმე // დგოზამ ცხენისამ // სასმენელ იქმნა // ბაგათა ზედა“².

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი ადგილი პროკოპის მარტივობის ტექსტიდან
 (VI—VII საუკ.):

„და პირველთა მათ ო მ ი რ ო ს ი ს თ ა წარმოიღებდა ს ტ ი ქ ო ნ თ ა
 და თ ქ უ ა:

«არა კეთილ არს // მრავალ უფლებამ, // ერთ უფალ იყავნ // და ერთ
 მეუფე“³.

ძველი ავტორების მიერ თარგმნილ, აქ მოყვანილ, ტაეპებში მოცემულია სი-
 ტყვიერი ჯგუფების ისეთი განაწილება ტაეპის ჩარჩოში, რომ იგი ბერძნული
 საზომისათვის დამახასიათებელ ტერფური თანმიმდევრობის შთაბეჭდილებას
 სტოვებს, თუმცა ნამდვილი ჰეგზამეტრის დაქტილური შედგენილობა და მარც-
 ვლებრივი რაოდენობა დაკული არაა⁴. თარგმნილი სტრიქონები ბერძნული სა-
 ზომის პროტოტიპს კი არ წარმოადგენენ, არამედ ქორე-დაქტილური შედგენი-
 ლობის მეტრებს. მაშასადამე, ქართული სილაბურ-ტონური ლექსის ჩაპოყალი-
 ბების უძველეს სტადიაშიც იმ მოვლენამ იჩინა თავი, რომელიც ბერძნული
 ჰეგზამეტრისადმი მიბაძვას მოჰყვა სხვა ენების სილაბურ-ტონურ სისტემებში.
 განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ფაქტს ნაწილობრივ ჩახრუხაძის
 ოცმარცვლიანი ქორედაქტილური მეტრების გენეზისის ახსნის საკითხებშიაც.
 საკმარისია ეფრემ მცირეს „მარცულედ სიტყეებს“ გაუჩნდეთ რითმა, რომ მი-
 ვიღოთ ე. წ. „ჩახრუხაული“. საერთოდ კი, ჩახრუხაძისა და შავთელის ოდების
 მეტრიკის ახლო გაცნობა ცხადყოფს, რომ მათი აღმოცენება უაღრესად მწიგ-
 ნობრულ ხასიათს ატარებს.

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დღესდღეობით პირველი ნიმუში
 16 მარცვლიანი (ურითმო) „დაბალი შაირისა“, მისთვის დამახასიათებელი
 მეტრული სტრუქტურით, აგრეთვე ჰომეროსის პოემის ერთი ტაეპის ქართ-

¹ В. Жирмунский, Введение в метрику, 1925, стр. 225 — 227.
² პ ა ე ლ ე ინ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, ტფი-
 ლისი, 1938 წ. გვ. 52.
³ ი ქ ე ე.
⁴ პ ა ე ლ ე ინ გ ო რ ო ყ ვ ა, Op cit., 52. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ორავ შემთხვევაში
 „ჰეგზამეტრი თარგმნილია ოცმარცვლილი ლექსით (ითხმუხლოვანი ხუთეულით: 5—5—5—5)“.

ლი თარგმანის სახით გვხვდება. ს. ყაუხჩიშვილმა გამოარკვია, რომ „იროიკოს“ ე. ი. ბერძნულ მეტროკაში გავრცელებულ საგმირო ეპოსს მეტროკა ეფერემ მცირე „სთარგმნის იამბიკონით საღვთისმეტყველო ეპიგრაფების“ გნდმოცემის დროს, ხოლო იმავე „იროიკოს“, არა-საღვთისმეტყველო ძეგლებიდან ამოღებულს, ის სთარგმნის სხვა საზომით¹. ამგვარი „სხვა საზომით“ („საერო“ მეტრით ანუ ოცმარცვლიანი ტაქთით) უთარგმნია მას ის სტრიქონი ჰომეროსის „ილიადადან“, რომელსაც ბ. ინგოროყვამ მიაქცია ყურადღება და ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოდ. ეფრემ მცირეს კიდევ გადმოუღია ჰომეროსის ერთი სტრიქონი, რომელიც ე. წ. „დაბალი შაირის“ სახითაა გამართული და მოყვანილია დიონისე არეოპაგელის თხზულების „საადრეოდ ღმრთისმეტყველებისათვის“ ერთერთი სქოლიო² ქართულ თარგმანში; აი ეს ტაქტიც:

„ბარბით მცემელობს პირშო-შობ ვერ მეცნიერი შობისა“³.

თარგმნილი სტრიქონის გრაფიკული სქემა ასეთი იქნება:

— ს — სს — სს — ს — სს — სს

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირეს მიერ თარგმნილი ტაქტი მართლაც წარმოადგენს „დაბალი შაირის“ ტიპურ ნიმუშს.

რასაკვირველია, მსგავსი მოვლენები არ შეეძლო გამოეწვია ბერძნულიდან სათარგმნელ ძეგლებისადმი მართოდენ ინსტიქტურ დამოკიდებულებას. მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშნა აგრეთვე თეორიულ განათლებასაც სტილისა და მეტრიკის საკითხებში. ჯერ კიდევ ქართულ ჰიმნოგრაფიაში ხმარებული ტერმინოლოგია („ოკტოიხოს“—„რვა ვპა“, „იამბიკო“, „სტიხოს“, „აკროსტიხი“ და თვით ტერმინი „მუკლიც“ სტროფის მნიშვნელობით) მათს ბერძნულ წარმოშობაზე მიუთითებს⁴ და ამხელს ძველი ავტორების განსწავლულობას ამ დარგში. XI—XII საუკუნეში ბერძნულ სამყაროსთან ქართულა აზროვნების მკვიდრო კავშირი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და ეს კავშირი, ბუნებრივია, სტილის თეორიის სფეროშიაც უნდა გამოხატულიყო. კერძოდ გრამატიკული აზროვნების მხრივ ასეთი ურთიერთობა უკვე დადასტურებული ამბავია. პირველ რიგში აღსანიშნავია, მაგალითად, დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეს“ კვალი იოანე პეტრიწონელის „განმარტებაში“. „გრამატიკის ცნების განსაზღვრაში პეტრიწონელი მთლიანად იმეორებს დიონისე თრაკიელს“ და უცვლელად გადმოაქვს აგრეთვე „პოეტური ტროპე-

¹ ს. ი. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსუბობის საკითხები. („ტალანის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, 1946, XXVII ნ. გვ. 71).

² იქვე.

³ ა. კეკელიძე, ქართული ლიტერატ. ისტორია, თბილისი, 1941, ტ. I², 539—55. ქართულ ჰიმნოგრაფიაში გავრცელებული ტერმინოლოგიისა, საგალობელთა მუსიკალური ნიმუშებისა და მათი წარმოთქმის კანონების შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში გაბნეული შენიშვნების შიშობილვა აქამად ჩვენი ექსკურსიის ფარგლებში არ შევადის. საკითხი საეკლესიო იამბიკობისა და სერო პოეზიის ურთიერთობისა ჯერ კიდევ საკვლევი და სპეციოლურ ნაშრომს მოითხოვს. აღვნიშნავთ ოღონდ, რომ ჰიმნოგრაფიული და საერო პოეზიის კანონები ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთსაგან ყველა ენების ლექსუბობაში, რადგან თვით ბერძნულშიც ჰიმნებს მკაცრ მეტრიული წესობა არ გააჩნიათ (იხ. Е. И. Ловягин, О формах греческих песнопений. „Христ. чтение“, СПб, 1876, март-апрель, стр. 441). ამ ჰიმნების გასაღები გვიან აღმოაჩინა კარდინალმა პიტრაჰმ, ხოლო ქართული ჰიმნების მუსიკალური ბუნება ჯერ კიდევ აუხსნელია.



ბისა და პროსოდის“ განმარტებანი ბერძნული ტრაქტატებიდან¹ საყუთრივ მეტრიკის დარგში თუ დღემდე უცნობია სპეციალურ კლასიკურ ეპოქიდან, სამაგიეროდ ჩახრუხადისა და შავთელის მეტრიკაში² რომ ქართველი მეზობტენი თეორიული ცოდნითაც იყვნენ აღჭურვილნი,— იმდენად მკაცრი ფორმალური ნიშნებით ხასიათდება მათი პოეტური ტექნიკა.

უკანასკნელად, ქართული კლასიკური ლექსის, კერძოდ ჩახრუხადის ოდების რითმათა ახსნის თვალსაზრისით საყურადღებოა გიორგი წერეთლის მიერ მიკვლეული მნიშვნელოვანი ფაქტი: არაბი ფილოლოგის, ბასრელი ალ-ჰარირის (გარდ. 1122 წ.) „მაკამების“ (ნოველები) წიგნში გვხვდება შინაგანი რითმებით დაწერილი ორსტრიქონიანი ლექსი, რომლის წყობა სავსებით ანალოგიურია ქართული ჩახრუხადისა. „იდენტიურია ზომა, შინაგანი რითმა, რითმების განაწილება ტერფებში (ცვალებადი რითმა პირველ ნახევარ ხანაში, უცვლელი—მეორე ნახევარი ხანის ბოლოს)“³. ქართული და არაბული ნიმუშების ერთმანეთთან შედარებისა და ზუსტი ანალიზის საფუძველზე გ. წერეთელი ასკვნის: „ამ მავალითზე შეიძლება დაეინახოთ, თუ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ქართული და არაბული ლექსების ზომების შედარებითი შესწავლა როგორც ერთი, ისე მეორე ენის პოეტიკის საკითხებისათვის“⁴.

2. პირველი სისტემატური ცდა ქართული პოეტიკის დარგში ეკუთვნის მამუკა ბარათაშვილს (დაიბ. XVII საუკ. გასულს) და ცნობილია „ქაშნიკის“ სახელწოდებით.

მამუკა ბარათაშვილამდე ქართულ პოეზიას გავლილი ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი გზა, იგი ითვლიდა არა მარტო ერთს გენიოსს და რამდენიმე პირველხარისხოვან ტალანტს, არამედ პერიფერიულ პოეტებსაც. ლიტერატურული ფორმების მკვლევარს ქართული კლასიკური პოეზია უხვ მასალას აწვდიდა მხატვრული გამოსახვის საშუალებებისა და ენარების თავისებური ისტორიის სახით. კერძოდ მამუკა ბარათაშვილის წინაპართაგან, ჯერ კიდევ თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში ვამჩნევთ ლტოლვას ლექსური კულტურის ორიგინალობისადმი: თეიმურაზი მიმართავდა არა მარტო 16 მარცვლიან რუსთველურ შაირს არამედ სხვა საზომებსაც (მაგ., ის შეეცადა აღედგინა ე. წ. „ჩახრუხადული“ შინაგანი რითმებითურთ). მამუკას ეპოქაში კი სხვადასხვა საზომების გამოყენება პოეტურ ოსტატობად ითვლებოდა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ერთი საგულისხმო ფაქტი: ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანმა „ქალიდა და დამანას“ ქართულ თარგმანში სხვადასხვა საზომის მქონე ლექსები შეიტანა. ამით აიხსნება თავის დროზე საბას პოეტური ავტორიტეტი, ამჟამად გაუგებარი ჩვენთვის. ვახტანგ VI მას საუკეთესო ქართველ პოეტთა შორის იხსენიებს. თვითონ მამუკაც ასე ამკობს საბას:

¹ ს. ყაუხჩიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის. 1. დიონისე თრაკელის „ტექნე გრამატიკე“ (იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, განსაკ. გვ. 755 — 757; 1941).

² გიორგი წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის („სტალინის საბუღალბოს თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიების მოხსენებათა კრებული“, № 1, თბილისი, 1947).

³ ამ საკითხს უფრო ვრცლად ვეხებით მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“.

„მუნება, შოთა, ზოგადმან,
საბა მძვილო ძოდებად“¹.

ეროვნული
გმობითი

ამ ბუნდოვან ტაეპში „სიბრძნე-სიცრუისას“ ავტორი რუსთაველთან ერთად დასაბუთებული. როგორც ჩანს, საბას თვალსაზრისით პოეტური რეპუტაცია გამოწვეული იყო მისი უნივერსალიზმით მეტრიკის დარგში: საბამ აღადგინა „ჩახოუდაული“, საზომი, რომელიც შაირის ბატონობამ განდევნა ქართული ლექსიდან, შემოიღო სხვა საზოგადო („რეული“ და სხვ.). ყოველივე ეს საბას აღუედა ძაძუკას შემდეგი პანეგირიკული სტრიქონები დაეწყო მის შესახებ „ქაშნიკში“.

„სულხან-საბა ორბელიანმა ქალილა და მანა გალექსა: თუმცა რუსთაველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არი; იმაში ბევრი ვმა ძოუყვანია“².

ქართულს პოეზიაში საბასათვის ასეთი ადგილის მიჩენის უფლებას მამუკას აღუედა ეპოქის თვალსაზრისით—პოეტი, როლი ფასდებოდა ნოვატორობით ლექსსკობაში. ეს შეხედულება გამოთქმულია მოტანილი აბზაცის ბოლოში: „... ი ძ ა შ ი ბ ე ვ რ ი ვ ძ ა [ე. ი. მეტრი, საზომი] ძო უ ყ ვ ა ნ ი ა ო“.

მამუკა ბარათაშვილის *Ars poetica* წარმოადგენს ქართულ პოეზიაში წარმოშობილი მოვლენების თეორიულ გამოძახილს. დოო იყო უკვე ხმარებული საზომების აღწერისა და კლასიფიკაციისა, ისეთი სახელმძღვანელოს შედგენისა, რომელიც თანამედროვეებს გაურკვევედა ამათუიმ საზომის ბუნებას და დააკანონებდა მისი უმეცდომთ ხმარების წესებს. ანალოგიური განზრახვის ანარეკლი მოიბოვება თვითონ მამუკას მთელ რიგ მითითებებში. მისი „ქაშნიკი“ არის ვერსიფიკაციის სახელმძღვანელო, რომელიც ასწავლის საზომში სიტყვების ერთმანეთთან „შეწყობას“, „მუხლებს“ შეზამებას სტროფში და ა. შ.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში მ. ბარათაშვილის ნაშრომი შეუსწავლელია მეტრიკის თვალსაზრისით. ჩვენი მწერლობის ისტორიკოსები „ქაშნიკში“ ზედადენენ უმთავრესად ნორმატიული პოეტიკის ნიმუშს და იგი მართოდენ იდეოლოგიურის მხრით აინტერესებდათ: ცნობილია, რომ „ქაშნიკის“ ავტორის კლერიკალურმა შეხედულებებმა საგრძნობი გავლენა იქონიეს მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაზე, განსაკუთრებით მის ემიგრანტულ ფრთაზე (მაგ., დავით გურამიშვილზე, რომლის მისტიკური ლაღადისი და ბიბლიური თემებისადმი ინტერესი ნაწილობრივ მამუკას თეორიულ შეხედულებათა საფუძველზეა აღმოცენებული). მაგრამ ქართული მწერლობის ისტორიკოსები მხოლოდ ამ ფაქტის აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ. „ქაშნიკის“ ძირითადი ნაწილი, რომელიც ქართული ლექსწყობის საკითხებს ეხება, დღემდე არ გამხდარა დამოუკიდებელი განხილვის თემად. დაუდგენელი იყო მნიშვნელობა

¹ შტრ. ანტონ პარველი:

„მავრა შაირნი მისნი საქებელობენ

შაირთა ვაქებ . . .

უცხო არს იგი. საქებელ პიტიკა,

რაცა სოფლით გამოსთქვა სულხან საბა“.

(ანტონ I, წყობილიტყუობა. პ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 288) აგრეთვე ითანე ბატონიშვილი: „[საბას] უწოდდენ მესტიხით გვირგვინად“... „ქველთა მოშაირთა შესაღარო“ და ა. შ. (იხ. „ქველი საქართველო“, ტ. I, 1913; ცალკე ამონაბეჭდის გვ. 29).

² ადგილები მოყვანილია „ქაშნიკის“ ავტორგრაფულ ზელნაწერიდან: წ. კ. სან. ზელნაწ. S 1550.



ტერმინებისა, რომელთაც მ. ბარათაშვილი ხმარობს, მეტრული ხასიათი და ბუნება იმ სქემებისა, რომლებიც მის ტრაქტატშია მოყვანილი. არაფერცნობილი თვით შინაარსიც „ჰაშნიკის“ კვლევითი სისტემისა¹.

ყურადღებას იქცევს კოდექსის სათაური:
 „ქ: სწავლა: ლექსის: თქმისა და დასაწყისი: პირველი: წიგნისა: ამის ჰაშნიკისა: პოვნისა: მამუკა ბარათაშვილის: მიერ: ძველთა ნათქვამთაგან:“

სათაური თითქოს მიუთითებს „ჰაშნიკის“ პროტოტიპზე ძველს ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ მამუკამდე ჩვენ არ ვიცნობთ პოეტიკის სახელმძღვანელოს და გამოთქმა—„პოვნისა... ძველთა ნათქვამთაგან“—უნდა ნიშნავდეს ავტორის მიერ მშავალითებისა და ნიმუშების დასახელებას უმთავრესად კლასიკურ პოეზიიდან (ჩახრუხამე, რუსთაველი).

მამუკას სათაურშივე აქვს აღნიშნული, რომ „ჰაშნიკი“ არის „ს წ ა ვ ლ ა ლ ე ქ ს ი ს თ ქ მ ი ს ა“, ე. ი. მოძღვრება ლექსის ტექნიკურ საკითხებზე. მაგრამ როგორ ესმის ავტორს სიტყვა „ლექსი“? გულისხმობს იგი ცალკე ს ი ტ ყ ვ ა ს თუ მთლიანად ქანრს—ლექსს—ღვეანდელი გაგებით?

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-19 საუკუნის 30-იან წლებში „ლექსი“ ზოგჯერ გამოიყენებოდა „ს ი ტ ყ ვ ი ს“ (слово) მნიშვნელობითაც. მ. ბარათაშვილი კი მას ძველი გაგებით ხმარობს. ამ შემთხვევაში „ჰაშნიკის“ ავტორი სავსებით ნათლად წერს:

„ლექსი ორ სტრიქონსაც ჰქვიან და ამბავს ერთად გალექსულს სულ ლექსის წიგნსაც ყველას ლექსი ჰქვიან“.

მოკლედ—ტერმინში „ლექსი“ მამუკა თავის წინაპრებით ქანრის ცნებას გულისხმობდა.

ასევე ნათელი როდია საზომთა ცალკეული ელემენტების ნომენკლატურა „ჰაშნიკში“. სამწუხაროდ, მამუკა ხშირად ბუნდოვანი ენით წერს და ტერმინებსაც ურევს. ასე მაგ. „ტაეპს“ იგი ერთგან „სტრიქონის“ მაგიერ ხმარობს, სხვა შემთხვევაში კი ამ ტერმინით ლექსის ერთ-ერთ გვარს აღნიშნავს (საბას მიბადებით). მიუხედავად ასეთი აღრევისა, მაინც ხერხდება ტერმინების დაზუსტება.

ტაეპს (Стих, stichos) მამუკა უწოდებს „სტრიქონს“ და ის „მ უ ხ ლ ე ბ ი ს“ კომბინაციად მიაჩნია. ეს ირკვევა კერძოდ რუსთაველის შაირის განხილვისას. ასე, მაგა მამუკას მოჰყავს „მაღალი შაირის“ („ჰაშნიკით“—„მოკლე შაირის“) რამდენიმე მაგალითი, ოთხად ჰყოფს მათ და ბოლოს წერს:

¹ იყო მხოლოდ ერთი ცდა (ძალიან სუსტი)—აღ. ხახანაშვილისა (იხ. მისი Очерки по истории груз. словесности, М. 1901, вып. 3, стр. 225—227) მკვლევარს გადმოემული აქვს მამუკას შეხედულებანი ქართულ ვერსიფიკაცაზე და მოჰყავს მეტრული სქემები „ჰაშნიკში“ ჩამოთვლილი საზომებისათვის. მაგრამ აღ. ხახანაშვილის გრაფიკულ სქემები ხშირად არ ემთხვევიან მამუკას ლოგომეტრულ ნიმუშებს. მაგ., „ჰაშნიკში“ მოყვანილი „გრძელი შაირის“ ერთ მაგალითს—„მიჯნურსა თვალად სიტრუფე II მართებს მართვითა მზობა“—ა. ხახანაშვილის აზრით შეესაბამება სქემა: —სს—სს სს—სს სსს. ე. ი. ოთხი დატბილი + პირველი პუნონ (გვ. 226). „ჰაშნიკის“ შინაარსის ვერგაგებას გულსხმობს აგრეთვე ავტორის მოსაზრება, თითქოს „Четверостишия составляют шаиры (стих в 16 слогов), первые два стиха — Лекси, а последний стих таепп (Op. cit., 226).

„ეს შირი ოთხად გაიყო, დახედე თითო-თითო ორი სიტყვა შეუწყვია, თუ ერთი თუ მეტი, ის მეოთხედი გაიჭრება; მერმე მეორე მუხლი შეგნებდა, მერმე მესამე და მერმე მეოთხე“.

მოტიანილი ადგილის მიხედვით ისიც ირკვევა, რომ მ. ბარათაშვილს „მუხლი“ ერთი ან მეტი რაოდენობის სიტყვების კომპლექსად მიაჩნია („... დახედე თითო-თითო ორი სიტყვა შეუწყვია თუ ერთი თუ მეტი“...). იგივე აზრი განმეორებულია „მაღალი შაირის“ სხვა ნიმუშის („მე რუსთველი ხელობითა...“) შესახებაც:

„ეს ამიტომ ამისთანას შაირს გააკეთებს ამისი პირველი მუხლი და სამი სხვა ტოლ-ტოლი არიან. ეს ერთი სტრიქონი ხომ ოთხად გაიყო იმაში სიტყვის მეტნაკლებობა არ არის, ოთხივე სწორე არის“ (დაყოფა ყველგან ჩვენია. ა. გ.).

მართებულია შენიშვნა, რომ მოყვანილი ტაეპის („სტრიქონის“) „მუხლებში“ „სიტყვის მეტნაკლებობა არ არის“. (იგულისხმება მარცვალთა თანაბარი რაოდენობა ტერფებში). რაც შეეხება რუსთველურ „დაბალ შაირს“ („ჰამნი-კით“—„გრძელ შაირს“) მის შესახებ მამუჯა აღნიშნავს:

„... პირველი მუხლი მეტი, მეორე ნაკლები, მესამე პირველის ოდენი და მეოთხე კიდევ ნაკლები გრძელ შაირის ხმას გააკეთებს“. შემდეგ მოჰყავს ნიმუში—„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა“—და ასკვნის: „ამ თვითოს მუხლების მეტნაკლებობით ეს ორივე შაირი სხვადასხვა ხმები შაიქმნა“.

გამოთქმა — „მუხლების მეტნაკლებობა“ — გულისხმობს რუსთველის დაბალი შაირის „მუხლების“ მარცვლებრივ განსხვავებას ცეზურებში. ამ განსხვავებას, მამუჯას აზრით, იწვევს სიტყვათა სხვადასხვანაირი „გაწყობა“ ტაეპში ანუ „სტრიქონში“, რაიც თავის მხრივ შაირის მეტრულ ტონს ცვლის („სხვადასხვა ხმები შაიქმნა“). მართლაცდა თუ გავიზიარებთ მამუჯას ლოგომეტრულ თვალსაზრისს (რომელსაც საზომის ძირითად ელემენტად მიაჩნია სიტყვა ან სიტყვების კომპლექსი („მუხლი“) და არა ტერფი, როგორც აქცენტური რიგის ერთეული), რუსთველის „დაბალი შაირი“ მართლაც სხვადასხვა რაოდენობის შემცველი სიტყვების ჯგუფებისგან შესდგება.

მამუჯა პირველი იყო, რომელმაც 16 მარცვლიან შაირში ორი საზომის („გრძელი“ და „მოკლე“ შაირის) არსებობა აღნიშნა და თავისი სისტემის შესაფერისად განიხილა ისინი.

მაგრამ რას ნიშნავს ტერმინი „ხმა“?

ამ ტერმინით მამუჯა ნათლავს მეტრს ანუ საზომს.

„ჩახრუხაულის“ ანალიზის დროს მამუჯა შემდეგნაირად ალაგებს ოთხმარცვლიან სიტყვას:

„მიჯნურობას: / მიჯნურობას: / მიჯნურობას: / მიჯნურობას“. და განმარტავს: „ამასაც (ე. ი. ოთხმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილ ტაეპს) სამი სტრიქონი ამის ხმისა მიეც და ეს სიტყვა ამისთანა ჩახრუხაულს გააკეთებს, როგორც ეს ჩახრუხაული არის“ (შემდეგ მოყვანილია „თამარის ქების“ სტროფი: „თამარ წყნარი...“).

როგორც ვხედავთ, მ. ბარათაშვილი მეტრის ცნების გამოსახატავად ხმარობს



ტერმინ „ხ მ ა“-ს, ხოლო საზომის თავისებურებას ხედავს „ს ი ტ ყ ვ ა თ ა გ ა წ ყ ო ბ ი ს“ ამათუიმ სისტემაში.

„ქაშნიკის“ ტერმინოლოგია ამით ამოიწურება. ვლებულობთ შემდეგს სო-მენკლატურას:

1. „ლ ე ქ ს ი“ — ლექსი (стихотворение, vers).
2. „მ უ ხ ლ ი“-სიტყვების განსაზღვრული ჯგუფი ტაეპის შიგნით. (სანკოლო მეტრიკაში შეესაბამება დიპოდისა).
3. „ს ტ რ ი ქ ო ნ ი“-ტაეპი (Стих, stichos),
4. „ხ მ ა“-საზომი (размер, metrum).
5. „გ ა ყ ო ფ ა“ ან „გ ა კ რ ა“-სიტყვათა შორის ბუნებრივი პაუზა, ცეზურა (caesura).

8. „ქაშნიკში“ განხილულია ქართული ვერსიფიკაციის ზოგიერთი სხვა საკითხიც. მაგ. მამუკას აღნიშნული აქვს ქართული ლექსის სტროფებს შორის სილაბური განსხვავების შემთხვევები: „... თუმცა წინა მთქმელებს ადგილ-ადგილ შიარი და გრძელ[ი] ჩაბრუნებული ჩაურევეითო“,—წერს იგი. მამუკა წინააღმდეგია ასეთი „ჩაურევისა“ და იმოწმებს ირანული პოეზიის ტრადიციას: „...სპარსის მოშირეთში ეს უყადრისი არის, ამისათვის რომ ის ამბავი ს უ ლ ე რ თ ი რ ი გ ი ხ მ ა უ ნდა იყოს, სხვა ხმები სხვის რიგისათვის არის, რომელსაც თვითუელად ამას ქვემოთ გამოვაცხადებ“.

„ქაშნიკი“ აკანონებს ამათუიმ საზომს გარკვეული თემისათვის; მაგრამ ერთი ლექსის ან პოემის ფარგლებში მეტრული მრავალფეროვნების წინააღმდეგ მამუკას ბრძოლა უშედეგო აღმოჩნდა: მე-18 საუკუნის პოეზიაში მის კანონს არ იცავენ თვით „ქაშნიკის“ მიმდევრებიც—დავით გურამიშვილი და ბესარიონ გაბაშვილი (იხ. პირველის „ქაცვია—მწყემსი“ და მეორის „ასპინძისათვის“).

მამუკა ბარათაშვილს ჩამოთვლილი აქვს ქართული ლექსის შემდეგი ფორმები: 1. „გრძელ შეწყობილი გინა მდინარი“. 2. „შეწყობილი“, 3. „წყობილი — მრავალმუხლი“. 4. „გრძელი შიარი სამკეთი“. 5. „რველი“, 6. „იამბიკო“, 7. „შერეული“. 8. „მჩობლები“. 9. „ძვანაკორული—ჩაბრუნებული“. 10. „ლექსი“. 11. „ტ[ა]ეპი“. 12. „პისტიკაური“. 13. „უცხო“.

მოყვანილი სახელწოდებანი იმდენად საზომებს არ აღნიშნავენ, რამდენადაც კომპოზიციურ ერთეულებს. ეს ჩანს თვითუელი მათგანის დახასიათებიდან. ასე, მაგ. „წყობილი მრავალ-მუხლის“ შესახებ მამუკა წერს:

„ერთი იგავიანი ამბავი რომ ერთმანეთზე გრძლად მობმული იყოს და შიარი სადა წყობილში არ გაემართებოდეს წყობილის მრავალმუხლით უნდა თქვა, რამთონს სტრიქონათაც გაემართოს იმდონად თქვა ურიგო არ არის“.

ამონაწერიდან ჩანს, რომ ტერმინი „წყობილი მრავალმუხლი“ მრავალტაეპიან ლექსს გულისხმობს და ვრცელი „ამბავისათვის“ არის განკუთვნილი („შიარი“ ანუ რუსთველური სტროფი ამ მიზნისათვის გამოსადეგი არ ყოფილა, რაიც გაუგებარ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს).

„რველის“ შესახებაც დაახლოებით იგივეა ნათქვამი: „თუ ერთი ამბავი ოთხს [ს]ტრიქონში არ მოდიოდეს წყობილი რჩებოდეს ამაზე რომ თქვა უფრო გაწყობილი იქნება“.

ზემოთქმულის მიხედვით, მამუკას მიერ ჩამოთვლილი სახელწოდებანი მეტწილად კომპოზიციურ ერთეულებს გულისხმობენ (მაგ. მოყვანილ რუბრიკაში „ლექსი“ ეწოდება ერთრიტმიან ორტაეპოვან ლექსს, საბას ზეგაუღენით). „ქაშნიკის“ ავტორი ცალკე ჩერდება ზოგი მათგანის მეტრზე (ე. ი. „ლექსების

ოქმის“ წესზე—და მთავარ ყურადღებას აქცევს „ს ი ტ ყ ვ ი ს გ ა წ ყ რ ო ბ ა ს“ ანუ ქუხლების დაჯგუფებას „ს ტ რ ი ქ ო ნ შ ი“, ტაქსის დაწესებულებაში. რადგან „კაშნიკის“ ავტორი არ იცნობს ან საჭიროდ არ სცნობს საზოგადოებრივ ტერფებად დაყოფის მეთოდს, ამიტომ გრაფიკული სქემების ნაცვლად მიმართავს ორიგინალურ ხერხს: მოყავს ჯერ ნიმუში ერთი ან მეტი რაოდენობის „სტრიქონი“—და მერმე მარცვლებრივი რაოდენობის მხრივ შესაბამის რომელიმე სიტყვის ვარირებას მიმართავს. ასე, მაგ მოყვანილია მთელი სტროფი: „მიჯნურსა თვალად: / სიტურფე: / მართებს მართ ვითა: / მზეობა—...“, რომლის „ხ ძ ი ს“ ანუ საზოგადოების გაფოსახატავად მამუკა შემდეგნაირად იმეორებს ერთს სიტყვას:

„მიჯნურთათვისგან: / მიჯაურთა: / მიჯნურთათვისგან: / მიჯნურთა“.

სილაბისა და მეტრული სქემის მხრივ ეს სიტყვიერი ჯგუფები რუსთველის ზემოდ მოყვანილი ტაქმის საზომს წარმოადგენს და გრაფიკულად ასე გამოიხატება: — — — — — / — — — — — / — — — — — / — — — — —

5 3 5 3

მეორე მაგალითი: ჩახრუხადის ერთი სტროფის („თამარ წყნარი“: / ბმა ნარნარი: / პირძინარი: / შესაწყნარი:) საზომს მამუკა თავის ლოგომეტრულ სქემაში ასე გადმოგვცემს:

„მიჯნურობას: / მიჯნურობას: / მიჯნურობას: / მიჯნურობას:“

აქაც, როგორც ნიმუშში, ისე სქემაში, დაცულია ერთიდაიგივე პრინციპი: მარცვლების თანაბრობა საზომის დაყოფილ სახლერებს შორის (4 || 4 || 4 || 4 ||). სქემა მართლაც გამოხატავს „მალალი შაირის“ მეტრს:

აღსანიშნავია, რომ მამუკა განაყოფიერებულ ყურადღებას აქცევს ტაქსში სიტყვათა შორის არსებულ სახლერებს—ტაქმის „გაყოფას“ ანუ „გაქრას“. კრილის აღსანიშნავად „კაშნიკში“ გამოყენებულია გრაფიკული ნიშნები—ორწერტილი და ვერტიკალური ხაზი „/“; ამ ნიშნით მამუკა სიტყვების ან სიტყვათა გარკვეულ ჯგუფებს შორის არსებული ბუნებრივი პაუზის ადგილებს აღნიშნავს.

მამუკა არ იცნობს ტერფის (стопა, fuss) ცნებას. იგი არ მიმართავს მეტრული სქემის ტერფებად დაყოფის პრინციპს და ანტიკური ლექსწყობის ტერმინოლოგიას (ქორე, იამბი, დაქტილი და ა. შ.). მამუკა ბარათაშვილის „კაშნიკი“ არის სილაბურ-ლოგომეტრული თეორიის ნიმუში, რომელიც ქართულ ლექსს განიხილავს „სიტყვების გაწყობის“ მხრივ. საზომი მას მიიჩნია სიტყვიერ ჯგუფებს შორის არსებულ პაუზების მიხედვით დაყოფილ „სტრიქონად“ და არატერფების კომბინაციად.

ასეთია „კაშნიკის“ შინაარსი მეტრიკის თვალსაზრისით. როგორც პირველი ცდა ქართული პოეტიკისა, „კაშნიკი“ ელემენტალურია, მაგრამ თავისი დროისათვის მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, გურამიშვილისა და ბესიკის ლექსწყობა ბევრით არის დავალებული მამუკას ამ პაწია ტრაქტატისაგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთში მცხოვრებ ქართული ემიგრანტული წრეების პოეტურ შემოქმედებაზე „კაშნიკს“ უფრო დიდი გავლენა ჰქონდა. რაც შეეხება ტრაქტატის ლიტერატურული წყაროების საკითხს, დღემდის გამოურკვეველი იყო: მოეპოვე-



ბოდა თუ არა ავტორს რომელიმე სახელმძღვანელო ირანული ან რუსული მეტრიკისა. საფიქრებელია, მაშუკას სცოდნოდა, სუსტად მაინც, რუსულ ენაზე არ მოიბოვებოდა სპეციალური ნარკვევი მეტრიკის დარგში, არც ორიგინალური და არც თარგმნილი (ტრედიაკოვსკისა და ლომონოსოვის ტრაქტატები გამოქვეყნდა 1735 და 1739 წ. წ.). ირანული ლიტერატურის ქართულ სპეციალისტებს კი დღემდე არ გაუციათ პასუხი კითხვაზე: ჰქონდა თუ არა ხელთ მაშუკას ირანული ან არაბული პოეტიკის რომელიმე სახელმძღვანელო?

უკანასკნელად ერთი შენიშვნაც: „ჰაშნიკს“ ამჟამად მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სილაბურ-ლოგომეტრიული თეორია, რომელიც პრიმიტიულ სახით არის წარმოდგენილი მაშუკას ტრაქტატში, ქართული ლექსის კვლევის დროს მიუღებელია ისევე, როგორც ლოგაედური თეორია, რომელიც გასული საუკუნიდან მოყოლებული ბატონობს ჩვენში. „ჰაშნიკს“ მნიშვნელობა აქვს ქართული ლექსის ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით განხილვისათვის, ისიც მხოლოდ მე-XVIII საუკუნის ქართული მეტრიკის ფარგლებში.

4. XIX საუკუნეში ქართული მეტრიკის კვლევას სპორადული ხასიათი ჰქონდა. კამათი მიმდინარეობდა უმთავრესად ერთი საკითხის გარშემო: რომელ სისტემას უნდა მოკუთვნებოდა ქართული ლექსწყობა—სილაბურს თუ სილაბურ-ტონურს. ერთნი ფიქრობდნენ, თითქოს ქართული ლექსის რიტმს განსაზღვრავს მარცვლების თანაბარი რაოდენობა ტემპებში, მეორენი კი ამტკიცებდნენ—რუსული და გერმანული ვერსიფიკაციის მსგავსად ქართულ ლექსწყობაშიაც მახვილია არსებითი ფაქტორი და იგი ჰქმნის საზომს და მოლიანად რიტმსო. პირველ შეხედულებას იცავდნენ იოანე ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ. მეორე შეხედულებას კი — ევგენი ბოლხოვიტინოვი, ნ. გულაკი, კ. დოდაშვილი და სხვები.

სილაბური სისტემის დამცველთა აზრით: ა) ქართულ ენასა და ლექსწყობაში მახვილის როლი ისე თვალსაჩინო არაა, როგორც მაგ., რუსულსა და გერმანულში; ბ) მეტრი, როგორც ტრეფებისაგან შედგენილი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული კომპლექსი, ქართულმა ლექსწყობამ არ იცის, იგი არაა მოცემული ურყევი და სუფთა სახით რამდენიმე ტაქტის ან სტროფის მანძილზე. ამიტომ—ქართული ლექსი მარტოოდენ სილაბურია.

სრულიად საწინააღმდეგო აზრი განავითარეს სილაბურ-ტონური სისტემის დამცველებმა. მათი უზიგდულებით: ა) ქართულ ლექსში მახვილი მთავარ როლს ასრულებს, ბ) მარცვლების მხრივ ერთდამიანე რაოდენობის ტაქტები ხშირად სხვადასხვა საზომს ჰქმნიან, ე. ი. აქცენტუაციის მრავალფეროვნება მოწმობს ჩვენი ლექსწყობის ტონურობას.

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს ამ ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო, შეხედულობათა დამცველების შრომების თეორიულ მიმოხილვას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

5. გასული საუკუნის დასაწყისში ქართული მეტრიკის საკითხებს პირველად შეეხო კიევის მიტროპოლიტი ევგენი ბოლხოვიტინოვი (1767 — 1837) თავის შრომაში Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии (СПБ, 1802). ეს ნარკვევი დიდხანს ითვლებოდა ავტორიტეტულ წყაროდ მათთვის, ვინც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებით დაინტერესდებოდა. 80-იან წლებამდე არც ერთ სხვა

ავტორს არ უთქვამს პრინციპულად ახალი რამ: პირიქით—XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოლხოვიტინოვთან შედარებით შემდეგი ავტორები უფრო პრიმიტიულ და მცდარ შეხედულებებს გამოსთქვამდნენ.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნაკის VII თავს (გვ. 83—96) ეწოდება „О грузинском стихотворстве и музыке“. აქ მთლიანად მოგვყავს თარგმანი იმ ნაწილისა, რომელიც უშუალოდ ლექსწყობას ეხება (88—94):

„... პოემა „თამარიანი“ კიდევ შესანიშნავია თავისი, თითქმის პირველი, უმაგალითო პარამონიითა და ლექსების ძალზე ძნელი გვარით. ამ პოემის მასალას წარმოადგენს ქება თამარი დედოფლისა, მაგრამ რაც მეტად საინტერესოა—ესაა ქება, რომელიც საკმაოდ დიდს წიგნს შეადგენს და მოქსოვილია თამარისადმი თითქმის მარტოოდენ ნართაული და ზედმეტი სახელები-საგან. და ყველაფერი ეს თვითთელი დამოუკიდებელი ტერფითაა შერჩეული რითმაში, რომელიც თექვსმეტჯერ მეორდება ერთს ოთხტაქვიან ლექსში. მიმდევრო ხანაში იწყება შემდგომი რითმა და ამდენჯერვე მეორდება; რითმების ზომიერი და პარამონიული ხმოვანება იწყებს სმენისათვის სასიამოვნო სიმლონიას, ხოლო იდეების გამოსახვა (сображение идей), გადატანები და ნართაული, განსხვავებული მნიშვნელობანი თვითონ სიტყვათა ერთნაირს ხმოვანებაში, შეადგენენ აზრების გონებამახვილ თამაშს. მაგალითი ამ პოემიდან ქვემოთ იქნება წარმოდგენილი. ეს თხზულება, ლექსების მექანიზმის მხრივ, მისი სილამაზის დიდი ნაწილისა და ქართული ენის თამაშის ჩათვლით, არც ერთს ენაზე არ გადაითარგმნება ზუსტად. [ხოლო], პირიქით, იმედი უნდა ვიქონიოთ რომ რუსთველს ოდესმე ვიხილავთ რუსულ ენაზე, თუმცა მალე არა. რადგან ამაღალი სტილი (стиль) თამარიანის ეპოქისა საზოგადოდ ძნელი გახდა ამჟამად ქართველებისათვისაც.

ქართული პოეზიის პროსოდია მთლიანად ტონურია, მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა, იმიტომ, რომ ქართული ენა საკვება მრავალმარცვლიანი სიტყვებით და მახვილი მრავალნაირი აქვს. მასში მეტწილად იხმარება პირიბო-იაქილიური მეტრი (სს · სს), თუმცა ძველი ბერძნული პოეზიის ყველა დანარჩენი მეტრიც ენათესავება მას; ქართულ ლექსებს აგრეთვე აქვთ ცეზურა. ბერძნულთან შედარებით მათში ზედმეტია რითმა, რომელიც ბოლოში ეკერის, როგორც ევროპულ ენებში. რითმის ხმარება მათ სპარსელებისგან ისწავლეს და მათი მაგალითის მიხედვით ნაწერში სტრიქონის ბოლოს ცალკე გამოჰყოფენ თვით რითმის ასოებისა. თუმცა უახლესი ქართველი მეღმკენი რითმას ზოგჯერ ერთადაც სწერენ.

ქართული ლექსების ძველ გვართაგან ყველაზე გავრცელებულია ცხრა-რგნ საერო და ერთი საეკლესიო, რომელიც იამბიკოდ იწოდება. ამ უკანასკნელ გვარში სტროფი შესდგება ხუთი ტაქვისაგან, რომელსაც ზოგჯერ ერთნაირი რითმა აქვს, ზოგჯერ კი—ურითმოა. მისი ზეგრი შემდეგია: სს — სს — ს — სს — სს; სანიშნოდ აი ერთი სტროფი პოემიდან წყობილსიტყვაობა, რომელიც შეუთხზავს განსვენებულ უგანათლებულეს კათოლიკოს ანტონს. ის მოიპოვება პიმში წმინდა ისოხადში ანუ იესოხადში, ერთ-ერთი ბერისადმი იმ ცამეტაგან, რომელნიც სირიიდან საქართველოში მოსულან ქრისტიანული სულის გასაფრცხვლებლად ნონეს (sic) შემდეგ.

[მოყვანილია ანტონ I-ის იამბიკო „აღმოსავალსა სამთენოსა სამოთხე“, რუსული ასოებითა და მისი თარგმანით].



აქ სიტყვა „სამოთხე“-ს ყველა ტაეპში განსხვავებული მნიშვნელობა (знаменованиe) აქვს. ამ ერთი მაგალითიდან ჩანს, რამდენად მრავალმნიშვნელოვანია ქართული ენა სიტყვების მხრივ. ქართული ლექსების დანარჩენი გვარები შემდეგია:

პირველი გვარი, ყველაზე ძველი და გავრცელებული, ეწოდება შ ა ი რ ა დ. იგი შესდგება ოთხტაეპიანი ლექსებისაგან, რომელთაგან თვითეულ ტაეპს ბოლოში ერთნაირი რითმა აქვს. მისი მეტრი შემდეგია:

სს — სს / — სს / სს — სს / — სს

ამის მაგალითად აი სულ პირველი სტროფი რუსთაველის პოემიდან ვ ე ფ ხ ი ს-ტ ყ ა ო ს ა ნ ი:

[მოყვანილია სტროფი „რომელმან შეჰქმნა სამყარო...“, რუსული ასოებითა და თარგმანით].

ლექსების მეორე გვარი აგრეთვე ოთხტაეპიანია რითმებითურთ და ეწოდება ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ა დ, მისი შემომღებისა და პოემა თ ა მ ა რ ი ა ნ ი ს შემთხვევლის ჩაბრუნების სახელის მიხედვით, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი.

ამ პოემის მეტრი შემდეგია:

სს — ს სს — ს სს — ს სს — ს

მაგალითისათვის ა ო ო რ ი ტაეპი იმ დიდებული პოემის თამარიანის სულ პირველი სტროფიდან:

[მოყვანილია ორი ტაეპი სტროფისა „თამარ წყნარი...“ რუსული ტრანსკრიბციითა და თარგმანით].

არსებობს აგრეთვე სხვა გვარიც ოთხტაეპიანი ლექსისა, მოგონილი იმავე ავტორის მიერ და აგრეთვე ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ა დ ეწოდებული. მისი მეტრი შემდეგია:

სს — სს სს — სს სს სს სს — სს

მესამე გვარს ეწოდება რ უ ლ ი [უ. ი. „რეული“, ა. გ.] და შესდგება ერთრიტმიანი რვა ტაეპისაგან. მისი მეტრი იმგვარივეა, როგორც შაირისა.

მეოთხე გვარს ეწოდება ძ ა გ ნ ა კ ო რ უ ლ ი და შესდგება ერთრიტმიანი რვა ტაეპისაგან, რომელთაგან პირველი ორი ერთი მეტრისაა და ერთს აქვს რითმა, მესამე კი ურიტმოა და აქვს მეტრი შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

1 და 2. სს — სს სს — სს

3. სს — სს — სს — სს — სს

მეხუთე გვარია წ ყ ო ბ ი ლ ი, შესდგება ერთრიტმიანი რვა ტაეპისაგან შემდეგი ნიმუშის მიხედვით:

— სს — სს — სს — სს

მეექვსე გვარია ფ ი ს ტ ი კ ა უ რ ი, შედგება აგრეთვე რვა ტაეპისაგან, მეტრის მხრივ სხვადასხვანაირი რითმებიანი მეორე გვარი ჩაბრუნებისაგან.

მეშვიდე გვარი ლ ე ქ ს ი შესდგება ერთრიტმიანი ორი ტაეპისაგან შაირის მსგავსად:

— სს — სს — სს სს — სს — სს

მერვე გვარი ტ ა ე პ ი შესდგება ერთი ტაეპისაგან, თუმცა აქვს რით-

მა, ცენტრში შეთანხმებული ბოლო სიტყვასთან. მისი მეტრი ისეთივეა, როგორც ლექსისა.

ამათ გარდა ქართველებს აქვთ სპარსული პოეზიისაგან ნასესხები ბევრი ახალი გვარი ლექსისა. ამათ რიცხვიდან აი მვალითი ერთი ექვსტაბიანი სიმღერისა:

სს — სს სს — სს

[რუსული ტრანსკრიბციითა და თარგმანითურთ მოყვანილია ბესიკის სტროფი „რა ია გამიწყრა...“ ლექსიდან „სევდის ბაღს შეველ შენაღონები“; ე. ბოლხოვიტინოვი „სიმღერის“ ავტორს არ ასახელებს ა. გ.].

უკანასკნელი ორი ტაეპი არსებითად მისამღერია, რომელიც მეორდება თვითველი ოთხი ტაეპის შემდეგ. თითქმის ყველა მათი სიმღერა იწყება ალეგორიით ან შედარებებით (ПОДОБНЫМИ) ისევე, როგორც ძველი რუსული [სიმღერები], ხოლო ზშირად საესეებით ალეგორიულია. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ საზოგადოდ ქართული პოეზია მეტრების მხრივაც ძალზე მიაგავს ძველ რუსულ [პოეზიას].

გვ. ბოლხოვიტინოვის მიერ ჩამოთვლილი საზომები, რასაკვირველია, არ ამოსწურავენ ქართული კლასიკური პოეზიის მეტრებს, არ არის სწორი ბევრი მათგანის გრაფიკული სქემა (ასე, მაგ., დაბალ შაირში ბოლხოვიტინოვი პირიბ-დაქტილისა და დაქტილის კომბინაციას ხედავს); მაგრამ თვითონ საზომების დაქტილური ბუნება კარგად აქვს შენიშნული, რაიც ავტორის სუფთა სმენას მოწმობს¹. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ბოლხოვიტინოვს „ქართული პროსოდია“ ტონურად მიაჩნია, თუმცა იქვე უშვებს შეცდომას, თითქოს ბერძნული და ლათინური პროსოდიაც ტონური იყო. ეს შეცდომა გასაგებია მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის, როცა ახალი ენების კვლევის დროს ე. წ. სასკოლო მეტრიკა განახლებას ვერ ამჩნევდა ანტიკური და ევროპული ევრსიფიკაციის კანონებს შორის.

ე. ბოლხოვიტინოვმა პირველად გამოიყენა ტერმინი ცეზურა ქართული მეტრების დახასიათებისას, შეეცადა რითმის გენეტიკურ ახსნას, ომონიმების თავისებურებისა და რითმათა რიგის სახეობათა აღნუსხვას; რაც შეეხება ქართულ და „ძველ რუსულ“ საზომებს შორის მსგავსების ძიებას, ბოლხოვიტინოვის შენიშვნები ამ ნხრივ კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ.

ე. ბოლხოვიტინოვის გრაფიკული სქემები მოწმობენ, რომ მათი ავტორი ქართული ტაეპის აქცენტურ სისტემაში უმთავრესად დაქტილურ და ქორეულ კანონს ამჩნევდა. ზუთმარცელიან სიტყვაში (ან სიტყვათა ჯგუფში, რომელიც ზუთმარცელას ქმნის) ბოლხოვიტინოვი ერთ მახვილს ამჩნევს (ბოლოდან მესამეზე). წმინდა ქორეული მეტრი მას მხოლოდ „წყობილისათვის“ აქვს გამოყოფილი, რაიც გაუგებრობას უნდა მიეწეროს². მესამე პეონი (სს — ს) აქვს აღნიშნული ჩაბრუნებულში („თამარ წყნარი...“), რაიც, აგრეთვე, სიმართლეს არ შეეფერება.

¹ ბოლხოვიტინოვის სქემების დაწერილებითი კრიტიკა ახ. კოტელოდაშვილის წერილში „ქართული ლექსწყობა“ („ივერია“, 1890, №№ 210, 270, 272); იგივე ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ბოლხოვიტინოვის ისტორიულ დამახინჯებასაც ქართული ევრსიფიკაციის კვლევის დარგში.

² შტრ. კოტელოდაშვილის წერილში („ივერია“, 1890, № 270).



აღნიშნული შეცდომები ქართული პროსოდის კანონების სუსტყოფნაზე აიხსნება, მაგრამ ბოლხოვიტინოვს მეტი არც მოეთხოვებოდა. უფრო მეტი ლიე ამისა, ბოლხოვიტინოვმა პირველად გააცნო ქართული ლექსწყობის გრაფიკული სქემები არა მარტო რუსეთს, არამედ ევროპასაც.

6. ე. ბოლხოვიტინოვისაგან სრულიად დამოუკიდებლად შეეხო ქართული ლექსწყობის საკითხებს მრავალმხრივ განათლებული მწერალი იოანე ბატონიშვილი (1772—1839). „კალმასობაში“ (დაიწერა 1813—1828 წ. წ.) შეტანილია მთელი თავი „პოეზიისა ანუ მელექსეობისათვის“, სადაც ჩამოთვლილია ქართული ლექსის „გეარნი“, რომელნიც ავტორს განზილული აქვს მეტრიკის მხრივ. იქ, სადაც იოანე ბატონიშვილი ვერსიფიკაციის ტერმინოლოგიას მიმართავს, რუსული სათანადო ლიტერატურის გავლენა ჩანს. ჟანრების მხრივ მწერლობის კლასიფიკაციის დროსაც იოანეს ნაშრომის აღნიშნულ ნაწილს რუსული წყაროების დიდი გავლენა ეტყობა (მაგ., ტერმინი „ეპიჩეური“ რუსული эпический-ის პირდაპირი გადმოქართულდება).

„კალმასობაში“ ლექსწყობის საკითხებზე მსჯელობა ასეთი დიალოგით იწყება.

— რასა შინა მდგომარეობს მეხანიშმა ანუ ხელოვნება ლექსთა მოთხრობისა?

იოანე: იგი მდგომარეობს ხმეეთა შინა შეწყობათა და თანხმობათა, ვითარცა წარსაკითხველად, აგრეთვე საგალობლად და სამღერადაცა თანხმობდეს შეთხზულნი იგი ლექსნი, და ესე სათანადო არს დამარხვად ყოველთა მოლექსეთაგან¹.

ამგვარი შესავლის შემდეგ იოანე ბატონიშვილი უშუალოდ ეხება ლექსის მეტრიკას:

„მეტრე: რაა არს ლექსა?

იოანე: ლექსი არს სიტყვა უწყებულთა განზომილებათა, ანუ მუხლთაებრ დაწყობილი.

მეტრე: რაა არს მუხლი?

იოანე: მუხლი არს ორთა ანუ სამთა მარცვალთაგან შედგინება სიტყვებთათუ ლექსთა.

მეტრე: რაა არს მარცვალი?

იოანე: მარცვლად იწოდების იგი, სადაცა უკვე არს ხმოვანი ასო და ანუ როდენ გვარ არს მუხლნი.

მეტრე: რაა არს იამბა?

იოანე: იამბა არს იგი, რომელსაცა ლექსსა თუ შაირსა აქვს პირველი მარცვალი შემოვლებული, ხოლო მეორესა გრძელი, ესე იგი: უფალი ხოლო მეორე ბრწყინვალე.

მეტრე: რაა არს ხორე?

¹ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, კ. კვკელიძისა, და ბლ. ბარამიძის რედ. კითხ. 1936, გვ. 273.

9. „მნათობი“, № 1.

იოანე: ხორეა არს, რომელსაცა ლექსსა თუ შაირსა აქვს პირველ მარცვლი გრძელი, ხოლო მეორე შემოკლებული, ვითარ მთავარე მხეა¹.

როგორც ვხედავთ, იოანეს აზრით ლექსის სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს სიტყვების „მ უ ხ ლ ე ბ ა დ“ დაყოფა და მათი გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბება. „მ უ ხ ლ ი“ კი იოანეს მიაჩნია განსაზღვრული რაოდენობის მარცვლების მქონე სიტყვების „შედგინებად“. ამ საკითხში იგი მამუკა ბარათაშვილის შეხედულებას იზიარებს. „ტ ა ე პ ი ს“ ნაცვლად იოანეც „ს ტ რ ი ქ ო ნ ს“ ხმარობს, ხოლო ტერფები („იამბა“, „ხორე“) მექანიკურად შემოაქვს რუსულ ლიტერატურაში გავრცელებული ანტიკური ტერმინოლოგიის გავლენით. იოანე ამ ტერფებს ბერძნული მეტრიკისათვის შესაფერი გაგებით განმარტავს (აღნიშნული აქვს მათი სიგრძე-სიმოკლე) და ამხელს ინერციას, რომელიც რუსულ მეტრიკაში ბატონობდა იმ დროს: როგორც ცნობილია, რუსული ლექსი სილაბურ-ტონური სისტემისაა, მაგრამ აღრინდელი მკვლევარნი სიტყვაში მახვილის ადგილს გრძლად მიიჩნევდნენ, უმახვილო მარცვლისას კი—მოკლედ. ეს იყო მექანიკური გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა მეტრული სისტემის ლექსწყობის ცნებებში ს ი ლ ა ბ უ რ-ტ ო ნ უ რ ი სისტემის ტერფების დახ ა ა ი ა თ ე ბ ი ს ა ს. ამ თვალსაზრისით არის დაწერილი ვ ო ს ტ ო კ ო ვ ი ს ა² და სხვა რუსი აეტორების შრომები გასული საუკუნის პირველ მეოთხედში. მაგრამ ქართული ლექსის საზომების კვლევის დროს იოანე ბატონიშვილი ტერფის ცნებით არ სარგებლობს და „კალმასობაში“ ზოგი მათგანის ჩამოთვლას უშუალო კავშირი არ აქვს აეტორის მსჯელობის საგანთან. მოყვანილი მაგალითებიც არ არის სწორი. მაგ. იოანეს იამბურ ტერფებად მიუჩნევია დაქტილური სიტყვები „უფალი“, „ბრწყინვალე“ და ა. შ.

იოანე ბატონიშვილი ქართული ლექსის „გ ვ ა რ ე ბ ს“ განიხილავს „ხ მო ვ ა ნ ი“ და „უ ხ მ ო ა ს ო ე ბ ი ს“ თანაბრობის მხრივ. მაგალითისათვის ერთი დიალოგი:

„ბ ე ტ რ ე: ვითა³ გეარი აქვს შაირსა?

„ი ო ა ნ ე: შაირი უკვე შედგების ოცდაოთხისა უხმოსა ასოთი, ხოლო თექვსმეტისა ასოთა ხმოვანითა, და ერთი ტრიქონი განყოფით ერთი მიიშვით ესრეთ:

თვითო სიტყვახედ დამხერით / უცხო წალკოტნი ათობენ“.

(მოყვანილია მთელი სტროფი)⁴.

16 მარცვლიანი შაირის პირველ ტაეპში მართლაც გვხვდება 24 თანხმოვანი, დანარჩენ ტაეპებში კი ასეთი კანონზომიერება, როგორც მოსალოდნელი იყო, დაცული არაა (მეორე ტაეპში 26 თანხმოვანია, მესამეში 28, მეოთხეში 25). ლექსში თანხმოვანთა კანონზომიერების შესახებ მსჯელობა საერთოდ უსაფუძვლოა და იოანე ბატონიშვილი პირველი აეტორია, რომელიც ასეთს უცნაურ სტატისტიკურ მეთოდს მიმართავს. მის მიერ მოყვანილი „გ ვ ა რ ი“ არ იცავენ თანხმოვანთა თანაბრობას, ზადგან ენობრივი თვალსაზრისით ეს სრულიად წარმოუდგენელი პირობაა. იოანე კი სისტემა-

¹ „კალმასობა“, გვ. 273 — 277.

² იხ. მისი Опыт о русском стихосложении. Изд. II. СПб., 1817.

³ „ქ ა ლ მ ა ს ო ბ ა“, გვ. 274.



ტურად მიმართავს თანხმობას ალრიცხვის მეთოდს. აი კიდეც, ერთი მაგალითი: „ლექსის“ (როგორც ქართული ლექსის „გვატრიალ“) შესახებ „კალმასობაში“ ნათქვამია: „ლექსი ყოველთვის შედგება ოცდობის უხმოს ასოთი და თექვსმეტის ანუ ჩვიდმეტის ხმოვანთა, და ოდესმე უფრო მეტის ასოს უხმოთითაც, გარნა გვარი ამისი არს ორი ტრიქონი ბოლოებით თანასწორნი და ერთი მძიმედ განყოფილი ტაქში, ესრეთ:

გვჯობს სიყვდილი ქებული / თავის გაწირვა ნებითა.
სიცოცხლე მოყვენებულსა, / აუვიანსა ვნებითა“¹.

პირველ ტრიქონში 23 თანხმობანია, მეორეში კი—20. იოანეს განმარტებას არაერთგვაროვანი საფუძველი არ მოეპოვება და იგი თვითონაც ამჩნევს რომ ასეთს სტატისტიკაში რაიმე კანონზომიერების დაცვა შეუძლებელია. ამიტომ იძულებულია აღნიშნოს, რომ უხმონი გვხვდებიან „ოდესმე მეტიცა და ნაკლებიცა“.

თანხმობანთა სტატისტიკაში შეცდომების დაშვება სრულიად არ იყო მოულოდნელი, მაგრამ იოანე ასეთს შეცდომებს იმეორებს ხმობანთა ალრიცხვის დროსაც. მაგ. მისი აზრით „მრჩობლედნი შაირული არს ორტრიქონიანი, შემდგარი ჩვიდმეტისა ხმოვანთა ასოთი ესრეთ:

რა სიყვარული დაადოს პირობის განაკიდარმა
გულსავით უძღვნას სიბრძნენი სულსა განაზიდარმა“²

ნამდვილად კი ეს „მრჩობლედნი“ 16 „ხმოვანია“.

შეცდომები მოეპოვება „ჩახრიხაული ძაგნაკორულის“ დახასიათებაშიც: „კალმასობის“ ავტორის შეხედულებით ეს საზომი „ოცდობის ხმობანითა ასოთი“ შესდგება, მოყვანილი სტროფების ტაქები კი ოცმარცვლოვანია³.

საკითხავია—საიდან მოიტანა იოანე ბატონიშვილმა თანხმობანთა ალრიცხვის სტატისტიკური მეთოდი საზომის მეტრული დახასიათებისათვის? მსგავსი რამ უცნობია ვერსიფიკაციის ისტორიაში და კერძოდ რუსულ ლიტერატურაში. არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება ქართული ლექსწილების ისტორიაშიც.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ თავისი ტრაქტატის შესავალში იოანე ბატონიშვილი დავალებულია რუსული წყაროებისაგან (ლიტერატურული ძანრების კლასიფიკაცია, ტერმების სახელწოდებანი და მათი დახასიათება). უეჭველია, მეტრიკის მხრივ ქართული ლექსის „გვატრიალ“ ანალიზის დროს ავტორმა მექანიკურად გაიგო გრძელი და მოკლე (resp. მახვილიანი და უმახვილო) მარცვლების დათვლის ის ხერხი, რომელიც რუსულ ვერსიფიკაციაში იყო გავრცელებული. ქართულ ლექსში მათ ექვივალენტებად იოანემ „უხმო“ და „ხმობანი ასობი“ მიიჩნია.

¹ „კალმასობა“, გვ. 275.
² იქვე, გვ. 276.
³ „კალმასობა“, გვ. 281.

ქართულ საზომებს იგი სილაბის მხრივ განიხილავს და მაშასადამე არ ითვალისწინებს მახვილიანი და უმახვილო მარცვლების ფუნქციონირებას. იოანეს გაუგებრობაც წინადადება წარმოშობილი.

რუსული წყაროებისა და ნაწილობრივ მამუკას „ქაშნიკის“ გავლენას მოწმობს აგრეთვე ტაეპის შიშვეებით „განყოფა“: ამ ტერმინით იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს „ცეზურას“ ანუ მამუკას „გაკრის“ ხერხს. ქართული ლექსის „გვართა“ სახელწოდებანი კი მეტწილად „ქალილა და დამანასაგან“ აქვს ნასესხები. იოანე სულ ოცდაოთხ „გვარს“ ასახელებს.

შეტრე: რაოდენნი გვარნი არიან ლექსნი ანუ შაირნი, გინა სტიხნი ქართულთა ენისანი?

იოანე: არიან ოცდაორნი უკვე გვარნი თვისთვის საკუთარის სახელით წოდებულნი.

შეტრე: მითხარ რომელნი არიან?

იოანე 1) შაირი, 2) ლექსი; 3) ჩახრუხაული, 4) ფისტიკაური, 5) რეული, 6) შეწყობილი, 7) წყობილი, 8) მრჩობლული, 9) მოკლე წყობილი, 10) შერეული, 11) მრჩობლული შაირი, 12) მოკლე შეწყობილი, 13) ჩახრიხაული შერეული, 14) ჩახრიხაული მრჩობლული, 15) ტაეპი ჩახრიხაულის გვარისა, 16) მრჩობლული ფისტიკაური, 17) ძაგნაკორული, 18) ძაგნაკორული ჩახრიხაულად, 19) ტაეპი, 20) მჯამა, 21) იამბიკო, 22) ლოჟულია ანუ ბეჭდების ლექსნი, გარნა იგინიცა არიან მოკლე წყობილთა გვარნი შაირნი, თუ ლექსნი, რომელთა ეწოდება მისტაჟირული, და ეგრეთვე შქეობისა და გლებთა სიმღერის ლექსები, 24) ანბანთქება.¹

ეს „გვარნი“ (გარდა 22, 23 და 24-ისა) იოანე ბატონიშვილის განხილული აქვს თაისი სტატისტიკური მეთოდის მიხედვით. რაც შეიხება „მაჰამას“, „ანბანთქებას“, „მოსტაზადს“, „თეჯნისს“, „თახმისს“ და სხვ.—იოანე მათ ვერსიტიკაციის მხრივ არ აჩივებს.

7. ქართული ლექსის სახეების გარჩევა მოგვეცეს აგრეთვე დავით რექტორმა (გარდ. 1825 წ.) და თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782—1846). პირველს ეკუთვნის ლექსების ცალკეულ „გვართა“ სახელების ახსნა-განმარტებანი, მათი დახასიათება მარცვლების რაოდენობისა და სტროფიკის მხრივ. მეტწილად შეცდომებით დამამუგული:² მეორეს კი—სპეციალური წარილი ქართული ვერსიტიკაციის საითხობზე „გვარნი ანუ საზომნი ქართული სა ენისა სტიხთა“. ტაეპის მეტრულ ანალიზს ისინი იშვიათად მიმართავენ.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ზემოდ განხილულ ნაწილს რამე თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდენია ქართული ვერსიტიკაციის ისტორიაში. ჩანს, იოანეს ენციკლოპედიური ნაწარმოები პოპულარობით არ სარგებ-

¹ „კალმასობა“, გვ. 274.

² დავით რექტორის შიერ მოცემული განმარტებანი და კლასიფიკაცია იხ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ II ტომში (ტფლისი, 1941, II, გვ. 618).

³ იხ. წ. კ. გამაერცვლებელი საზბის ხელნაწერი № 3722: „შაირებისათვის, შეფის ძის თეიმურაზის სტაჟისაგან“. ლენინგრადში დაცული ავტოგრაფი ხელნაწერს დახასიათება იხ. გ. იმედაშვილის წყაროში „უცნობი ნაშრომი ქართულ მეტრიკაზე“. ვახ. „ლიტ. და ხელოვნება“, 1947 წ. № 20 (165). ეს უკანასკნელი გენთაიანთაგანს ჩვენ თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომს ვერცეო ანალიზისაგან მანამ, სანამ უშუალოდ გავვეცნობოდეთ მას, ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებულსა.



ლობდა ჩვენში. ქართული ემიგრანტული შერლობი ეს ღირსშესანიშნავი
ეგლი, მხოლოდ ვეროა წრეეიი უფილა ცხოილი.

იოახეს „ა. ე. ი. ი. ა. ხ. უ. ძ. ე. კ. ს. ე. მ. ი. ა. თ. ე. ი. ს.“ უმთავრესად
ანთოლოგიურ მინებს ისახედა, მის ათოცაას უფრო ხიეშებინ თავოყრა
შეადგეიდა, ვიდრე დაწერილიითი ანალიი. საზოგებრსა, რევეა ლექსთა
„ძ. ე. ა. ხ. ი. ხ. ი. ა. ა. ხ. ხ. ე. ლ. ვ. ე. ი. ა. ს.“. 20-იანი წლეის რუსეთში
მოიბოვებოდა მეტრიკის სპეციალური სახელმძღვანელოეი და რუსულ
კულტურას ზიარებულ ქართულ წრეებს შეეძლოთ უშუალოდ ჩაეხედათ
პოეტური ტექნიკის შესახებ არსებულ თეორიულ შრომებში. იგივე ითემის
თეიმურაზ ბატონიშვილის წერილის შესახებაც...

8. ქართული ვერსიფიკაციის საკითხების დამუშავებისას ჩვენში უმთავ-
რესად ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს მიმართავდნენ. და არა მარტო ლექსწო-
ბის საკითხებში: ბოლხოვიტინოვის შრომას გაეღენა მოუხდენია სოლო-
მონ დოდაშვილის (1804—836) ლიტერატურულ შეხედულებებზე-
დაც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პარალელურ ამონაწერებს.

ს. დოდაშვილი წყაროს დაუსახელებლად წერს:

„...ლექსი ჩაბრუბაძისა — ქება თაძარ დედოფლისა — უმაგალითოესა თან-
ხმობისა გამო თვისისა და ძნელისა გუარისა გამო სტინთასა ფრიად შესა-
ნიშნულ არს... ზომიერი და განწყობილი ხმა მისი აწარმოებს სმენისათვის
სასიამოვნოსა სიმფონიასა; ზოლო გამოხატვა იდეათა, ევლება და ხმარება
სხუადასხუათა მნიშვნელობათა შგავს ხმოვანებასა შინა ლექსთასა შეადგე-
ნენ მახვილგონიერებასა აზრთასა“. (იხ. „მოკლე განხილვა ქართულისა ლი-
ტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“. ეურნ. „სალიტერატურონი ნაწილნი
ტფილისის უწყებათა“, 1832, № 2, გვ. 31; შდრ. ჩენი „ნარკვევები ქართუ-
ლი პოეტიკიდან“, 1937, გვ. 108). ეს ადგილი წარმოადგენს სიტყვა-სიტყვის
თარგმანს ბოლხოვიტინოვის სიტყვებისას: „...Поэма „Тамариани“ еще
замечательнее... по безпримерной почти гармонии своей и весьма
трудному роду стихов... Мерный и гармонический звон рифм произ-
водит приятную слуху симфонию; а соображение идей, переносы и
намекы знаменований в самой подобиозвучности слов, составляют
остроумнейшую игру мыслей“. (Истор. изобр. Грузин... 87; ქართული
თარგმანი ამ ციტატისა იხ. ზემოთ, § 5).

ე. ბოლხოვიტინოვის შრომას იცნობს აეტორი წერილისა „შოთარუს-
თაველი, ქართველი პოეტი“, რომელიც 1833 წელს დაიბეჭდა
ეურნ. „ტელესკოპ“-ში, თუმცა ვეფხის-ტყაოსნის საზომის მეტრული სქემა
აქ სხევაკარადა წარმოდგენილი: „პოემა ვეფხის-ტყაოსანი — დაწერი-
ლია შაირის ლექსით. პოეზიის ეს სახე შესდგება ერთნაირ რითმებიან
ოთხტემაიან ლექსისაგან. საერთოდ ქართული ლექსები თავდება ხმოვნებით
ა, ე, ი, ო, უ. პოემის ყოველი ტეების ზომა ასეთია:

(სს —) სს — (სს —) სს — (სს —) (სს —) 1

ამ სქემას მიხედვით გამოდის, თითქოს ვეფხის-ტყაოსნის საზომი ანაჰენ-
ტური ტერფებისაგან შესდგება, ზოლო რითმა ვაეურიი.

ე. ბოლხოვიტინოვის ნარკვევი ცნობილი იყო აკად. მარი ბროსისა-

¹ Шота Руставели, грузинский поэт. С Польшк. П. Двбровский. „Телес-
коп“, 1833, т. XIV, № 5, стр. 61—70. ამ წერილს აეტორი პოლონელი აღ. ხოძკო
წერილს სრული ქართული თარგმანი იხ. ეურნ. „მნათობ“, 1937 წ. № 12, გვ. 224—227.

თვის (1802—1880), რომელიც სათანადოდ აფასებდა კიდევაც მას საერთოდ ეს შრომა დიდხანს ითვლებოდა საფუძვლიანი წყაროდ, ეწინააღმდეგებოდა თელი ვერსიფიკაციის საკითხების შესწავლის დარგში, ინტელიგენციისთვის შევლური შაირის მეტრული დახასიათების დროს. ზოგი მკვლევარი ავტორის დაუახლებლად სარგებლობდა ბოლხოვიტინოვის წიგნით. დაგ. დ. ჩუბინოვილი სიტყვა-სიტყვით იმეორებს მის აზრებს, მაგრამ წყაროს არ ასახელებს:

„ქართული პოეზიის პროსოდია მთლიანად ტონურია, მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა. ქართული ენა სავსეა შრავალმარცვლიანი სიტყვებით და მახვილი მრავალნაირი აქცს. მასში მეტწილად იხმარება პირიხო-დაქტილური მეტრი, თუმცა ძველი ბერძნული პოეზიის ყველა დანარჩენი მეტრიც მას ენათესავება. ქართულ ლექსებს აქვთ აგრეთვე ცეზურა. ბერძნულთან შედარებით მათში ზედძეტიარითმა, რომელიც ბოლოში შეერწყმის, როგორც უახლეს ევროპულ ენებში. რითმის ხმარება ქართველებმა ალბად სპარსელებისაგან ისუსხეს. მათი საზომის მიხედვით ნაწერში სტრიქონის ბოლოს, ცალკე სწერენ რითმის ასოებსაც კი. ლექსთა ყველაზე მეტად გავრცელებულ გვარს შაირი ეწოდება. ის შესდგება ოთხი ტაქტისაგან. თვითული ტაქტის დასასრულ ერთნაირი რითმაა. ამ ტაქტებით არის დაწერილი ვეფხის-ტყაოსანიც“¹ (მდრ. ამონაწერები ბოლხოვიტინოვის წიგნიდან აქვე, § 5).

როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილს უცვლელად გადააქვს თავის წერილში ბოლხოვიტინოვის შეხედულებანი, თუმცა უფრო გვიან ის კატეგორიულად უარყოფდა ქართული ლექსის ტონურობას და საერთოდ მახვილის როლს ჩვენს პროსოდიასში (იხ. ქვემოთ, § 10). ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულება მას ალბათ იმთავითვე არ მიაჩნდა უდავო დებულებად, რადგან აქ ციტირებული წერილის სხვა ადგილას ვხედვებით ფრაზას, რომელიც ქართული ვერსიფიკაციის საკითხებში აბსოლუტურად მიუღებელი შეხედულების მტკიცებას შეიცავს: „... ბევრ ლექსს (საუბარია ვ. ტყ-ზე, ა. გ.) თუმცა აქვს სათანადო ზომა და რითმა, მაგრამ შეიძლება პროზად ჩაითვალოს“². მსგავსი რამ კი შეიძლება აზრად მოსელოდა მკვლევრს, რომელიც ვეფხის-ტყაოსანში (და საზოგადოდ ქართულ ლექსში) მახვილის როლს ვერ ამჩნევდა. დ. ჩუბინაშვილი, როგორც ქვემოთ იქნება გამორკვეული, მართლაც უარყოფდა აქცენტური სისტემის არსებობას ქართულ ლექსწყობაში და ბოლხოვიტინოვის შეხედულება მის წერილში სრულიად მექანკურად მოხვდა.

დ. ჩუბინაშვილის გარდა იყვნენ ბოლხოვიტინოვის წიგნის პოპულარიზატორები³ და აშკარა პლაგიატორებიც⁴.

¹ Броссе (М. Ф.). Очерк истории и литературы Грузинской „Сын отечества“, СПб, 1840, т. III, 337—378 (ამ წერილში ბროსე ეხება დ. გუჩუბინაშვილის სალექსო ტექნიკას. ვნსაყ. იხ. გვ. 375—377). ბოლხოვიტინოვისა და ბროსეს შესახებ შენიშვნა იხ. Н. Марр-ის ნაშრომში „Древне-грузинские одонисцы, СПб, 1902, (стр. 59 (სქოლიო)).

² Д. Чубинов. О грузинской поэме Вепхис-тқаосани или Барсова-кожа („Закавказский вестник“, 1850, № 41—42; ციტატა იხ. № 41-ში, გვ. 163).

³ Зак. вестник, 1850, № 42.

⁴ Александр С. Хаханов. Очерки. . . вып. 3-й, М, 1901, стр. 224; (იქტორის სქოლიოში დალაგებული აქვს ბოლხოვიტინოვის სქემები და „გვართა“ სახელწოდებანი).

⁵ Е. Сталинский, Шота Руставели, грузинский народный поэт, Тифлис, 1885 (ამ ავტორის შესახებ შენიშვნა იხ. კ. დოდაშვილის წერილში, „ივერია“, 1890, № 210).

9. ქართული ლექსის შესწავლის ისტორიაში დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს პლატონ იოსელიანის (1809—1875) შეხედულებებს. მისმა გატაცებამ ანტიკური ლიტერატურით, დიდმა სიყვარულმა ბერძნულ-რომაული პოეზიისადმი ქართული ვერსიფიკაციის შესახებ მსჯელობის დროსაც იზინა თავი; მიუხედავად იმისა, რომ პ. იოსელიანს გათვალისწინებული ჰქონდა არსებითი ფონეტიკური განსხვავებანი ქართულ და კლასიკურ ენებს შორის, მის ნაწერებში მაინც გამოსჭვივის ტენდენცია ბერძნულ-ლათინურ მეტრიკასთან მსგავსების ძიებისა. მაგ. ანტონ 1-ის „წყობილ-სიტყვაობის“ ერთს სქოლიოში პ. იოსელიანი სწერს:

„შესამეცნებლად ლექსთა იამბიკოთა ვიტყვი, რომელ ქართველნი მწერალნი არ შესდგომიან სრულიადთა და ყოვლადთა კანონთა და წესდებათა, რომელნიცა მიუღიათ ბერძენთა მსგულად იამბიკოთათვის. ვგონებ ესრეთი ცვალება იყოს უნებლიეთი მოთხოვნა ქართველთა სტიხთა თვისებისა და დაფუძნებულისა მარცვალთა ზედა (sillabe). გარნა ქართველთა იამბიკოთა შინა იპოვებიან ოდესმე ბერძნულთა იამბისა ბერძენი დაკტილი, სპონდე და ანაპესტი“¹.

პ. იოსელიანი აქ ორ შეცდომას უშვებს: 1). თითქოს ქართულ ლექსწყობას მარტოოდენ სილაბი განსაზღვრავდეს („დაფუძნებულსა მარცვალთა ზედა (sillabe)“ და 2). თითქოს ქართულ ლექსში თუ იამბიკოში „ოდესმე იპოვებოდა“ სპონდეებისაგან ან ანაპესტებისაგან შედგენილი თუნდაც ერთი ტაეპი. ქართული ვერსიფიკაცია საერთოდ არ იცნობს იამბს, სპონდეს ან ანაპესტს, როგორც დომინირებულ ტერფებს, არა თუ ერთი ლექსის ან სტროფის, არამედ ერთი ტაეპის ფარგლებშიაც კი².

პ. იოსელიანის შენიშვნებს საერთოდ ახასიათებთ ასეთი ეკლექტიზმი—ჩვენი ვერსიფიკაციის სილაბური სისტემისადმი მიკუთვნება, ხოლო, პარალელურად, მასში ბერძნული საზომების ტერფებს ძიება. ავიღოთ მეორე მაგალითი: „ჩახრუხაულის“ შესახებ პ. იოსელიანი წერს: „ესაა რთული საშუალება (способ) ლექსწყობისა, რომელიც ბერძენსა და ქვინტილიანთან ცნობილია ანტანაკლაზისის სახელით“...³

სქოლიოში კი ავტორი შემდეგი სიტყვებით აგრცვლებს თავის შეხედულებას:

„ფრანგულ პოეზიაში ტრაგედიებისა და ეპიური პოემებისათვის ამ სახის ლექსები იწოდებიან ალექსანდრიულად ანუ პერიოკულად და შესდგებიან 12 მარცვლისაგან ვაჟური რითმებით და 13 ქალურით. ფრანგულთან საერ-

¹ „წყობილ-სიტყვაობა“ ანტონ კათოლიკოსისა პლატონ იოსელიანის გამოცემა ტფილისი, 1853, შენიშვნა, ვვ. XXV.

² რუსულ ლექსში კი იამბი და ანაპესტი დომინირებული ტერფებია, უმრავლესობა პუნქტის მეტრებისა იამბური. ვერ კიდევ ვოსტოკოვი სწერდა: „—Русский стих более расположен или более привык к восходящим стопам, т. е. ямбу, анфибрахию и анапесту, в конх долгий слог последует краткому“ (იხ. Мисс Опыт о русском стихосложении, изд. II, СПб., 1817, стр. 84.—ზაზასმა ავტორისა). სხვა შეხედულებას იცავს ს. ბობროვის, რომელიც ამტკიცებს, თითქოს „რუსულ ენას, რიტმსა და ლექსს“ „დაკტილური სისტემა“ უახლოვდებაო. (Литературная энциклопедия. Словарь лит. терминов, М. Л. д. 1925, т. I, 442). ს. ბობროვის მოსაზრება სრულიად მიუღებელია.

³ Платон Иоселиани. Описание города Душета, Тифлис, 1850, стр. 63.

თო სილაბური ლექსწყობის საფუძველზე ჩაბრუნების ლექსი 20 მარტელისაგან შესდგება* 1.

ანტანაკლასის (Antanacclasis) მდგომარეობს რამდენიმე მარტელისაგან ნაირი მიიყვანოთით ხაარებაში და უშუალოდ მეტრის მომხმტს იგი არ გულისხმობს—ა. იოსელიანი მხოლოდ გარეგეულ ნიშნებზე იფუთიანებს. უფრო მართებულია „ჩაბრუნების“ დასტავება „ალექსანდრიულ ანუ ჰეროიკულ“ ლექსთან: ორივე მეტრს ახასიათებს დაქტილური „შედგეაილობა, მრავალმარცვლიანობა და ერთი სავალდებულო ცეზურა ნახევარკოლონის შემდეგ“, თუცა ამათ შორის განსხვავებაც მოიძრება. მაგ. ფრანგულ ალექსანდრიულ ლექსს უმეველად ვეყური რითმა აქვს და ცეზურის წინ მახვილს ატარებს“. საერთოდ, ქართულ კლასიკურ ლექსში ვრცელი მეტრები შეაძლოა ბერძნული მეტრიკის გავლენითაც შეიქმნენ (მაგ. დაქტილურ ბერძნულ ჰეგზამეტრს ზეგავლენა უხდა მოხვდინა ჩვენი ლექსწყობის ზოგიერთს ფორმაზე). მაგრამ ახლოგეური შეხვედრების მართოდენ გარეშე ფაქტორით ახსნა არ შეიძლება: ჩაბრუნებისა თუ შევთელურის მეტრული სტრუქტურის თავისებურებანი თვითონ ენობრივი თვისებებით არიან შეპირობებული.

თავისი შეხედულებანი ქართული ვერსიფიკაციის ბუნებაზე პ. იოსელიანმა უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა ერთს საგაზეთო ნარკვევში 4. აეტორი ვრცლად გადმოგვემს თავის ესთეტიკურ თეალსაზრისს საერთოდ პოეზიის შესახებ და შემდეგ ჩერდება ენობრივ მომენტზე:

„ხალხთა გემოვნება სხვადასხვანაირად გამოიხატება ლექსების შედგენისას. ნოელი თავის Gradus ad Parnassum-ში წერს, რომ რაც უსაზღვროდ სააპურია ერთს ენაში, ის არა სასიამოვნოა მეორე ენის გემოვნებისათვის. საუკეთესო ლექსები, განაგრძობს იგი ე. ი. ისინი, რომელნიც იწვევენ კმაყოფილების ძლიერ ეფექტს უახლოეს პოეზიაში და რომელნიც მოსწონს სმენას ფრანგული, იტალიური, გერმანული ენების ბავთავან, არასააპურად გვეჩვენებანი ბერძნულ და ლათინურ ლექსებში. ამის გამო, ამბობს იგი, მარცვალთა რაოდენობაზე დამყარებული (?) ბერძნული და ლათინური ლექსების საზომებსაც არავითარი სააპურობა არ გააჩნიათ უახლეს პოეზიაში“ 5.

საკეთრივ ქართული ლექსწყობის შესახებ პ. იოსელიანი წერს:

„ქართული ლექსწყობა სილაბური ანუ მარცვალსათელელია, მსგავსად იტალიელთა, ინგლისელთა (?) და ფრანგთა ლექსწყობისა. ამის მიზეზია ქართულ ენაში უქონლობა ღია პროსოდისა, ერთად ერთი საფუძველისა მეტრული (სატერიფო) ლექსწყობისათვის, რომელიც ბერძნული და ლათინური პოეზიის კუთვნილებას შეადგენს. მასში (ე. ი. ქართულში, ა. გ.) მეტრული იხმარება პირიზო-დაქტილური მეტრი. თუმცა არის სხვა, მარტივი და

* Op. cit., 64 (მეზინაში).

4 P. Вестфаль, Теория ритма. „Русский вестник“, 1881, кн. 154 (Июль) стр. 162 — 163.

5 ფრანგულ ალექსანდრიულ ლექსში კადენცია ჩვეულებრივ იმპური ან ანაპესტური. (იხ. Живриунский, Введение... 87).

6 Путевые записки от Тифлиса до Мухеты. Платона Иоселиани, Кавказ, 1870. (კალე გმოცემა — Тифлис, 1871. ციტატები ამ გამოცემიდან).

7 Путевые записки... стр. 42—43.

რთული მეტრებიც, მაგრამ თვითონ პროსოდის ფარულობის გამო ლექსთა ტერფები აოც ისე ღიაა. ენა ადვილად რითითა თანაბანად და იგი ადვილად პოეზიას დიდს სიღრმეს გრამატიკული მიზნების საძირკვლით მთელს სიტყვებში, რომელნიც სხვადასხვა თვისებებს შეიცავენ. თავისი მოქმედების გამო ენას შეუძლია თითქმის ყველა სიტყვა გადაიტანოს მეტყველების ერთი სფეროდან მეორეში. თითქმის ყველა ზედმერული; თავადელი შეიძლება იქცეს არსებით სახელად და ზახებად, მაგ. ოდეს, ოდესობა—Когда? სადა, სადაობა? (ubi, ubitas) და ეს სრულიად არ იწვევს ძალმომრეობას ენაზე, განსაკუთრებით ლექსწყობაში.

ასეთი თვისებებისაგან არის დავალებული ენა, ისიც სილაბურ ლექსწყობაში, ლექსთა მსუბუქად თხზვისა და სიტყვათა განლაგების თავისუფლების მხრივ. ძველი არაა შერჩევა თანაზომიერი სიტყვებისა, რომელნიც ადვილად როდი შეირჩევიან იმ ენებში, რომელნიც ლექსწყობის ასეთს გვიჩვენებს არ მისდევენ. უდავოა, რომ სწორი, თანაზომიერი ტერფების შერჩევა უფრო ძნელია, ვიდრე შერჩევა რითებისა, რადგან მეტყველს ის აჯილდოვებს თავისუფლებით — მისცეს სიტყვებს მიმოხრა და დინება, ამ გზით მათთვის კეთილმოვანებისა, სიწყობისა და მუსიკალურობის მისანიჭებლად¹.

მოტანილი ადგილი შექმნენ პ. იოსელიანის თვალსაზრისს ქართული ვერსიფიკაციის ბუნებაზე. გამოდის, რომ: 1) ქართული ლექსწყობა სილაბური სისტემისაა, მსგავსად იტალიურისა, ინგლისურისა (?) და ფრანგულისა. 2) პროსოდიული თავისებურობის გამო ქართულ ლექსს არ ახასიათებს მეტრული სისტემის კანონები, კერძოდ ტერფური შედგენილობა. 3) მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ლექსში შეინიშნება მარტივი და რთული მეტრების არსებობა და მასში „მეტწილად პირიხო-დაქტილური მეტრი იხმარება“, მაინც, „პროსოდის ფარულობის გამო, „ტაქტების ტერფები არც ისე ღიაა“. ამიტომ, პ. იოსელიანის აზრით, ქართული ლექსი თავისუფლად ითხზება, სიტყვები თავისუფლად ლაგდებიან და პოეტი არ ხედება დაბკოლებებს „თანაზომიერი სიტყვების შერჩევით“ დროს.

შეიხვეული ატყობს, რომ პ. იოსელიანის შეხედულებებს ნაწილობრივი ევოლუცია განუცდიათ, იგი უკვე აღარ ეძებს კლასიკური მეტრიკის ტერფებსა და საზომებს ქართულ ლექსში, კატეგორიულად იცავს ჩვენი ვერსიფიკაციის სილაბურობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმეორებს ბოლხოვიტინოვს ფრაზას — „მასში მეტწილად პირიხო-დაქტილური მეტრი იხმარება“.

როგორ ავხსნათ ეს წინააღმდეგობა?

პ. იოსელიანი არაფერს ამბობს მახვილის როლზე ქართულ ლექსში, ამიტომაც ჰგონია, თითქოს მეტრის ზეგავლენა სიტყვების შერჩევაზე არ ვრცელდება. მიუხედავად იმისა, ჩვენს „ფართულ პროსოდიას“ პ. იოსელიანს მაინც უპოვია ერთადერთი მეტრი — „პირიხო-დაქტილური“ მაგრამ ეს გამოთქმა პ. იოსელიანის წერილში მოხვდა არა უშუალოდ ბოლხოვიტინოვის წიგნიდან, არამედ დრუბინაშვილის წერილიდან და ვეფხისტყაოსანზე, რომელიც 1850 წელს დაიბეჭდა „ზავეჯასკი ვესტნიკ“-ში. ამ

¹ Путевые записки. 47 — 48.

გაზეთის რედაქტორი კი 1850 წელს იყო სწორედ პ. იოსელიანი. დ. ჩუბინაშვილს ბოლხოვიტინოვს წიგნიდან აქვს ამოღებული (წყაროს დაუსახელებლად) რუსთველის 16 მარცვლიანი შაირის დახასიათება და სწორედ ეს ერთადერთი ადგილი გაიმეორა პ. იოსელიანმა თავის ნარკვევში. ცხადია, პ. იოსელიანი ანგარიშს გაუწევდა ბოლხოვიტინოვის სხვა შეხედულებებსაც, ხელთ რომ ჰქონოდა მისი წიგნაკი. თანაც ჩვენი ავტორის მსჯელობას ქართული ლექსის „გვარებზე“ ისეთი ხასიათი აქვს, თითქოს პირველად არჩევდეს მათ ვერსიფიკაციის მხრივ, თუმცა ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ბოლხოვიტინოვს ჰქონდა განხილული. ყოველივე ეს ოდნავადაც არ იწვევს იშვს, რომ გამოთქმა „პირიხოდ აქტილური მეტრი“ შემთხვევით მოხვდა პ. იოსელიანის წერილში და ავტორის ძირითად მოსაზრებათა მწკრივში იგი მნიშვნელობას მოკლებულია...

ქართულ ლექსის ცალკეული „გვარების“ შესახებ პ. იოსელიანი ზოგჯერ იმეორებს იმ განმარტებებს, რომელნიც „წყობილსიტყვაობის“ კომენტარში (1853) და „ქ. დუშეთის აღწერილობაში“ (1860) გვხვდება. მაგ.

„პოეტ შავთელის ლექსების საზომი არის ალექსანდრიული, ლექსწყობის იმ გვარისა, რომელიც ბერძნებთან და ქვინტილიანთან ცნობილია ანტანაკლაზისის (Antanacclasis) სახელწოდებით. ლექსწყობის ეს გვარი ქართულ სიტყვიერებაში შემოტანილია შავთელისა და რუსთველის დროების პოეტის ჩახრუხაძის მიერ, რომელმაც მას ჩახრუხაული უწოდა“¹. და იქვე, სქოლიოში, მოცემული აქვს ანტანაკლაზისის განმარტებაც: „ერთიდაიგივე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით განმეორებაშია ხასიათი ლექსწყობის ამ გვარისა“².

პ. იოსელიანს სწადია რაღაც გენეტიკური კავშირი იპოვოს ქართული პოეტური ფორმების ცალკეულ ელემენტებსა და ბერძნულ-ლათინური პოეზიის ზოგიერთ ფორმალურ ნიშნებს შორის. ვერსიფიკაციის სფეროში მას უძნელდება ასეთის აღმოჩენა, რადგან ენობრივ მომენტს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მაგრამ ხშირად ვერ იკავეებს თავს ანალოგიების ძიებისაგან, განსაკუთრებით ეპიგრამების საკითხში. ერთი ამონაწერიც:

„სტროფების, ანტისტროფებისა და პერისტროფების თამაში ქართულ ლექსებში,—განსაცვიფრებელია. არ მეეჭვება, რომ ამაში ჰბაძავდნენ ბერძნული ოდების მწერლებს, რომელთა წყობის მიზანი იყო გამოეწვიათ ხმის მოძრაობა სიტყვების წარმოთქმის ან სიმღერის დროს; თვითონ სიტყვა ოდა გამოხატავს ს ი მ ლ ე რ ა ს. ასე შეიქმნა მეტრული ლექსების ზომა, თავისუფალი გადასვლა ერთი ტერფიდან მეორეში ისე, რომ პირველის აზრი მეორის ბოლოში დამთავრებულიყო“³.

მსგავსი ანალოგიები უფრო ხშირია წიგნაკის იმ ნაწილში, რომელიც ქართული ლექსის საზომების და „გვარების“ დახასიათებას შეიცავს. ავტორს გარჩეული აქვს ლექსწყობის სულ 11 „გვარი“: 1. „იამბიკური“, 2. „შაირი“,

¹ Op. cit., 28.

² იქვე; განმარტება სწორია. შტრ. Pape, Griechisch-Deutsches Landwörterbuch, I Bd. 205, Braunschweig, 1864.

³ Путевые записки... стр. 49.

3. „ჩახრუხაული“, 4. „რეული“, 5. „მაგნაკორული“, 6. „შერეული“, 7. „ლექსი“, 8. „წყობილი“, 9. „ტაეპი“, 10. „ფისტიკაური“, 11. „მარცვალნი გრძელნი, მოკლეთაგან დამოკიდებულინი, იწოდებიან იამბიკოდ“.

3. იოსელიანი თანმიმდევრობით განიხილავს მათ:

1. „იამბურნი (იამბიკონი). უეჭველია ბერძნებისაგან არის ნასესხები, როგორც თვითონ სახელწოდება გვიჩვენებს. ლექსწყობის ეს გვარი თავდაპირველად იხმარებოდა დრამატულ პოეზიაში. მისთვის დამახასიათებელია ერთი მოკლე და ერთი გრძელი მარცვლისაგან შედგენილი ტერფი ტაეპებისა. ჰორაციუსი ასე განსაზღვრავს იამბს (Jambus): *Syllaba longa brevi subiecta vocatur jambus* „მარცვალნი გრძელნი, მოკლეთაგან დამოკიდებულინი, იწოდებიან იამბიკოდ“.

რადგან პოეზიის ეს გვარი IV საუკუნიდან იხმარებოდა ბერძნული ეკლესიის მამების მიერ, ამიტომაც, ქართულ ეკლესიაშიც, იმავე ბერძნული ეკლესიის საუკეთესო ნაშეიქში, საეკლესიოდ იწოდება“¹.

3. იოსელიანს მოჰყავს ნიმუშები ქართული იამბიკობისა, უმათერსად ანტონ 1-ის „წყობილ სიტყვაობიდან“ და ბოლოს დასძენს: „კათოლიკოსი ანტონი, როგორც იამბებს მთხველი, თავისი ცხოვრებით, წოდებითა და მოწოდებით ბერი იყო. ამ მხრივ პოეტი, ერთგული სილაბური ლექსების მეტრისა (როგორცაა ქართული ლექსწყობა), კმაყოფილია, თუ მან ლაკონიურად, მოკლე აფორიზმებში დაახასიათა ცხოვრება და მნიშვნელობა პიროვნებისა როგორც საგანი შექებისა. იამბური ლექსების საზომების ქორალური ამღერება, რაც მისი აღმოცენების საფუძველს წარმოადგენდა, ადამილებს პიროვნების თავმდაბალ მნიშვნელობას. ქართული იამბის ლექსები არიან პირმშონი ღიმილისა, მაგრამ მშვიდი, წყნარი ღიმილისა, როგორც თვითონ ცხოვრება განდევლისა“².

„შაირს“ შესახებ 3. იოსელიანი იმეორებს ბოლხოვიტინოვის აზრს რომელსაც იგი დ. ჩუბინაშვილის წერილის მიხედვით იცნობს: „2). შ ა ი რ ი. ეს ყველაზე მარტივი, მაგრამ ყველაზე ძნელი გვარია ლექსების შეხამებისა. მას სთელიან ყველაზე ხალხურ, საზოგადოდ ხმარებულ და მსუბუქ (ლექსად) მწერლისათვის“³. მოყვანილ ნიმუშებს ავტორი ტერფული შედგენილობის მხრივ არ განიხილავს, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო სილაბური თეორიის დამცველისაგან.

„ჩახრუხაულის“ გამო 3. იოსელიანი წერს, რომ ამ საზომს ეხებოდა „ქდუშეთის აღწერილობაში“ და დამატებით შენიშნავს:

„ამასვე განეკუთვნებიან ლექსწყობის ის გვარნი, რომელნიც ცნობილი არიან სპარსული სახელით „მ ა ჯ ა მ ა“ (ბერძ. ომონიმი) და „მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი“—მკვირცხლი, ცოცხალი, ლაკონიური, მკვრივი სიტყვებით; ფსალმუნებსა და საეკლესიო საგალობლებში მოიპოვებიან ნიმუშები ასეთი სახის პოეზიისა. ასეთივეა ამაღლებული სიმღერა ლათინურ ენაზე: „Te Deum laudamus“ შენ გაქებთ უფალო!“ თხზულება ამბროსი მედიოლანელისა, რომელსაც ბერძნული ეკლესიაც იყენებს“⁴.

„მაჯამის“, როგორც ლექსის „გვარის“, დაკავშირება ჩახრუხაულთან მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება, ისიც მარტოოდენ რითმების სისტემის

¹ Путевые записки... стр. 56.
² იქვე, 60.
³ იქვე, 61 — 62.
⁴ იქვე, გვ. 63 — 64.

მხრივ. მაგრამ „მუხამბაზს“ საერთო არაფერი აქვს „თამარიანის“ სტილთან, არც მედიოლინელის ცნობილ მიმართ. წაიძოშობისა, მელოდრეტიკისა და ლექსების თანაბრდევრობის მხრივ მუხამბაზის სათავე არაბულ-სპარსულ პოეზიაშია². აგრეთვე ხელოვნური და საფუძველს მოკლებულია დასახელებული სალექსო ფორმების შედარება ქართულ ან ლათინურ ჰიმნოგრაფიასთან.

მკდარია „რეულის“ განმარტებაც „რეული. სახელწოდება მიიღო რეამარცელიანი ტერმებისაგან (?)³. ნიმუშად ავტორს მოჰყავს ორტაეპიანი 16 მარცვლიანი შაირი „ქალილა და დამანადას“, რომელსაც „რეტერფინობა“ არ ახასიათებს და, საერთოდ, გაუგებარია რად დასჭირდა ავტორს მოტანილი საზომის დახასიათება ტერმული შედგენილობის მხრივ.

„მაჯნაკორულის“ გამო (იხევე, როგორც „ჩახრუხაულის“ შესახებ) პ. იოსელიანი აღნიშნავს, რომ ამ საზომს ეხებოდა „დუშეთის აღწერილობაში“ და შემდეგ დასძენს: „ნიმუში ასეთი გვარის ლექსწყობისა, რომელიც ცნობილი იყო ბერძნებსა და რომაელებში Homaeoprophero-ს სახელწოდებით (Martial) ქალილა და დამანაში შემდეგია“ (დაბეჭდილია 20 მარცვლიანი ორი ტაეპი, ა. გ.)⁴.

ქართული ლექსის დანარჩენი სახეები ასეა განმარტებული „6. შერეული... ამ გვარის ნიმუშება ვეითბულობთ ქალილა და დამანაში“ 7). ლექსი. სახელწოდება „ლექსი“ ქართულად ნიშნავს სიტყვას და ლექსს ან სიტყვათწყობას. ამ სახელწოდების ეტიმოლოგიური მნიშვნელობა მდგომარეობს ბერძნულ სიტყვაში, რომლისგან ნაწარმოებია „ლექსიკონი“ (Lexidium მცირე სიტყვა—გელლისთან და Lexis—სიტყვა—ლიუცილთან). ლექსწყობის ამ გვარის ახსნა მე არ ძალმიძს. ნიმუშს მოვიყვან ქალილა და დამანადან“ (მოყვანილია 2 ტაეპიანი ლექსები, ა. გ.) 8) წყობილი. ეს სახელწოდება [მომდინარეობს] ქართული სიტყვიდან „წყობა“... (გადმობეჭდილია ერთრიტმიანი ოთხი ტაეპი „ქალილა და დამანადან: „ენა მარჯვე, ენა ტბილი...“ ა. გ.) 9). ტაეპი. ნიმუში ამ გვარისა ქალილა და დამანაშია. 10) ფისტიკაური. სახელწოდება შეიქმნა ბერძნული სიტყვიდან ფისტიკა (ბუნება). აღწერის საგნად აქვს ბუნების სამი სამეფოს ემნილებანი. 11) მრჩობლედი...“ (მეტრი არ არის განმარტებული, ჩამოთვლილია მხოლოდ მაგალითები და ზოგიერთისათვის მოძებნილია მსგავსებანი ლათინურ პოეზიაში, ა. გ.)⁵.

ამ მოკლე შენიშვნებით ამოიწურება ქართული ლექსის „გვართა“ აღრიცხვა და მათი ანალიზი პ. იოსელიანის წიგნაკში. შინაგანი სტრუქტურის მხრივ საზომები იშვიათადაა განხილული; როცა ავტორი სილაბური თეორიის თვალსაზრისს დალატობს, უმაღლეს ხელოვნურ შედარებებს მიმართავს—ამსგავსებს მათ ბერძნულ-ლათინური ლექსწყობის ნიმუშებს. შეც-

² იხ. Грамматика персидского языка, составленная Мирзюю Джафаром (с участием академика Ф. Е. Корша). Москва, 1901, стр. 313—315 (მოყვანილია ნიმუში ჯადიხანის, რომელსაც თავის ავტობიოგრაფიაში ქართულ მუხამბაზს უახლოვდება).

³ П. Иоселиани, Пут. записки... стр. 65.

⁴ Путевые записки... стр. 66—73.

⁵ იხ. გვ. 1.

დომები მოეპოვება სახელწოდებათა განმარტებაშიაც (მაგ., „ფაქტუალური“ ეტიმოლოგიურად შედარებულია ბერძნულ „ფიზიკასთან“ და „ფიზიკა“) პ. იოსელიანი გაეკრით ლაპარაკობს აგრეთვე ქართულ „ანდაზებზე“, „ენიგმებისა“ (გამოცანების), „ლოგოგრაფის“, „მაკარონიმისა“ და „პოლინდრომის“ შესახებ (გვ. გვ. 73-74); ამ ნაწილში ავტორი მეტრიკის საკითხებს არ ეხება. ბოლოს ასკვნის: „ასეთია ჩემი გადმოცემა ქართული სიტყვიერების პარნასს შესახებ. პირველი ნარკვევი ყოველთვის სუსტი გამოდის. კმაყოფილი ვარ, რომ მომეცა შემთხვევა შემომენახა ის, რაც მეხსიერებაში შემჩენოდა. კმაყოფილი ვიქნები თუ მიუთითე წყაროებზე — დღემდე ბეჭდურად გამოუცემელ წიგნებზე. შემდგომი სისტემატური განვითარება საგნისა, ლექსებისა და [მათი] საფუძვლების დაწვრილებითი ანალიზით, რომელსაც ლექსწყობა ემყარება, ქართული სიტყვიერების შესახებ მეცნიერების სხვა წარმომადგენლებს დაეთმობა“.²

პ. იოსელიანის მოკრძალებული განცხადება სავსებით შეეფერება მისი ცდების ხასიათს ვერსიფიკაციის დარგში.

10. ქართული მეტრიკის ისტორიაში ცალკე უნდა გამოიყოს იმ გრამატიკოსების შინაშენები, რომელნიც ჩვენი პროსოდიის საკითხებს ეხებოდნენ. მე-19 საუკ. მანძილზე საბოლოო აზრს დადგენა ვერც ამ საკითხში მოხერხდა. პროსოდიის მეკლეგარტა შორის ერთნი სრულიად უარყოფდნენ მახვილის როლს ქართულ ენაში, მეორენი კი მას მთავარ ფაქტორად რაცხდნენ.

გასული საუკუნის პირველ ნახიარში ქართული მახვილის საკითხს მოკლედ შიგბო პ. იოსელიანი, იგი წერს:

„§ 220. პროსოდია საზოგადოდ არს ნაწილი ორამეატრიკისა, რომელიცა ასწავებს თუ რომელთა მარცულთა (ლექსთა) შინა ჯერ არს გამოლება გრძელად და რომელთა მოკლედ.“

თუთოოსა ლექსთა შინა იქმნების ერთი გრძელი; ხოლო სხუანი მოკლენი: ნიშანი გრძელისა მარცულისა არს—ხოლო მოკლისაა. გრძელი მარცულთა არს იგი, რომელსა ზედაცა ამალღობის ხმა.

§ 221. ქართულისა პროსოდიისა კანონნი არიან შემდგომნი:

ა. ერთმარცულოიანი ლექსნი სოლოიიე არიან გრძელი <ი თარც> ა ყოველთავე ენათა შინა, მაგ. მე, შენ, ძმა, ხმა და სხ.

ბ. ორ-მარცულოიანთ და სამ-მარცულოიანთა ლექსთა შინა პირილ<ი არს გრძელი და სხუანი მოკლენი. მაგ., მამა, კაცი, დიდება, ტაძარი და სხ.

გ. ოთხ-მარცულოიანთა, ხუთ-მარცულოიანთა, ექვს-მარცულოიანთა და ომეტრისთა ლექსთა შორის აღირიცხვან მარცულნი ბოლოთაგან და მესამე მარცულთა დასასრულითგან არს ნიადაგგრძელი, მაგ., განათლება, ბედნიერება, განმანათლებელი, წარმოვლინებული და სხვ.

ს ხო [ლ]. კანონთა ამათგან არა განეშორებიან, ბრუნვლნი, არცა მიმოხრილნი, არცა რთულნი, არცა სხმით—გარდასლვთნი ქართულისა ენისა ლექსნი, მაგ., კაცი, კაცისა, ვამსუბუქებ და სხვ.

¹ ლიტერატურა ფისტკაურის შესახებ: პ. იოსელიანი, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა. „რუსთაველის კრებულები“, 1938, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 75 — 79; ა. კ. ი. შანიძე, ფისტკაურის ისტორიისათვის. „ლიტერატურული ძეგლები“, II, გვ. 5—13, 1945.

² Путевые записки... стр. 74 — 75.

ბ. სათვთონი სახელნი უცხოთა ენათა, მაგ. კონსტანტინე, ალექსანდრე და სხ. გამოითქვიან თვისებისაებრ საზოგადოებასა ლექსთა ხმარებისაჲსაჲს. როგორც ამონაწერიდან ჩანს, პ. იოსელიანი მახვილიან მარცვლს უწოდებს „გრძელს“, უმახვილოს კი—„მოკლეს“. ქართული გრამატიკოსი ბერძნული პროსოდის ტერმინებით ნათლავს სულ სხვა ენობრივ მოვლენებს, რაიც გამოხატვის არ წარმოადგენს ეპოქის ფონზე.

პ. იოსელიანმა პირველად მიუთითა ქართულ ენაში მახვილიანი („გრძელი“) მარცვლების კონსერვატიულ ბუნებაზე, რომელსაც შემდეგ იმეორებს ნიკ. ჩუბინაშვილიც (იხ. ქვემოთ). მანვე აღნიშნა აგრეთვე, რომ უცხოური წარმოშობის სახელები საკუთარ აქცენტუაციას ინარჩუნებენ ქართულში (მდრ. ქვემოთ, ნ. ჩუბინაშვილის წერილის 5 პარაგრაფი). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პ. იოსელიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცალკეულ სიტყვათა სილაბურად გაზრდის შემთხვევაშიაც მახვილი დაქტილურია და რომ „კანონთა ამთვან არა განეშორებიან ბრუნვილნი, არცა მიმოხრილნი, არცა რთულნი, არცა სხმით-გარდასლევითნი ქართულისა ენისა ლექსნი“ (ტერმინ „ლექსს“ პ. იოსელიანი ხმარობს СЛОБО-ს მნიშვნელობით, ხოლო „სიტყვა“-ს—„წინადადების“ მნიშვნელობით; ამიტომაც, რომ „სინტაქსს“ იგი განმარტავს, როგორც „ლექსთა—თხზულებას“. იხ. „ღრამმატიკის“ შესავალი).

პ. იოსელიანის შეხედულებებს ჩვენი პროსოდის შესახებ წყაროს დაუსახელებლად იმეორებენ დანარჩენი ქართველი გრამატიკოსები. ზოგი მათგანის განმარტებანი სიტყვა-სიტყვით ემთხვევიან პ. იოსელიანის ფორმულებს. კერძოდ ნიკ. ჩუბინაშვილი რამდენიმე მისი ფრაზისა და მაგალითების პლაგიატადაც გვევლინება.

ბოლოს უნდა შევნიშნოთ, რომ ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს წ ყ ო ბ ი ს კ ვ ლ ე ი ს ა ს პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა ს რ უ ლ ი ა დ და ი ვ ი წ ყ ა ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი მ ა ხ ვ ი ლ ე ბ ი ს რ ო ლ ი და მ ა თ ი რ ი ტ მ უ ლ ი ფ უ ნ ქ ც ი ა.

პ. იოსელიანის შემდეგ საგულისხმოა ორი ქართველი გრამატიკოსის, ნ. დ. ჩუბინაშვილისა და დ. ჩუბინაშვილის ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებანი.

წერილში „ქ ა რ თ უ ლ ი პ რ ო ს ო დ ი ი ს ა თ ე ი ს ა ნ უ გ ა მ ო ლ ე ბ ი ს ა“ ნ. დ. ჩუბინაშვილი წერს:

„პროსოდია საზოგადოდ არს ნაწილი ღრამმატიკისა, რომელიცა ასწავებს, თუ რომელთა მარცვალთა ლექსთა შ <ინ> ა ჯერ არს გამოღება გრძლად და რომელთა მოკლედ.

ნიშანი გრძელისა მარცვლისა არს —, ხ <ოლო> მოკლისა — . გრძელი მარცვალი არს იგი, რ <ომე>ლსა ზ <ედ>აცა ამაღლდების ხმა და თვითეულსა ლექსსა შ <ინ> ა იქმნების ერთი გრძელი, ხ <ოლო> სხვანი მოკლენი.

ქართველთა ღრამმატიკოსთა არა დაუდევიათ საჭიროდ ნაწილი ესე და ვითინიმე ამტკიცებენცა, ვ <თარმე>დ ქართულსა ენასა არა აქვს პროსოდია: გარნა თვითოულსა ენასა პროსოდია აქვს ესრეთ მიუცილობელად, ვ <ითარც>ა ნაწილი სიტყვისანი, ხ <ოლო> მესტიზობისათ <ვი>ს არს, ვ <ითარც> ასული

1 იხ. „პირველ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ვანატისაძის იოსელიანის მიერ“, [თბილისი], 1840, გვ. 145—146.

ხორცით <ვი>ს. ხ <ოლო> საშუალოდითა პროსოდისათა სტიხნი, ესრედ ითქმოდენ, აღიწონებოდა, ვ <თარც>ა სასწვრითა ფეოტქისათა უმცირესნი ნაწილნი უმისხლისანი, ვ <თარმ>ედ ხორბლის მარცულადმდე. და ნაწილნი თვინიერ პროსოდისა არა არიან სტიხნი. დასარღვეველად ამისა არა ეხმარების ესე, რ <ომე>ლ უმეცარნი პროსოდისანი და თვით ღრამმატიკოსნიცა სთხვეენ სტიხთა ბუნებითა ზ <ედ>ა ენასა. ივინი შეუდგებიან თვით ბუნებითა, გამოდგებასა, ხ <ოლო> უცხოთა ენათა ზ <ედ>ა არავის ძალუძს შეთხზვა სტიხთა, უსწავლელად მის ენის პროსოდისა, ნუ თუ ენა შეესწავლოს მას ხმარებისაგან ესრეთ, ვ <ითარც>ა ბუნებითი.

ესე მართალ არს, რ <ომე>ლ ქართულის ენის პროსოდია არა ევრეთ ძნელ არს, ვ <ითარც>ა ბერძნულისა ანუ სლავურისა, რ <ომე>ლთაცა თვითეულსა ლექსსა შინა დასმულ არს გრძელთა ზედა მარცვალთა ნიშნად მ ა ხ ვ ი ლ ი, სადაცა ჯერ არს ამოღება ხმისა, და ამით მრავალჯერ განირჩევიან მნიშვნელოვანი ლექსთანი. მაგალ. Мѹка ტანჯვა, Мѹка ფეკილი; და თუმცა ქართულსა ენასა აქვს ესრეთივე თვისება, ა <რამე>დ საგონებელ არს, უადვილესი ყ <ოველ>თა ენათა, რაოდენნიცა არიან ქ <ვე>ყანასა ზედა და ესრეთ კანონნიცა პროსოდისანი ჰქმნან ფ <რია>დ მცირენი და უადვილესნი:

1) ერთ მარცვლოვანთა ლექსთა <თვი>ს რაამელა ჯერ არს თქმად, რ <ომელ> ყ <ოველ>თავე ენათა ზეცა ამგვარნი ლექსნი არიან გრძელნი მარცულნი, მაგ. მე, შენ ძე, ხე, ხმა, ფრთა და სხვ.

2) ორმარცვლოვანთა და სამმარცვლოვანთა ლექსთა შ <ინ>ა პ <ირვე>ლი არს გრძელი და შ <ემდეგ>ნი მოკლენი, მაგალ. მამა, მეფე, კაცი, უფალი, მოძღვარი, ტაძარი, მღერარე. დიდება და სხვ.

3) ოთხმარცვლოვანთა, ხუთმარცვლოვანთა, ექვსმარცვლოვანთა და უმეტესთა ლექსთა შ <ორი>ს აღირიცხებიან მარცულნი ბოლოვან, — და მესამე მარცული დასასრულიდგან არს ნიადაგ გრძელი, მაგალ. განათლება, განსხვავება, ბედნიერება, განმანათლებელი, წარმოვლინებული და სხვ.

4) კანონთა ამათ არა განეშორებიან: ბრუნვლინი, არცა მიმოზრილინი, არცა რთულნი, არცა სხმითგარდასლვითნი ლექსნი ქართულის ენისანი, მაგალ. კაცი, კაცოსაგან, კაცობრივობა, კაცთ მოყვარება, ქველც-მოქმედება, ვამსუბუქებ, აღმსუბუქებული, დიდება, დიდებული, დიდებულება, დიდებულებითი და სხვ.

5) თუმცა გამოირიცხებიან კანონთა ამათგან სათვითონი სახელნი უცხოთა ენათანი შემსგავსებითა მათთა ენათა გამოდგებისათა, მაგალ. კოსტანტინე, ანდრონიკე, თეოდორე, მაქსიმე, მიხაილ, გაბრიელ, დანიილ, ნაბუქოდონოსორ, სემირამიდა, თამარ, დამასკო, იერუსალიმი და სხვ. — გარნა ესენიც უმრავალჯერის მდაბიურისა შ <ინ>ა ლაპარაკსა გამოითქმებიან თვისებისაებრ საზოგადოსა წმარებისა¹.

მოყვანილი ამონაწერის ბოლო პარაგრაფების შედარება პ. იოსელიანის გრამატიკის სათანადო აღვილებთან იქვს არ სტოვებს, რომ ნ. ჩუბინაშვილს ზოგი აღვილი პირდაპირ გადმოუწერია თავისი წინაპრის ნაშრომიდან. დამოუკიდებელი ამისა, საგულისხმოა მისი განცხადება, რომ ქართველი გრამატიკოსები საჭიროდ არ სთვლიან პროსოდის საკითხების დამუშავებას, რადგან ფიქრობენ, თითქოს „ქართულსა ენასა არა აქვს პროსოდია“. საესებით გასაზიარებელია

¹ Чагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб., 1894, вып. 3-й, стр. 52—53.

მოსაზრება, რომ „ქართულის ენისა პროსოდიის არა იგრიტ მნელ არს. ს. კ. ჯ. ბერძნული ანუ სლავურისა“. ე. ი. ბერძნული ან „სლავურისა“ კანონებთან ქართული პროსოდიის შედარება უსაფუძვლოა. რაზე შეფუძნებას ვილიანი და უმახვილო მარცვლების განმარტებას გ რ ძ ე ლ და მ ო კ ლ ე მარცვლებად, შუცდომა და ისევ კლასიკური ლექსწყობის ტერმინოლოგიის მიბაძვით აიხსნება¹.

ქართული მეტრიკისა და პროსოდიის საკითხებში საწინააღმდეგო შეხედულებას იცავს დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. მის გრამატიკულ შრომებში კვალიც არა ჩანს ბოლხოვიტინოვის მოსაზრებებისა, რომელიც მან მექანიკურად გაიმეორა ვეფხის-ტყაოსნის შესახებ დაწერილ სტატიაში. წიგნში „Краткая грузинская грамматика“ (СПБ 1855) დ. ჩუბინაშვილი „ქართული ლექსწყობის“ შესახებ წერს: „ქართული ლექსწყობა რუსულისაგან განსხვავდება მით, რომ ის ემყარება არა მახვილებს, არამედ მარცვლების რაოდენობას, მათსადაც ტონური კი არაა, არამედ სილაბური. ქართულ ლექსებს, განსაკუთრებით შაირს, აქვს ცენზურა; ხოლო იამბურ ლექსებს რითმა არ აქვთ“².

დ. ჩუბინაშვილი ქართულ ლექსებს მხოლოდ მარცვლებისა და სტროფის ტაქების რაოდენობის მიხედვით აჯგუფებს. რამდენიმე სიტყვით აქვს განხილული 9 ფორმა ქართული კლასიკური ლექსისა: 1. „შაირი“, 2. „ჩახრიხაული“ ან „პოსტიკაური“, 3. „წყობილი“, 4. „ბიათი“, 5. „მუდანბაზი“, 6. „თეჯლიში“, 7. „მუსთაზადი“, 8. „ვაფი“, 9. „იამბიკო“³.

დ. ჩუბინაშვილმა არა ერთხელ გაიმეორა ეს მოსაზრება ჩვენი ვერსიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად საკითხზე. „რ უ ს უ ლ-ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ს“ შესავალში გრამატიკოსი ამბობს:

„საზომი ლექსთა საზოგადოდ არიან სამგეარნი: პირველს გვარსა ეკუთნიან ლექსნი მახვილოვანი, როდესაც სიტყვები გამოითქმებიან მახვილის შეწყე-

¹ ქართული მახვილის შესახებ არსებული ლიტ. მიმოხილვა ჩვენს უშუალო მიზანს არ შეადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი პროსოდიის საკითხებს შეეხო ჯერ კიდევ იტალიელი მისიონერი ფრანცისკო შაჯიო ლაინურად შედგენილ პირველ ქართულ გრამატიკაში (სრული სათაური იხ. „ბიბლიოგრაფიაში“; შტრ. А. Чагарели. О грамматической литературе грузинского языка. Критический очерк. СПб. 1873, стр. 46—47, აქვე მოცემულე შაჯიოს გრამატიკის პროსოდიული ნაწილის შეფასება (ვკ. 54—55): „Далее следует изложение просодии. Автор на основании будто бы количества и ударений последних и предпоследних слогов делит все слова на две категории: 1) рассуждая о количестве предпоследних слогов (de penultimarum sillabarum quantitate) имеет 10 разрядов: о произношении многосложных слов, принимающих в конце ударение, с тремя подразделениями, на основании гласных а, о и е (de polysyllabis dictionibus quae cum accentu in fine pronunciantur), он приводит для подкрепления им же сочиненных правила более 30 примеров, из которых почти ни один не имеет в конце ударения, но или на предпоследнем, если слово двухсложное, или на 3-ем от конца слоге, если трехсложное и более. Словом, вся эта просодическая часть, как правила, так и примеры, составлена, по механическому подражанию схемам латинской грамматики, весьма искусственно“.

² ქართული, რუსული და ვერობული საენათმეცნიერო ლიტერატურა ქართულ მახვილებზე არც თუ ღარიბია, მაგრამ მათი მიმოხილვა, როგორც აღვნიშნეთ, ნარკვევის ფარგლებში არ შემოიღეს (იხ. ჩვენი წერტილი „მახვილი ქართულ ლექსში“, ტურნ. „მნათობი“, 1947, № 9).

³ Краткая грузинская грамматика, стр. 74.

⁴ Кр. груз. грамматика, стр. 75;



ნითა. მაგალ. რუსული ლექსები; მეორე, გრძელ და მოკლე მარცვლებიანნი, როდესაც თვითთველსაიტიყვასა აქვს ერთი გრძელად გამოსათქმელნი მარცვლებიანი დასხვანი მოკლე, ვითარცა ბერძნულსა და ლათინურს ენებში; მესამე, მარცვლოვანი, სადაც დაიცვენ მარცვალთა რიცხვთა, როგორც ქართული, სპარსული და სხვანი¹.

დ. ჩუბინაშვილის აზრით ქართული ლექსწყობა სილაბური სისტემისაა და ენათესავენა სპარსულს. არც ერთი ეს მოსაზრება არაა მართალი.

„ლექსიკონის“ ზემოთ მოტანილი ადგილის გასამართლებლად დ. ჩუბინაშვილი ჯიჯიკა კატეგორიული ტონით სწერდა:

„რაც შეეხება ქართული ლექსების პროსოდიას, გასამართლებლად უნდა ვთქვა: ქართული ლექსები, როგორც ფრანგული, იტალიური და ა. შ. არსებითად სილაბურია. სილაბურ ლექსებში ყველა მარცვალი აღიარებულია თანაზომიერად; მაშასადამე [ამ მეტრში] არ იცის განსხვავება გრძელ და მოკლე ხმოვნებს შორის, მასში ყველა გრძელი და მოკლეა, არა ისე, როგორც ძველს კლასიკურს ლექსებში, ე. ი. არ გააჩნია მეტრული მრავალსახეობა, ხოლო მეტრი მას აქვს. იმიტომ, რომ თანაბარი რიცხვის მარცვლები წარმოითქმებიან დროის თანაბარი ხანგრძლივობით, რაშიც ყველა დარწმუნდება ქართული სილაბური ლექსების დეკლამაციის დროს. ამიტომ საჭირო არაა ლაპარაკი გრძელი და მოკლე მარცვლებისა და მახვილების შესახებ. თანაც არცერთ [ქართველ] მელოქსეს არ დაუცავს გრამატიკაში გადმოცემული კანონები. ამაში რომ დავრწმუნდეთ, მოვიყვანთ მაგალითს „ვეფხისტყაოსნიდან“: ლექსი პე.

— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტრალი წყლისა პირსა
— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

შავი ცხენი სადავითა, პევა ლოშა და ვითა გმირსა
— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

ქვეყნების ლექსები.

— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

ლოთებო ნეტავი ჩვენა,
— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

დღეს მოგვეცა შეება ლენა
— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

— ს — ს — ს — ს — ს — ს — ს — ს

სადაა აქ ბერძნების მიერ შეკცრად დაცული მეტრი? აი რატომ არ შეეხებ გრძელ და მოკლე მარცვლებს და მახვილებს წერილში ქართული ლექსწყობის შესახებ. ქართული ლექსები არსებითად სილაბურია და არა მეტრული, ე. ი. [მათ] საფუძვლად არ გააჩნიათ ბერძნების მიერ შეკცრად დაცული მეტრი და არც ტონურია, რადგან მახვილი არ ასრულებს მთავარ როლს, როგორც რუსულ ლექსებში, რომელთა მთავარი დასაყრდენი მახვილია და არა მარცვალთა რაოდენობა. მაგ.

Лучина [лучи́на] березоная
Что же ты [лучи́на] не село горашь.

¹ რუსულ-ქართული ლექსიკონი, სპ., 1887, § 6. „საზომი ლექსთა“, გვ. XXVIII (მოყვანა-ლია ნიმუშები და საზომები, ზოგჯერ ცეზურის ნიშნებითურთ).

ავილოთ მეორე მაგალითი:

Вѣ поле [вѣрѣа] стоѣа
 Рѣ поле [кудрѣа] стоѣа,
 Нѣкому [нѣрѣа] заломѣтѣ
 Пѣвду [в аѣс] заломѣо

ვარქუნული
 ხეხუნოთუნჯა

სადაა აქ მარცვალითა თანაბარი რაოდენობა? ¹.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით ქართულ ლექსში მახვილების წესრიგის ძიება უსაფუძვლოა. ამგვარი შეხედულება დიდხანს ბატონობდა ჩვენი მეტრიკის ისტორიაში. გრამატიკოსი ვერ ამჩნევდა ქართული მახვილის სპეციფიკურ თვისებებს, თანაც სილაბურ-ტონური ლექსწყობის კანონები ძალზე მარტივად ქმონდა წარმოდგენილი. რადგან რუსთველისა და ალ. ქავჭავაძის ზოგიერთი ტაემის მარტულ სქემაში დ. ჩუბინაშვილს ვერ უპოვია სუფთა სახის საზომი (ე. ი. მახილთა თანმიმდევრობის იდეალური სახი, შესაფერი კლასიკური მარტიკის ამათუიმ სქემისათვის) იგი უყოყმანოდ ასკენის, თითქოს ქართულ ლექსში მკაცრად დაცული საზომი არ არსებობდეს. მაგრამ ლექსის რეალური რიტმი, ყოველთვის როდი ცხადდება საზომში, როგორც ნორმაში, ლექსი როდია ავტომატური სარეკელა, სტატიკური ცელა და თანმიმდევრობა სქემებისა. დ. ჩუბინაშვილს მოჰყავს ტაემები იზოლირებულად, განსაკუთრებით ისეთნი, რომელთაც სუფთა საზომი არ გააჩნიათ (მაგ. რუსთველის 16 მარცვლიანი შაირისათვის მეტრიკის მხრივ დამახასიათებელია ტაემები—ა. „იყო არაბეთს“... და ბ. „მე რუსთველი ზელობითა...“, რომელთა საზომები (მაღალი და დაბალი შაირი) უნაკლონი არიან მეტრული თვალსაზრისით. დ. ჩუბინაშვილის მიერ მოყვანილი ტაემი კი („ნახეს უცხო...“) ერთი ამათგანის (მაღალი შაირის) რიტმულ ვარიაციას წარმოადგენს სტროფში ე. ი. გრამატიკოსის მიერ შენიშნული მოვლენა განეყოფნება რიტმისა და არა მეტრული სქემის სფეროს).

კიდევ ერთი შენიშვნა: თვითონ დ. ჩუბინაშვილის სქემები ზუსტად ვერ გამოხატავენ შესაბამისი ტაემების მახვილების რიგს. მაგ. რუსთველის ტაემში „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“ წერილის ავტორს კავშირის ფორმა („და“) მახვილის მქონე მარცვლად მიუჩნევია და ა. შ. სრულიად უადვილოა აგრეთვე მაგალითების დასახელება რუსული ხალხური პოეზიიდან, რადგან დ. ჩუბინაშვილს ამოწერილი აქვს წმინდა ტონური ლექსები, რომელთა აქცენტუაცია განსხვავდება სილაბურ-ტონური სისტემის მქონე ლექსთა ტონიკისაგან. მსგავსი მაგალითები მოიპოვება გერმანულ ხალხურ სიმღერებშიაც, მაგრამ ამ ენების სილაბურ-ტონური სისტემის საზომებს არაეინ ურევს ნაციონალური ხალხური სიმღერების წმინდა ტონურ საზომებში². თანაც: რიტმული ვარიაციები თვალსაჩინო თვისებებს წარმოადგენენ დასახელებული ორი ერის ლექსწყობის რიტმიკისათვისაც.

(დასასრული იქნება).

+

¹ Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. 1, вып. 3.а, 94—96, СПб, 1894.

² В. Жирмунский, Введение... 195—199.

ანა ლინიაველი

მევი გი—ანა ხახუტაველი

(წიგნის: საბავშვო მოთხრობებისა გამოცემის გამო)



ორმოცი წლის წინათ ანა ხახუტაველი სახალხო მასწავლებლობისათვის მზადების დროს, მეტად მოკრძალებით მიიტანა თავისი პირველი მოთხრობა: „მიტროს გაბედულება“, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში „მეგვრისხვეელის“ ფსევდონიმით. მოთხრობა უცვლელად დაიბეჭდა.

ახალგაზრდა მწერალი ქალის მეორე მოთხრობა: „ცოცხალი სურათი“, „ჯეჯილის“ რედაქციაში მსგებლობის საგნად გადაიქცა. ყველამ ყურადღება მიიქცია მის ცოცხალ შინაარსსა და შესანიშნავ ენას. ქართული საბავშვო ლიტერატურის უბადლო ლირიკოსმა შიო მღვიმელმა სთქვა: „რა ცქვიტად არის დაწერილი“, რედაქციას ეს თქმა მოეწონა და მოთხრობას „ცქვიტი“ მოაწერა მწერლის დაუკითხავად. მას შემდეგ ატარებს ანა ხახუტაველი ამ ფსევდონიმს.

რამდენიმე თვის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, აკაკი წერეთელი ეწვია რედაქციას და საბავშვო ლიტერატურაზე საუბრის დროს მალაღობა შეფასება მისცა ცქვიტის საბავშვო მოთხრობებს და ავტორი „ღვთაებრივი ნიჭით“ „მონათლა“. ასეთი შეფასება საბავშვო ლიტერატურაში თავიდანვე გამარჯვებით შესვლას ნიშნავდა. მაგრამ ახალგაზრდა მწე-

რალი ამან როდი გაააწყა, მან მორიდება როდი დაკარგა, მხოლოდ ხალისი მიეცა და დიდი მონდომებით დაიწყო წერა ბავშვებისათვის.

ა. ხახუტაველის საბავშვო პროზის ლეიტმოტივი მშობლური ცხოვრების სინამდვილეთ აღწერაა, საქართველოს მდიდარ ბუნებასა და მის ლამაზ პეიზაჟებთან შეხამებული, გადმოცემული ძარღვიანი და ცოცხალი ენითა და უშუალო, ხალასი განცდებით.

ანა ხახუტაველი ათეული წლების განმავლობაში მასწავლებლობდა. მან კარგად იცოდა, რომ ბავშვის აღზრდა ეს არის უკეთილშობილესი საქმე. მწერალმა თავიდანვე მიაგნო ყველა იმ საგანს, რაც ბავშვს ბუნებრივად უყვარს. იგი ესაუბრება პატარა მკითხველებს ამ საგნების შესახებ დასულ უბრალო მოვლენას, სიუჟეტის ფართედ გაუშლელად მნიშვნელოვნად გადააქცევს და დასრულებულ სურათს აწვდის. მწერლის ბუნებრივი და გულწრფელი იუმორი გამომდინარეობს იმ სიტუაციიდან, რასაც ის უქმნის მოქმედ პირებს და გრძნობთ, რომ მწერალთან ერთად მკითხველიც გულწრფელად იცინის. ამ ღირსების დამამშვენებელია ბუნება. მწერალს ვერც კი წარმოუდგენია არც ერთი მოვლენა, მწვავე სოციალური ურთი-

ერთობა და ყოველგვარი მდგომარეობა, ბუნების მშვენიერების გარეშე, მაგრამ ბუნებას მწერალი ფონისათვის კი არა ხმარობს, არამედ ბუნების მოვლენები და მოთხრობის კოლიზიები ორგანულ ურთიერთკავშირშია.

ა. ხახუტაშვილი საბავშვო ლიტერატურაში ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ორი ეპოქის შემატანია, ოქტომბრის რევოლუციამდელი და ზღვეანდელი.

ანა ხახუტაშვილი შესანიშნავად იცნობს ქართლის ძველი სოფლის ცხოვრებას, მის ჭირ-ვარამს, სიხარულსა და სიმწუხარეს. კარგად იცნობს ქართლის რევოლუციონერ მოღვაწეებს, მათ რევოლუციურ მუშაობას.

ძველი ქართლი სიღარიბის დედა იყო, ძველი ქართლი წელში მოხარა ბატონყმობის მძიმე უღელმა.

მოსპო ბატონყმობა, ქართლელმა გლეხმა კი ვერ მოსპო თავისი სიღარიბე, მიუხედავად მისი გარჯილობისა, თუმცა იმედიანად ებრძოდა სიღარიბესაც და იმ უსამართლობასაც, რაც ასე მძლავრად ბუდობდა ქართლის სოფლებში.

აი, მადლიანი თემა ანა ხახუტაშვილის ოქტომბრის რევოლუციამდელი საბავშვო მოთხრობების უმეტესი ნაწილისა.

ძველი ქართლის ყოფის გამომხატველი შესანიშნავი მოთხრობა არის ანა ხახუტაშვილის, „ცოცხალი სურათი“.

გვალვისაგან თითქმის ყველა გლეხის ჭირნახული მოსცდა, მაგრამ ღარიბ ანდრია (მოთხრობის ახალგაზრდა გმირი) ჭირნახული ავი თვალთ არ ინახებოდნ. გამხნეებული ჭაბუკი ანდრია გულმხიარულად ებაასება თავის მამას — ცხოვრებაში უკეთ გამოცდილ აღაპიანს — მოსავლის სიუხვეზე. მაგრამ ანდრიაზე დაკვირვე-

ბული მისი მამა და ის ნაღვლიანად უპასუხებს:

— მაგრამ რა გამოვიდა შეილო, ზოგს ბატონი წაგართმევს, ზოგს ხელმწიფე; ზოგს მღვდელი და წავიდა.

მაგრამ ანდრია ამას არაფრად აგდებას. ის ცოცხალი, გონიერი და გამბედავი ყმაწვილია; ვერც უსამართლობას იტანს და სიმართლის თქმაც აშკარად უყვარს. ჰგონია რომ მარტოხელა გაუმკლავდება ყოველგვარ ბოროტებას. მან ამ მიმართულებით ერთგვარი ნაბიჯებიც კი გადადგავარვა ხანია ურჩობას უწევს მამასახლისსაც, ნაცვალსაც, ვზირსაც, სოფლის სხვა მოხლეუბსაც, რადგანაც რაღაც შინაგანი ძალით გრძობს, რომ ყოველთვის ცხოვრება ასეთი არ იქნება. ეს იმედი უფრო გაუძლიერა ქალაქში წამყოფმა დურგალმა, რომელიც შეხვედრისას ყოველთვის ეუბნებოდა: „შენი ოფლია და შენი კუთვნილი მოსავალიც შენიაო“. ანდრია მღვდელში ათვალწუნებულა, მაგრამ ის მაინც მხიარულია და კმაყოფილი თავისი მარჯვენისა და თავისი შრომისა.

ანდრია საღამოთი პირთამდე საესე ძნით მძიმე ურემს ნელა მიაჭრიალებს. ის ოცნებაშია წასული. თვალწინ ეხატება როგორ დააბინავენ მისპვალს და იქნება შინ მოიყვანოს თავისი „მარიამ ქალიც“, მაგრამ ოცნება მწარე ნაღვლად შეეცვლება. ორი „სტრაციეიკი“ გადაუღებება წინ და ერთ-ერთი უხეშად ეტყვის:

— ჩამოდი ურმიდან. შენ მოპარული ძნა მიგაქვსო.

„სტრაციეიკებისათვის“ დაუჯერებელი იყო, რომ ღარიბ გლეხს დიდი მოსავალი მოსვლოდა. ანდრია „მათი აზრით“ ღამით იმიტომ მიიპარებოდა, რომ ნაჭურღალი ძნა მიჰქონდა ისიც ბატონისა. ცხადია მათ კარგად იცოდნენ რომ ეს ძნა ნაჭურღალი არ იყო,

მაგრამ როგორ უნდ დაემტკიცებინათ ბატონის ერთგულება, თუკი არ წაართმევდნენ სხვას და არ მიუტანდნენ ბატონს? ანდრია, აქამდის მიმალულ ბატონიშვილს დაინახავს, შეიცნობს მას, გაგულისდება და გაუძლიანდება მათ. მაგრამ მართო ანდრია რას გააწყობდა და სცემეს, ურმიდან ჩამოაგდეს და ძნის ურემი ბატონის სახლისაკენ გაატრიალეს.

ამ დროს: „ნთვარე შავ ღრუბლებს მოჰფარებოდა, ამ ხუთი წუთის წინათ კეთილისა და ბედნიერების მოწმეს, ახლა უსამართლობისათვის თვალი ვეღარ გაესწორებინა და მორცხვად პირს არიდებდაო“, — ასრულებს მოთხრობას მწერალი.

ამ პაწია მოთხრობაში აღწერილია არა მართო ძველი სოფლის სოციალური უსამართლობანი, არამედ გლეხის კარ-მიღამოც სისწორით არის დახატული. მწერალმა იცის წვრილმანი ნივთისა და სამეურნეო იარაღის ადგილიც. არც ის არის დაეიწყებულ რომ ბროლია „მისწოლოდა კალათით ქად-პურას და პირმოტეხილ ლიტრას, რომელსაც სიმინდის ფუჩეჩი ეცო“.

ასეთი ხასიათის მოთხრობები ანა ხახუტაშვილს უხვად აქვს დაწერილი. ამას გარდა მწერალი განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას სოფლის ადამრებს: არიფანას, კონაობას, ახალწლის შეხვედრის თავისებურებებს და ასეთ ხასიათის მოთხრობებში ის გარკვევით ებრძვის ცრუმორწმუნეობასაც და სოფლის გაწუწუებულ მოხელეების (მამასახლისი, ნაცვალი; გადამწერი, მღვდელი და სხვ.) თვალზარბობას და მათ უმსგავსეობას.

მეტად საინტერესოა არიან ანა ხახუტაშვილის ძველი სოფლის გოგობიკებიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს: „პირველი ენძელა“, „ღვთის წყალობა გაქვს, ახლა კი სხვა დრო მოდის!“ და სხვ.

„პირველ ენძელაში“ აღწერილი სიღარიბით სულდასუფულნი ბატარა ნატო მოუთმენებელნი გაზაფხულს: მხეზეც გათბება და ოჯახიც იოლად წავა. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვება. მაშინ უხვად: დანდური, მხალი, კინძარი და ამით გამოიყვებებიან. ნატო * იშვიათი სინაზით შეხარის გაზაფხულს. ეალერსება მხეს, ცსიყვარულება ბუნებას, ის გრძნობით საესე გარბის მინდორში ჩინჩხერის მოსაკრებად და უცებ ბუჩქის ძირას ენძელას დაინახავს. ბავშვი გატაცებით ჰკოცნის ენძელას და ლოცავს მას. მართალია, აქ ბავშვი ბუნების სილამაზის სიყვარული დაკავშირებულია მისი ოჯახის მდგომარეობასთან, მატერიალურ მომენტთან, მაგრამ ნატო ისედაც მოხიბლულია ბუნების მშვენიერებით. ის წუთიერად მაინც ივიწყებს მშვიერი მშობლის კერას და დედის გამწარებასაც, რომელსაც მშობლიური აღერსიც კი დაავიწყა სიღარიბემ და ამას ნატო თავისებურად დასკვნასაც უკეთებს: „დედას თითქოს ვძულვართ ჩვენ, თითქოს ჩვენ ვიყოთ დამნაშავე ჩვენი ოჯახის სიღარიბეშიო“. ნატო ამას ვერ ეგუება და აღერსმოწყურებული ბავშვი გაზაფხულს შესტრფის: — ბალახ-ბულახი გაჩნდება, ოჯახი როგორმე შიშობილს დასძლევს. და დედაც იქნება აღარ იყოს შეწუხებულიო.

სამაგიეროდ, საწინააღმდეგო ხასიათისაა ბიკი ილიკო, მოთხრობაში: „ახლა კი სულ სხვა დრო მოდის!“ ილიკოს არაფრად აწუხებდა ოჯახის სიღარიბე. მას განსაკუთრებით უყვარდა წვიმა, რადგანაც მათი ძველი „დარბაზი“ არღნად გადაიქცეოდა ბოლმე, წვიმის დროს ოთახში მშრალი ადვილი არც კი რჩებოდა. ბიკს ეს თავდავიწყებამდის ახარებდა და დედისა რომ არ შინებოდა, თამაშობით იქუტრობას აიკ-

ლებდა. ის რაც ბიკს ახარებდა, დედას გულზე ცეცხლს უკიდებდა. დედას სწორედ წვიმის დროს გაახსენებოდა თავისი ჭირ-ვარამი და გულს წყველითა იმშვიდებდა. ილიკო კი თითქმის ცეკავდა, როდესაც თუნგს, კასრს, ტამბს, ქვებს, პირმოტებილ კოკობს, ვარცლს, თაბახს სულ ოთახში აწყობდნენ და ჩამოსული წვიმის წვეთები თავისებურ მუსიკალურ ბგერებს გამოსცემდა ამ ჭურჭლებში.

მათი ცხოვრება ასეთ ოთახში აღარ შეიძლებოდა. „ბუნტობის“ დროს ილიკოს დედამ აქტივობა გამოიჩინა. მან დააფრთხო ბატონიც, მამასახლისიც, ჩაფარიც. ბოლოს მან სახლი აიშენა, მაგრამ ილიკოს დედამ გული მაინც ვერ დაიმშვიდა, იმდენად იყო გამწარებული უკუღმართობით და იტყოდა ხოლმე: „სახლი, ამის გავერანებამ, ჩემთვის ახლა დიდი საჭიროლა არის! სანამ ჯანი მქონდა, შვე მიწას ვიყავი ამოფარებული, ჩემი ძალა და ახალგაზრდობა სხვას მუქთად შევალე და ახლა სახლი და კარი რაღა თავში სახლელად მინდაო“. ანა ხახუტაშვილის ბავშვები იზრდებოდნენ სოციალური ჩაგვრის ატმოსფეროში, გრძობდნენ ამ ვითარებას და ალღოსაც სწორად უღებდნენ მას.

• •

საბჭოთა პერიოდში ანა ხახუტაშვილი კვლავ ერთგული მოქირანახულეა საბავშვო ლიტერატურისა. თანამედროვე ცხოვრებამ, საბჭოთა ეპოქამ, ახალმა ვითარებამ გაცილებით მეტი საზრდო მისცა მის შემოქმედებას.

საბჭოთა პერიოდში ანა ხახუტაშვილი მეტად ინტენსიურად მუშაობს ორი მიმართულებით: სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვთათვის. უნდა აღინიშნოს რომ სკოლამდელთათვის პროზის შექმნა არ არის იოლი

საქმე. აქ მწერალმა ყურადღება მიაპყრო უფრო ცხოველურ მსახურებს; უნდა აღინიშნოს რომ ამ ცხოველთა გარეგნულ თვისებებს იგი ისე ხატოვანად და ცოცხლად აღწერს, ხოლო ცხოველთა შორის გამართულ დიალოგებს ზოგჯერ ისეთი დამაჯერებლობით გადმოგვცემს, რომ არ შეიძლება მკითხველი, ამ შემთხვევაში ბავშვი, ალტაცებაში არ მოიყვანოს.

ამის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს მოთხრობა: „შენ ვინა ხარ?“ „მიტოს ლეკვი“, და სხვ.

— „რისა გეშინია? მე ყველაფერი მიყვარს და მომწონს, ასე გასინჯე, ჩვენი ავი ბებერიც კი, თუმცა დილას მცემა და გარეთ გამაგლო, სამაგიეროდ, ჩუსტი მოეტაცე და ნასახლარში შევიწახე, წამო, განახო... ისეთი გემრიელი იქნება, ისეთი, რომ“...

ასე ებაასება ორი კვირის ლეკვი ბროლია, — რომელმაც სიარული „ჩლატაჩლუტით იცის და პაწია თათს კისერთან ძლივს იწვდნს, — წიწილას, რომელმაც „მხოლოდ გუშინ გამოტება კვერცხი, გუშინ იხილა მზის სინათლე და დღეს კიდევ ნადირობს, ყველაფერი რომ უხარია, უკვირს და ყველაფრის რომ ეშინია“...

ეშმაკობით საესეა გორგალა ლეკვიც. მიტოს სკოლაში წასვლა, ბებრის მარტო დარჩენა გორგალასათვის აღდგომა იყო: „ოთახი სულ მის განკარგულებაში რჩებოდა, ისიც თავისუფლად ირჯებოდა“. მართლაც როგორ არ იმწარებდა ლეკვი საწყალ ავადმყოფ ბებერს, რომელიც „მოკრილ ხესავით სულ ტახტზე იდო... კარგა მოზრდილი და მოკაუჭებული ცხვირი ბალიშზე ისე ედო, თითქოს ნახუქის ნახეყარკვერიო“. მიტოსთან თამაშობას შეჩვეულ ლეკვს რა უნდა ექნა, როცა მიტო სკოლაში იყო, თუ არ დააფრინდებოდა ხან ყურთბალიშს, ხან საბანს, ხან საბნიდან ამოშვერილ ბებრის ფეხს და რაც მთა-

ვარია, მის ცხვირს, რომელიც ძალზე უსტვენდა. ეს მომენტი ცოცხლად აქვს გადმოცემული ავტორს: „ლეკვა თავე გვერდზე მოღრიცა, ცალი ყური ძონივით დაეციდა და ისე სასაცილოდ დაუწყო ცქერა, ბებერს რომ გამოეღვიძა, ალბათ, ისიც გაიცინებდა. ლეკვა ჯერ კიდევ ცოტა ხანს უცქირა, მერე იფიქრა: ეს რომ უსტვენს, ნამდვილად მეთამამებო, გააქანა თათი და იმ მოკატეკებულ ცხვირში ერთი ისეთი უთავაზა, რომ მძინარე ბებერს დაეთრები სულ დაუკარგა“.

აღსანიშნავია, რომ ა. ხახუტაშვილის თანამედროვე მოთხრობებში ბეზია აუცილებელი პერსონაჟია, მაგრამ რატომღაც ავტორი ყოველთვის ბოროტად დასცინის მათ, შერჩეულ ჰყავს რაღაც ავი, უალერსო და უსიმპათიო მოხუცები, თითქოს მართლაც, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ასეთებით იყოს მოფენილი. მწერალს თითქოს ბუნებრივად მიაჩნია შვილიშვილების მხრივ სრული უპატიველობა ბებიებისადმი, რაც რასაკვირველია, ცუდი სამსახურია მოხუცებისა და ბავშვებისადმიც.

ანა ხახუტაშვილმა როგორც ცხოველების აღწერა იცის ცოცხლად და ოსტატურად, ასევე იცის ბავშვების დახასიათებაც. აგერ მტირალა ალექო, აგერ თამარიკო, მშიშარა ქეთინო და მრავალი მათი მსგავსი—ცოცხლად არიან დახასიათებულნი. მათი თამაშობა-გართობა, ურთიერთდამოკიდებულება, საღბრის თეშა და ლექსიკონი დიდი დაკვირვებითა და სინამდვილით არის აღწერილი მწერლის მიერ, მაგრამ ამ ბავშვების თანამედროვე გარემო მეტად ღკრთალოდ არის მოცემული, ბავშვების ინტერესებიც პრიმიტიულია. მწერალი მათი ინტერესებიდან გამოდის და არა ცდილობს ამ ბავშვების დაინტერესებას ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ

ახალი მოვლენით. რასაკვირველია, ეს შეეხება იმ მოთხრობებში, რომლებიც დაწერილია 1921 — 1930 წლებში, რადგან როგორც წინამდებარე კრებულშიც ვხედავთ, ანა ხახუტაშვილის სკოლამდელი პროზა დიდად განსხვავდება შემდეგი წლების მოთხრობებისაგან.

სამაგიეროდ საშუალო ასაკის (რომელთათვისაც ძირითადად სწერს ან. ხახუტაშვილი) ბავშვებისათვის დაწერილ მოთხრობებში უფრო თანამედროვე ამბები იპყრობს მწერლის ყურადღებას: ევატორიის ბავშვთა სანატორიუმი, სადაც იგზავნებიან ძვლებით დაავადებული ბავშვები და განკურნებულები ბრუნდებიან, ბორჯომის წყლის ქარხანა, რომელსაც თვალისჩინივით უვლის თითოეული მუშა; ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი, და სხვა—არის მწერლის ახალი თემა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მწერალი აქაც მნიშვნელოვან მოვლენებში რატომღაც ბატარა დეტალებს ამჩნევს, მთელი კოლექტივიდან ინდივიდუუმებს უფრო არჩევს და მათ კოლექტივის გარეშე აღწერს, თუმცა ხახუტაშვილმა, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, — დეტალების აღწერა საუცხოოდ იცის. ავიღოთ მაგ. მისი შესანიშნავი მოთხრობა „ხანძარი“. ამ მოთხრობაში ავტორი აღწერს საშინელ ხანძარს. მაგრამ ეს ხანძარი აინტერესებს არა იმიტომ, რომ აღწეროს საბჭოთა მეხანძრევის გამირული მუშაობა, არამედ იმიტომ, რომ მოგვითხრობს ხანძრით გამოწვეულ სასაცილო დეტალებზე. აი მაგალითად: „სადაც პაწია ფინიამ დაიყვია და ქვაფენილზე რწყილივით გადმოხტა, ავტომობილის მიახლოვებაზე კი საცოდავად დაიწმუტუნა და გორგალივით მოკუნტული გაიქცა. ოპ რა პაწია, საცოდავი იყო იმ წაშს ფინია“. ან კიდევ: „დატოვებული ბრძოლის ველივით სიწყინარეა გარშე-

მო ჩაშავებული ფანჯრების ჩარჩოებიდან ლურჯი ცა მოჩანს. ერთ გადარჩენილ ვიწრო ძელზე შოშია შემგდარა და თავის მუსიკას ისე კობტად აწრიაწრიაებს, თითქოს არაფერი არ მომხდარაო“. ეს ნაწყვეტი ცხადია, დაზარალებული ხალხის წარმოუდგენლად, საუცხოოა, მაგრამ რა გაემტყუნება შოშიას, როდესაც მწერლისათვისაც თითქოს არაფერი მომხდარაო. ვფიქრობთ მან ხანძარი იმ აქ მოტანილი ლამაზი და ცოცხალი დეტალებისათვის გააჩინა.

მეტად საინტერესოა ანა ხახუტაშვილის მოზოდელი მოთხრობა „ჯემალი“. ამ მოთხრობილია ჯემალის ცხოვრების ჯერ მძიმე პირობები, აუტანელი ობოლობა, ბიძის მიერ მისი სახლიდან გაგდება, მისი საბავშვო სახლში მოხვედრა, დაბოლოს ბრწყინვალე მომავალი, მისი უნიჭიერესი კომპოზიტორობა. ეს ყველაფერი ჩვენი სოციალისტური ქვეყნისათვის უცხო არ არის. ამის მაგალითი საბჭოთა კავშირში არა ერთი და ორია. ჯემალიც ერთი ამათაგანია. ჯემალიც ჩვენი ქვეყნის პირველი შვილია. ამ მხრივ თემა აქტუალურია და საინტერესოა. მხოლოდ აღსანიშნავია ის რომ მოთხრობის სიუჟეტის განვითარება ხდება ზოგიერთი სენსაციურობისა და ლირიკული პათოსის ხარჯზე.

ახლოს გავეცნოთ ამ მოთხრობას.

პატარა ჯემალი თავიდანვე თავისთავზეა დამყარებული. მას ვეცნობით როცა ის; „კლდის ნაპირზე ზის და ნაღვლიანი თვალებით იცქირება შორს, რკინიგზის სადგურისაკენ“. ის ელის თავის მამას: „კოლმეურნეობის მარჯვე და ერთგულ წევრს“. მაგრამ მამა არ ბრუნდება. ბავშვი ღელავს, წუხს და ჩუმად ტირის: ჯემალი აღორებს კოლმეურნეობის გამგეობას პცნობის მამის მოუსვლელობა: „ბავშვის მდგომარეობა რომ ნახეს, გადა-

წყვიტეს ორი დღე კიდევ მიუცხადათ და შემდეგ თბილისში წაიყვანეს. ჯემალმა ამათ „გასაგებმდე“ ერთი სიტყვით, ჯემალი რომ „ასეთ მდგომარეობაში“ არ ენახათ, ჩანს კოლმეურნეობა არც კი მოიკითხავდა თავის მარჯვე და ერთგულ წევრს. კოლმეურნეობას ღონისძიების მიღება აღარ დასჭირდა. იმ ღამეს ჯემალს ერთი წლის გადაჯარგული ბოროტი ბიძა ჩამოუვიდა და აცნობა მამის დაღუპვის ამბავი. ბიძა დასახლდა ჯემალის კარმიდამოზე.

კოლმეურნეობის გაიძვერა მტერი, ჯემალის ბიძა ძმისშვილს იქამდის ეფერებოდა: „სანამ ჯემალს კოლმეურნეობიდან მისი მამის, — სტახანოველი მუსტაფას — წილ დოვლათს, სურსათ-სანოვაგესა და ფულს გამოატანინებს“ (რაც კოლმეურნეობამ დაუყოვნებლივ დაუთმო, თითქოს იმ სოფლის კოლმეურნეობის წევრები არ იცნობდნენ ჯემალის ბიძას პასანს, ხოლო ჯემალი აღარც მოუკითხავთ) პასანმა ჩაიგდო თუ არა ქონება ხელში, ჯემალს მწარე დღეებს უთენებდა: ამჯშავებდა, სცემდა შიმშილით ჰკლავდა, ხოლო როდესაც ავადმყოფ ჯემალს ბიძამ საყვარელი და ერთგული მეგობარი ძალი მოუკლა, ბავშვმა გადაწყვიტა: „ფეხზე გავლას შევძლებ თუ არა, აქაურობას მოვშორდებიო“. მართლაც, ჯემალი ისე გამოაკლდა იმ სოფელს, რომ კაცს არ უკითხავს მისი გზაკვალი.

აი, აქედან იწყება ჯემალის ცხოვრების შეცვლა, ამ უიღბლო ბავშვის ვარსკვლავი სხვანაირად აციმციმდა.

ჯემალის თავბრუდამხვევი თავგადასავალი სოფლის ბოლოდანვე, ე. ი. სადგურიდანვე იწყება. სადგურზე ბავშვს დახედნენ თეთრხალათიანი ქალები, რომლებმაც, წაიყვანეს მამის სადგურებზე მოწყობილ დედათა და ბავშვთა ოთახში, აბანავეს, ტანისა-



მოსი დაურეცხეს, დაუყრეს, მეორე დღეს ჩააცეს და როდესაც გაიგეს უპატრონო იყო თანაგრძნობით შეეკითხნენ:

„რა გეშველება, აბა სად წახვალ“? კიდევ კარგია ერთ-ერთი ქალის მეგობარი აღმოჩნდა თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლის გამგე, თორემ მართლაც, რა ეშველებოდა ჯემალს? ამ ქალმა წერილი გაატანა ჯემალს. ჩასვეს ლამის მატარებელში ეს გზაკვალს უჩვევი ბავშვი და გაგზავნეს თბილისისაკენ. თბილისში ჩამოსულ ჯემალს სიზმარივით გაუქრა ვაგონის სითბო და ქალების პატრონობა, მაგრამ კონვერტი ზომ თანა ჰქონდა: მილიციონერმა კონვერტზე დაწერილი მისამართით მიიყვანა საბავშვო სახლში, მხოლოდ: „ჯემალი ალაყაფის კარებში შევიდა თუ არა, — მილიციონერი უმალ შეტრიალდა და წავიდა“. კიდევ კარგი ჯემალმა შესვლა მოასწრო, რადგან: „...ის იყო წიწვიან ხეივანს დაადგა რომ მის შემდეგ ვიღაცა კაცი შემოვიდა და კარები ჩანგლით ჩაკეტა“.

ზღაპრების ამბავს გვაგონებს ჯემალის ბაღში ტრიალი, ფანჯარაზე ნელი კაკუნი, ბუნების თანაგრძნობა: „ქარის გრიალზე წიწვიანი ხეების შხელი და ბავშვის უმწეო ქვითინი“. საწოლ ოთახში ყველაზე უწინ ტირილის ხმა სერგეის შეესმა. მან აღწომა ყველას, მზარეულმა და აღმზრდელმა ქალმა შეიყვანეს ოთახში ჯემალი: „მთლად გალუჯრებულ ბავშვს აბურჭნული თმები ყალყზე დასდგომოდა და ისე ცაბცახებდა, რომ აღმზრდელი ხელად დატრიალდა: „ქმარი რომ გაუხსნა, უბიდან წერილი დაუხსლტა, ყველაფერი გამოიჩვენა. აი ასეთი რაღაც „სასწაულებითა“ და შემთხვევებით მივიდა ჯემალი საბავშვო სახლში.

...და უცბად ეს ჯემალი რომელსაც, როგორც ირკვევა მუსიკის ნიჭი

ჰქონდა, (თუმცა ამის ოდნავი ნიშნები სოფელში არ ეჩვენებოდა) გვეუბრება ვიოლინოს ისეთ ენერჯიკულ დაშკრულად, რომ რუსეთიდან გადმოხვეწილი, ნიჭიერი მხატვარი, ჯემალთან დამეგობრებული ალექსი, რომელიც ძამიშე ავადმყოფი იყო და ახლა: „სიცოცხლეს ემშვიდობებოდა“ ჯემალის დაკვრაზე გამოცოცხლდა: „თვალებიც გაახილა და ხმაც ამოიღო. ის იყო და ის, არავითარ წამალს ისეთი გავლენა არ მოუხდენია, რაც ჯემალის დაკრულმა მუსიკამ გააკეთა“. ასკენის ავტორი. ეს საკვირველი არ არის! ეჭიმიც ადასტურებს იმას, რომ ხდება ხოლმე ასეთი მოვლენა. ასე, რომ არც ჩვენ გვიყვირს მუსიკის უდიდესი ზეგავლენა ადამიანზე, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ჯემალმა სულ ორი წლის ვარჯიშობით მიაღწია ვირტუოზობას.

ადელი საფიქრებელია ავტორს რაღაც ნამდვილი ფაქტი ეჭირა ხელთ. მოთხრობაში ბევრი რამ სინამდვილითაც არის აღწერილი, თუნდაც დედათა და ბავშვთა ოთახების კომფორტაბელური მოწყობილობა სადგურებში, რამაც გარკვეული როლი ითამაშა საბჭოთა უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობაში, მაგრამ ჯემალის ცხოვრება სოფლად, მისი წამოსვლის მიზეზები და საბავშვო სახლში მოყვანა, მხოლოდ იმიტომ რომ შემდეგ ის ჩვენს წინ წარმომდგარიყო, როგორც უნიჭიერესი ვიოლინოს დამკვრელი, არა დამაჯერებლად, ბუნებრივობასა და სინამდვილესთან დაშორებულად ხედება მკითხველს თვალში. ამას გარდა მოთხრობა გაცილებით უკეთესი გამოვიდოდა, თუ მწერალი ჯემალის ფსიქოლოგიის თანდათანობითი გახსნას ეცდებოდა საბავშვო სახლის გარემოში, მისი თანდათანობითი ზრდას და სიუჟეტიც ასე სწრაფად არ განვითარდებოდა.

ანა ხახუტაშვილი რამდენადაც ახლოს დადგა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებასთან, დაწვრილებით შეისწავლა იგი, რამდენადაც ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობაში უკეთ გაერკვა და ნათლად წარმოიდგინა ბავშვის თანამედროვე გარემო და ბავშვის სულიერი ზრდის პირობები, იმდენად მისი საბავშვო პროზა იდეური და ხორცშესხმული გახდა.

დიდი სამამულო ომის ვითარებაში ომის თემა ანა ხახუტაშვილისათვის ძირითად და ახლოვებულ თემად გადაიქცა და არაერთი შესანიშნავი მოთხრობა დასწერა ამ თემაზე მან, რისი ნიმუშებიც წინამდებარე კრებულშია შეკონილი.

აქ პირველ რიგში გვინდა დაესახელოთ მოთხრობა „ღამის ზღაპარი“ და კვლავ გავიმეოროთ რომ ა. ხახუტაშვილი პეიზაჟების შესანიშნავი მხატვარია, რომ ის ერთი სტრიქონით აგრძნობინებს მკითხველს ჩვენს მდიდარ ბუნებას და მის სილამაზეს.

„ღამის ზღაპრის“ პირველი ნაწილი ფერწერის დასრულებულ ეტაჟდს წარმოადგენს. აი, მისი დასაწყისი: — „ახლა მეც გეტყვით ერთ ამბავს, — ჩაირაკრავა ანკარა წყარომ, როცა კრიქინამ დაათვა თავისი თავგადასავალი. ღიღილო, გვიმრა, წყლის ინა და დიდი ლოდები გულმოდგინედ უსმენდნენ მოთხრობას, ღამეც იქ იჯდა, შვეი ატლასის კაბით მორთული, ფართო კალთები ბრწყინვალე ვარსკვლავებით მოექარვა, გულზე მთვარე დაებნია და ისიც ჩუმად უსმენდა წყაროს ლიკლიკს“...

რას მოუყვება ანკარა წყარო სულგანაბულ ბუნებას? თავის ნისლად გადაქცევასა და დილის ნიათან ერთად საოცარ მოვზაურობაზე. ადვილი წარმოსადგენია, რას არა ნახავდნენ ესენი! რა მღვლოს, რა ტყეს არ გადაივლიდნენ და რა ამბავს არ შეეყ-

რებოდნენ! ბუნება ხომ უშუალო მონაწილეა ადამიანთა ცხოვრებაში? მის შეხვედრობა ცერებად და მძის-ლი და ნიათი თუ არა დაჭრილ მეომარს, როდესაც მათი მოვზაურობის დროს პაერში მხოლოდ ყუმბარების გრიალი ისმოდა? ასეც მოხდა. ფეხში დაჭრილი წითელარმიელი ხის ძირას ეგდო და ბოდვაში წყალს თხოულობდა. ყველაფრისმცოდნე ნიათმა ამიტომაც ჩაუქროლა ანკარა წყაროს და იმისი წინწყლები ნისლად გადააქცია, შემდეგ ცერებად, რომ დაჭრილს მიშველდებოდნენ. წუხს წყარო რომ აღარა იცის რა ამ დაჭრილის შესახებ, მაგრამ ღამემ დაამშვიდა, მან იცის სადაც არის დაჭრილი, აქედან მეორე ამბავი იწყება. პიონერების მიერ ნაპოვნი დაჭრილი წვეს საკუთარ ოჯახში. თავს დასტრიალებს მზრუნველი ცოლი და შვილი. თუ მწერალმა ამ მოთხრობას ცოტა ბანალური ფინალი გაუყეთა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვიჩვენოს თუ რაოდენ ბედნიერია ის მეომარი, რომელიც თავის მიწაწყალზე იქნება დაჭრილი, მის მდგომარეობას თანაუგრძობს მშობლიური ბუნებაც და ოჯახსაც ადვილად მიაგნებს.

უდავოდ წარმტაცია მოთხრობა „პატარა მხედარი“ — რომელიც ახლადფეხადგმული ბავშვის განცდათა პატარა დეტალს გამოხატავს. ომის გარემოცვაში პატარასაც აინტერესებს საომარი თამაშობა, პატარა ზურვიკსაც უნდა, მისი ძმა ნოდარივით, სამხედრო თამაშობის მოწყობა. ნოდარი კი ყოველთვის ნერვიულობს, რომ ზურვიკ არ უფრთხილდება მის სამხედრო „საპურველს“ და ამიტომ ხელისხლებას უკრძალავს. მაგრამ ნოდარი ხომ მოსწავლეა ის სკოლაში მიდის. რა წამს ზურვიკ გამოიღვიძებს, სწრაფად მივარდება ნოდარის სამხედრო სათამაშოებს. ზურვიკს



გამოღებიდა, მისი სამხედრო თამაში განსაკუთრებით ცოცხლად არის გადმოცემული: „ზურიკო ხელწაერთვით შეიშოქმენა და თვალები გაახილა. ზურიკოს ერთ წუთსაც არ დაუყოვნებია: მაშინვე კარადას ეცა და პურის ნაჭერს სწვდა... ნოდარის კუთხეს თვალი მოჰკრა, ჩიტივით შესტყვიელა: მაგიდაზე ლამაზი წითელვარსკვლავიანი სამხედრო ქუდი იდო. გუშინ ნოდარმა ერთხელაც არ დახურა, ახლა კი იღროცა ზურიკომ, ხელად მაგიდასთან მიიჭრა, ქუდი აიტაცა და ხუტუტა თავზე ძლივსძლივობით ჩამოიფხატა: გვერდელად დახურული ქუდი გაფარფაშებულ ღამის პერანგზე ფეხშიშველა ბიჭს მეტად შეენის, აგერ, ახლა ზარბაზნასაც ხელში მოიმარჯვებს და ნოდარივით მეომარი გახდება. ზურიკომ ღუმელის მილი დიდი წვალებით, როგორც იყო იღლიაში ამოიღო, მეორე ხელი პურს წაავლო და აიგანზე გამობრძანდა, უცებ გიშერა საიდანაც თავზე წამოადგა. ძალს თითქოს ეუცხოვა ბავშვის ამგვარი მორთულობა. კიბესთან ცოტახანს შეჩერდა. მერე უკანა ფეხებზე ჩაეუცქდა, თავი გვერდზე მოაბრუნა და ისეთი თვალით შეხედა, თითქოს ეკოხება: „ქუდი კი ძლიერ გიხდება, მაგრამ ღამის პერანგში რომ ყველაფერი გიჩანს, ეგ ვერაფერი ვაეკაცობააო!“ ის ისე ცოცხლად არის აღწერილი, რომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ბავშვების უშუალო განცდანი, ომიანობის ამბებითა და შთაბეჭდილებებით გამოწვეული.

მაგრამ ჩვენს ბავშვებს ომის შთაბეჭდილებანი მარტო თამაშობაში როდი გადაჰქონდათ. მათ შემეცნებაში შესული ომის საშინელებანი საქმიანობასა და შემოქმედებაშიც ვლინდებოდა, ამის ნიმუშს წარმოადგენს ანა ხახუტაშვილის მეორე მოთხ-

რობა: „რეზოს მხატვრობა“. ამ მოთხრობაში მარტო მისივე ხარის საინტერესო, რომ მან წააგლეხის დაეალებით ახლახან წაკითხული პატარა მოთხრობის ამბები ომზე უნდა დაესურათებინათ ბავშვებს, არაქედ ის, თუ ბავშვები როგორ ემზადებოდნენ ხატვისათვის და ბოლოს თვით ხატვის პროცესი, რომელსაც მწერალი იშვიათი სინამდვილით აღწერს. აი ეს ადგილი: „დარბაზის ერთ-ერთ კარადას შუა რეზო თავისუფლად მოთავსდებოდა. ბავშვმა პაწია სკამი შეათრია, მასწავლებელს ქალღი და ფანქარი გამოართვა, მიჯდა კუნძულში და გაფაციცებით შეუდგა საქმეს, ბრძოლის ამბავს ხატავს რეზო! სხვა ყველაფერი დაავიწყდა. ომის ცეცხლში ტრიალებს ბიჭი. ზარბაზნების გრიალი ყურებს უყრუებს და იბრძვის რეზო ფანქრით ხელში. ზემოთ ვითომ ტყე დახატა, გაუსვა და გამოუსვა ფანქარი. ქვემოთ დაბრეცილი რგოლები ჩამოწკრივა, რგოლებს ზემოდან ხაზები გაუკეთა, ვითომ თვითმფრინავიდან ჩამოყრილი ყუმბარები სკდებიან და აჰა, აგერ გმირს ხატავს რეზო. იგი ომის ასპარეზზე ტრიალებს, ტოკავს, ფანქრით მტერს ხაზებს მაგრა უსვამს, ჯავრს იყრის ბავშვი და კბილების კრეჭით გაიძახის:“ აი თქვენ, ასე გინდათ, ასე, ასე. ყველას დაგხოცაეთ საზიზღრებო!“

ომის ამბავმა ისე გაიტაცა ბავშვი, რომ ფიზიკური ძალაც გამოიყენა: კარადის ზურგს მუშტები დაუშინა და ხმაც აუმაღლა. ბავშვი ძლივს გამოიყვანა მასწავლებელმა თავისი ოცნების სამყაროდან. მოთხრობა კარგად გამოხატავს ჩვენი ბავშვის სულიერ მდგომარეობას ომის ვითარებაში, მის სიძულვილს მტრისადმი.

ერთ საბავშვო მოთხრობაზედაც გვინდა შევჩერდეთ. ეს არის: „სული-

ნაურე“. ეს ერთადერთი მოთხრობაა დაწერილი ჩვენა ბავშვებისა და მასწავლებელთა ურთიერთობიდან, (თუმცა ჩვენ იგი ტიპიურად არ მიგვაჩნია).

მოთხრობაში მოქმედება სწარმოებს გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში. სკოლაში ავად გახდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. მისი კლასი ღელავს. გასათვარი წესიერება დამყარდა კლასში ავადმყოფი მასწავლებლის პატივსაცემად. მოსწავლეთა შორის მასწავლებლის ავადმყოფობას განსაკუთრებით განიცდის გიორგი, ზედმეტ სახელად „მზეწვიას“ რომ ეძახიან, მისი გამუდმებული სიმღერის გამო.

გიორგი ყველაზე უწინ გარბის მასწავლებლის სანახავად. ის მოწმე გახდა მასწავლებლის მძიმე მდგომარეობისა, რომელსაც სულფიდინი ესპირობოდა. ამის ამოტანა მხოლოდ გორიდან შეიძლებოდა, მაგრამ ამომტანი არაყინ იყო. აქ გიორგის თქმაც არ დასტირებია, სწრაფად მიიღებინა შექროსთან, ამხანაგი შინ არ დაუბედა, მაგრამ მისი სპეციალურად სამეცადინოდ გაკეთებული ჯიხური თამამად გააღო, აიღო ველოსიპედი და სწრაფად გაემართა გორისაკენ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ წამლის სახელი დაავიწყდა და პროვიზორს სულფიდინის მაგიერ „სულინაური“ მოსთხოვა. პროვიზორი მიხვდა, რაც უნდოდა ბიჭს. გიორგიმ მოიბოდიშა: „ბარემ ჩაეწერე, მაგრამ რვეული სინქარით შინ დამრჩა, ინაური ჩემი ამხანაგია, მას ფილო ჰქვია და სახელის მაგიერად გვარი ვამახსენდა და სულინაური იმიტომ ვითხარათო“.

გიორგიმ მასწავლებელს სულზე მიუსწრო და მასწავლებელი გადარჩა. ყველაზე ბედნიერი გიორგი იყო თავისი კეთილშობილი ქვევით. მას „მზეწვიას“ ნაცვლად ახლა სულინაური შეარქვეს, ავტორი გულთბილად

ხატავს ჩვენი ბავშვების ურთიერთდამოკიდებულებასა და მასწავლებლისადმი პატივისცემას. მასწავლებლის მოსწავლენი მაინც თითქოს ჩვენი ეპოქის ბავშვებს არა ჰგვანან თავიანთი ხასიათებითა და თუნდაც საუბრის თემით. გიორგის გორში დიდი სტალინის სახლის სანახავად ჩამოსული უცხო სტუმრები რომ არ შეენიშნა, მათ შორის უზბეკი, ჩინელი და ესკიმოსი, ან მოთხრობაში სულფიდინი რომ არ იყოს ნახსენები. შეიძლება გიორგი და მისი ამხანაგები ძველი სკოლის მოსწავლეებადაც მიგველო.

• • •
 ცხადია, ა. ხახუტაშვილის შემოქმედება არ ამოიწურება ჩვენს მიერ განხილული მოთხრობებით. ჩვენ მხოლოდ შევარჩიეთ ის მოთხრობები, სადაც ჩანს ა. ხახუტაშვილის მწერლური სახე. დავძენთ რომ ა. ხახუტაშვილმა საბავშვო ლიტერატურაში საქმაო დიდი გზა გაიარა, თავისი კვალიც დააჩნია და თვალსაჩინო ღვაწლიც მიუძღვის ძველი და საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში.

ა. ხახუტაშვილი ძირითადად ტიპური საბავშვო მწერალია, მას კარგად იცნობს ძველი თაობებიც და ჩვენი თანამედროვე მკითხველი ბავშვებიც, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს ა. ხახუტაშვილს არ შეეძლოს დიდ ტილოზე მუშაობა და ფართე თემების დამუშავება. აქ არ შეგვიძლია არ გავხსენოთ მისი მეტად საინტერესო წიგნი: „იოსებ ლალიაშვილი“.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ წიგნზე შეჩერება, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველად ამ წიგნში არის მხატვრულად და ფართედ ასახული ქართლის, კერძოდ გორის, ტყეაყის და სხვა სოფლების რევოლუციური, ფარული ორგანიზაციების მუშაობა,



საიდუმლო სტამბის არსებობა; ცნობილი მღვდლის ვასილ სამადაშვილის, დათიკო ფურცელაძის, სოფრომ მგალობლიშვილის, მიშა ყიფიანისა და მრავალ სხვათა რევოლუციური მოღვაწეობა.

ამას გარდა ზედმიწევნით სისრულით არის წარმოდგენილი სასულიერო სემინარიის საშინელი რეჟიმი რამაც გამოიწვია ღარიბი, ობლობაში გაზრდილი, რევოლუციურ წრეებში მომუშავე იოსებ ლალიაშვილის უპირველესი ტერორისტული აქტის შესრულება, — მის მიერ სემინარიის რექტორ პავლე ჩუღეცკის მოკვლა. ამ მკვლელობამ დიდი გავლენა მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე, რევოლუციურ მოძრაობაზე, კერძოდ

გორის ინტელიგენციაზე, ხოლო კეტერბურგის მეფის მთავრობის მხრეთველი წრეები საკმაოდ შეაშფოთა.

წიგნში ნათლად არის აღწერილი ქართლის, კერძოდ გორის ინტელიგენციის, წერილ ხელოსანთა: კონცების, ბაზაზების, ხარაზების, დერეკების, მაშინდელი გორის მცხოვრებთა ყოფა, ჩუღეცკის მკვლელი ი. ლალიაშვილის ბავშვობა, პირადი ტრაგედია და საერთოდ მთელი საზოგადოებრივი და რევოლუციური მოვლენები აგებულია ფაქტიურ მასალებზე, დოკუმენტებზე. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ წიგნს თავის დროზე ჩვენმა კრიტიკამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია.



ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა



ბ ი ო გ რ ა ფ ი ა ნ ა ტ რ ო გ რ ა ფ ი ა — „ლიტერატურული ეტიუდები“.

გამომცემლობა „კომუნისტი“, 1947 წ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ნამდვილ მკვნიერულ კვლევას დიდი ხნის წარსული ახა აწეს. ქართული ლიტერატურის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. მანამდე იშვიათად მოიხივებოდა ღრმა მკვნიერული შრომა, რომელშიც სრულიად ყოფილიყო შესწავლილი ქართული მწერლობა.

ცხადია, მხედველობაში არ მოიღება კ. აბაშიძის „ეტიუდები“, რომელიც ევოლუციური თეორიის თვალსაზრისით არის დაწერილი, და არც არ. ჯორჯაძის ბურჟუაზიული სულით გაუღწეული „შასაღები ქართული ინტელიგენციის ისტორიისათვის“. ეს წიგნები განვიღო ლიტერატურულ მოვლენათა სწორ მკვნიერულ ანალიზს არ იძლევიან. კ. აბაშიძისა და არ. ჯორჯაძის თხზულებანი, ყალბი კვლევის შეთხრობის გამო, არ იძლევიან სრულყოფილ და მკვნიერულ წარმოდგენას ქართული სულიერი კულტურის განვითარებაზე. პირიქით, ეს თხზულებანი დიდებული ქართული მწერლების ნაგრძობსა და ნაზრევს, შინაგან მშვენივს უმოწყალოდ ამახინჯებენ და იდეალიზმის ბეჭედს ასვამენ.

რასაკვირველია, ეს იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ იმავე დროს არ არსებობდა ამა თუ იმ მწერალზე ცალკეული წერილები და გამოკვლევები, რომელნიც სწორად ხსნიდნენ ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითად პროცესებს. ღირსშესანიშნავ მკვნიერულ ნაშრომებს შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ილ. წულუკიძის წერილები, რომელშიც სრულყოფილად გამოქვეყნდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ვითარება. მის ტრადიციებს აგრძელებს დღეს საბჭოთა ლიტერატურის მკვნიერება დაყარნილი ლენინისტაღის მოძღვრების ურყევ საფუძვლებზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა პირობები მკვნიერების აყვავებისათვის და მათ შორის ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვნიერული კვლევისათვის. ოცდაექვსი წლის მანძილზე ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში მრავალი მეტად საუფრადღებო შრომა დაიწერა. გიორგი ნატროშვილის ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოსული „ლიტერატურული ეტიუდები“ თამამად შეიძლება მივაკეთოთ მათ რიცხვს. „ლიტერატურული ეტიუდები“, რომელიც უმთავრესად მე-19 საუკუნის ლიტერატურულ მკვნიერებას აწვდის, თავისი ღირსებით აუცილებლად იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. „ლიტერატურულ ეტიუდებში“ განხილული ქართული პოეტები და მწერლები სარტყენია წიგნის ავტორის გულმოდგინედ შესწავლილი. გ. ნატროშვილის „ეტიუდებში“ შეიძლება ზოგი რამ არ გვაკმაყოფილებდეს, მაგრამ ეს მაინც ხელს არ გვიშლის თავისუფლად ვაღიაროთ, რომ დიდი ზრძნობით დაწერილი ნარკვევები ძირითადად სწორ ნათელს ფენენ ჩვენს ლიტერატურულ წარსულს.

გ. ნატროშვილის „ლიტერატურული ეტიუდების“ პირველი ფურცლები მოქცნილია მე-18 საუკუნის დიდი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კრიტიკული შესწავლისადმი. „ეტიუდებში“ მოცავებული „დავით გურამიშვილი“ ბევრი რამ ახალს მოქმელია. დ. გურამიშვილს ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. „დავითიანის“ ავტორი თავისი მხატვრული აზროვნების სიღრმით, მრავალფეროვანი და ტანჯული ცხოვრებით მეტად საინტერესო პიროვნებაა.

წიგნის ავტორი სათანადოდ არკვევს გურამიშვილის პოეზიის ხალხურობის საკითხს. გ. ნატროშვილი საყვებით - მართალია, როდესაც სწერს, რომ დავით გურამიშვილის „ღვი-



სებში სწამს საბას ლაქსიონის ვაგლინის ღრმა კვალი. ეს წყარო ამდებრებდა პოეტის ლექსიას, ეხმარებოდა მას დაემედიტებინა ახალი, ხალხური ძარღვიანი ენა. სამშობლოსაგან მოწყვეტილი პოეტს ეს წინა სულიერად კვლავ თავის ქვეყანასთან აბრუნებდა და აკავშირებდა“ (გვ. 54). „გურამიშვილი, რომლის პოეზიაში ეპოქის ტრენდენტია მათერად მოჩანს, აერთადერთო პოეტია, რომელიც შთელ მე-17-18 საუკუნის პოეტას შორის ქართული გუგუზაქიის ენით წარს და გორაკეცერი ყოფის ცნებებით აზროვნებს“ (გვ. 10). „ვეთხის-ტყაოსანი“ დ. გურამიშვილის პოეზიის პირველი წყარო იყო ნაციონალური პოეტისათვის, რომელიც ტყვე არ იყო „არც შეფინობელი ლიტერატურის ტრადიციებისა და არც ხალხურ თქმულებათა მოტივებისა“ — უკან იყო სპარსული პოეზიის კილოც. დ. გურამიშვილი შეეცდებოდა უნაკლო ავონსაველი პოეზიის ტკადივთა გურამიშვილი კარგად იცნობდა ირანულ ლირიკასაც და, უმთავრესად, ირანული ეპოსის დიდ ქმნილებებსაც. მაგრამ პოეტის აზრებში და „იმ თაობის თვალში, რომელსაც გურამიშვილი ეუთვენოთა, შერძნობიარე და ვანერბრომის მოყვარე აღმოსავლეთთა იყვე და აკარგა თავისი წინანდელი პოეტური შარავნდობა“ (გვ. 53). დ. გურამიშვილს არ წამდა ლენის, ქვივის და „არბილი ამბოზის“ პოეზია. პოეტა შერბოლად შესტკროდა იმ ქვეყანას, „სადაც აწივს ქუთვან დედოფალი, სადაც მებნათორად მოქალღის წევე ლუარსაბ მეორე, სადაც მკარად და დანატკერად აწივებდნენ და აბრბობდნენ შართლის საუკეთესო შეილებს“ (გვ. 53). „იმ წამებულთა სახილებს წინაშე მოწმებამ, საერთოდ პატრიოტული აზრის გაღვივებამ — ყოველივე ირანული მიზარე შეერგებლობის ვრძნობა გადარმაგა“ (გვ. 53).

გურამიშვილი „დავითიანში“ მიწებულად გამოთქე-მს თავის ერის სულიერ ტკივილებს. დიდი მგოსანი ცხოვრობდა ქართველი ერისათვის მძ-მე ებოქაში. მან თავისი პოეზიის საგნად სწორედ ეს ებოქა აირჩია. პოეტმა მოგვცა თავისი დროის საქართველოს ცხოვრების განდობობლი სურათები. მე-18 საუკუნის უდიდესმა პოეტმა საოცარი სიხურტით გადმოგვცა ის ტრანჯვა-წამება, რომელსაც ვინედიდა ქართველი ხალხი თურქი დამპყრობლების კლანქებში. პოეტის მიერ ქართველი ხალხის ბედზე ტირილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ბევრმა იგი ვაესწორებდა პესიმისტად და მისტეროსად ჩასთვალა. მაგრამ გურამიშვილის პესიმისტურ ლაპარაკი მწელია, რადგან მას ჰქონდა რწმენა ქართველი ხალხის შეკვირებისა და გამარჯვების იგი მებრბოლი სულის პოეტე იყო. მას არ

სწამდა საიქო ცხოვრება: „ვეთხის-ტყაოსანში მის ლექსებს და ვგანობთ, რომ ურწმუნე ცხოველს ქრისტიანული დოგმატი სტრემლანდებოდა, არა სჯერა და არ ახსოვს საიქოს ყოლო სააქოს ტანჯვისა და მოთმინებისათვის. მისი ტკივილებს მალამოდ სასუფველის ნუგეში არ გამოდგება“ (გვ. 75). „შართალია არის წუთები, როცა ის ურიგდებო ზეცას. მაგრამ არასოდეს არ ისევებს, არ წყნარდება მის ბუნებაში მეორე აღმანი. უკანასკნელს საღეთო ბაღნარსა და ლეოთერ მიჯნურბას ისევე მიწიერი ქვეყანა ურჩენია.“ (გვ. 72).

პოეტა ნათლად ზედგადა თავისი ერის განსაედარეს. მან კარგად იცოდა რომ საქართველო დიპიყო მტერმა არა შერთო პოლოტიკურად, არამედ სედა დაემორჩილებინა ის იდეურად და ზნეობრივად. თურქის სერასიდებმა და ფიშებმა შერთო თათრული ჩაღებო ეი არ შიოტანეს, არამედ ქართველების ერთ ნაწილში აღმოსავლური გაუტრანდებო ვანმტყიის სწორედ ამიტომ გურამიშვილი შორალური ვანმტყინდ-ს პრობლემასაც აყენებს“ (გვ. 68). გურამიშვილი ცდლობდა თავისი ერის ზნეობრივ ამაღლებას. მე-18 საუკუნის გამოჩენილმა პოეტმა მამადიანურ რელიგიის ქრისტიანობის ქადება დაუპირისპირა ეს ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა. ამიტომ ამ მხარე უნდა განვიხილოთ მისი პოეზიის კავშირი ბიბლიასთან. „ჩვენ აქამდე არ მოგვიხსენებია — სწერს ვ. ნატროშვილი, — ორი შთავარი და გამწვევები წყარო გურამიშვილის შემოქმედებისა, რომელიც ღრმა შთავგონებს და სიძლიერეს აძლევდნენ პოეტის დანახობას. ეს წყარობება ერთს მხრივ „ვეფხის-ტყაოსანი“, ზოლო მეორეს მხრივ — ბიბლია“ (გვ. 56).

ბიბლია უღადო ერთ-ერთი წყაროა პოეტის შემოქმედებისა. ის ბარალი იყო პოეტისთვის საქართველოს ერთიანობისათვის ბრბოლაში, მამადიანურ ქვეყნებს იდეოლოგიის წინაღმდეგ ბრბოლაში. თურქეთი და ირანი, რომელიც საქართველოს ტერიტორიას აყრობდნენ და აზრებდნენ, ცეცხლითა და მავლით ავარკებდნენ ივერის მიწა-წყალზე „აღმოსავლურ გაუტრანდობას“ ვარდა მამადიანურ რელიგიას: ბიბლია ეი შამინ ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო ამის შესაჩერებლად. პოეტმა სწორედ ამ თვალსაზრისით გამოიყენა ბიბლია და ამივე თვალსაზრისით შევიდა მის პოეზიაში „მასალები“ ბიბლიიდან. ამიტომ გურამიშვილის პოეზიის წყარობებს შესწავლის დროს უნდა გავითვალისწინოთ ეს ისტორიული ენობრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალგაზრდა მკითხველისათვის გაუგებარი დარება აეტიულებებს“ ავტორის შემდეგი სიტყვები „ბიბლიის

გაგონამ დააბრუნა პოეტი მე-8 -10 საუკუნეების ქართული პოეზიის ტრადიციებთან. ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასთან, შეიძლება დამოკიდებულადაც, გურამიშვილს აბსოლუტურად ის საგალობლები, რომელნიც მას დაუწერია ომერთისა, ლეონისშობლისა და იესო ქრისტეს საიდუმლოდ. პოეტი ხშირად ძველი ჰიმნოგრაფების რელიგიურ ექსტაზამდე აღწევს, ზოგჯერ გურამიშვილის შემოქმედებაში მძიმად ჩნდება შეუძლებელი, უღარდო და უნისლო მოლოდინი ნეტარებისა. ეს ანათეზავებს მას იმ ძველ სასულიერო პოეტებთან, რომელთა შემოქმედებაშიაც ჯერ არ შეზარდილია გელის მღვდნული იქვი და არ დაკარგულიყო რწმენა მიღმა ქვეყნისადმი" (გვ. 58). მართალია დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ვხვდებით ვერცერთ-ერთეულ წინააღმდეგობებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს „წინააღმდეგობები“ არის უღარდო თვისებები და ისტორიული ვითარების შედეგი. უდაბა, რომ დ. გურამიშვილის, რომლისათვისაც რუსთაველი ვფელაზე მიაღი და მიუწვდომელი ავტორიტეტი იყო (გვ. 57), არ აკმაყოფილებდა ქრისტიანობის მოძღვრება (გვ. 58). აქედან გამომდინარე, ბიბლია არ ჩაითვლება გურამიშვილის შემოქმედების ორგანიზალ ნაწილად. ბიბლიას გურამიშვილი იყენებდა გამწარებელი და ტრაგიკულ მდგომარეობაში ზავარდნილი ქართველი ხალხის სულიერ სიმტკიცის შენარჩუნების საქმისათვის. ბიბლია, გურამიშვილის მორალური მოძღვრების ერთ-ერთი მხარეა.

საკაცენზიო წიგნში საერთო მწერლობის თვალსაზრისით წარმომადგენლის დ. გურამიშვილის პოლიტიკური ორიენტაცია სწორედ არის მოცემული. ცნობილია ვახტანგ მეექვსის დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსთან. ვახტანგ მეფე რუსეთის სახელმწიფოში ეძებდა ძლიერ მოკავშირეს. გურამიშვილიც ვახტანგ მეექვსის გზას მიჰყვებოდა. პოეტი ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ საქართველოში კი არ დაბრუნებულა, არამედ რუსეთს წაეიდა, სადაც ვახტანგ მეფე გველბოდა. ვახტანგის ორიენტაციის ვარკვევის დროს საესებოთ სამართლიანად წერს გ. ნატროშვილი, რომ „...პეტრე პირველის პოლიტიკა, რომლის მიზანაც კავსახიდან თურქებისა და ირანელების განდევნა შეადგენდა, მტკბად ფრთხილი იყო. ამ დახლართულ პოლიტიკის ნიუანსებში ქართველები ხშირად ვერ ვრკვეოდნენ, ვერ ვრკვეოდნენ იმიტიზმ, რომ ცდილობდნენ რუსეთის ღველა დიპლომატიური თუ სამხედრო ნაიჯი ქრისტიანული სათნოების და ერთობისწინა ბაღის ვადარჩენის თვალსაზრისით შეეფასებინათ" (გვ. 64). ძალიან ბევრის თვალს ვერ ვპერტდა კავსახიდან თურქე-

ბისა და ირანელების განდევნის პეტრე პირველის ფრთხილი პოლიტიკის განდევნის წინააღმდეგობა, მაგრამ საჭედი ის, რომ განდევნის წინააღმდეგობა ვერ ვრკვევით დახლართული პოლიტიკის ნიუანსებში. ერთი ეს უდაბა, რომ ჩვენი ერთი დიდად შეაბრუნა, რუსეთის უკან დახევა, რომელიც ჩასაკვირვებელია გამოწვეული იყო არა დალატით, არამედ სახელმწიფოებრივი პოლიტიკით, რომელსაც თავისი ვასამართლებელი სახეობები ჰქონდა. პეტრე პირველს მდგომარეობა საშუალებას არ აძლევდა ისტორიულ პეტრეთან ინვარიში ვაესწორებია და კავსახიში თავისი მიზნები განეხორციელებინა. პეტრე პირველს კავსახიდან თურქებისა და ირანელების განდევნის დიდი სურვილი ჰქონდა. გ. ნატროშვილს კარგად ესმის ამ სურვილის ძალითი და მიზანი და ახრბ. იგი სწერს რომ: „რუსეთის ტახტის მფლობელი ოცნებობდნენ მტკიცედ დამკვიდრებულიყვნენ კავსახსა და შავი ზღვის სანაპიროებზე" (გვ. 63). აქედან გამომდინარე გვეს ვარეშა, რომ რუსეთის ტახტის მფლობელნი მართო სათნოებით არ ხელმძღვანელობდნენ კავსახიდან თურქების განდევნის საქმეში, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ჩვენს სახელმწიფოს მესვეურებს დაეკარებინა რუსეთთან კავშირი და ქვეყანა შხაშიანი კავსახისგან ესნათ. გ. ნატროშვილი შეეცინერულ მასალებზე დაყრდნობით და გურამიშვილის შემოქმედების სწორე ანალიზის შედეგად ნათლად ვერევენა რუსი და ქართველი ხალხის მგობრობის ისტორიული საწყისი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ხელს სხვა სოციალური და პოლიტიკური სახით მტკიცედ და საშუალოდ ჩამოეხლიდა.

სამართლიანად ამბობენ, რომ საბა ორბელიანი „საბრძნე-სიკრუსი“ წიგნში ვარეხნა გზა სასაბრო ენას ზლო გურამიშვილია „ქაცვი — მწვეწმით“ დამევიდრა უფლება სახალხო სასაბრო ენასო, მაგრამ „გურამიშვილს პირველი წიგნი მართო იმით როდია საინტერესო რომ მის ქართულ ლიტერატურაში ახალი სტალი, ახალი სახეობი, ქართული სინამდვილის და უფაე-უბოვრების რეალები შემოაქვს; მართო იმით როდია საინტერესო, რომ იქ, რაფინირებული, მალაღმადროვანი აღმოსავლური სტალის ნაცვლად პოეტის ქართული გლვაციის ენით საებრობს, ოქსინოსა და ბროლა-დადნის ნაცვლად გუონისა და ჯეჯილის სიმბოლოებს მიმართავს. ესეც თავისთავად ლიტერატურის განახლებისა და ვახალხურების დიდი ნიშანი იყო, მაგრამ უფრო მეტად საინტერესოა აქ პოეტის ისტორიული კონცეპტია, გამსჭვალული ღრმა და ფხიზელი რეალიზმი" (გვ. 61). გ. ნატროშვილი სადა რა გურამიშვილის რეალიზ-



მისათვის ნიადაგი მოეჭებნა, მან აქაც, პოეტის ზნეობრივ ატმოსფეროში შეგვიყვანა. თუმცა ძნელია იმის თქმა, „შწრაფი სტეიერად მივიდა რეალისმამდე, ქვეყნის ობიექტურ შემეცნებად“ (გვ. 62), მაგრამ ერთი კი უდათა, რომ გერამიშვილმა... მოგვცა ობიექტური სურათი სინამდვილისა, ჭერათი, სადაც სწინდა ბნელი და ნათელი მხარეები ქართლის ბედისა, სადაც ნათლად სწინდა, თუ რა იყო დამღუპველი ქვეყნისა“ (გვ. 62).

დ. გერამიშვილი უაღრესად განათლებული შწრაფი იყო იგი უდაოდ კარგად იცნობდა არაბულ, ბერძნულ ლიტერატურას და ფილოსოფიას. ძველ ქართული ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი პოეტი ანტიკური სამყაროს ლიტერატურასთან სულიერად არ იყო დაკავშირებული, მაგრამ ემიგრტეს ფილოსოფიურ მოძღვრებას კარგად იყო გაეცნობილი.

გ. ნატროშვილი ფიქრობს, რომ „გერამიშვილი მხოლოდ ერთ წერტილში შეხვდა ემიგრტეს და იმ წუთსვე დამორდა, როგორც ადამიანი, რომელიც გონებით მოგზაურობს საუკუნიდან საუკუნეში და სიკოცხლის აზრს ეძებს“ (გვ. 51). მართალია... „გერამიშვილი არა მარტო ასეულებს ემიგრტის სახელს, არამედ კიდევაც ცდილობს მისი ეთერა მოძღვრების სწორი ინტერპრეტაცია მოგვცეს“ (გვ. 48), მაგრამ... „ჩვენი პოეტის უზარაოდ შესაძლებლობა არა ჰქონდა ხანგრძლივად დარჩენილყო ემიგრტის აზრთა სამყაროში და ესუნთჭა მისი ქვეყნის გამაიკოცლებელი ჰაერით“ (გვ. 51). რასაკვირველია, ქართული მიწა-წყლის შვილს, რომელსაც მძღვარად ჰქონდა შეთვისებული ეპოქის სული, არ შეეძლო „ხანგრძლივად დარჩენილყო ემიგრტის აზრთა სამყაროში“ ან ესუნთჭა სხვისი ქვეყნის ჰაერით.“ დავით გერამიშვილს ჰქონდა საერთო რა იდეური და პოეტური სამყარო, დადუქნებული ქართული ლიტერატურის ტრადიციებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნატროშვილმა დავით გერამიშვილის ანტიურ მსოფლიოსთან და მოკლებულებს საერთის გარკვევის დროს ბევრი მეტად საყურადღებო დებულება წამოაყენა. მართალია, გერამიშვილის შემოქმედებაში ანტიკურ მწერლობასთან დამოკიდებულების საერთი კარდინალური არ არის, მაგრამ მისი სწორი კუთხით წარმოდგენა აუცილებელია. საერთოდ კი „ეტიოდებში“ მითაყვებელი „დავით გერამიშვილი“ მძალი დირსების მქონე ლიტერატურული გამოკვლევაა.

მე-19 საუკუნე „ეტიოდებში“ ითანე ბატონიშვილით იწყება. სამწებაროდ „კალმასობის“

ავტორის „ითანე ბატონიშვილის ლიტერატურული სახელი კარგა ხნის მძებრებელმა წის-ლით მოიღო და დარდინებულმა ჩქარა (გვ. 86), უფრო მეტიც, მის „კალმასობას“ შეცხამებტე საუკუნის სამოციან წლებამდე არ იცნობდენ და, შემდეგაც, „კალმასობის“ ავტორის ვინაობის საკითხი დღეხანს სადაოდ იყო გადაკეცილი“ (გვ. 86) დღეს, კალმასობის ავტორის ვინაობა საბოლოოდ დადგენილია. კალმასობა კი—გეროვანად შესწავილი. „კალმასობა“ გარდამავალი ეპოქის ნაწარმოებია. იგი მე-19 საუკუნის დასაწყისის მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად უნდა ჩათვალოს. ჰუმანიური გრძობებით გამსჭვალულ „კალმასობაში“ ნათლად ჩანს მამინდელი საზოგადოებრივი შეცნება და ლიტერატურული ატმოსფერო. ითანე ბატონიშვილის შემოქმედების თემა— ჩვენი ხალხის ცხოვრებაა. ამიტომ სამართლიანად წერს გ. ნატროშვილი, რომ ი. ბატონიშვილის „კალმასობა“... ერთი იფართო გუებერთელა ფრესკაა, რომელზედაც დაბატულია მთელი ჩვენი ქვეყანა“; „კალმასობა“, რომელიც ... დირსია სრული უფლებით იღვეს შეცხამებტე საუკუნის ქართული პაროზის სათავეში“, უმნიშვნელოვანესი მხატვრული დოკუმენტია.

იგი იყო ავტორი იმ წიგნის, რომელმაც აბუნად აიგლო სასულიერო წოდება და უარყო ადამიანის ჯანსაღი გონებისათვის მიუღებელი ფეოდალური ყოფა? ეს იყო მეფე ირაკლი მეორის შვილის-შვილი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ვიოროვის შვილი ითანე, რომელსაც ეხერხებოდა დინჯი დასცენების გამოტანა გველა იმ კითხვებზე, რომელიც აწუხებდა მისი დროის საზოგადოებას.

ი. ბატონიშვილი ... როგორც უაღრესად დღიი ერუდტიის მწერალი, იცნობდა არა მარტო აწმყოს, არამედ ცდილობდა თავის ქვეყნის შემღვობი ვითარებაც დაენახა“ (გვ. 89). ფილოსოფიურად განსწავლულმა ი. ბატონიშვილმა მართლაც შესწლო კიდევ თავის ქვეყნის შემღვობი ვითარება და ფეოდალური კლასის მოხლოვებულ დასაბრული დაენახა. ი. ბატონიშვილი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში პირველი იყო, რომელმაც ხალხს გადაეშალა ბრწყინვალე პერსპექტივები. აღსანიშნავია, რომ „ქართულ მეფეთა შთამომავალი, მწერალი და ყოფილი მეომარი ითანე ბატონიშვილი პირველი იმადლებს ხმას დამდაბლებულთა და შეერაცხუოფილთა დასაცავად, იმადლებს ხმას დამაგრული და დაბუნავებულ გლესკაცობის დასაცავად, პირველი შეცხამე-

ზე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამო-
ნადგურებლად აზილებს მალაღ წოდების გა-
დაგვირგობლო მოდებს" (გვ. 96). „სულ სხვა-
გვარია იოანეს დამოუდებლობა ხალხის ღირ-
სეო შეიღებთან. მათთან ის შეგობრულადა
გრძნობს თავს და, როცა ეს შემთხვევა მივცე-
ვა, წარმოუდგენლად ამყოფს მათი სახელე-
ბით" (გვ. 94).

ფართო და ერცელია „აღმოსავლეთის" პორტ-
რეტო გადურება. ამ წიგნში „საარცთაო ჩანს
ორი გეოგრაფია: ერთი ბანაკი კეთილშობილი
გეოგრაფისა, გულშეგრევაოე პატრიოტიზმისა,
აღალმართლო და ძლიერი ხალხისა, ხოლო
მეორე მხარე... ზრთა თიციის გამოჩენის, ან-
გარებით საესე თივადების და გიძიერა სასუ-
ღიარო პირებისა (გვ. 93). გ. ნატროშვილმა
სრულად გაიზარა „აღმოსავლეთის" თიოსთიფი-
რი და მხარგრელო სიღრმე. ა. ბატონიშვილის
ის პოეზიური იდეები. რომლებიც გარკვეულ
ფორმებს აღიბუნენ ცხოვრებაზე დაჯარვებისა
და ცხოვრებაში გამოცდილების მიღების შე-
დეგად.

საქართველოში რომანტიზმის მამამთავრად
საქართველომ აღიკლება შეიანიშნავი პორტი,
ღიკარისკებთან ახლო ფილოზოფიაში მყოფი,
პოეზიის ლექსების მთარგმნელი ალექსანდრე
ჭავჭავაძე.

ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლის მამამ. გარ-
სევაძეს მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქარ-
თელოს რისითთან დაახლოვების საქმეში,
პეტროგრადში იზრდებოდა. აქ ის გაიარა რუ-
სეთის მშენიანე ინტელიგენციის აზრებს. რი-
მარ საქმეში გაეღვირა მოზღანდა მის შიშოქ-
მედებზე. პრაგმატიკულ რუსეთს თავრობულ
ქულტურას გაიკობრძო „აღმოსავლეთე ჭავჭავა-
ძე არა მარტო ქრონოლოგიკრად, არამედ
აღორადღე იწიარს მთარგმნეზე საუკუნის დიდ
ქართულ ლიტერატურას".

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაზე, მის ლი-
ტერატურის სტილზე და პოლიტიკურ პოზი-
ციაზე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში
შშირად სხვადასხვა აზრი გამოიქმნედა.

აზრი იმ-ს შესახებ, რომ ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძის შემოქმედებაში შეიძირდ შეერთებუ-
ლია და ნათლად გამოხატულია ორი კულტუ-
რა — დასავლეთ-ევროპული და აღმოსავლუ-
რი — საუფუველს მოკლებულია ისევე, რო-
გორც ის მოსახრება, თითქმის ალექსანდრე
ჭავჭავაძეს აღმოსავლური ლიტერატურის გაე-
ღვირა ყველაზე უფრო მძლავრად სიყვარულზე
დაშერად ლექსებში ემჩნეოდეს. „ქართულ
ლიტერატურის ისტორიაში — სწერს გ. ნატ-

როშვილი — საერთოდ უკვე ცნობილია, რომ
მისი შემოქმედება აღმოსავლურ ქვეყნებში
ლეთის პორტიკრა ტრადიციულს „წიქრისმეზღე",
მეგრად გ. ნატროშვილი იქვე დასძენს, რომ ამ
ფორმელს აკლავ სიზუსტეო. „ლიტერატურულ-
ლი ეპიკითვის" ავტორი ალექსანდრე ჭავჭავა-
ძის შემოქმედების გარჩევის დროს შეეცადა
ერეწება ამ ფორმელის ნაკლოვანება და
ძლიერი შექით გაწინაობა პოეზია იმ მწერ-
ლისა, რომელმაც საქართველოში შექმნი-
ა რი-
მანათლოე სკოლა. მეგრად გ. ნატროშვილმა,
რომელმაც მოძებნა ალექსანდრე ჭავჭავაძის
პოეზიის ძირელი და გვიჩვენა ალექსანდრე ჭავ-
ჭავაძის რომანტიკის სოციალურ-პოლიტიკური
ნიღაგე, ბოლომდე ვერ შეინარჩუნა თავისი
ძლიერი პოეზია, რის გამო იგი შეიღდა ამ
დასაცნამდე, რომ „აღმოსავლურმა ლირიკმ
ეანრის მხარეც ძლიერი შეგავლენა მოახდინა
ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. ჩვენ
მხედველობა გვაძეს ის მოკლე მინიატურულ-
ლი ლექსები, რომელიც უმთავრესად აღმოსავ-
ლეთშია გავრცელებული" (გვ. 119). ვერც ერ-
თი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე არ იყო გა-
ტარებელი აღმოსავლური ლიტერატურით, ეს
იქიდან ჩანს, რომ მას არ უთარგმნია არც-
ერთი აღმოსავლური პორტი ამ დროს, როდეს-
აც მან თარგმნა პეშკინი, პიგუო, ვოლტერი,
ლაფონტენი, რასინი, კორნელი და სხვ. ხოლო
„თარგმანი მწერლის პოლიტიკური და იდეური
ორიენტაციის მკითხო მამეწებელია" (გვ. 122).
მეორე ის, რომ მინიატურული ლექსების სამ-
შობლოდ აღმოსავლეთი არ ჩითვლებოდა. რუ-
სეთში და ევროპაში მინიატურული ეანრი საე-
შაოლ გავრცელებული იყო, რომელსაც ალექ-
სანდრე ჭავჭავაძე უკეთ იცნობდა, ვიდრე აღ-
მოსავლურს, რააც იმტყიებს მისი თარგმნე-
ბი: თუ ვიღამარცხებ მინიატურულ ლექსე-
ბის კლოზე, ამ მხრივ მას წინამორბედები სა-
ქართველოში ჰყავს გერამიშვილისა და ბესი-
კის სახით.

საქართველოს ლიტერატურულ ტრადიციებზე
აღზრდილი (მინიატურული ეანრის მხრივაც),
საქართველოს დამოუდებლობისათვის შეზრ-
ძილი პორტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელ-
მაც მოშეიქმნის პერიოდში შეიკნო თავისი მა-
მის რეალური პოლიტიკის მნიშვნელობა, რი-
შელიც ისტორიის მიერ საესეგობით გამოართლ-
ებული აღმოჩნდა, ნამდვილი ქართველი იყო,
როგორც პოეზიაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრე-
ბაში. მისი ლექსები თავისუფლებას დაიარგულ
საქართველოს ემღერის, იგი არ იყო „დარღ-
მანდობის" ან „მხარტულობის" პორტი. მისი
„მხარტულობა" სიმხნევეს უდრის, რომელიც

ქართული ერის ყველაზე უფრო სიპრადებოდა მაშინ, რათა სულით არ დაეცემულიყო.

მართალია, ალექსანდრე ქავჭავაძე შიშლითაგანის პოეტური ხმით ემღერის ქალის სილამაზეს. ალვან ტანისა, მისი მიმოზვრის იღუშალი ეშხას, ვიშრის თმებისათვის პოეტის სასუფუფუღედუც უარს ამბობს („საროს ტანისათვის დაჯგერავვის სასუფუფუღი“) ისევე, როგორც პავლინი, რომელსაც სავეს დიალა მაშხაღის სამოთხის ერძივან და სატროს ხალი — ურცხვ სანეფოვს“ (გვ. 118), მაგრამ ალექსანდრე ქავჭავაძის ქალი და მაშხაღიანური, და მათ შორის პავლინის პოეზიაში ქალისადმი ტრფობა სულ სხვადასხვა გავებით უნდა იქნეს შეგრძობადი. ქალი და სიყვარული ალექსანდრე ქავჭავაძის პოეზიაში წმინდათაწმინდა, სპეტაკი და მალაღი იღვალა. საყვებით სამართლიანად სწერს გ. ნატროშვილი, რომ „...ქალი, რომელიც თავის იღვალად უქცევია პოეტს (ალექსანდრე ქავჭავაძეს — ვ. გ.), პარკმის ოვალისკა როდია, პოეტის აღფრთოვანებულია მისი გონების სხივებისაჲ...“ სპარსულ და თურქულ პოეზიაში კი ქალის გავება ამ სიმღღღედ არ ასულა. ამიტომ შეუძლებელია ალექსანდრე ქავჭავაძის პოეზიაში ვეძიოთ სპარსულ გავლებს, თუ ვინდ ქალის, სიყვარულის ან ღვინის საკითხში.

ქართული რომანტიკოსებიდან სარეცენიო წიგნში გარდა ალ. ქავჭავაძისა გარჩეულია გ. რბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედება. მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული აზროვნების მწვერვალად სამართლიანად ნ. ბარათაშვილი ითვლება. სწორედ ამიტომ გ. ნატროშვილს ყურადღება ყველაზე უფრო ამ მწერალსა მიიძეოდა. ნ. ბარათაშვილში აღძრული იდეალები „ეტრედებში“ დაკავშირებულია იმ სოციალურ და პოლიტიკურ ყოფასთან, რომელსაც უხდებოდა ცხოვრება დიდ პოეტს. კობაკოვსმა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას ჩინებულად ჩამოაცილა პესიმიზმი, დეპონიზმი და პანთეიზმი. ზოგიერთის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ადგილი აქვს პესიმიზმს — გ. ნატროშვილს უსაფუძვლოდ შიანია. მართალია ნ. ბარათაშვილის ლექსებში მრავალი ცრემლი დაფრქვეულია, მაგრამ ნ. ბარათაშვილი, რომელიც უარყოფდა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელ სფეროში ნავარდს, „... არ იყო პესიმიტი და მას, ასეთი დიდი, მღვდლარე სულის პატრონს არ შეეძლო ცხოვრება სასაფლარისათვის ყრუ და მოსაწყენ უღამნოდ ჩაეთვალა“ (გვ. 162).

ნ. ბარათაშვილი, რომლის ლექსების ყველა სტრიქონში იცხვ ვერძობობა გარკვეულმა სტილიტიკური იდეალების მქონე უღამნობის (სამსახრის) არ კარგავდა თბავლის იმედს. მწერალი, რომელსაც აწუხებდა თავის ერის ტრაგიდები, მთელს იმედს ქართული ხალხის განუტრეხელ ნებისყოფაზე და სულის სიმტკიცეზე ამყარებდა. მას სწამდა, რომ ქართული ხალხის სულიერი და ფიზიკური განადგურება შეუძლებელი იყო. ამიტომ ამბობს გ. ნატროშვილი, რომ ნ. ბარათაშვილი „... იყო ნაკი, — მომტანი პერსპექტივისა, მოკეტული მომავლისა, წარმოთქმული სააროგარადო სიტყვისა“ (გვ. 148).

ნ. ბარათაშვილის „პოეზიაში ქართულმა მეთხველმა იპოვება პასუხი ცხოვრების ძირითად კითხვებზე, იპოვება პასუხი სოცოცლის არსზე და მისხანზე“ (გვ. 148). ნ. ბარათაშვილმა, ილია ქავჭავაძის თქმისა არ იყოს, „ამაღლა ქართული კაცი, იმდროინდელი მოწინავე მსოფლიოს მოქალაქედ აქცია იგი და მსოფლიო აზროვნების ორბიტში შეყვანა. რუსთაველის შემდეგ ქართული პოეზია ასეთ მალად მწვერვალდებად არ ასულა“ (გვ. 148).

„ლიტერატურულ ეტიუდებში“ საყურადღებო წერილებია მოთავსებული აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, განსაკუთრებით კი შაქსად გორაკის შემოქმედების შესახებ.

დიდებული ქართული მგონის აკაკი წერეთლის შემოქმედება მისი პოეზიის რაობა მოკლედ, მაგრამ ამომწურავად არის მოცემული, გარკვეულია აკაკი წერეთლის პოეზიის არსა, მისი რეალისმის თვისებები.

გ. ნატროშვილი აკაკი წერეთლის შემოქმედების გარკვევის შემდეგ ფართოდ იხილავს გიორგი წერეთლის ბელეტრისტიკულ ქმნილებებს და დაასკნის, რომ დიდ საზოგადო მოღვაწეს და მწერალს, რომელსაც სწამდა ადამიანის ძალა, თავისი შემოქმედების უშალღეს მიზნად ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლა შიანდა.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების სირთულემ ზოგიერთი მიიყვანა იმ დასკვნამდე, თითქოს ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობის მთავარი წყარო იყოს ერთი მხრივ ანიმიზმი, — ეს პირველყოფილი ადამიანების რელიგია, ზოლო მეორე მხრივ — პანთეიზმი. ამ მოსაზრების სიყალბე თავის დროზე ამს. ალ. ქუთელიამ თავის მტად საყურადღებო შრომაში — „ვაჟა-ფშაველა“ ნათლად დაამტკიცა. ამს. ალ. ქუთელია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეცნიერულ ანალიზის შედეგად წერს, რომ არ შეიძ

ლება „...ვილპარაკოთ ვეას პანთეონზე, რად-
 განაც ვეა არ იგივეს ღმერთს ბუნებასთან
 და ამ ნილაგზე ბუნებას არ აღმერთებს, რო-
 გორც ამას პანთეისტები სხადიოდნენ, არამედ
 სრულად უარყოფს ღმერთს“ (ალ. ქუთელია,
 „ვაია-ფშაველა“, გვ. 12). ამს. ქუთელია ექვე
 დსაბუნს, რომ „უწინარეს ყოვლისა უნდა აღ-
 ვნიშნოთ, რომ ბუნების საყოველთაო გაყოფი-
 ლება ვეას მიერ არ გამოდის არც მისი პან-
 თეისტობიდან და არც მისი პილოზოზიზმიდან,
 თვინააღან იგი არც პირველის და არც მეორის
 თვალსაზრისზე არ იდგა“. გ. ნატროშვილსაც
 არ წაას „ბუნებაში გაჩეიდან შეტანილი ძალა“.
 ეს არ არის სარეცენზიო წიგნის ავტორის უზ-
 რალო მსაჯელობა, არამედ ეს არის დაკვირვებ-
 ბული კვლევის შედეგი. ამიტომ მტკიცება
 ვეა-ფშაველას შემოქმედებაში პათეიზმის არ-
 სებობის შესახებ ყოველგვარ საფუძვლებს მოკ-
 ლებელია.

ვეა-ფშაველა, რომელიც „ქართული კლ-
 ტურის წიაღში გაიზარდა“, უაღრესად საკა-
 ცობრიო და უაღრესად ნაციონალურა პოეტა.
 „ვაია-ფშაველა მემკვიდრე იყო იმ სატუთესო
 ლიტერატურული ტრადიციისა, რომელიც შე-
 ჰქმნეს ძველი ქართული მწერლობის მთელმა
 თაობებმა და რომელიც მეცხრამეტე საუკუნის
 სამოციან წლებში თერგდალეულებზე გაფარ-
 თოვის, ვაღარმავეს და ახალ საფეხრზე აიყ-
 ვანეს“ (გვ. 226). ასეთია ის მოსაზრება, რომე-
 ლიც საფუძვლად უდევს სარეცენზიო წიგნს
 ვეა-ფშაველას შემოქმედების ანალიზის დროს.

ალ. ყაზბეგი, როგორც „ადამიანის სულის
 უბადლო მხატვარი“ სინამდვილესთან მოვიდა
 არა როგორც უზრალო მწიგნობარი, არამედ
 როგორც მებრძოლი მოქალაქე, რომელმაც
 „...ბარბაროსულ რეპრესიას კეთილშობილი ადამ-
 იანთა თავისუფლებას მოყვარე ოცნება და
 თავგანწირული ბრძოლა დაუბრისპირა“
 (გვ. 236). ალექსანდრე ყაზბეგი, რომელიც გე-
 ნიალური შეიღი იყო თავისუფლებისმოყვარე
 ქართველი ხალხისა, იტანჯებოდა თავისი ერის
 სამწინელი ტყველებით. „ალექსანდრე ყაზბეგი
 არ უყოფილა გარეშე მოწმე თავისი ხალხის
 ტრაგიკული ცხოვრებისა“, ალექსანდრე ყაზბე-
 გი არ იყო გულგრილი მათრებელი ტყვიით
 განგმირული ელსოსის და ვეიასი, დაჩეილი
 ელგუჯასი და ელბერდის გაციებულ სხეულო-
 სი, ალექსანდრე ყაზბეგის თავისუფლებისათვის
 მებრძოლი გვირების მწერლის ფანტაზიით შე-
 ქმნილი ტიპები როდი არიან. ისინი არიან სი-
 ნამდვილიდან, ცხოვრებიდან აღებული ხალხის
 მსწრაფებთა გამომხატველ განზოგადოებულ

ადამიანები. „ყაზბეგის შემოქმედებაში ჩომან-
 ტიული ეგზოტიკრობის ნაგვერდზე უახტელო
 იყო მწარე სოციალური სწინამდგომარეობისა-
 შინელი ტრაგიზმი, რომელსაც განიცდიდნენ
 არა მარტო ცალკეული პიროვნებანი, არამედ
 მთელი ხალხი“ (გვ. 239).

ალექსანდრე ყაზბეგი ნაციონალურ განმათა-
 ვისუფლებელი ბრძოლის დიდი მხატვარი იყო.
 ამიტომ „ისტორია სამდღამოდ შეინახავს სოკე-
 ნის ამ დიდი შემოქმედებისა, რომელმაც კემში-
 რიტი პოეტური საღებავებით და უღრმესი გე-
 ლანტიკულით დახატა ის განსაცდელი და
 უხედურება, რომელიც ჩვენმა ხალხმა გამოი-
 რა ნაციონალური და კლასობრივი ჩაგვრის
 უღელქვეშ“ (გვ. 245).

გ. ნატროშვილმა განსაცდლებით აღნიშნა
 ალ. ყაზბეგის დიდი დამახებრება ქართული
 ქალის ხასიათის ჩვენების საქმეში. „თავგანწი-
 რულების პათოსით, ურუვეი ნებისყოფით, თა-
 ვისუფლებისა და დამოუკიდებლობის სოყვარ-
 ლით გამსჭვალულნი არიან ყაზბეგის გმირი
 ქალები. მწერალმა ეს საკითხი უაღრესად მო-
 წინავე და დემოკრატიული თვალსაზრისით გა-
 ამტკა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში
 ნუნეს, მავეალს, მზალს და სხვებს სრუ-
 ლად განსაკუთრებული და დირსებული ადგი-
 ლი უჭირავთ“ (გვ. 244).

„რეალიზმა, — წერს გ. ნატროშვილი, —ლი-
 ტერატურა ადამიანს ყოფაცხოვრების შუაგულ
 შორეში შეიყვანა, რომელიც ხან წმინდაა, ხან
 მღერე, ხან დაწინარებული და ხან შფოთით
 სასე. მაგრამ ყოველთვის ადამიანური და სა-
 ინტერესო. „დავით კლდიაშვილი ამ კლასიკე-
 რ რეალიზმის უმესანისმავესი წარმომადგენე-
 ლია. მან თავის შთავარ თემად სწორედ ეს
 ყოველდღიური, ერთი შეხედვით უფრერი
 და მოსაწყენი ცხოვრება აიღო და გერეენა
 ტრავედია, რომელიც ამ ყოველდღიურობის
 უონზე წარმოიშვენა ხოლმე“ (გვ. 247). გ. ნატ-
 როშვილმა, ფართოდ განიხილა რა დავით
 კლდიაშვილის რეალიზმი, ამოწურავად გვიჩ-
 გენა შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული
 ამ ქართველი მწერლის სოციალური მისწრა-
 ფებანი.

„მაქსიმ გორკი“ და „გორკის ზღაპარი დე-
 დაზე და ქართული ბაღადა ველებსისა და მოყ-
 მისა“ დიდი გრძნობით დაწერილი წერილებია.
 ყველასათვის ცნობილია, რომ აგენიალურმა
 რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ თავისი სახე-
 ლი სამდღამოდ დეკავემირა სოციალისტური
 რევიოლუციის ისტორიის, საბჭოთა ხალხის
 ბრძოლისა და გამარჯვების ისტორიის“ (გვ. 264).

გამარჯვებული ხალხი ვერასდროს ვერ დაივიწყებს დიდებულ მწერლის სახელს. მისი სიტყვები უკვდავია. მაქსიმ გორკი ჩვენი სიამაყეა. „გორკი ბოლშევიკურ პარტიასთან ერთად იყო არა მარტო პირველი რევოლუციის გარიყრავზე, არა მარტო ეხრასხუთის ქარიშხლიან დღეებში, არა მარტო რეაქციის მრისხანე წლებში და რევოლუციის ახალი აღმავლობის დროს, არა მარტო სამოქალაქო ომში და სოციალისტური აღმშენებლობის გრანდიოზული გაქანების დღეებში, არამედ სამამულო ომშიც ისევე მარად ცოცხალი, ძლიერი და დაუვიწყარი იყო სიტყვა გორკისა, ის ისევე ჩვენთან იყო, ჩვენთან ერთად ებრძოდა კაპობრიობის გაყოფებულ შტერს — ფაშისტურ გერმანიას. ის ჩვენთან არის ახლაც, როცა საბ-

ჭოთა ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით, ძალთა უდიდესი დამაბებით მუშაობს ნუშეოთგ სტალინური ხუთწლედის ჭარბლერქეუქმეშია ჰისი უკვდავება“ (გვ. 265). მაქსიმ გორკი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის მამაა. „მაქსიმ გორკი საბჭოთა ხალხის სიამაყე, ის სიამაყეა მსოფლიო ლიტერატურისა, მისი სახელი მარად უკვდავი იქნება კაპობრიობის ხსოვნაში“. თავისი დასკვნით ნაწილში ამგვარად გამოხატავს გ. ნატროშვილი დიდებულ მწერლის შესახებ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აზრს.

გ. ნატროშვილის „ლიტერატურული გეოდეზია“ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის სინტეზის და მნიშვნელოვანი შოვლენაა.

მლაღიმეა ჯიზუბი

ჟურნალ „მნათობის“ 1947 წლის ნომრების შინაური

★

დოკუმენტები

- ამხანაგ **ო. ზ. სტალინის** მისალმება მოსკოვის 800 წლისთავისადმი, № 9.
ა. ედიანოვი — საერთაშორისო მღვდლოწმობის შესახებ, № 10.
 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავი — **ვ. მ. შოლოხოვის** მოხ-
 სენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1947 წლის 6 ნოემბერს, № 11.
 ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს** — ქართველი მწერლების მიმართა, მიღებული საქ.
 საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე 1947 წლის 5 ნოემბერს, № 11.

რომანები, მოთხრობები, პიესები, ნარკვევები, მოგონებები

- აბაშიძე ნინო** — აღაზნის პირას, მოთხრობა, № 4.
ავალიანი დადო — მერგოლური, ნოველა, № 12.
ბელიაშვილი აკაკი — თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა, რომანი, მეორე წიგნის დასას-
 რელი, № 1 — 2, 3, 5, 6, 7, 8, 10, 12.
გამახურდია კონსტანტინე — კოლხეთში, ნარკვევი, № 3, 5; ვერცხლის ბეჭედი, ნოველა,
 № 6; დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი მე-2, გაგრძელება, № 9, 10 — 12.
გოგიავა კლიმენტი — დიდი ვარსკვლავი, მოთხრობა, № 1 — 2.
გოლცევი ვიქტორი — სინათლე, ნარკვევი, № 10.
დადიანი შალვა — მენჯი-რობე, რომანი, გაგრძელება, № 3, 4.
თავაძე სოლომონი — აბეგალმ მუხიგელი, რომანი, № 7, 8.
კლდიაშვილი სერგო — ამბილოს საიდუმლო, მოთხრობა, № 4; კარავი ზემლის ძირში,
 მოთხრობა, № 6; დაბრუნება, მოთხრობა, № 10.
ღისაშვილი იაკინთე — ნათელა, მოთხრობა, № 5.
ლომძიე ანდრო — ქარიშხალი, მოთხრობა, № 4.
მამედშაილი ენვერი — უღღუნე, მოთხრობა, თარგმანი იროდიონ ქავეარაძისა, № 1 — 2.
მთვარაძე სპონი — ბებერ-კლდის თავზე, ნარკვევი, № 1 — 2.
მოსაშვილი ილო — სადგურის უფროსი, პიესა, № 4.
მუმლაძე ლევანი — რუსთავი, ნარკვევი, № 1 — 2.
პალსტოვსკი კონსტანტინე — ანტუა, მოთხრობა, თარგმანი მერაბ ლორთქიფანიძისა, № 3.
საფაროვი-აბაშიძე მარიაში — მოგონებანი, № 4, 5.
სეირანიანი ბ. — დაბრუნებული ბავშვობა, მოთხრობა, თარგმანი არტ. დავითიანისა,
 № 1 — 2.
ტატიშვილი ვლადიმერი — ქართველები მოსკოვში, ნარკვევი, № 8.
ფურჩიკი იუდეხი — აღამიანებო, შე თქვენ შეყვარდით! — თარგმანი ირ. ქავეარაძისა, № 6.
ქორელი მიხეილი — მაქსიმ გორკის აკრძალული პიესა „უკანასკნელნი“ ქუთაისის ქართულ
 თეატრის 1910 წლის რეპერტუარში, მოგონება, № 3.
ქარქია როდონი — ოჯახის ბურჯი, მოთხრობა, № 6.
ქუთათელი ალექსანდრე — ქორწილი, მოთხრობა, № 1 — 2, 3.
ჩხვიძე იოსაბი — აკვანი, მოთხრობა, № 5, ურწყავი, მოთხრობა, № 11.
წულუაძე ივანე — რესპუბლიკის სიამავე, ნარკვევი, № 11.

პოეზიისა და ლექსები

საქართველოს
ბიბლიოთეკა

- ახალი აღქსანდრე — ჩამდენიმე ლექსი, № 1—2, გაზეთი, № 5.
 ამოსულაშვილი შალვა — ჩამდენიმე ლექსი, № 4; ორი ლექსი, № 8.
 ასანიძე პლატონი — აბრილი, № 4.
 აფხაძე შალვა — ეს ჩემი ღრია, № 5, ჩანაწერები გზაში, № 10; სამი ლექსი № 11.
 ახვლედიანი სილოვანი — წაცნობი ქვა, № 5.
 ბოხოხიძე კალე — ჩემი შიში, № 5.
 გავოშიძე შოთა — გმირები, № 5.
 გორგანელი ვახტანგი — ორი ლექსი, № 7.
 გორგაძე ვასო — პოეტის სიკვდილი, № 1—2.
 გრიშაშვილი თხეხი — შოდის ქართული ავტობიოგრაფია, № 10.
 ვაგიფი — ლექსები საქართველოზე, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა, № 3.
 ვარდოშვილი ხარბოანი — სახალწლო, № 1—2.
 თევზაძე ანდრო — სამი ლექსი, № 5.
 კაჭხიძე გიორგი — გუთნები შინდერად, № 3; ორი ლექსი, № 12.
 ლორთქიფანიძე გიორგი — სამგორი, თავები პოეზიიდან, № 1—2.
 ლერმონტოვი მიხეილი — სამი ლექსი, თარგმანი კლავდი ნადირაძისა, № 7.
 ლიტვინი საბუთა პოეტების ლექსები — თარგმანი ვასო გორგაძისა, № 10.
 ლორთქიფანიძე ზურაბი — სამი ლექსი, № 10.
 მარგარიტა რევაზი — ისე ომის რეველიდან, № 1—2.
 მოსაშვილი ილო — მათ გამარჯვება, № 7.
 ნადირაძე კლავდი — ჩემი სამშობლო, ერთი თავი პოეზიიდან, № 11.
 ნათელი ვახო — თავები პოეზიიდან, თარგმანი ვასო გორგაძისა, № 7.
 ნიჟარა ვანგუელი — რჩეულები ღირთა, თარგმანი კ. ჭიჭინაძისა და გრ. ანაშვილისა, № 8.
 ნონშვილი თხეხი — ვახტანგ შეეძგეს შოსკოვი, № 10.
 ფრულა ვახტანგი — ლექსები შოსკოვიზე, № 9; დერიდეს ლიმონები, № 12.
 რუსული კლასიკური პოეზია — გ. დერეფანი — „მერკალი“, თარგმანი ალ. ახ. შვილისა, № 5; ალ. პუშკინი — 19 ოქტომბერი, თარგმანი კ. ჭიჭინაძისა, № 5; ნ. მ. იაშვილი — 3 ლექსი, თარგმანი ირ. აბუშიძისა, № 5; ა. კოლდოვი — ტყე, თარგმანი კ. ჭიჭინაძისა, № 5.
 სულაბერიძე ვლადიმერი — ლაგერნტი ბერიას № 1—2; ოთხი ლექსი, № 4.
 ტახტაშვილი ნიკოლოზი — ციკლიდან „ლექსები კახეთზე“, თარგმანი რადფენ გვეტაძისა, № 4.
 შენგელა ალექს — გორის დღია, № 10.
 ჩიჩავა ნიკოლოზი — უბრალო აკაი, № 1—2; ორი ლექსი, № 6; ორი ლექსი № 9.
 ცეცხლაძე გრიგოლი — პორტრეტები, № 3; პორტრეტები, № 12.
 ჭელიძე ოთარი — სამი ლექსი, № 1—2.
 ჯაბუშვილი ვახტანგი — ლექსები, № 6.

კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

- ახალიშვილი შალვა — ქართული ფერწერა საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენაზე, № 5; ქართული საბჭოთა ხელოვნება, № 11.
 ასათქაფი დოდო — კრებული მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა, № 5.
 ბარამიძე აღქსანდრე, პროფ. — ვახტანგ შეეძგეს, № 4; ნიჟარა, № 9.
 ბერიტაშვილი ივანე, აკად. — ქვეყა და ტერინის სპონტანური მოქმედება, № 7.
 ბერძენიშვილი ნ., აკად. — აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, № 12.
 გაწერაშვილი აკაი — ლეონარდო და ვინჩი და სულხან საბა ორბელიანი, № 1—2; მხედრი ქართულ ლექსში, № 9.
 გოხალიშვილი შალვა — დავით წერეთლის-სხვებზე, № 5.
 გუგუშვილი პაატა, პროფ. — ალ. წულუაძე, როგორც ეკონომისტი, № 4.
 დელბა მისა — ი. ზ. სტალინის თხზულებათა I ტომი ქართულ ენაზე, № 8.
 ვასაძე აკაი — ჩემი შემოქმედებითი გზა, № 1—2.
 ლუნდბერგი ევენი — გორგი ლეონაძის პოემა „სტალინი“, № 1—2.

- ფლენტი ბესარიონი — 1946 წელი ქართულ ლიტერატურაში, № 1—2; ალექსანდრე აბაშელი, № 3; რადენ გვეტაძის მხატვრული პროზა, № 10; ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის რევოლუციის ოცდაათი წლისთავზე, № 12.
- რატიანი პროკოფი — ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის საფუძვლების შესახებ, № 7, 8.
- ტივაძე ვიორჯი — სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება მე-16 საუკუნეში, № 10.
- სააკაშვილი მიხეილ — მეცნიერული აღმოჩენების ისტორიისათვის საქართველოში, № 9.
- დვინაშვილი ანა — არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანისა“ და პეტრე I-ის დროის „Юности честное зеркало“-ს ურთიერთობის საკითხისათვის, № 10.
- შაღერი როსტომი — ზაქარია ფალიაშვილი ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი, № 12.
- შარია პეტრე — ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-5 ტომი, № 7.
- შენგელაია დემნა — ამირანის გარშემო, № 6.
- შერვაშიძე ვიორჯი — წერილი „ბერლინელ ტაგებლატის“ რედაქციისადმი, № 7.
- ციციაძე იასე, პროფ. — ძველი შოსოკვი და ცნობები საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ, № 9.
- ციციაძე ნ., აკად. — მცენარეთა შეჯგობების გზები, № 8.
- ძიძიგური შოთა — სიტყვის შესახებ, № 7.
- ჯიბლაძე ვიორჯი — ესთეტიკა და კრიტიკა, № 6; ლენინი და სტალინი ხელოვნების შესახებ, № 11; ოქტომბრის რევოლუცია და ქართული თეატრი, № 12.
- ჯანთაძე იროდიონი — ი. ბ. სტალინის ენის თავისებურებანი და ვადმოცემის ხერხები, წერილი მე-5, № 3.

ბიბლიოგრაფიები

- აბიხილაშვილი შალვა — ალექსანდრე საჯიია, ლექსები, № 11.
- გოვაია კლიმენტი — შ. არაგვისპირელის თხზულებათა სრული კრებული, ტომი 1 და 2, № 11.
- გოგიჩაიშვილი ფილიპე, პროფ. — გენომაიკის ინსტიტუტის შრომები, № 5.
- ჯამბახიძე ვლადიმერი — ვარლამ ჭავჭავაძე — ნიკო ცხვედაძე, № 1—2; კარლო კალაძე — ლექსებისა და ბალადების ერთობეული, № 4.
- იანკოშვილი შერი — რ. კიბლენგის „შოუგლის“ ქართული თარგმანი, № 7.
- ი. ა. — საისტორიო მოამბე, ტომი 2, № 12.
- მინოხილდედი — ვიორჯი მთაწმინდელის თხზულების ახალი გამოცემა, № 1—2; ქართული ფიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, ტომი 2, № 3; დიმიურაზ ბატონიშვილის ახლად აღმოჩენილი მოგზაურობა, № 5.
- მკითხველი — დემნა შენგელაია — სამი რომანი, № 3.
- შაშათაძე დავითი — რევაზ შარვაიანი — „მუშლი მუხასა“, № 9.
- შენგელაია დემნა — სანდრო შანშიაშვილის მოთხრობები, № 6.
- ციაშვილი სოლომონი — ძველი ქართული დრამატული ძეგლები, № 7.
- ძიძიგური შოთა — ახალი გამოცელები ზრდილოეთ კავკასიის ეპოსის შესახებ, № 1—2; ქართული კლასიკური ლიტერატურული შეტყველების მნიშვნელოვანი ძეგლი, № 10.
- ჯიბლაძე ვლადიმერი — ვიორჯი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, № 9.

3360 8 836.

190 / 470

Сметог
საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

29¹¹/₁₄



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ШНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ